View metadata, citation and similar papers at core.ac.uk
brought to you by CORE
provided by Digital repository of National Parliamentary Library of Georgia

# საქართველო 1917-1921 წლებში

**პეტრე ბორავსკი**

ცნობისათვის: პირველ ოფიციალურ კონტაქტებს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკასა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის ადგილი ჰქონდა 1918 წლის ოქტომბერში, როდესაც თბილისში დაფუძნდა პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობა კავკასიაში. იოსებ პილსუდსკი, მაშინდელი პოლონეთის სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელი, იმედოვნებდა, რომ საქართველოსთან, ხოლო შემდეგ კავკასიის ყველა სხვა რესპუბლიკასთან, დაამყარებდა მჭიდრო პოლიტიკურსა და სამხედრო კავშირებს. მოგვიანებით, პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს ემიგრირებულ მთავრობასთან საფრანგეთშიც არ წყვეტდნენ ურთიერთობას. ცნობილია ისიც, რომ პოლონეთმა მიიღო და სამსახური მისცა ათობით ქართველ სამხედროს. იგი მატერიალურ მხარდაჭერას უწევდა ასევე პარიზში მყოფ საქართველოს ემიგრაციულ მთავრობასაც.

რომანოვების დინასტიის დამხობას 1917 წელს კავკასია საკმაოდ მშვიდად შეხვდა. ადგილობრივი ელიტა პოლიტიკურ რეფორმებს, ცხოვრების დემოკრატიზაციას, ყველა მოქალაქისათვის თანასწორ უფლებებს მოითხოვდა და რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ეროვნულ სახელმწიფოებად დაყოფის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. დროებითი მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ახლად შექმნილი რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქეები ერთმანეთს გაუთანაბრა მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა და სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა. თებერვლის რევოლუციის შედეგად ქართველმა მენშევიკებმა და ესერებმა დააფუძნეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭო, რომელმაც ამიერკავკასიის ,,ნამესტნიკი", ბრწყინვალე ,,კნიაზი" ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე აიძულა დაეტოვებინა თბილისი. დროებითმა მთავრობამ 1917 წლის მარტში თბილისში შექმნა ამიერკავკასიის კომიტეტი, რომელმაც დაიწყო მეფის ნაცვლის მოვალეობის შესრულება: 1917 წლის მაისში დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული კავკასიის საქმეთა კომისარიატი თბილისის კომიტეტს ცენტრალურ ხელისუფლებასთან პეტერბურგში აკავშირებდა.

დროებითი მთავრობის პოზიცია ამიერკავკასიაში საკმაოდ ძლიერი იყო. მას მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები თბილისსა და ბაქოში, არამედ ამ რეგიონის ყველაზე ძლიერი პარტიებიც - აზერბაიჯანის მაჰმადიანთა დემოკრატიული პარტია ,,მუსავატი", სომეხთა დაშნაკცუტუნები და ქართველი მენშევიკები. ამ სამივე პარტიის მთავარი მიზანი იყო ფართო ავტონომია რუსეთის რესპუბლიკის ჩარჩოებში. დროებით მთავრობას გუბერნიებში მხარს უმაგრებდა თურქეთის ანატოლიაში დაბანაკებული რუსეთის არმია. 1917 წლის გაზაფხულზე ამერკავკასიის

კომიტეტმა დიდი ძალისხმევის გარეშე შეძლო ადგილობრივი ადმინისტრაციის რეორგანიზაცია და ჩამოაყალიბა საოლქო- სარაიონო კომიტეტები.

ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიაში დაბნეულობა გამეფდა. აქ დაბანაკებული რუსეთის არმია მალე გაიფანტა. მას გამოეყვნენ ურთიერთშორის მებრძოლი ფორმაციები, რომლებიც იმყოფებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების გავლენის ქვეშ. მალე მთელი ამიერკავკასია გაივსო გაბოლშევიკებული სამხედრო ბანდებით, რომლებიც ძარცვავდნენ ყველას და ყველაფერს. ბოლშევიკების მხარეს გადმოვიდა აგრეთვე თბილისში მდგარი რუსული გარნიზონი.

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საქართველოში გაიზარდა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის სულისკვეთება. 1917 წლის ნოემბერში მოიწვიეს ,,ქართული საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა ყრილობა'', რომელზედაც თითქმის ერთხმად მოიწონეს ,,საქართველოს გამოყოფა რუსეთის იმპერიისაგან''. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსაც მოუწოდეს ფედერაციული სახელმწიფოს შექმნისაკენ, რომელშიც გაერთიანდებოდა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც აირჩიეს ქართველ მენშევიკთა ლიდერი ნოე ჟორდანია.

მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები, რომლებსაც ეშინოდათ ბოლშევიკური გადატრიალების, 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში ქმნიან ამიერკავკასიის კომიტეტს, რომელსაც უფლებამოსილება მიენიჭა სამხრეთ კავკასიაში საერთო რუსული დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. დამფუძნებელი კრების არჩევნებისას, ბოლშევიკებმა ძლივს მიიღეს ხმების 4.6 პროცენტი. თუმცა, ისინი არ შეურიგდნენ დამარცხებას და შეეცადნენ თბილისში სამხედრო გადატრიალების განხორციელებას, მაგრამ ქართული მილიციის მცირე რაზმებმა, რომლებიც ძირითადად ინტელიგენტებისა და მუშებისაგან შედგებოდა, თბილისის არსენალი დაიკავეს და აღკვეთეს პუტჩი. რუსეთის დამფუძვნებელი კრების დაშლის შემდეგ, ყოფილი დეპუტატებისაგან შედგენილი ამიერკავკასიის სეიმი სამხრეთ კავკასიის ხელისუფლების ლეგიტიმური ორგანო გახდა. იგი შედგებოდა 115 დეპუტატისაგან, სადაც გაერთიანდა 30 აზერბაიჯანელი მუსავატელი, 27 სომეხი დაშნაკი. დანარჩენ დელეგატებს წარმოადგენდნენ ქართველი ეროვნულ-დემოკრატები და ასევე რუსი ესერები, კადეტები და სოციალ-დემოკრატები. სეიმის ხელმძღვანელად აირჩიეს მენშევიკთა ერთ-ერთი ლიდერი ნიკოლოზ ჩხეიძე.

სეიმის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა ამიერკავკასიის დაცვა თურქეთის

ჯარებისაგან, რადგან ბოლშევიკურმა რუსეთმა 1918 წლის 3 მარტის ბრესტის ზავით თურქეთს დაუთმო არამხოლოდ პირველი მსოფლიო ომის

დროს დაპყრობილი მიწები, არამედ ივალდებულა სტამბოლისათვის გადაეცა ამიერკავკასიის პროვინციები - ბათუმი, ყარსი და არდაგანი. თურქეთი ამ ტერიტორიების ანექსიის სანაცვლოდ რუსეთს სამხრეთ კავკასიის, ანუ საქართველოსა და სომხეთს უთმობდა.

ამიერკავკასიის კომისარიატისა და თურქეთის წარმომადგენლებმა ტრაპეზუნდში სამშვიდობო მოლაპარაკებები გამართეს. თურქებმა მოითხოვეს ზემოთ აღნიშნული პროვინციების გადაცემა. თურქეთის პოზიციის შეუვალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მოლაპარაკებების დროს თურქეთის არმიამ დაიკავა არა მხოლოდ სადავო ტერიტორიები, არამედ იმუქრებოდა, რომ საქართველოსა და სომხეთის დანარჩენ ნაწილებსაც დაიკავებდა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ამიერკავკასიის სეიმმა უკან გაიწვია თავისი დელეგაცია. 14 აპრილს მცირერიცხოვან ქართველ მხედართა დამარცხების შემდეგ თურქეთმა ბათუმი დაიკავა. 21 აპრილს ომის გარეშე-ოზურგეთი, მაგრამ ორი დღის შემდეგ ქართველებმა ისინი დაამარცხეს და აიძულეს მოლაპარაკებებზე წასულიყვნენ.

სურდა რა ლეგალიზება მის მიერ დაკავებული ტერიტორიის, თურქეთი 1918 წლის აპრილში მოითხოვდა სეიმისაგან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას. თურქეთის ულტიმატუმის ძალით, 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა ამ რეგიონის, როგორც ფედერაციული რესპუბლიკის, დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მას ოფიციალურად ეწოდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა.

28 აპრილს თურქეთმა ცნო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. რამდენიმე დღის შემდეგ, ორივე სახელმწიფოს წარმომადგენლები ბათუმში შეხვდნენ ერთმანეთს, რათა სამსვიდობო ტრაქტატის პირობებზე შეთანხმებულიყვნენ. ამიერკავკასიის ხელისუფლება მზად იყო მიეღო ბრესტის ზავის პირობები, ანუ თურქეთისათვის დაეთმო არდაგანის, ყარსისა და ბათუმს ოლქები. მაგრამ ამ დათმობებმა არ დააკმაყოფილეს თურქი ხელისუფალნი და მოითხოვეს ,,დაებრუნებინათ'' მათთვის სამხრეთ საქართველოს გამაჰმადიანებული ქართველებით დასახლებული ტერიტორიები და ასევე ეთნიკური სომხეთის მიწების ორი მესამედი. იმავდროულად თურქებმა კავკასიაში განახორციელეს გაცხოველებული დივერსიული ოპერაციები. ამიერკავკასიის ხელისუფლება აქტიურად შეუდგა ევროპის სახელმწიფოთა შორის მხარდამჭერის ძებნას. არჩევანი გერმანიაზე შეჩერდა, რომელსაც ამ დროს გაძლიერებული პოზიიციები ეკავა ამიერკავკასიაში და შეეძლო წარმატებით უკუეგდო

თურქთა შეტევები. როდესაც თურქ- ამიერკავკასიელთა კამათში მედიატორად გერმანია ჩაერთო, ქართველებმა და სომხებმა მიიღეს მისი წინადადება, სამაგიეროდ აზერბაიჯანელები მკვეთრად აკრიტიკებდნენ ევროპელთა აქტიურობას რეგიონში.

იმ სიტუაციაში, როდესაც ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ერთობლივი პოზიცია დაეკავებინათ

თურქეთის მიმართ, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობას აზრი დაეკარგა. მისმა დამაარსებლებმა გადაწყვიტეს ცალ-ცალკე ეძებნათ თავიანთი სამშობლოს ხსნის გზები. ამიერკავკასიის ფედერაცია გაიყო სამ სახელმწიფოდ – საქართველოდ, სომხეთად და აზერბაიჯანად.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნებათა საბჭო იქცა დროებით პარლამენტად.მის შემადგენლობაში 113 კაცი შედიოდა. დროებითი საბჭოს თავმჯდომარე იყო ნოე რამიშვილი. კარგად ჰქონდა რა გათვითცნობიერებული საქართველოს სამხედრო მდგომარეობის სისუსტე, რამიშვილმა თურქების წინააღმდეგ დახმარებისათვის გერმანელებს მიმართა. გერმანელებს ამ დროისათვის სურდათ მტკიცედ მოეკიდათ ფეხი ამიერკავკასიაში. მათ 1918 წლის მაისში, გერმანია – საქართველოს ხელშეკრულების ძალით, საქართველოში გამოგზავნეს რამდენიმე ბატალიონი. ამრიგად, სურდათ ,,ერთი დარტყმით'' დაეკავებინათ ქართული მანგანუმი და დაეწესებინათ კონტროლი ნავთობის საბადოებზე. სამაგიეროდ, გერმანელები ქართველებს ჰპირდებოდნენ, რომ შეაჩერებდნენ თურქეთის სწრაფვას ბრეტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების გარეთ მყოფი საქართველოს ტერიტორიების მისატაცებლად.

გერმანელების მხარდაჭერით, საქართველომ შესძლო გაეფორმებინა ხელშეკრულება თურქეთთან იმ პირობებით, რომელიც ჩამოყალიბდა ბრესტ-ლიტოვსკში. გერმანელთა ჯარების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე იძლეოდა დამოუკიდებლობისა და თავდაცვის გარანტიას, როგორც ბოლევიკების, ასევე თურქებისაგან.

ბოლშევიკური გადატრიალების საფრთხე დამოკლეს მახვილივით ეკიდა საქართველოს თავზე. ქართველმა კომუნისტებმა აჯანყება მოაწყვეს სახელმწიფოს ცენტრალურ ნაწილშიც კი და დუშეთის რაიონი დაიკავეს. ბოლშევიკური მღელვარება მოედო იმერეთსაც, მაგრამ რუსეთიდან მართულ ამ გამოსვლებს ქართული საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა არ მოჰყოლია. 1918 წლის შემოდგომაზე მენშევიკების ხელისუფლებამ თითქმის სრულიად გაანადგურა კომუნისტური მოძრაობა რესპუბლიკაში.

მოკლევადიანი დამოუკიდებელი არსებობის მანძილზე საქართველომ არამხოლოდ უკუაგდო თავდასხმები თურქეთისა და რუსეთის მხრიდან, ჩაახშო ეთნიკურ უმრავლესობათა ამბოხებები, არამედ იძულებული შეიქმნა სომხეთის წინააღმდეგაც ებროლა. 1918 წლის ოქტომბერში სომეხმა დაშნაკებმა თავიანთ ჯარებს უბრძანეს დაეპყროთ ქართული დასახლებული პუნქტები. ჯავახეთისა და ბორჩალოს დაპყრობის შემდეგ, თბილისის ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენეს და მოითხოვეს ამ ტერიტორიების დათმობა.

1918 წლის დეკემბერში მოხდა დიდი ბრძოლა. სრული განადგურებისაგან სომხები ინგლისელმა და ფრანგმა ელჩებმა იხსნეს. მათი მოთხოვნით,

საქართველომ და სომხეთმა ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულება დადეს.

1919 წელს საქართველოს დამოუკიდებლობას დაემუქრა გენერალ ანტონი დენიკინის არმია. დენიკინი აშკარად მოითხოვდა მოსკოვის ხელისუფლებისაგან საქართველოს დამორჩილებას. მის ამ მოთხოვნებს მხარს უჭერდნენ ბრიტანელი დიპლომატები, რომლებიც ამ რეგიონს რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევდნენ. მათი აზრით, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობა ილუზიური იყო. ბრიტანელები პოლიტიკური შანტაჟის გზით თბილისის მიმართ, ეხმარებოდნენ დენიკინს ჩამოეგლიჯა აფხაზეთი საქართველოსათვის.

თეთრი რუსეთის მხრიდან საშიშროებამ ამიერკავკასიის რესპუბლიკები – საქართველო და აზერბაიჯანი აიძულა შეკავშირებულიყვნენ. 1919 წლის 16 ივნისს მათ შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დაიდო. საქართველოს დედაქალაქში ჰპოვეს თავშესაფარი ასევე დენიკინის მიერ განადგურებული მთის რესპუბლიკის ლიდერებმა.

1919 წლის ივნისში საქართველოს, აზერბაიჯანის და მთის რესპუბლიკის დელეგაციებმა ანტანტის უმაღლეს საბჭოში, პარიზში, შეიტანეს საჩივარი, სადაც  დენიკინის არმიას უჩიოდნენ, რომელიც უხეშად არღვევდა კავკასიელი ხალხების ნებას. მიუხედავად ინგლისისა და საფრანგეთის მოთხოვნისა, დენიკინი არ აპირებდა მოლაპარაკებების დაწყებას თბილისთან და ბაქოსთან. მხოლოდ თეთრგვარდიელი რუსების სამხედრო კონფლიქტმა ბოლშევიკებთან გააუმჯობესა ვითარება ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. დენიკინის არმიის განადგურებამ აიძულა დიდი ბრიტანეთი დე ფაქტოდ ეცნო აზერბაიჯანისა და საქართველოს დამოუკიდებლობა 1920 წლის 20 იანვარს.

1920 წლის აპრილში წითელმა არმიამ დამოუკიდებელი აზერბაიჯანის უმრავლესი რაიონები დაიპყრო. აზერბაიჯანის ეროვნული არმიის ნაწილები, რომლებიც თურქებმა მიატოვეს, რამდენიმე კვირა კიდევ იცავდნენ თავს. რუსეთს აღარ  დაუცდია აზერბაიჯანის სრული დაპყრობისათვის და უკვე 1920 წლის 1 მაისს გადაკვეთეს აზებაიჯან- საქართველოს საზღვარი. მათ მოულოდნელი თავდასხმით მოინდომეს თბილისის დაპყრობა, მაგრამ აქაურმა გარნიზონმა მედგარი წინააღმდეგობა  გაუწია; განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ოფიცერთა სკოლის კადეტებმა,  აიძულეს რა ბოლშევიკები უკან დაეხიათ. რუსებს მაინც არ აუღიათ  ხელი თბილისის დაპყრობაზე და 2 მაისს, დილით, კავალერია გამოაგზავნეს, რომელსაც წითელ ხიდთან მოულოდნელი წინააღმდეგობა გაუწია ქართული ჯარის ნაწილებმა. ეს შეტაკება ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

სამხედრო მოქმედებები საქართველოში 5 მაისამდე გაგრძელდა. მას რუსებისათვის დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. ამიტომ ამ ოპერაციებზე დიდი რაოდენობით ჯარისკაცებსაც არ აგზავნიდნენ. ბოლშევიკები ეცადნენ

ამგვარად ამოეცნოთ არა მხოლოდ საქართველოს სამხედრო მომზადება, არამედ ევროპის რეაქცია თავიანთ მოქმედებებზე.

საქართველოს დამოუკიდებლობა გაახანგრძლივა პოლონეთისა და ბოლშევიკების ომმა, რომელიც მოსკოვისათვის მარცხით დასრულდა. გასათვალისწინებელია, რომ, როდესაც პოლონეთის ჯარები კიევს უახლოვდებოდნენ, სწორედ მაშინ მოაწერეს რუსებმა ხელი საქართველოსთან ხელშეკრულებას. თბილისში არავის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ამ ტრაქტატს დროის გაყვანის დანიშნულება ენიჭებოდა და რომ მცირე ხნით ყოვნდებოდა საქართველოს ანექსია. დოკუმენტი, რომელსაც ლენინმა ,,მეგობრობის ტრაქტატი'' უწოდა, ხელმოწერილი იქნა 1920 წლის 7 მაისს, ანუ მაშინ, როდესაც პოლონეთის ჯარებმა კიევი აიღეს.

ქართველმა მენშევიკებმა, გრძნობდნენ რა ბოლშევიკურ საშიშროებას, ძალიან გააქტიურეს თავიანთი მოქმედება საერთაშორისო არენაზე. ქართველთა დიპლომატიური ძალისხმევა, რომ საქართველო ერთა ლიგას ეცნო, სანახევრო წარმატებით დასრულდა. როდესაც ბოლშევიკური საფრთხე ძალზე ნათელი გახდა, ანტანტის უმაღლესმა საბჭომ 1921 წლის 26 იანვარს სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი საქართველოს პრობლემას ბოლშევიკური რუსეთის საშინაო საქმედ მიიჩნევდნენ და ხელს უშლიდნენ საქართველოს მიღებას ერთა ლიგაში. ამ ორგანიზაციის გაწევრიანებამ შესაძლოა დაიცვა საქართველო, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროით მაინც, რუსეთის თავდასხმისაგან. თუმცა ეს სახელმწიფოები ანგარიშს უწევდნენ ამ გარემოებას, რომ რუსეთი, ,,თეთრი'' თუ ,,წითელი'', ვერ შეურიგდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას.

პოლიტიკური დამკვირვებლებისათვის ცხადი შეიქმნა, რომ რუსეთის მიერ აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპყრობა უკვე ძალზე ბევრს ნიშნავდა საქართველოსათვის. მაგრამ მოსკოვი ბოლო წუთებამდე არ ამჟღავნებდა საქართველოს დაპყრობის მისწრაფებას. პროვოკაციები საქართველოს საზღვართან ხშირდებოდა. ეჭვს იწვევდა ასევე თურქეთის პოზიციაც, დასავლეთევროპელი დიპლომატების უმოქმედობაც უბიძგებდა რუსეთს საქართველოზე თავდასხმისაკენ. 1920 წლის ბოლოს ბრიტანეთის პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა საბჭოთა ელჩს განუცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი კავკასიას რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევს, თუმცა ეს განცხადება არ აკმაყოფილებდა ლენინს, რომელიც შიშობდა, რომ საქართველოზე აგრესია არა მხოლოდ ინგლისელების, არამედ თურქების გაღიზიანებასაც გამოიწვევდა. მას კი, ამ უკანასკნელებთან ურთიერთობის გამწვავება არ სურდა.

ლენინის შიშს არ იზიარებდა სტალინი, რომელსაც მიაჩნდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა განეხორციელებინა საქართველოზე თავდასხმა. მას სწორედ ჰქონდა შენიშნული, რომ საერთაშორისო სიტუაცია ხელსაყრელი იყო ამ ნაბიჯის გადასადგმელად.

როდესაც სწრაფი ანექსიის მომხრეებმა ვერ შეძლეს გამოეწვიათ ,,მშრომელი ხალხის'' აჯანყება ქართველი ,,ფეოდალებისა და კაპიტალისტების'' წინააღმდეგ, გადაწყვიტეს საქმე სამხედრო ნაწილების საშუალებით დაესრულებინათ. დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრილ რუსეთის არმიას თან მიჰყავდა მომავალი საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა. მისი ხელმძღვანელი იყო ფილიპე მახარაძე. ლორის პროვინცია დაბა შულავერში ამ ,,მთავრობამ'' ანტიმენშევიკური სახალხო აჯანყება გამოაცხადა. მაგრამ საქართველო მაინც ვერ მოიცვა რევოლუციის ხანძარმა - მოსახლეობის უმრავლესობა მენშევიკების მხარეს იყო. საბჭოთა აგენტებმა შესძლეს მხოლოდ ეთნიკური უმცირესობა აეჯანყებინათ. ანტიქართულმა ,,აჯანყებამ'' იფეთქა დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსთა შეიარაღებული რაზმების მხარდაჭერით.

თავდაპირველად საქართველოს მთავრობამ რუსის ჯარის შემოჭრა მორიგ პროვოკაციად ჩათვალა და მოსკოვში პროტესტი გაგზავნა. რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარიატმა უპასუხა, რომ არაფერი არ იცის მომხდარის შესახებ და ყველაფერი სომხეთს დააბრალა.მაშინ თბილისში მყოფმა სომხეთის წარმომადგენელმა გააპროტესტა ეს განცხადება და საქართველოს მთავრობას აცნობა, რომ ამ საქმეში სომხეთი არ ურევია. ამასობაში რუსთა არმიებმა საქართველოს აზერბაიჯანიდანაც შეუტია. საქართველოს ხელისუფლება შეეცადა მოლაპარაკება გაემართა რუსეთთან, მაგრამ ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილემ კარახანმა განაცხადა, რომ ეს შეუძლებელია, რადგან ... დაზიანებული იყო სატელეფონო კავშირი.

რუსებმა ამგვარი ურთიერთობა საქართველოს მთავრობასთან რამდენიმე დღე გააგრძელეს, რომლის დროსაც არმიამ დაამარცხა ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარი.18 თებერვალს რუსები თბილისის მისადგომებთან ქართველთა მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდნენ. თბილისის სისხლისმღვრელი ბრძოლები 4 დღეს გაგრძელდა და რუსების განადგურებით დასრულდა.

მაგრამ ამ წარმატებას არ შეეძლო მნიშვნელოვანი გარდატეხის შეტანა მოვლენების საერთო მიმდინარეობაში და მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა რამდენიმე სხვა ადგილასაც სცადეს მძაფრი წინააღმდეგობის გაწევა მტრისათვის (მცხეთასთან, გორთან, გაგრაში, გუდაუთაში, სოხუმში, ზუგდიდში, ონში, ლეჩხუმში) საქართველოს მთავრობა მაინც იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა.

ამ ამბებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ნოე ჟორდანია დაწერს: ,,უმთავრესი პრობლემა იყო იარაღი და ტყვია -წამალი. ყველა მხარეს გავაგზავნეთ ტელეგრამები, მაგრამ არავინ არ გამოგვხმაურებია. მხოლოდ ლონდონიდან მივიღეთ პრინციპული უარი''. იარაღის მიწოდების ნაცვლად 12 მარტს საქართველოს თურქეთის არმიამ შემოუტია. თურქეთ-რუსეთის

საიდუმლო მოლაპარაკების საფუძველზე, ბოლშევიკებისათვის დახმარების სანაცვლოდ, თურქეთი საქართველოს სამხრეთს – არდაგანს, ართვინს და აჭარის ნაწილს მიიღებდა. სამაგიეროდ, თურქეთი საქართველოს ჰპირდებდა შეენარჩუნებინა მისთვის ბათუმი. მიიღეს რა ქართველების თანხმობა ამ საკითხზე, თურქებმა ბათუმის დაპყრობაც მოინდომეს. საქართველოს მთავრობამ, დაინახა რა წინააღმდეგობის გაწევის უაზრობა, ბათუმი ბოლშევიკებს გადასცა. ამის შემდეგ, 1921 წლის 18 მარტს საფრანგეთისა და ინგლისის გემებით, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ სამშობლო დატოვა.

თუმცა დამოუკიდებელი საქართველო მხოლოდ სამი წელიწადი არსებობდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე მან დაამტკიცა, რომ ღირსი იყო თავისუფლებისა. ეჭვგარეშეა, რომ თუ არა აგრესია რუსეთის მხრიდან, საქართველო შესძლებდა თავისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

**დაიბეჭდა ჟურნალ „ეპოქის" 1998 წლის მაისის ნომერში**

## ვლადიმერი, პეტრეს შვილიშვილი

იეჟი მარეკ ნოვაკოვსკი

როდესაც ცნობილი პოლონელი პოლიტოლოგის, პუბლიცისტის იეჟი მარეკ ნოვაკოვსკის ქვემოთმოტანილ წერილს ეცნობი (იხ. პოლონური ჟურნალი „ვპროსტი", 2002 წლის ოქტომბერი), საბოლოოდ რწმუნდები, თუ რაოდენ სწორად ჰქონდა განსაზღვრული პოლონეთის მეორე რესპუბლიკის (1918-1939წ.წ.) ხელისუფლებას საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. ამ ქვეყნის პოლიტიკურ გეგმებში საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიას ფრიად საპატიო ადგილი ეკავა. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ამ ქვეყნის ფაქტიური ხელმძღვანელი ი. პილსუდსკი არც პოლიტიკურსა და არც მატერიალურ მხარდაჭერას არ აკლებდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას როგორც აქ, საქართველოში, ისე ემიგრაციაში, საფრანგეთსა თუ პოლონეთში ყოფნისასაც.

დრომ დაადასტურა პოლონეთის იმდროინდელი ხელისუფლების პოზიციის უტყუარობა. როგორც პოლონეთი, ისე საქართველო ერთი და იმავე საშიშროების წინაშე იდგნენ და დგანან დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი ჩრდილოატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის „ნატოს" წევრი გახდა. ეს საშიშროება კი, როგორც კარგად წერს ამის შესახებ წერილის ავტორი, ჩრდილოეთიდან მომდინარეობს. აღნიშნული საშიშროება

მით უმეტეს არსებობს ჩვენი ქვეყნისათვის და იგი იარსებებს, ვიდრე არ გვექნება შემუშავებული სწორი და ადექვატური პოლიტიკა რუსეთის მიმართ.

აქვე გვინდა შევნიშნოთ შემდეგიც: წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთი შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მიერ ომის წამოწყების შემთხვევაში ერაყის წინააღმდეგ, შეინარჩუნებს ნეიტრალიტეტს, ოღონდ ამის საფასურად ამერიკელებს თანხმობას მოსთხოვს საქართველოს მათთან ერთად კონდომინიუმის (ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ რომელიმე ქვეყნის ან ტერიტორიის ერთობლივი მართვა – ა.გ.) პრინციპების საფუძველზე მართვაშიო.

ჩვენი აზრით, საეჭვოა რომ მოხერხდეს საქართველოს რუსებისა და ამერიკელების მიერ ერთობლივი მართვა და ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მახსენდება:

ამ სახის მართველობა არსებობდა ნიუ ჰებრიდში (კუნძულთა ჯგუფია ავსტრალიის ახლოს, რომელიც 80-ზე მეტ წვრილ-წვრილ კუნძულს აერთიანებს. 1980 წლამდე, ანუ აქ ვანუატის რესპუბლიკის შექმნამდე, ამ კუნძულებზე არსებობდა ინგლისისა და საფრანგეთის კონდომინიუმი, მოქმედებდა ორი სახელმწიფო ენა, ფრანგული და ინგლისური, უფრო სწორად სამი ადგილობრივ ბიგინურ ენასთან ერთად, ფრიალებდა ორი დროშა, ფრანგული და ინგლისური და სხვ. და სხვ. ხშირად საქმე კურიოზებამდე მიდიოდა.

სახელმწიფო დაწესებულებებში კედლებზე ჩამოკიდებული იყო ორი პიროვნების პორტრეტი – ერთი იყო ინგლისის დედოფალი, ხოლო მეორე საფრანგეთის პრეზიდენტი. პოლიტიკაში გაუცნობიერებელ ადგილობრივ მკვიდრთ უკვირდათ ის გარემოება, რომ ქალის პორტრეტი გამუდმებით ეკიდა კედელზე, ხოლო მამაკაცის ხშირად იცვლებოდა. ამ ცვლილებებს კუნძულელები ქალის მიერ ქმრის ხშირ-ხშირ მიტოვებად და ახალ მამაკაცზე გათხოვებად აღითქვამდნენ...

კუნძულებზე სამანქანო მოძრაობაც განსხვავდებოდა. იმის მიხედვით, თუ მძღოლი რომელი ქვეყნიდან იყო, მას მანქანაც გზის მარცხენა ან მარჯვენა მხარეს მიჰყავდა. შესაბამისად, ბრიტანელი ადმინისტრატორის სამსახურეობრივი ავტომანქანა მარცხნივ მოძრაობდა, ხოლო ფრანგის – მარჯვნივ. ზოგჯერ მათი მანქანები ვიწრო ქუჩაში ერთმანეთს აწყდებოდნენ და ვიდრე მათი მძღოლები ამ მიზეზით ქუჩაში შექმნილი პრობლემების გადაჭრით იყვნენ დაკავებულები, მოხელეები ქუჩის პირას ჩრდილში იდგნენ და ტკბილად მუსაიფობდნენ.

მაგრამ საგულისხმოა, რომ ინგლისიცა და საფრანგეთიც, რუსეთისგან განსხვავებით, განვითარებული და დემოკრატიული კაპიტალისტური ქვეყნებია.

თუნდაც ამიტომ გვეპარება ეჭვი, თუ შესძლებენ საქართველოში კონდომინიუმის პირობებში რუსეთისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლები ასეთ მშვიდსა და უზრუნველ საუბარს?

**ამბროსი გრიშიკაშვილი**

* * *

**მოკვდა საბჭოთა კავშირი,**
**გაუმარჯოს დიად რუსეთს.**

,,ძვირფასო ალექსანდრე გრიგოლის ძევ, მივესალმებით თქვენს პროექტს რუსეთისა და ბელორუსის გაერთიანების თაობაზე. ამიტომ ვიძლევით წინადადებას ბელორუსი შეუერთდეს რუსეთს როგორც მისი სამი დასავლეთის გუბერნია'' – განუცხადა ერთი თვის წინ ვლადიმერ პუტინმა ალექსანდრე ლუკაშენკოს. ამ განცხადებამ ეს უკანასკნელი პირდაპირ გააცოფა. ეს როგორ, კაცს, რუსეთისა და ბელორუსის გაერთიანებული სახელმწიფოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე ჰქონდა პრეტენზია და ახლა რუსეთის ერთ-ერთი გუბერნიის ადგილის მოსაპოვებლად უნდა ირბინოს კრემლში? არა, ეს არასოდეს არ მოხდება, ლუკაშენკო ამას არაფრით არ დაუშვებს. მიუხედავად ლუკაშენკოს ამგვარი გაცხარებისა, როგორც ჩანს, პუტინის ეს წინადადება იმ მოვლენების განვითარების გარკვეულ ფინალს წარმოადგენდა, რომელსაც მეოცე საუკუნის ბოლო დეკადაში ჰქონდა ადგილი.

## დასავლეთელები და სლავიანოფილები

ბოლო სამი საუკუნეა, რაც რუსეთის პოლიტიკაში ამ ქვეყნის განვითარების ორი ძირითადი კონცეფცია განიხილება. პირველის მიხედვით, რუსეთი უნდა დაუახლოვდეს დასავლეთს და ევროპული განვითარების გზით წავიდეს. თავდაპირველად ეს ტენდენცია ტერმინ ,,ზაპადნიკობით'' აღინიშნებოდა. შემდეგ და შემდეგ მან საბჭოური ფორმა მიიღო. ამასთან, ბოლო პერიოდში აღნიშნული ტენდენცია დასავლეთის უბრალო მიბაძვით აღარ კმაყოფილდებოდა და მასში აშკარად გამოიხატა მსოფლიო ბატონობისაკენ სწრაფვა.

მეორე კონცეფციის თანახმად, რომელსაც თავიდან ,,სლავიანოფილობა'' ეწოდებოდა, ხოლო შემდეგ ტერმინ ,,ევრაზიულობით'' შეიცვალა, რუსეთს უნდა დაეკავებინა მესამე რომის ადგილი, მიეღო ცივილიზაციის სრულიად განსხვავებული ფორმები, იმგვარი და ხშირად უკეთესიც კი, ვიდრე ცივილიზაციას დასავლეთ ევროპაში, ამ ,,დამპალ დასავლეთში'' ჰქონდა მიღებული.

რუსეთის იმპერიის პარადოქსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თუმცა ,,რკინის ფარდა'' ააშენეს, მაგრამ სინამდვილეში თითქმის ყველა საბჭოთა ხელმძღვანელი რუსეთის განვითარების დასავლური გზის წარმომადგენელი

იყო. უფრო მეტიც: მათი ზიზღი დასავლეთის მიმართ ისე შორს მიდიოდა, მისთვის ომის მოგებაც კი სურდათ, რათა თავად დაეკავებინათ უფრო უკეთესი დასავლეთის ადგილი. იმავდროულად ისინი შეეცადნენ უარი ეთქვათ რუსეთის ეროვნულ თვითმყოფობაზე, რათა შეძლებოდათ მონოლითური და ერთიანი საბჭოთა ხალხის შექმნა. მსგავსად იმისა, როგორც მოსკოვში ყოველ ახლადწამოჭიმულ ,,კულტურის სასახლეს'' უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი უფრო უკეთესი და უფრო დიადი იყო, ვიდრე ნიუ-იორკის ,,ემპაიერ სტეიტ ბილდინგი'', საბჭოთა ხალხიც უნდა ყოფილიყო სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა თანაცხოვრების გაცილებით უკეთესი ფორმა, ვიდრე იგივე ამერიკის მრავალეროვნული ხალხი იყო. როგორც ვნახეთ, მსგავსი მცდელობები უშედეგოდ დასრულდა.

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ პოსტსაბჭოური უზარმაზარი ტერიტორია კომუნიზმის მიერ დანატოვარი მილიონობით ობოლით აივსო. ადამიანებმა აღარ იცოდნენ, რა ეწოდებინათ საკუთარი თავისათვის – რუსები თუ ,,საბჭოთა ხალხი''. პოსტსაბჭოური სახელმწიფოების რეინტეგრაციის ანუ სსრკ-ს აღდგენის მცდელობებმაც ნაყოფი ვერ გამოიღო. უფრო მეტიც: თავად რუსეთის ფედერაციამაც კი დაიწყო რვევა, როგორც პილსუდსკის უყვარდა ხოლმე გამოქმა - ,,ეროვნულ ნაკერებზე''.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა სარბიელზე პუტინი.

## პეტრე დიდის პორტრეტი

ჯერ კიდევ პეტერბურგში ვიცეპრემიერად მუშაობისას ვლ. პუტინმა თავის კაბინეტში ყველაზე საპატიო ადგილას პეტრე დიდის პორტრეტი ჩამოჰკიდა. შემდეგ იგი ამ პორტრეტს თავიდან არ იშორებდა და ყველა თავის შემდგომ კაბინეტში გადაჰქონდა, ვიდრე იგი კრემლში, პრეზიდენტის საბრძანებელში არ აღმოჩნდა. მაგრამ საქმე მხოლოდ პორტრეტსა და მის ადგილმდებარეობაში როდია. პეტრე დიდის ნამოღვაწარი პუტინის პოლიტიკურ პროგრამას წარმოადგენს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ვისწავლოთ დასავლეთისაგან, მაგრამ ვიმოქმედოთ ჩვენებურად.

ყოფილმა ჩეკისტმა სწრაფად აუღო ალღო ყველაფერს. იგი მით უფრო იმაში დარწმუნდა, რომ რუსეთს უკვე აღარ შესწევდა ძალა მთელი ყოფილი საბჭოთა იმპერიის რეინტეგრაციის სიმძიმის თავის თავზე ასაღებად. მას კარგად ესმოდა, რომ თანახმად სახაროვისა და სოლჟენიცინის შეხედულებებისა, რუსეთი უფრო მეტად შიდა პრობლემებს უნდა მიბრუნებოდა და რეფორმები განეხორციელებინა. მისთვის უკეთესი იყო თავიდან მოეშორებინა ,,ახლო საზღვარგარეთის'' ქვეყნების მიმართ იმპერიული ამბიციები. შეგნებული ჰქონდა რა, რომ მას არ გააჩნდა დასავლეთთან შეჯიბრისათვის საკმარისი ფინანსური რესურსები, პუტინი გრძნობდა იმასაც, რომ პოსტსაბჭოურ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა

თანამეგობრობა მისთვის ფეხებზე შებმული მძიმე ბორკილები იყო. მით უფრო, რომ დსთ-ს დახმარებით რუსეთი ვერ დაიახლოვებდა ყოფილ რესპუბლიკებს. უფრო უარესიც: დსთ იქცა ერთგვარ ფორუმად ყველა დანარჩენი ქვეყნისათვის, რომელთა ლოზუნგსაც ,,ყველანი მოსკოვის წინააღმდეგ'' წარმოადგენდა.

პუტინმა გადაწყვიტა პატარ-პატარა ნაბიჯებით ევლო წინ. გასული წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში განხორციელებულმა ტერორმა მას საკმაოდ კარგი სამოქმედო პირობები შეუქმნა. თუკი ამერიკასთან მეგობრობა მას ამ ქვეყნის საჯარისო ნაწილების შუა აზიაში შეშვებას ავალდებულებდა, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო გარკვეული შეთანხმების, კონდომინიუმის საფუძველზე. ამგვარი შეთანხმება კი მას ერჩია ჰქონოდა ამერიკელებთან, ვიდრე ჩინელებთან. მალე პუტინი შეუდგა ასევე ალექსანდრე სოლჟენიცინის პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, რომელიც სლავური მიწების გაერთიანებას ითვალისწინებდა.

## რუსული მიწების შემოკრება

მაგრამ ვიდრე რუსეთი თავისი სიძლიერის აღდგენას შესძლებდა, მან უწინარესად შინაგანი ინტეგრაცია უნდა შეძლოს. ამიტომ არის ახლა რუსეთში დიდი კამათი ახალი ტიპის ფედერაციის შექმნაზე. ჩეჩნეთის წინააღმდეგ გაგზავნილი არმია (იმ ჩეჩნეთისა, რომლის პრეზიდენტიც აღიარებული იყო რუსეთის მიერ) და ის ხოცვა-ჟლეტა, რომელსაც აქ ჰქონდა ადგილი, იმის ნათელი დადასტურება იყო, რომ ამგვარი წინააღმდეგობის გამოვლინებას რუსები არავის აპატიებენ. არავის არავითარი ილუზია არ უნდა ჰქონდეს ფედერაციის შიგნით რაიმე ავტონომიის თაობაზე. საბჭოთა კავშირის შემდეგ მემკვიდრეობით გადმოცემული რუსეთის მოწყობის იმ ფორმას, რომელშიც ადგილი იქნებოდა ,,ეროვნული'' რესპუბლიკებისათვის, წერტილი უნდა დასმოდა. ეს ფორმა უნდა შეცვლილიყო. სწორედ ამიტომ შეიქმნა რუსეთში ეგრეთწოდებული ფედერაციული ოლქები, რომლებშიც ხელისუფლების ინტეგრაცია ხდებოდა რუსულობის ნიშნით და რომლებშიც წაშლილი იყო ისტორიული საზღვრები.

კონფლიქტი კათოლიციზმთან, მართლმადიდებელი იერარქების მიერ პაპისაკენ მიმართული შეურაცყოფები და კათოლიკე მღვდლების (ქსენძების) უფლებების შეკვეცა – ეს რუსეთის ცხოვრებაში ეკლესიის პოზიციის გაძლიერებაზე მიუთითებს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ცნება ,,კანონიკურ ტერიტორიას'' აქვს არა რელიგიური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობა; რუსეთის მთელი პოლიტიკური აქცენტები გადატანილი იყო იმ რეგიონებისა თუ ქვეყნებისაკენ, რომლებიც რუსულად იყო აღიარებული, კერძოდ, ბელორუსისკენ, უკრაინისკენ, დნეპრისპირეთისა და ჩრდილოეთ ყაზახეთისაკენ; აი, სწორედ ეს იყო ახალი, დიდი რუსეთი. აქ უნდა ყოფილიყო

არა რაიმე ფედერაცია, არც სსრკ, არამედ ერთიანი და განუყოფელი რუსეთი, რომელიც გუბერნიებად იქნებოდა დაყოფილი და რომელსაც კრემლი მტკიცე ხელით მართავდა.

შემდეგი საჩუქარი, რომელიც ვლადიმერ პუტინმა მიიღო, ეს იყო გაუმჯობესებული კონიუნქტურა ნავთობის ბაზარზე. სწორედ აქედან შემოსული თანხებით წამოიწყო ქვეყანაში მოდერნიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესები. რუსეთის ხელისუფლებამ, რომელიც უჩვეულოდ უნარიანად იყენებს საბაზრო ეკონომიკის მექანიზმებს და რომელთა დანერგვასაც საკუთარ ქვეყანაში არ ჩქარობს, დაიწყო გავლენის სფეროების გაფართოება და იმ პირობების შექმნა, რომელ პირობებშიც შესაძლებელი იქნებოდა დიადი რუსეთის წარმოშობა.

## ნეოიმპერიალისტური მექანიზმები

პუტინის პოლიტიკური ელიტა რეინტეგრაციული პროცესების გასატარებლად სამი კატეგორიის ნეოიმპერიალისტურ მექანიზმს იყენებს. პირველი სახის მექანიზმია უხეში ძალა. სახელდობრ ამგვარი მექანიზმების გამოყენებასა აქვს ადგილი საქართველოს წინააღმდეგ. ამ ქვეყნის კომუნისტური პარტიის ყოფილი პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი, იმდენად კარგად იცნობს თავის კოლეგებს კგბ-დან, რომ სწრაფად მიხვდა, - საქართველო დამოუკიდებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევდა და შეინარჩუნებდა, თუკი მოხერხდებოდა ამ ქვეყნის გადაქცევა დასავლეთისათვის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილად. საქართველოს ამ შანსს აზერბაიჯანიდან თურქეთისაკენ მიმავალი ნავთობსადენი აძლევს. შევარდნაძემ ამერიკელებს სამხედრო მრჩეველიც გამოსთხოვა. მისდა საუბედუროდ, ამჟამად ვაშინგტონისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრიორიტეტს ტერორიზმი წარმოადგენს, ხოლო რუსები არ მალავენ, რომ ერაყთან ომის შემთხვევაში ნეიტრალიტეტის საფასურად ამერიკელთა თანხმობას მოითხოვენ საქართველოში კონდომინიუმის შექმნაში. გამოიყენეს რა ქართული სახელმწიფოს სისუსტე, მათ ჯერ აფხაზეთი წაგლიჯეს ამ ქვეყანას, ხოლო ახლა ამერიკისაგან საქართველოში რუსული ჯარის დამატებითი კონტინგენტის შეყვანაზე თანხმობას მოითხოვენ. როგორც ჩანს, რუსები ამ თანხმობას მიიღებენ კიდეც, ხოლო პუტინს კარგად ესმის სუვოროვის იმ მაქსიმის სისწორე, რომლის თანახმადაც რუსეთის საზღვარი გადის იქ, სადაც რუსი ჯარისკაცი ჩექმას დააბიჯებს.

რეინტეგრაციის ყველაზე იაფ მეთოდს მოცემული სახელმწიფოსათვის შიგნიდან ძირის გამოთხრა წარმოადგენს. ამიტომ არის, რომ პუტინი აქტიურად ქსოვს თავის აგენტურულსა თუ ეკონომიკურ ქსელს. ამ მიზნით იგი საბჭოთა კავშირიდან მემკვიდრეობით მიღებულ კავშირებსაც იყენებს. ამ

ქსელების საცეცები კი სწვდება ბერლინამდე, ჰავანამდე თუ მანაგუამდე, ხოლო თუ როგორი ეფექტურია ამ ქსელის მოქმედება, ეს ბელორუსის მაგალითზეც კარგად ჩანს. ალექსანდრე ლუკაშენკოს პოლიტიკური ამალის უდიდეს ნაწილს სწორედ კგბ-ს ყოფილი ფუნქციონირები შეადგენდნენ. თავის მხრივ, ბელორუსული ოპოზიციაც ყველაფერზე წავა, ოღონდ ქვეყანას ,,ბატკო'' მოაშორონ. ახლა მხოლოდ ის-ღაა საჭირო, რომ რუსებმა აამუშაონ ლუკაშენკოს დასუსტების მექანიზმები, რომლის ავტორიტეტიც საზღვარგარეთ ისედაც ნულს უტოლდება, რათა იგი ბოლო-ბოლო დათანხმდეს ზემოთ აღწერილ რუსეთის პირობებზე. ყოველივე ამის შემდეგ ლუკაშენკოს საკოლმეურნეო "დამსახურებულ პენსიაზე'' გაუშვებენ.

ძალზე ვშიშობ, რომ რუსები ანალოგიურ მეთოდს მიმართავენ უკრაინის წინააღმდეგაც. მელნიჩენკოს მაგნიტოფონის ჩანაწერები, საიდანაც ირკვევა, რომ უკრაინა ერაყს ასყიდებდა იარაღს, ხოლო ქართველი ჟურნალისტის მკვლელობა კი კუჩმას შეკვეთით განხორციელდა, საოცარი მეთოდებით იყო გასუფთავებული იმ ჩანაწერებისაგან, რომელიც რუსეთს ეხებოდა. ყოფილი ნომენკლატურული დირექტორი კუჩმა ინტრიგების ხლართებშია გახვეული. თუმცა, საგულისხმოა, რომ სახელისუფლებო გადატრიალების მეთოდი შესაძლოა ეფექტური არ აღმოჩნდეს უკრაინის მიმართ – ეს მეტისმეტად დიდი ქვეყანაა, ხოლო ეროვნული სულისკვეთება მყარად არის გამჯდარი თვითოეულ უკრაინელში. ყოველივე ამის გათვალისწინებით რუსებს ის-ღა დარჩენიათ, რომ მესამე, ანუ ეკონომიკური იძულების მეთოდს მიმართონ.

რუსულმა ფირმებმა (ცხადია, დამოუკიდებლად და საბაზრო პრინციპებით მომუშავეთ) შეისყიდეს უკრაინის გაზსადენებისა და ნავთობსადენების მნიშვნელოვანი ნაწილი. უკრაინის ელექტროგამანაწილებელი ქსელების უდიდესი ნაწილიც ასევე რუსების ხელთაა. რუსები იმდენს ახერხებენ, რომ სერიოზული დასავლური ინვესტორი გვერდს უქცევს კიევს, რადგან იგი საეჭვო რეპუტაციის ქალაქად მიაჩნია. ყოველივე ამის შემდეგ კიევი უბრალო ალტერნატივის წინაშე დგას – მიიღოს მოსკოვის პოლიტიკური პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკონომიკური კრახი ელის.

## შეგვიძლია პოლონელებმა მშვიდად ვიძინოთ?

ჩვენ ვარშავაში მშვიდად ვართ: პოლონეთი უკვე ნატოს წევრია და არ შეიძლება გვაშინებდეს რუსეთის ნეოიმპერიალისტური ამბიციები. ვითომ ეს მართლაც ასეა? ეკონომიკური ზეწოლის მექანიზმის გამოყენებამ რუსებისათვის ერთობ სასურველი ეფექტი მოიტანა ლიტვის მიმართ. მოჟაისკის უდიდესი ნავთოგადასამუშავებელი ქარხანა, რომელიც ნავთობით

მთელ ბალტიისპირეთს ამარაგებს, პოლიტიკური ავანტურების შემდეგ ამერიკულმა ფირმებმა შეისყიდეს. ორი წლის მანძილზე რუსეთის მხრიდან ეკონომიკური ბლოკადის შედეგად, იგი კვლავ რუსებმა გამოისყიდეს და ახლა იგი უკვე რამდენიმე თვეა ლუკოილის საკუთრებაა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის საბჭო, რომელიც ერთგვარი საზოგადოებრივი ორგანოა, ამ ბოლო დროს გაკეთებულ მოხსენებაში დაუფარავად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს ენერგეტიკული რესურსებით ვაჭრობა წარმოადგენს. უკვე ეჭვიც კი აღარავის ეპარება იმაში, რომ თავისი აგრესიული სავაჭრო პოლიტიკით მოსკოვი ზემოქმედებას ახდენს ცენტრალური ევროპის ქვეყნებზეც. ამიტომ არის, რომ ხშირად გვესმის იმ გართულებებისა და აფიორების შესახებ, რომელიც გაზმრეწვის, ლუკოილისა თუ იუკოსის საქმიანობას უკავშირდება ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთსა თუ სლოვაკეთში. პოლონეთშიც საგრძნობი სირთულეების გადალახვის გზით გვიხდება გაზის მომარაგების სფეროში კონტრაქტების გაფორმება, ხოლო განცხადებები იმის თაობაზე, რომ რუსები პოლონეთის ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნების მეწილეებად გახდომას აპირებენ, ჩვენი საზოგადოებისა და პოლიტიკოსების მღელვარებას იწვევს.

დიადი რუსეთის ასაშენებლად შემუშავებული სამი მეთოდი, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, გამოიყენება იმ ქვეყნების მიმართაც, რომლებიც რუსეთის გავლენის სფეროს გარეთ მდებარეობენ. ეჭვგარეშეა, რომ პუტინის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმატებას წარმოადგენს დასავლეთის დარწმუნება იმაში, რომ რუსეთი მათი ყველაზე მეტად ცივილიზებული პარტნიორია ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს შორის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დემოკრატიასთან, მის თანამედროვე გაგებასთან გაცილებით ახლოს იდგა ბორის ელცინი, რომელსაც საკმაოდ ცივად ხვდებოდნენ დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში. პუტინი რუსეთის ფედერაციის შესახებ კი აღარ ლაპარაკობს, არამედ რუსეთის შესახებ. მან დსთ კი დაასამარა, მაგრამ წუთითაც არ შეუწყვეტია ფიქრი ,,რუსეთის კანონიერი ტერიტორიებისა" და გავლენის სფეროების გაფართოების შესახებ. ამ სფეროებში იგი ცხადია, პოლონეთსაც გულისხმობს. ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, პოლიტიკის პრიზმაში უნდა გავატაროთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსების ყოველგვარი გააქტიურება და მის ეკონომიკური კონტაქტები. განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ დიდი რუსეთის დაბრუნებას მინსკამდე და კიევამდე და ასევე ლიტვისა და ბალტების მარტოდ დარჩენას. ამის მიზეზები ძალზე პრიმიტიულია, - იმ შემთხვევაში, თუ ჭეშმარიტად აღსდგება მკვთრეთიდან დიდმყრობლური რუსეთის იმპერია, მაშინ ჩვენი შანსი, - შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, დაახლოებით

ისეთივეა, როგორც მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ჩვენი მეზობელი იყო დასავლეთით გულწრფელად აღტაცებული პეტრე პირველი.

## 1. აჭარა - რეგიონალიზმი თუ სეპარატიზმი?

**პეტრე ბორავსკი**

წინამდებარე წერილი, რომელიც ქართული მკითხველისათვის უკვე კარგად ცნობილი ავტორის, ისტორიკოსის, 1997-2000 წლებში პოლონეთის დესპანის საქართველოში, პეტრე ბორავსკის კალამს ეკუთვნის, დაიბეჭდა ყოველთვიური პოლონური ჟურნალის "სპრავი პოლიტიჩნე" ("პოლიტიკური პრობლემები") 2002 წლის ოქტომბრის ნომერში. წერილის ქართული თარგმანი გამოქვეყნდა გაზეთ „აჭარის" @2002 წლის დეკემბრის ნომრებში.

ქართველქართველი ხალხის მრავალ საუკუნოვანმა ბრძოლამ ირანთან და თურქეთთან თავისი ეთნიკური, კულტურული და რელიგიური თვითმყოფადობის გადასარჩენად ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიაზე რეგიონალური ერთეულების წარმოქმნას. ამასთან თანამედროვე საქართველოს ამ ცალკეულ ისტორიულ კუთხეებს შორის განსხვავება არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, რომ მან ხელი შეუწყოს ქვეყნის საშინაო საქმეებში გარედან ჩარევას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ რეგიონალურ კონფლიქტებს, რომლებიც არ სცილდებიან შიდა-ეთნიკურსა თუ შიდა-სახელმწიფოებრივ ჩარჩოებს, ზოგიერთი პოლიტიკოსი წარმოადგენს როგორც სეპარატიზმის გამოვლინებებს. ამ ხერხს მიმართავს ერთმანეთს შორის მოქიშპე ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც თავს არ იწუხებენ ამის დამადასტურებელი შესაბამისი არგუმენტების მოსაძიებლად და მხოლოდ ის სურთ, რომ მოახდინონ მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია.

სახელდობრ ამგვარი კამათი მიმდინარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. მართალია, მრავალი წლის მანძილზე საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და განსაკუთრებით, ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო ამძაფრებს აქაური განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების სეპარატისტულ მოძრაობას, მაგრამ ძნელია აჭარული რეგიონალიზმი სეპარატიზმის გამოვლინებად მივიჩნიოთ.

საქართველო, რომელიც XX საუკუნის 50-ან წლებში თავისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მშენებლობას შეუდგა, თითქმის ისეთივე

პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, როგორი პრობლემების წინაშე იდგა იგი 1918-1921 წლებში. მან თავი ვერ აარიდა ასევე აფხაზეთისა სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ მოძრაობებსაც, რომელსაც რუსეთი უჭერდა მხარს. ამის შედეგად საქართველოს ფაქტიურად გამოეყო ორი ავტონომიური პროვინცია და 1991-1993 წლებში ქვეყანა კინაღამ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის წინაშე აღმოჩნდა.

ორი უმნიშვნელოვანესი პროვინციის დაკარგვამ და ასევე სამცხე-ჯავახეთში არსებულმა სეპარატისტულმა მოძრაობებმა ის გამოიწვია, რომ ქართველმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა ელიტამ აჭარაშიც სეპარატისტული ტენდენციების ძიება დაიწყეს. ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც, თუმცა, გარკვეულწილად დასახლებულია მაჰმადიანებით, მაგრამ ენობრივი და კულტურული თვალსაზრისით ქართული ეთნოსის ინტეგრალურ ნაწილს შეადგენს.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს წამოწყებულმა პროპაგანდამ, რომელიც აჭარაში ავტონომიის გაუქმებას ისახავდა მიზნად, ამიერკავკასიის პოლიტიკურ რუკაზე კიდევ ერთი ცხელი წერტილი წარმოშვა. ზვიადისტურ მოძრაობასთან დაკავშირებული მეცნიერები, პოლიტიკოსები და სასულიერო მოღვაწეები თავიანთ გამოსვლებში აჭარის ავტონომიას წარმოადგენდნენ როგორც ანაქრონიზმს, რომელსაც არ გააჩნდა რაიმე ისტორიული, რელიგიური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური დასაბუთება. – "ასეთი მიდგომის მომხრენი", -– წერს თანამედროვე ქართველი ისტორიკოსი ასლან აბაშიძე1.,– "თავად აჭარაშიც მრავლად არიან, განსაკუთრებით აჭარის მთიან რეგიონში. ამ რაიონების სამმა პრეფექტმა მოსახლეობისაგან უჩუმრად მიმართა საქართველოს ექსპრეზიდენტს, რათა მათგან დაქვემდებარებული რაიონები უშუალოდ საპრეზიდენტო მმართველობაში გადასულიყო. აჭარის ავტონომიის გაუქმებისა და იქაური მაჰმადიანური მოსახლეობის გაქრისტიანების იდეა ახალი არა ყოფილა ზვიადისტური მოძრაობისათვის. 1990 წლის ნოემბერში ახლად წარმოშობილი პარტიის "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" ლიდერი ზვიად გამსახურდია აჭარაში თავისი სააგიტაციო მოგზაურობის დროს მოუწოდებდა აქაურ მოსახლეობას უკუეგდოთ მაჰმადიანობა და დაბრუნებოდნენ წინაპართა რელიგიას. თავის გამოსვლებში იგი ასაბუთებდა, რომ ერთადერთ რელიგიას, რომელიც შეიძლება აღიაროს ქართველმა, მართლმადიდებლობა წარმოადგენს. გამსახურდიას ამ გამოსვლებმა, რომლებშიც, გარდა ამისა, ჟღერდა ასევე აჭარის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნა, ამ კუთხის მკვიდრთა მკვეთრი პროტესტი გამოიწვიეს. აჭარაში ავტონომიის გაუქმების გეგმის განხორციელება ზვიადისტებს განზრახული ჰქონდათ 1991 წლის გაზაფხულზე, როდესაც გამსახურდია თავისუფალი საქართველოს პრეზიდენტი გახდა. ზ. გამსახურდიას მიერ დანიშნული პრეფექტები შეეცადნენ შიმშილობის გზით აეძულებინათ თბილისის ხელისუფლება

დათანხმებულიყო აჭარაში რეფერენდუმის ჩატარებას, რომელზედაც გამოტანილი იქნებოდა ამ კუთხეში ავტონომიის გაუქმების საკითხი.

გამოიყენა რა ზვიადისტების განზრახულობათა გამო აჭარელთა აღშფოთება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძემ, რომელსაც, როგორც მან თავად განაცხადა 1999 წლის აპრილში ჩემთან საუბრისას, სურდა თავიდან აეცილებინა სისხლისღვრა, ბათუმში მოაწყო მრავალათასიანი მიტინგი. მომიტინგენი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასგან მოითხოვდნენ უარეყოთ აჭარის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნა და დაეტოვებინა ისინი თავიანთ რელიგიაზე. ზოგიერთი აქტიური მომიტინგე იმასაც კი აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ თბილისი დაარღვევდა მათ პოლიტიკურსა და რელიგიურ უფლებებს, ისინი იძულებული გახდებოდნენ მიეღწიათ აჭარის დამოუკიდებლობისათვის. თუმცა აჭარაში სერიოზულად არავინ ფიქრობდა სეპარატიზმზე, განცხადებებმა ამ კუთხის საქართველოსგან გამოყოფის შესახებ ასლან აბაშიძეს საკმაო არგუმენტები მისცა გამსახურდიასთან საკამათოდ. პრეზიდენტი იძულებული გახდა ხელი აეღო უწინდელ მოთხოვნებზე, უკან გამოეთხოვა თავისი პრეფექტები და დათანხმდა, რომ აჭარაში მთელი ხელისუფლება მისი ფაქტიური ლიდერის ასლან აბაშიძის ხელში გადასულიყო.

თუმცა ზვიად გამსახურდიამ თავისი მისიონერული იდეებით ფეხზე დააყენა თითქმის მთელი მაჰმადიანური აჭარა, მაგრამ მისი პოლიტიკური ოპონენტების განცხადებების საწინააღმდეგოდ, - მას არავისთვის არ დაუწყია დევნა რელიგიური მოტივით.

საერთოდ ზვიადისათვის ყველაფერი იწყებოდა და მთავრდებოდა ცარიელი სიტყვებით. მისი ინიციატივით როგორც პარლამენტში, ისე პრესაში წამოიწყო ფართო დისკუსია მართლმადიდებლობის გარშემო ქართველი ხალხის კონსოლიდაციის საჭიროებაზე. მისი იდეების მხარდამჭერები მეტ-ნაკლებად მისაღები ფორმით ურჩევდნენ ქართველ მაჰმადიანებს უარეყოთ თავიანთი რწმენა და მიეღოთ მართლმადიდებლობა.

ბათუმში შეხვედრის დროს პრეზიდენტმა გამსახურდიამ შეახსენა აჭარლებს, რომ აჭარაში ჯერ კიდევ IV საუკუნეში მიიღეს ქრისტიანობა. ამიტომ ისინი ვალდებულები იყვნენ დაუყოვნებლივ დაბრუნებოდნენ წინაპართა რწმენას. პრინციპში ამით ამოიწურა ზვიადის მისიონერული საქმიანობა აჭარაში. ზოგიერთი ავტორის განცხადებათა საწინააღმდეგოდ, ზვიადისტები არა ხურავდნენ აჭარული მეჩეთებს, არ ცდილობდნენ მათ გადაკეთებას მართლმადიდებლურ ეკლესიებად.2 საჭიროა გავიხსენოთ, რომ აჭარის ტერიტორიაზე შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე მცირე მოცულობის მეჩეთი, ისინი ძირითადად მთიან, ძნელად მისადგომ ადგილებში მდებარეობენ. ზვიადი და მისი მომხრეები კი ძირითადად სანაპირო დასახლებებში გამოდიოდნენ, სადაც მოსახლეობა უფრო

ათეისტურია, ვიდრე მაჰმადიანური. წირვა-ლოცვას აჭარაში ატარებდა და ატარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. ამასთან, მისი სასულიერო მოღვაწეობა ხორციელდებოდა და ხორციელდება კონსტიტუციასთან სრული შესაბამისობით. შეუძლებელია მათ საქმიანობაში რაიმე კანონსაწინააღმდეგო აღმოვაჩინოთ. ამჟამად ბათუმში სასულიერო მოღვაწეობას ახორციელებენ მაჰმადიანები, კათოლიკები, პროტესტანტები და ებრაელები.

ეჭვგარეშეა რომ არსებობს ძლიერი კუთხური მისწრაფებები, რომლებიც თურქთა ბატონობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი საქართველოს სამხრეთ პროვინციაში.3 დღესაც ეს ტენდეციები იმდენად საგრძნობია, რომ გამოუცდელი ავტორისათვის, მათ შორის პოლონელი კავკასიის "მცოდნეთა" შორისაც, აჭარული რეგიონალიზმი სეპარატიზმშია აღრეული. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სეპარატისტულ მისწრაფებათა მოსურნეთათვის ამის დამამტკიცებელ უმთავრეს არგუმენტს წარმოადგენს ზოგიერთი რუსი თუ ქართველი პოლიტიკოსის განცხადებები, რომლებიც სინამდვილის თავიანთ სურვილებთან, რომელთა მიზანსაც ძალზე ხშირად ქართული სახელმწიფოებრობისათვის მტრული იდეების განხორციელება შეადგენს, მორგებას ცდილობენ.

ბათუმსა და თბილისის ხელისუფლებას შორის ურთიერთობები გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველი-მაჰმადიანები ან მათი ის შთამომავლები წარმოადგენენ, რომელთაც მცირე ხნის წინათ მიიღეს მართლმადიდებლობა. ქართული მოსახლეობის გამაჰმადიანება აჭარის ტერიტორიაზე მოხდა ოსმალთა ბატონობის დროს, ანუ XVI-XVIII საუკუნეებში. ამ პერიოდში ქართველმა მაჰმადიანებმა, თუმცა შეინარჩუნეს მშობლიური ენა, კულტურული თვალთახედვით თანდათან დაიწყეს ჩამოშორება თავიანთი ქრისტიანი მეზობლებისაგან.

საქართველოსგან აჭარის სრულ გამოყოფამდე საქმე იმიტომ არ მისულა, რომ აქ ოსმალთა ბატონობის მთელი პერიოდის მანძილზე არსებობდა აჭარის ფეოდალური ელიტა, რომელიც ერთგულად მისდევდა ძველ, ქართულ ტრადიციას. ქართველი ფეოდალები აჭარაში, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიიღეს მაჰმადიანობა, იცავდნენ თავიანთ მამულების თვითმყოფობას და მას მართავდნენ როგორც თურქი სულთანის ქვეშევრდომები. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ანტაგონიზმი ქართველ მაჰმადიანებსა და აჭარაში მომძლავებულ თურქებს შორის ხელს უწყობდა ამ კუთხის მკვიდრი მოსახლეობის კონსოლიდაციას. ანტიოსმალური აჯანყება, რომელსაც აქ ადგილი ჰქონდა 1680, 1695, 1697 და 1744 წლებში, მიმართული იყო როგორც თურქების ეკონომიკური ექსპანსიის, ისე სტამბულის ზეწოლის წინააღმდეგ, - აჭარიდან ამოეძირკვა ფეოდალური ელიტა.

აჭარის ქართველ-მაჰმადიანთა გათურქების პროცესი შეაჩერა ამ რეგიონის საქართველოსათვის შემოერთებამ რუსეთის მიერ 1878 წლის ომის შედეგად. XIX საუკუნის რუსი მეცნიერები ამ კუთხეში მოგზაურობის შედეგად, იმ დასკვნას აკეთებდნენ, რომ აქ მცხოვრებთა უმრავლესობას ქართველები წარმოადგენენ, რომლებიც მშობლიურ ენაზე ლაპარაკობენ. ამ ეპოქის თბილისელი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე შემდეგნაირად იგონებს აჭარლებს: "გურიიდან დაწყებული ბათუმამდე მოსახლეობა მხოლოდ ქართველებისაგან შესდგება (გამონაკლისს შეადგენენ ჩერქეზები). ამ ხალხის სალაპარაკო ენა არაფრით არ განსხვავდება ქართული დიალექტისაგან. ასევე ქართულია ამ ხალხის გარეგნობა, ტანსაცმელი, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. ჩურუსკურულებს (ახლანდელი ქობულეთის მკვიდრნი. – პ.ბ.) ძალზე კარგად ახსოვთ თავიანთი ქართული წარმოშობა და თუმცა ატარებენ თურქულ სახელებს, ინარჩუნებენ ქართულ გვარებს. ყველა მათგანს შეუძლია ასევე მიგითითოთ თავიანთ მოგვარეზე გურიასა და იმერეთში."4 აქვე ბაქრაძე წერს, რომ ისლამმა თავისი კვალი დააჩნია აჭარელთა კულტურასა და ურთიერთობებს.

აჭარაში რუს ადმინისტრატორთა მიერ გატარებული დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ, რომლის მიხედვითაც აჭარლები რუსეთის პოტენციალურ მტრებსა და თურქეთის მოკავშირეებს წარმოადგენენ, ის გამოიწვია, რომ აჭარლები არა მხოლოდ რუსული კულტურის, არამედ ქართული კულტურის მიმართაც გაუცხოვდნენ. აჭარელთა იძულებითმა გაქრისტიანებამ შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ქართველ-მაჰმადიანთა საგრძნობი ნაწილის თურქეთში ემიგრაცია გამოიწვია. ისინი კი, რომლებიც ადგილზე დარჩნენ, თავის ნაჭუჭში გამოიკეტნენ და გაცილებით მეტად მოექცნენ ისლამის გავლენის ქვეშ. მათში ახლა უწინდელზე მეტი ანტიპათია იგრძნობოდა არა მხოლოდ რუსი ადმინისტრატორების, არამედ ასევე მართლმადიდებელი ქართველთა მიმართაც.

ქართული საზოგადოების გადამწყვეტი უმრავლესობის წარმოდგენაში აჭარლები ისეთივე ქრისტიანები იყვნენ, როგორც კახელები, გურულები თუ გინდ ქართლელები. აჭარლები, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებდნენ ქართველთათვის უცხო ისლამს, მიჩნეული იყვნენ ქართული ეთნოსის შემადგენელ, ქვეყნის ერთ-ერთ კუთხეში მცხოვრებ ხალხად.

1929 წლის ემიგრანტი ქართველი ისტორიკოსი იან (ვანო) ქავთარაძე ასე ხედავდა თურქეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ქართული მიწების პრობლემას5.: "მთელ ქართველ ხალხს თავის განუყრელ საკუთრებად მიაჩნდა არა მხოლოდ ბათუმის ოლქი, არამედ მისი პრეტენზიები სწვდებოდა თურქეთის ლაზისტანამდე (...) დღესაც კი, მიუხედავად ამ კუთხეში თურქეთის დიდი ხნის ბატონობისა, არავითარი განსხვავება არ არის მაჰმადიან და ქრისტიან ძმებს შორის. და თუკი არსებობს რაიმე განსხვავება, ეს მხოლოდ და მხოლოდ გამოწვეულია რუსეთის ორმოცწლიანი ბატონობით, რომელიც მთელი ამ ხნის

განმავლობაში ამ მაჰმადიანების მიმართ ატარებდა პროვოკაციულ პოლიტიკას, რითაც აადვილებდა მაჰმადიანური გავლენის გაძლიერებას (...)6.

ქართველი მაჰმადიანების ქართველი ხალხის მართლმადიდებლურ ქართულ უმრავლესობასთან გაერთიანების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის მემედ აბაშიძეს, აჭარის უმაღლესი საბჭოს ამჟამინდელ თავმჯდომარის ასლან ამაშიძის პაპას.

ძნელია გადაუჭარბებლად წარმოვიდგინოთ მემედ აბაშიძის როლი XX საუკუნის პირველ ნახევარში თანამედროვე ქართველი ხალხის ჩამოყალიბების პროცესში. ეს გამოჩენილი მოაზროვნე, მეცნიერი და პოლიტიკოსი იყო უკანასკნელი აჭარელი სანჯიკ-ბეგის იუზეფ აბაშიძის შვილიშვილი, რომელსაც აჭარაში ხელისუფლების სადავეები 1848 წელს ჩამოართვეს. მემედ აბაშიძე, რომელიც საკუთარი ხალხის ინტერესებს ემსახურებოდა, იდევნებოდა როგორც რუსეთის, ისე თურქეთის მიერ. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მან არაერთი წელი გაატარა რუსულ თუ თურქულ ციხეებში. მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა ასევე თურქეთის თუ რუსეთის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. მემედ აბაშიძემ, მიუხედავად იმისა, რომ განუწყვეტლივ სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე დადიოდა, არ შეუწყვეტია თავისი საქმიანობა და მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა საქართველოსათვის თურქებისაგან მოწყვეტილი და გამაჰმადიანებული კუთხის, აჭარის დაბრუნებას. გზა კი ამ მიზნისაკენ მიდიოდა ქართველ-მაჰმადიანებთა შეგუებაზე ქვეყნის მართმადიდებლურ უმთავრესობასთან, აჭარლებს შორის ქართული ეროვნული თვითშემეცნების გამოღვიძებასა და განმტკიცებაზე.

1917 წელს მემედ აბაშიძემ ჩამოაყალიბა ბათუმის ოლქის ქართველ-მაჰმადიანთა კომიტეტი, რომელმაც შეძლო გაენეიტრალებინა ადგილობრივი პანისლამისტების გავლენა აჭარის საზოგადოებაზე. მ.აბაშიძის პრინციპული პოზიციის გამო ამ უკანასკნელთ ვერ შეძლეს აჭარის კვლავ თურქეთისათვის შეერთება. ამ ქართული კუთხის მკვიდრთ ლიდერთან ერთად არ სურდათ ჩამოშორებოდნენ ახლად გამოღვიძებადაწყებულ ქართულ სახელმწიფოს. რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ აჭარაში შექმნილ რთულ სიტუაციას ერთ-ერთი ბათუმელი ისტორიკოსი ასე აფასებს: “აჭარის მოსახლეობას ერთნაირად როდი ესმოდა კუთხის მომავალი. ქართველ-მაჰმადიანთა ერთი ნაწილი ქართული ორიენტაციის ერთგულებდა, მეორე - თურქულ ორიენტაციაზე იდგა, ხოლო მესამე - აჭარის დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეას უჭერდა მხარს. პრობლემას განსაკუთრებით რუსეთის, თურქეთის, ინგლისის და ზოგიერთი სხვა ევროპული სახელმწიფოს განსხვავებული ინტერესი ართულებდა. თურქეთის პოზიციას მხარს უმაგრებდა ამ კუთხეში მყარად ფეხმოკიდებული მაჰმადიანობა. რუსეთის პოზიციებს ამყარებდა ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქებში და ასევე ქალაქ ტრაპეზონში მდგარი რუსული სამხედრო ნაწილები. ამ დროს

საქართველოს არ გააჩნდა საკუთარი სახელმწიფო. ქართველ პოლიტიკოსთა ერთადერთ არგუმენტს წარმოადგენდა აჭარელთა უმრავლესობის ქართული ორიენტაცია და იმის იმედი, რომ ქართველი პოლიტიკოსები მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით შეძლებდნენ თურქული ორიენტაციის აჭარლების დარწმუნებას ამ კუთხის საქართველოსგან მოწყვეტის უპერსპექტივობაში".7.

მემედ აბაშიძის ირგვლივ შემოკრებილი აჭარელი პოლიტიკოსები აჭარის მომავალს საქართველოს საზღვრებში ხედავდნენ, თუმცა აქაურ მკვიდრთ უნდა შენარჩუნებოდა ფართო ავტონომია და ასევე კუთხური თვითმყოფობა. თავად აბაშიძეს არაერთხელ გაუმეორებია, რომ ქართველი-მაჰმადიანები დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ შეინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ ხასიათს. იგი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან დაერწმუნებინა თავისი მიმდევრები, რომ დამოუკიდებული საქართველო არ წავიდოდა აჭარელთა მაჰმადიანობის წინააღმდეგ და აჭარასაც ფართო ავტონომიას მისცემდა.

1918 წელს ასლან აბაშიძე დახვდა სტამბულიდან ოკუპირებულ ბათუმში ჩამოსული თურქთა დელეგაციას. ამ შეხვედრას მან შემდეგი განაცხადა: "ჩვენ, ქართველები, სტუმართმოყვარენი ვართ და კარგად ვიცით სტუმართ-მასპინძლობის წეს-ჩვეულება. მსურს, რათა თქვენ კარგად უწყოდეთ, რომ სტუმრებს არ მივცემთ ჩვენს საშინაო საქმებში ჩარევის უფლებას... ტყვილად ნუ იგრძნობთ თავს ჩვენს მიწის ბატონ-პატრონად".8 ამ სახის მისასალმებელი სიტყვის გამო თურქეთის ხელისუფლებამ, მიუხედავად ქართველი მოსახლეობის დიდი პროტესტისა, მ. აბაშიძე ტრაპეზუნის ციხეში ჩაკეტა, მაგრამ მან რამდენიმე თვეში დააღწია საკანს თავი ციხის დამცველი ლაზებისა და ქართველების დახმარებით.

1918 წელს თურქეთის ოკუპაციის ინგლისელებით შეცვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია მ. აბაშიძეს თავისი პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც მიმართული იყო აჭარის უკვე რამდენიმე თვის ასაკის მქონე დამოუკიდებელი საქართველოსათვის მიერთებისაკენ. მიუხედავად ბათუმის კომენდანტის ვილიამ კუკ-კოლიზის პრორუსული განწყობილებისა, აბაშიძემ ჩამოაყალიბა ბათუმის ოლქის ქართველ-მაჰმადიანთა საზოგადოება და დაიწყო გაზეთის "მაჰმადიანური საქართველოს" გამოცემა. მან აიძულა ასევე ინგლისური ადმინისტრაცია ბათუმში აჭარის წარმომადგენელთა ყრილობის ჩატარების ნება მიეცა.

ამ ყრილობაზე, რომელიც 1919 წლის 31 აგვისტოს გაიმართა, მიღებული იქნა დადგენილება, რომელმაც ერთგვარი ხიდის ფუნქცია შეასრულა მაჰმადიან აჭარლებსა და ქართველ ხალხს შორის. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ "ბათუმის ოლქის მუსულმანები მათი სისხლის, ენის, კულტურისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით ქართველები არიან". დადგენილებაში ხაზგასმული იყო ასევე, რომ აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

ყრილობის მონაწილეთაგან აირჩა მეჯლისი (პარლამენტი), რომლის დანიშნულებასაც წარმოადგენდა მუშაობა აჭარის უცხო ბატონობისაგან

განთავისუფლებისათვის და მისი, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის, საქართველოსათვის შეერთება. მიუხედავად იმისა, რომ მეჯლისის წევრთა შორის აღმოჩნდნენ პანთურქისტები და პანისლამისტები, პარლამენტის პირველ თავმჯდომარედ ერთხმად არჩეული იქნა მემედ აბაშიძე.

გაიზიარა რა აჭარის მეჯლისის დადგენილება საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ 1920 წლის 14 იანვარს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: "საქართველოს ყველა მოქალაქის ნების თანახმად, პარლამენტის გადაწყვეტილების შესაბამისად და ასევე რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ცნო მაჰმადიანი საქართველოს ავტონომია".9.

საქართველოს ბოლშევიკების მიერ დაპყრობის შემდეგ 1921 წელს თურქებმა გადაწყვიტეს 1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის გადაწყვეტილების შესაბამისად აჭარა თურქეთისათვის შეერთებინათ.10 მემედ აბაშიძე, მიუხედავად მთელი თავისი ანტიპათიისა ბოლშევიკების მიმართ, წინ აღუდგა აჭარის ელიტის პოზიციას, რომლის მიხედვითაც აჭარის ანექსია თურქეთის მიერ იყო გაცილებით ნაკლები ბოროტება, ვიდრე ბათუმის დაპყრობა წითელი რუსეთის მიერ. იგი ნათლად უწევდა ანგარიშს იმას, რომ 2-3 თაობის შემდეგ აჭარელი მაჰმადიანები სრულად გათურქდებოდნენ. მას ამის გაცილებით მეტად ეშინოდა, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების.

თითქოს ბედის ირონიაა, მაგრამ მემედ აბაშიძის ოცნება აჭარის ავტონომიური სტატუსის შესახებ, საბჭოთა მთავრობამ განახორციელა 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით, რომელიც ითვალისწინებდა პროვინციისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას. საბჭოთა ხელისუფლება მოელოდა, რომ აჭარისათვის კულტურული და რელიგიური დამოუკიდებლობის მინიჭებით დააჩქარებდა ამ კუთხის დანარჩენ საქართველოსთან კონსოლიდაციის პროცესს. სინამდვილეში ეს ასე არ მომხდარა. ოცდაათიან წლებში მოსკოვი პოლიტიკური მიზნებით ცდილობდა გამოეყენებინა მართლმადიდებელ ქართველებსა და ისლამის მაღიარებელ აჭარლებს შორის კულტურული განსხვავება. სურდა რა მაქსიმალურად დაესუსტებინა ქართველი ერი, რომელთანაც საბჭოთა ხელისუფლებას გამუდმებით პრობლემები ჰქონდა, იგი ცდილობდა ქართული ეთნოსიდან გამოეცალკევებინა აჭარლები, როგორც დამოუკიდებელი ხალხი. ორმოციან წლებში, როდესაც კავკასიიდან მთელი ხალხები გაასახლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ისლამის მაღიარებლები იყვნენ და არ სურდათ დამორჩილებოდნენ რუსებს, მოსკოვში დგებოდა გეგმები იმის თაობაზე, რომ დეპორტაციის გზით გადაეჭრათ აჭარის პრობლემა.

XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი, გახდა ხელისუფლების არამხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ ზოგიერთი ასპექტით თბილისისადმი კონკურენციული ცენტრი. არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ბათუმმა ყოველივე

ამას აჭარის ავტონომიის მეთაურისა და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის წყალობით მიაღწია. ამ პოლიტიკოსმა, გამოიყენა რა თავისი ავტორიტეტი, როგორც აჭარაში 300 წლის მანძილზე მებატონე გვარის შთამომავლისა, და რომელსაც უდიდესი დამსახურება აქვს ამ კუთხეში ქართული კულტურის, ტრადიციებისა და ენის შენარჩუნების თვალსაზრისით, შეძლო ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის მეტად მღელვარე დროს აჭარის ავტონომიაში მშვიდობა დაემკვიდრებინა. აბაშიძემ 1991 წლის დროის მოკლე პერიოდში ორგანიზებული აჭარის მილიციისა და რუსული სამხედრო ბაზების ქვედანაყოფების დახმარებით შეძლო ბათუმის მისადგომებთან გზა გადაეკეტა "მხედრიონის" მებრძოლებისათვის, რომლებიც მთელ საქართველოს ძარცვავდნენ დამოუკიდებლობის ბრძოლის საბაბით. მან თავის ტერიტორიაზე არ შეუშვა ასევე ამ დროისათვის უკვე დემორალიზებული საქართველოს გვარდია. ყოველივე ამის წყალობით აჭარა გახდა ერთგვარი ოაზისი ომებით, აჯანყებებით, დემონსტრაციებით და გაფიცვებით დახუნძლულ საქართველოს რუკაზე.

ასლან აბაშიძის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები თბილისსა და ბათუმს შორის გაუგებრობას გამარტივებული სახით, და ძალზე ხშირად, ტენდენციურად წარმოადგენენ ხოლმე. პროპრეზიდენტული მიმდინარეობის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი წევრი 2000 წლის არჩევნებისას აცხადებდა: "ბათუმი საქართველოში პრორუსული ძალების თავშეყრის უმთავრეს ცენტრად იქცა. თავად აბაშიძე იდეალური პარტნიორია რუსეთისათვის. თავისი საქციელით იგი მოგვაგონებს ძველ ქართველ მებატონეს, რომელიც თავის მომავალს აგებდა რუსეთის გუბერნატორთან მჭიდრო კავშირებზე. რუსეთთან მჭიდრო კავშირები მისთვის უჩვეულოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მას ძალაუფლების შენარჩუნებაში ეხმარება. აბაშიძის ახლო დაკავშირება რუსეთთან საფუძველს იღებს 1991 წლიდან, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან დაკავშირებული შეიარაღებული ბანდები ძარცვავდნენ საქართველოს და ლამობდნენ დაპატრონებოდნენ აჭარასაც. მაშინ აჭარის ლიდერი იძულებული შეიქმნა ესარგებლა რუსული საჯარისო ნაწილების დახმარებით, რათა არ დაეშვა ყაჩაღები ამ კუთხეში. ამგვარად აბაშიძე რუსეთზე დამოკიდებული გახდა. ეს სიტუაცია აღიზიანებს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელსაც არ ხელეწიფება გაათავისუფლოს აბაშიძე დაკავებული თანამდებობიდან, რადგან ამ უკანასკნელს შეუძლია დახმარებისათვის რუსეთს მიმართოს.

თბილისის პრესა საქართველოს მოქალაქეთა კავშირს, ანუ პრეზიდენტის პოლიტიკურ საყრდენს წარმოადგენს როგორც პროდასავლურსა და რეფორმატორულს, მაშინ, როდესაც აბაშიძესთან დაკავშირებულ პოლიტიკურ ძალებს აყვედრიან საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროში შეყვანის მცდელობას. შევარდნაძის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები კი სრულად სხვაგვარად წარმოადგენენ აბაშიძის პოლიტიკურ

საქმიანობას XX საუკუნის ბოლო ათწლეულში. 1991 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული ასლან აბაშიძე თავისი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად ისახავს აჭარაში სახელმწიფოებრივი სტრუქტურების აღდგენას, კანონისა და წესრიგის გაბატონებას. ამ პერიოდში საქართველოს დასავლეთი კუთხეები და მათ შორის აჭარაც, სხვადასხვა პარტიზანული და პარამილიტარული დაჯგუფებების, რომლებიც უკვე ყაჩაღობის გზას ადგნენ, კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ.

სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიერ მოტყუებული აჭარის საზოგადოება გამოიყენებოდა ისეთი მიზნებისათვის, რომლებსაც საერთო არაფერი გააჩნდათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან. ხელოვნურად გაბერილი პოლიტიკური დებატები, ამ კუთხეში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების ნიადაგს ჰქმნიდა და აჭარას ისეთივე ომისაკენ მიაქანებდა, როგორსაც უფრო ადრე აფხაზეთში ჰქონდა ადგილი. ასლან აბაშიძის პოლიტიკურმა საქმიანობამ, რომელიც აჭარაში ანარქიის გაბატონების წინააღმდეგ იყო მიმართული, უკმაყოფილება გამოიწვია ზვიადისტური წრეების მრავალ წარმომადგენელში. სწორედ მათ წრეში წარმოიშვა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ძალის გამოყენებით გადაყენების იდეა. მასზე განხორციელებული უიღბლო შეიარაღებულმა თავდასხმამ 1991 წლის 29 აპრილს აბაშიძე აიძულა დაეჩქარებინა აჭარის ტერიტორიაზე არსებული ყაჩაღური დაჯგუფებების ლიკვიდაციის პროცესი. მისი ბრძანებით განაიარაღეს და დაშალეს ყველა სახის პარამილიტარული დაჯგუფებები ამ კუთხეში, აქაურ მოქალაქეებს აეკრძალათ იარაღის ფლობა და ტარება; პარალელურად გაძლიერდა აჭარის პოლიცია. ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგად აჭარა საქართველოში მშვიდობის კერად გადაიქცა, ხოლო მისი მოსახლეობა გადაურჩა სამოქალაქო ომს, რაც საქართველოს ყველა დანარჩენმა კუთხემ განიცადა XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. თავისი ელასტიური პოლიტიკის წყალობით ასლან აბაშიძემ შეძლო საერთო ენა ეპოვა საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ ძალასთან და მათთან ერთად ბათუმში დაბანაკებულ რუსეთის ჯარების სარდლობასთან. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ იგი ამჟამად მიჩნეულია როგორც მშვიდობის გარანტი დასავლეთ საქართველოს მრავალ კუთხეში.

ზვიად გამსახურდიამ აჭარის თავისადმი დაქვემდებარების რამდენიმე უიღბლო ცდის შემდეგ, აღიარა ის ფაქტი, რომ ამ კუთხის სრული განმკარგულებელი არის ასლან აბაშიძე. ცხოვრება ამ კუთხეში რეგულირდებოდა 1978 წლის მიღებული საბჭოთა კონსტიტუციით, რომელიც მცირე შესწორებებით განახლდა 1991 წელს. აჭარის თვითმართველობის პრობლემები შევარდნაძის დროინდელი საქართველოს კონსტიტუციით (1995 წ.) დღემდე ღიად არის დატოვებული. ცენტრალურ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის შემდეგ. მაშინ ორივე რესპუბლიკა, ანუ

აჭარაც და აფხაზეთიც მიიღებს მსგავს სტატუსს, რომელიც გარანტირებული იქნება ახალი კონსტიტუციით, რომელიც საფუძვლად დაედება საქართველოს ფედერაციულ საწყისებზე დაფუძვნებულ სახელმწიფოდ გარდაქმნას.

შექმნილი სიტუაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხრიდან იწვევს პროტესტს, რადგან ამ უკანასკნელს სურს ნათლად იყოს განსაზღვრული მისი ხელისუფლების ვადა და საფუძვლები. აჭარის ავტონომიის პრობლემის დაურეგულირებლობა ხშირად ხელისუფლების ბერკეტი ხდება. ბათუმზე თბილისის ზეწოლის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ცდებმა უფრო მეტი დაქვემდებარების ქვეშ მოექცია აჭარა, 1996-1997 წლებში არ გაამართლა. ამ პერიოდში, სურდა რა გაეძლიერებინა თავისი კუთხის ეკონომიკა, ა. აბაშიძე შეეცადა აჭარა თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გადაექცია. ორი წლის ძალზე მხურვალე პოლიტიკური დებატებისა და პრესაში უაღრესად გაცხარებული კამათის შემდეგ პრეზიდენტი შევარდნაძე არ დაეთანხმა აჭარის ხელისუფლების წინადადებებს, რომლებიც მიმართული იყო სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისაკენ. მას ალბათ ეშინოდა, რომ ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური სფერო არა მხოლოდ აჭარის ეკონომიკას გამოაცოცხლებდა, არამედ ამ კუთხის ხელისუფლებასაც გააძლიერებდა და განამტკიცებდა არა მარტო აჭარაში, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოში.

თბილისსა და ბათუმს შორის ანტაგონიზმში იკითხება ორი მთავარი პოლიტიკური ძალის ქიშპი. თუ თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორიაზე თავისი გავლენა აქვს მოპოვებული მოქალაქეთა კავშირს, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკურ საყრდენად მოიაზრება, აჭარაში მხოლოდ და მხოლოდ ასლან აბაშიძის ლიდერობით 1992 წელს შექმნილი საქართველოს აღორძინების კავშირის გავლენა იგრძნობა. 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებისას ორივე პარტიამ შექმნა ერთი პოლიტიკური ბლოკი. მაგრამ შემდეგ, აღორძინების კავშირიდან მოქალაქეთა კავშირში დეპუტატების გადასვლის კვალობაზე ამ ორ პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის ქიშპობა დაიწყო. ასლან აბაშიძესთან დაკავშირებული პოლიტიკოსები პრეზიდენტ შევარდნაძეს ადანაშაულებენ, რომ აღორძინების კავშირის გახლეჩაში მისი დიდი წვლილიცაა და რომ აღნიშნული პროცესები მისი ინიციატივით დაიწყო. ამ მტკიცებას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ აღორძინების კავშირიდან მოქალაქეთა კავშირში გადასულთა ბელადი ედუარდ სურმანიძე საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი გახდა.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისადმი ოპოზიციურად განწყობილი აღორძინების კავშირი ყოველგვარი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის წარმომადგენელთა შემკრებად იქცა. ასლან აბაშიძეში თავიანთი მფარველი დაინახეს არამხოლოდ სოციალისტებმა, ლეიბორისტებმა თუ ეროვნულ-დემოკრატებმა, არამედ ასევე ზვიადისტების მნიშვნელოვანმა ნაწილმაც.

აჭარა, როგორც ერთადერთი კუთხე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარდა, რომელიც არ კონტროლდება მოქალაქეთა კავშირის მხრიდან, გახდა ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული ოპოზიციური ძალების კონსოლიდაციის ცენტრი. ნოდარ ნათაძის, სახალხო ფრონტის ლიდერის განცხადებით, ბათუმი იმ პოლიტიკოსთა მხარდამჭერად იქცა, რომელთაც თბილისში ვერ იპოვეს თავიანთი ადგილი. ამის მშვენიერი მაგალითია ჯუმბერ პატიაშვილი, საქართველოს კომპარტიის I მდივანი 1985 -1989 წლებში, 1995 და 2000 წელს პრეზიდენტობის კანდიდატი.

მიუხედავად ზოგიერთი ჟურნალისტის მტკიცებისა ასლან აბაშიძე შორსა დგას კომუნისტური იდეებისაგან. ხსოვნა იმ რეპრესიების შესახებ, რომლებიც იგემეს აბაშიძის გვარის წარმომადგენლებმა 30-40-იან წლებში ამიერკავკასიელი სტალინისტების მხრიდან ძლიერ არის შემორჩენილი აჭარის ლიდერის მეხსიერებაში.11. თუმცა ეს როდი უშლის ხელს ასლან აბაშიძეს იმაში, რომ ითამაშოს ქართველ კომუნისტთა ლიდერის როლი. ეს მას ადვილად ხელეწიფება, რადგან იგი ანგარიშს უწევს იმას, რომ საქართველოში უკიდურესი მემარცხენე პარტიები ვერასოდეს ვერ იქცევიან რეალურ პოლიტიკურ ძალად. ჩემთან საუბრისას, რომელიც ბატონ ასლანთან ბათუმში შედგა 2000 წლის აპრილში, მან შემდეგი განაცხადა: ”თუ გუშინდელი კომუნისტები, იმ სტალინისტ მოღვაწეთა შვილები, რომელთაც დიდი “დამსახურება” მიუძღვნით ქართველი ხალხის წამებაში, ყოველგვარი სირცხვილის გარეშე თავის თავს დემოკრატებს უწოდებენ, მე რატომ არ მაქვს უფლება გარკვეულ წინასაარჩევნო შეთანხმებას მივაღწიო იმ ქართველ კომუნისტთა ნაწილთან, რომლებიც კანონის სრული დაცვით საქმიანობენ და საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ეჭვქვეშ არ აყენებენ?”

მოლოდინის მიუხედავად 2000 წელს ვერ მოხერხდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე დესტრუქციული პროცესების შეჩერება. 2000 წლის შემოდგომაზე ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში კვლავ წამყვანმა პოლიტიკურმა ძალამ ანუ “მოქალაქეთა კავშირმა” გაიმარჯვა, თუმცა, მეორე პოლიტიკურ ძალად კვლავ ასლან აბაშიძის ”აღორძინების კავშირი” მოგვევლინა. ამის შედეგად გაძლიერდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პოზიცია თბილისის მიმართ.

როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა ვერ გაამართლა ქვეყნის მოსახლეობის იმედები. მრავალი პოლიტიკოსის აზრით, არჩევნების შედეგებზე დიდი გავლენა მოახდინა ქართული პოლიტიკური სცენის ორი მთავარი მოთამაშის - პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ასლან აბაშიძის ჯერ მკვეთრმა დაპირისპირებამ, ხოლო შემდეგ მათმა კომპრომისმა. ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომელთა განცხადებით, საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა

არჩევნებში გაიმარჯვა მხოლოდ იმის წყალობით, რომ დასავლური დემოკრატიისათვის მიუღებელ ხერხებს მიმართა.

2000 წლის აპრილში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობამ და შედეგებმა გვაჩვენეს, რომ სახელისუფლებო ელიტა თანდათან უფრო შორდება საზოგადოებას, ხოლო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილებები ხელისუფლების მიერ საზოგადოებასთან კონსულტაციების გარეშე მიიღება.

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებების თანახმად საპრეზიდენტო არჩევნები მოსახლეობის ძალზე დაბალი აქტიურობის პირობებში ჩატარდა.

გამარჯვება კვლავ პრეზიდენტ შევარდნაძეს დარჩა. მისმა მთავარმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ, ასლან აბაშიძემ თითქმის ბოლო ეტაპზე განაცხადა უარი არჩევნებში მონაწილეობაზე. ზოგიერთი პოლიტიკური ოპოზიციური პარტიის ლიდერთა განცხადებით, აბაშიძემ თავისი კანდიდატურის მოხსნის საფასურად აჭარაში თავისი განსაკუთრებული პოზიციის გარანტია მიიღო. თავად აბაშიძე ამ ნაბიჯს სხვაგვარად ხსნის. იგი განცხადებით, სიტუაციაში, როდესაც მთელი დასავლეთი საქართველო მის კანდიდატურას, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო კი შევარდნაძის კანდიდატურას დაუჭერდა მხარს, გამორიცხული არ არის, რომ ქვეყანაში სამოქალაქო ომი გაჩაღებულიყო. ამ არგუმენტების გათვალისწინებით გაცილებით ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენს საზოგადოების მხოლოდ ნაწილისაგან არჩეული პრეზიდენტი, ვიდრე შეიარაღებული კონფლიქტის პერსპექტივა. აბაშიძის აზრით, კიდევ ერთი სამოქალაქო ომის შემთხვევაში საქართველოს რამდენიმე ჯუჯა სახელმწიფოდ დაყოფა ელოდა.

საქართველოს არასტაბილური ეკონომიკური სიტუაცია და ასევე მოქალაქეთა კავშირის საქმიანობით საზოგადოების გაწბილებამ ამ პარტიის რღვევა გამოიწვია. შედეგად მის წიაღში წარმოსდგა ორი პოლიტიკური მიმდინარეობა. ორივე მათგანი მიისწრაფის პოსტშევარდნაძისეულ ეპოქაში გაბატონებული მდგომარეობისაკენ. პირველ მათგანს წარმოადგენენ ეგრეთწოდებული რეფორმატორები, რომლებიც შემოკრებილნი არიან ზურაბ ჟვანიას ირგვლივ. მათი მისწრაფების უმთავრეს საგანს ძველი კომუნისტური ფუნქციონერების პოსტებიდან გადაყენება და პრეზიდენტის სავარძელში თავიანთი ლიდერის დასმა წარმოადგენს. მოქალაქეთა კავშირში რეფორმატორული ფრაქციის განცალკევებაზე შევარდნაძის რეაქციას წარმოადგენდა კავშირის კონსერვატორულ ფრთასთან, რომლის უმთავრეს შემადგენელ ნაწილებს ძალოვანი მინისტრები წარმოადგენენ, კავშირების კიდევ უფრო მეტად შეკვრა და განმტკიცება.

უცხოელ დამკვირვებელთა აზრით, საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე შევარდნაძის პოზიციების გამყარებას ხელი შეუწყო აჭარის ლიდერთან მისმა დაახლოებამ; ამ დაახლოების მიზანს ქვეყნის ტერიტორიაზე გავლენის

სფეროების გაყოფა წარმოადგენდა. როგორც ჩანს, შევარდნაძემ აბაშიძეს უჩუმრად დაუთმო პოზიციები არამხოლოდ აჭარაში, არამედ ასევე სამეგრელოსა და გურიაშიც.

2000 წლის საქართველოში განვითარებული მოვლენები გვაფიქრებინებს, რომ ასლან აბაშიძე არ ჩქარობს პრეზიდენტის პოსტის ხელში ჩაგდებას. ჯერჯერობით იგი ცდილობს კიდევ უფრო განიმტკიცოს პოზიციები ქვეყნის იმ კუთხეებში, სადაც შევარდნაძის ძალაუფლება შესუსტდა. ამასთან, არც ის არის გამორიცხული, რომ შევარდნაძემ მოიპოვოს აბაშიძის მხარდაჭერა მოქალაქეთა კავშირის რეფორმატორულ ფრთასთან და მის ლიდერთან, ზურაბ ჟვანიასთან საბრძოლველად. ეს უკანასკნელი აჭარის ავტონომიური სტატუსის შესუსტების მომხრეა.

*
* *

ზემოთ მოტანილი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ აჭარაში მიმდინარე ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაციას კუთხეში ეკონომიკური პოლიტიკისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწოდოს სეპარატიზმი. როგორც აჭარის ხელისუფლება, ისე ამ კუთხის საზოგადოება თავის მომავალს საქართველოს ბედს უკავშირებს. თავად ის ფაქტი, რომ აბაშიძის პოლიტიკური კონცეფცია ამიერკავკასიაში საქართველოს როლის შესახებ პრინციპულად განსხვავდება პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკური ჯგუფის პოლიტიკური პრიორიტეტებისაგან, ასევე არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ აჭარაში ადგილი აქვს რაიმე ფორმის სეპარატიზმს.

1. - ა.აბაშიძე, აჭარა, მოსკოვი, 1998, გვ.256.

2. - საფუძველი არის მოკლებული ვ. იაგელისკის მტკიცება იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა გამსახურდიამ "მეჩეთები ეკლესიებად გადააკეთა". იხილე მისი "კარგი ადგილი გარდაცვალებისათვის", პოზნანი, 1994, გვ.83.

3. - "არხეოლოგიჩესკიე პუტიშესტვიე პო გურიი ი ადჯარიი" დიმიტრა ბაქრაძე, სანკტ-პეტერბურგი, 1878; ოჩერკი ეთნოგრაფიი ადჯარიი, ტბილისი, 1982.

4. - იქვე, გვ.15.

5. - ი. ქავთარაძე, "საქართველოს ისტორია", ვარშავა, 1929, გვ.162.

6. სიტყვამ მოიტანა და ორიოდე სიტყვა მსურს ვთქვა ამ მართლაც მშვენიერი წიგნის შესახებ. იგი ინახება ვარშავაში, როგორც ვარშავის

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ისე პოლონეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. წიგნი ვარშავაში გამოსცა აღმოსავლეთის ინსტიტუტმა. წიგნი 195 გვერდიანია, რომელსაც დართული აქვს ასევე სომხეთის მცირე ისტორიაც, სულ 23 გვერდის მოცულობით. საინტერესოა წიგნის ავტორისეული მიძღვნაც: "ისტორიის წიგნს უბედური ერისა, რომლის შვილებმაც თავიანთ სამშობლოს ტრაგედიის წლებში თავშესაფარი ჰპოვეს პოლონეთის მიწაზე, ვუძღვნი პოლონელ ხალხს; ჩემს ნაშრომს მივართმევ ამ ქვეყნის პირველ მარშალს იოსებ პოლსუდსკის, როგორც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოს".

წიგნის წინასიტყვაობაში ამ წიგნის რედაქტორი პროფესორი მარტელი ჰანდელსმანი შემდეგს წერს: "ბატონმა ვანო ქავთარაძემ ძალზე სასარგებლო და კარგი საქმე გააკეთა, დაწერა რა პოლონურ ენაზე პირველად საქართველოს ისტორია. ეს, ცხადია, არ არის მეცნიერული ნაშრომი. იგი მხოლოდ ერის ისტორიის პოპულარიზაციაა: ავტორმა ძირითადად ქართულ და რუსულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გადმოგვცა მშობელი ერის ისტორია". ა.გ.

7. - ა.აბაშიძე, აჭარა, გვ.242.

8. - ა.აბაშიძე, აჭარა, გვ.244.

9. - ა.აბაშიძე, აჭარა, გვ.247.

10. - პ.ბორავსკი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1917-1921 წლებში, ჟურნალი "ლაპარაკობენ საუკუნეები", 1994. ¹5 (420).

11. - იმ საუბრების დროს, რომელიც მე მქონდა აჭარის ლიდერთან 1999-2000 წლებში, იგი ხშირად იხსენებდა რეპრესიებს, რომლებიც თავს დაატყდა აჭარის ელიტას სტალინიზმის პერიოდში. ასლან აბაშიძის აზრით, სტალინი, რომელიც საზოგადოების დაბალი წრის წარმომადგენელი იყო, პირადად იყო დაინტერესებული საქართველოში მოესპო შედარებით მრავალრიცხოვანი ძველი ფეოდალური გვარები. პ.ბ.

**დაიბეჭდა გაზეთ „აჭარის" 2002 წლის დეკემბრის ნომრებში**

**ოქროს საწმისი 2002**

*პოლონური ჟურნალის ,,პოლიტიკის'' 2002 წლის ოქტომბრის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა ცნობილი პუბლიცისტის ანჯეი ნოვოსადის წერილი საქართველოს შესახებ. წერილის სარედაქციო მინაწერში ნათქვამია: ,,რუსეთი ძალზე დაინტერესებულია პანკისის ხეობაში მყოფი საველე მეთაურის შეპყრობით. მას მეტად აწუხებს ასევე საქართველოს ამბიციები. თუმცა, ყველაფრის თავი და თავი მაინც ნავთობი, ბუნებრივი გაზი, სპილენძი და ხიზილალაა''.*

*უნდა ითქვას, რომ პოლონეთი საუკუნეების მანძილზე იყო და რჩება საქართველოს მეგობარ ქვეყნად. 2002 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვარშავაში ყოფნისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამაში. როგორც გვახსოვს, სექტემბრის ბოლოს რუსეთის ხელისუფლებამ განაცხადა, თუ საქართველო ვერ შეძლებს პანკისის ხეობის გაკონტროლებას, მაშინ უფლებას ვიტოვებთ ჩვენი ძალებით გავაკონტროლოთ იგიო. ამის საპასუხოდ პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა იეჟი შმაიძინსკიმ ტელევიზიის საშუალებით განაცხადა, რომ მისი ქვეყანა რუსეთის ამ ნაბიჯს არ მიესალმებოდა, საქართველომ თავად უნდა უზრუნველყოს საკუთარი ტერიტორიის უსაფრთხოებაო, ხოლო თუ საჭირო გახდება, – განაცხადა მინისტრმა, – პოლონეთი მზადაა დახმარება აღმოუჩინოს მას საზღვრების დაცვის საქმეშიო.*

*ამბროსი გრიშიკაშვილი*

## ვის უშლის ხელს შევარდნაძე?

*სპარსეთის ყურე კავკასიაში*

*ასეთი სათაურით და რუბრიკით პოპულარულ პოლონურ ჟურნალში ''პოლიტიკა'' დაიბეჭდა პოლიტიკური მიმომხილველის იან სიხოკის სტატია. ვფიქრობ, იგი დაინტერესებს ქართველ მკითხველს*

როგორც მსოფლიოს არა ერთ ადგილას, საქართველოშიც ნავთობი და პოლიტიკა ერთმანეთში აირია. ამ ყველაფერმა დიდი და ტრაგიკული შედეგები გამოიღო, რაც მიუთითებს, რომ ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმა (ციტატა დაწერილია ''ცხელ კვალზე'', 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ - ა. გ.) ნავთობით მდიდარ კავკასიაში გავლენის სფეროების გადანაწილების ნიშანია.

ნაღმტყორცნის სამი ჭურვი მოხვდა დაჯავშნულ ''მერსედესს''; ხანგრძლივი სროლების დროს დაიღუპა პრეზიდენტის დაცვის ორი წევრი და დაახლოებით ოცი თავდამსხმელიდან ერთ-ერთი. ამჯერად საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ტერაქტიდან ერთი განაკაწრის გარეშე გამოვიდა. ხელისუფლებამ დააკავა ეჭვმიტანილები, მაგრამ შემდეგ მათმა თანამოაზრეებმა მოიტაცეს გაეროს მისიის ოთხი ოფიცერი, რომლებიც

მეთვალყურედ არიან დანიშნული აფხაზეთში – საქართველოს სეპარატისტულ რეგიონში.

გამტაცებლებმა მოითხოვეს შევარდნაძეზე თავდასხმის ყველა ეჭვმიტანილის განთავისუფლება და მთელი საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა. მათ განაცხადეს, რომ წარმოადგენენ ლეგალურ, ანუ 1992 წელს დამხობილი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას.

ამ მოვლენების ახსნას თავად შევარდნაძე შეეცადა. შევარდნაძის აზრით, მასზე თავდასმაც და გაეროს ექსპერტების გატაცებაც მოსკოვშია დაგეგმილი. "მე არ ვამბობ, რომ ამ საქმეში ელცინია ჩარეული, მაგრამ რუსეთში არის ძალები, რომლებსაც ძალუძთ მასზეც კი აღმართონ ხელი", – ამბობს იგი. მაინც რა ამოძრავებთ მათ? მათი მიზანია დააშინონ უცხოელი ინვესტორები და შეცვალონ ევროაზიური ნავთობსადენის მიმართულება ,– დარწმუნებულია პრეზიდენტი.

დღეისათვის სპეციალისტებისათვის ნათელია, რომ კასპიის ზღვის აუზის ნავთობის მარაგები XXI საუკუნეში ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი იქნება – ნავთობსადენების მარშრუტების დადგენა წააგავს ომის სტრატეგიულ რუკაზე არმიების ადგილგადანაცვლებების აღნიშვნას. აგერ უკვე ექვსი წელია, რაც კავკასიისათვის იბრძვიან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, აშშ და თურქეთი, ერთი მხრივ და რუსეთი, მეორე მხრივ. საფინანსო და ნავთობის კონსორციუმები ცდილობენ ამ რეგიონის ყველა ქვეყანაში მოიპოვონ გავლენა – აზერბაიჯანში, ყაზახეთში, თურქმენეთში, ასევე ირანში და რუსეთის სამხრეთ რესპუბლიკებში – დაღესტანში და ყალმუხეთში. ნავთობისა და გაზის ყველაზე მდიდარი საბადოებია იმ შელფში, რომელიც მდებაროებს აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ნაპირებთან და ასევე დასავლეთ ყაზახეთის სტეპებში. გაზის ყველაზე დიდი მარაგები კი თურქმენეთშია.

ადრე კასპიის ზღვის შედარებით ადვილად დასამუშავებელი საბადოებიდან, ძირითადად ბაქოს რაიონში, რუსეთი ეზიდებოდა ნავთობს. დღეს მას აღარა აქვს ფული და არც ტექნოლოგიები, რათა დამოუკიდებლად განახორციელოს საბადოების ექსპლოატაცია კასპიის ზღვის ფსკერზე თუ შუა აზიის უდაბნოებში, მაგრამ იგი მაინც მიისწრაფვის კონტროლი შეინარჩუნოს ამ რეგიონზე და ისარგებლოს აქ დაბანდებული ნებისმიერი საზღვარგარეთული ინვესტიციით, რამეთუ სსრკ-ს დაშლის შემდეგ უცხოელმა ინვესტორებმა უხვად დააბანდეს სახსრები ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ქიშპი სახელმწიფოებს შორის ამიერკავკასიაზე გავლენის მოპოვების გამო, რომელიც ერთგვარ ჭიშკარს წარმოადგენს არა მხოლოდ კასპიის ზღვის რეგიონისაკენ, არამედ უფრო შორს მდებარე პოსტსაბჭოურ შუა აზიის სახელმწიფოებისაკენ. ამიერკავკასიაზე კონტროლი შესაძლებელს გახდის გაიჭრას დერეფანი რუსეთსა და ირანს შორის; აღნიშნულის მიღწევის შემთხვევაში კი ამ

დერეფნის გავლით მსოფლიო ბაზრებზე გავიდოდა კასპიის ზღვაში მოპოვებული ნავთობი.

პრეზიდენტის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ იგი დღეს ძალზე დასუსტებულია, საქართველოს შემდგომი დაშლა უკვე ძნელი აღარ იქნებოდა. ორი ავტონომიური რესპუბლიკა – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – უკვე ისედაც ფაქტიურად დამოუკიდებელი რესპუბლიკები არიან. ძალზე თვითნებურად იქცევა აჭარაც. თუ დედაქალაქში ატყდებოდა ბრძოლა შევარდნაძის მემკვიდრეობაზე, საქართველოს დანარჩენი პროვინციებიც შესაძლოა ცალკე გასულიყვნენ. საქართველოს დაშლას კი რეგიონში სერიოზული დესტაბილიზაცია მოჰყვებოდა.

საქართველო და აზერბაიჯანი დასავლეთის ფინანსური მხარდაჭერით აშენებენ სატრანსპორტო დერეფანს კასპიის ზღვაზე, ნავთობსადენს, საავტომობილო გზებსა და თანამედროვე რკინიგზას – ბაქოდან საქართველოს შავი ზღვის პორტ - ფოთამდე და ახლად აშენებული ნავთობის ტერმინალ – სუფსამდე, ამ ნავთობის თურქეთში შემდგომი გაგზავნის მიზნით.

რეკონსტრუირებულია ასევე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს არსებული ნავთობსადენი ბაქოდან ბათუმამდე. შესაძლოა აშენდეს ასევე უფრო მძლავრი ნავთობსადენი კასპიის ზღვიდან – ამიერკავკასიის გავლით – ხმელთაშუა ზღვაზე არსებულ თურქეთის ტერმინალამდე. რეგიონში ხორციელდება ასევე ევროკავშირის პროექტიც – ტრასეკას სახელწოდებით. ამ პროექტის მიზანია ამიერკავკასიაში და შუა აზიაში არსებული სარკინიგზო და საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია და ურთიერთდაკავშირება ევროპასა და აზიას შორის პარტნიორობის უფრო განვითარებისათვის.

1997 წელმა ნათლად დაგვანახა, რომ მოსკოვს ძალზე დაკარგული ჰქონდა გავლენა ამიერკავკასიაზე: საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა და მოლდოვამ რამდენიმე სატრანსპორტო შეთანხმება გააფორმეს. თუმცა მალე გაირკვა, რომ ამ ქვეყანათა შორის დადებული კავშირიც  უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებდა, ვიდრე ეკონომიკურს.

რუსეთი თანდათან უფრო მეტად დაკარგავს გავლენას ამიერკავკასიაზე. გასულ წელს საქართველოს პრეზიდენტმა მოსკოვის საქმიანობა ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის მოწესრიგების სფეროში შეაფასა როგორც უაღრესად არაეფექტური და დაიმუქრა, რომ დახმარებისათვის შესაძლოა, საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართოს. ანალოგიური კრიტიკით გამოვიდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი მთიანი ყარაბახის კონფლიქტთან დაკავშირებით. ამიერკავკასიაში საერთაშორისო მშვიდობისმყოფელთა რაზმების შეყვანა მომასწავებელი იქნებოდა რუსეთის მონოპოლური მდგომარეობის დაკარგვისა, მოაგვაროს ასეთი კონფლიქტები დსთ-ს ქვეყნებში.

ყოველივე ეს რუსეთის მმართველ წრეებში გასაგებ განგაშს იწვევს. ამ ქვეყნის გენერალიტეტი და ძალოვანი სტრუქტურები სამხედრო ძალის

გამოყენებით ცდილობენ არ დაანებონ დასავლეთს ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლენის გაძლიერება. რუსეთს ჯერ კიდევ უდიდესი პოტენციალი აქვს ამიერკავკასიაში  სამხედრო ბაზების და ერთგული მოკავშირე სომხეთის სახით.

ამიტომ ადვილი არ არის ზოგიერთი პოლიტიკოსის იმ ვარაუდის უარყოფა, რომ შევარდნაძეზე თავდასხმა მოსკოვში მზადდებოდა. ამიერკავკასიაში დესტაბილიზაცია იმის საკმოდ მნიშვნელოვანი შანსი იქნებოდა, რომ მომავალში კასპიის ზღვიდან მომავალმა მთავარმა ნათობსადენმა მის ტერიტორიაზე გაიაროს -  ანუ ბაქოდან შავი ზღვის ტერმინალში – ნოვორისიისკში.

**გაზეთი "საქართველო" 3 – 6 აპრილი 1998 წ.**

## პოლიტ-ეკონომიკური თამაშები

### უდიდესი კასპიური თამაშები

*ამ სათაურით პოპულარულ პოლონურ ჟურნალ "Politika"-ში დაიბეჭდა ცნობილი ექსპერტის მარცინ მელერის სტატია. იგი კასპიის ზღვის ნავთობის უდიდეს საბადოსა და მისით მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებისა თუ ტრანსეროვნული კონცერნების დაინტერესებას ეხება. სტატიაში მოყვანილია მრავალი ფაქტი თუ მოვლენა, არათუ პოლონელი, არამედ ქართველი მკითხველისთვისაც უცნობია.*

ათიოდე წლის წინათ კასპიის ზღვა წარმოადგენდა რუსეთის ტბას, რომელსაც მხოლოდ მცირე გასასვლელი ჰქონდა ირანში. დღეს იგი ჩვენი პლანეტის ყველა განვითარებული ქვეყნისა თუ უდიდესი ენერგეტიკული კონცერნების ყურადღებას იპყრობს. თამაშში ჩაერთვნენ ძველი და ახალი მონაწილენი: თურქეთი, ირანი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ამიერკავკასია და შუა აზია.

ბოლოდრომდე კასპიის ზღვიდან თითქმის ალტაის მთებამდე, დაახლოებით 6 ათასი კილომეტრის სიგრძეზე სსრკ-ის სამხრეთი საზღვრების გასწვრივ მხოლოდ ერთი გასასვლელი არსებობდა – ავღანეთსა და უზბეკეთს შორის, ისიც იმიტომ, რომ თავდაპირველად ადვილად დაეჭირათ მხარი ავღანელი კომუნისტებისათვის, ხოლო შემდეგ ზურგი გაემაგრებინათ ავღანეთში მებრძოლი წითელი არმიისათვის. დასავლეთით, კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის მდგომარეობა გაცილებით უკეთესად იყო, ამიერკავკასიის საზღვრის გასწვრივ ათასი კილომეტრის მეტ სიგრძეზე ორი სარკინიგზო (აზერბაიჯანსა და ირანს შორის და ასევე სომხეთსა და თურქეთს შორის) და ერთიც, საავტომობილო (აზერბაიჯანსა და ირანს შორის) მაგისტრალი

არსებობდა. 70 წლის მანძილზე მეტროპოლია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ თავისი სამხრეთი კოლონიები ჩამოეშორებინა ტრადიციული აზიელი და ახლოაღმოსავლეთელი პარტნიორებისათვისაც. მან დაასამარა ცნობილი აბრეშუმის გზა, რომელიც ევროპას ჩინეთთან აერთებდა და მიაღწია იმას, რომ სამხრეთით მდებარე საბჭოთა რესპუბლიკებს მხოლოდ მოსკოვთან ჰქონდათ კავშირი.

ზბიგნევ ბჟეზინსკი, რომელმაც ჩრდილო და სამხრეთ კავკასიასა და შუა აზიას "ევროაზიური ბალკანეთი" უწოდა, თავის წიგნში "უდიდესი საჭადრაკო დაფა" აზერბაიჯანის შესახებ წერს, რომ "იგი თავისი მდებარეობის გამო გეოპოლიტიკურ ღერძს წარმოადგენს. აზერბაიჯანი შეიძლება შევადაროთ ბოთლის საცობს, რომელიც კასპიის ზღვისა და შუა აზიის უდიდეს ბუნებრივ რესურსებს შეიცავს".

## საუკუნის კონტრაქტი

ადამიანი, რომელიც ჯერ კიდევ 1989 წელს, ანუ სსრკ-ის დაშლამდე შეეცადა საცობი მოეხადა ამ ბოთლისათვის, იყო არც თუ ისე დიდი შოტლანდიური ნავთობის ფირმის "რამკოს" შეფი, ამერიკელი სტეფან რემპი. ეს მოუსვენარი სულის ადამიანი 10 წლის წინათ ჩავიდა კომუნისტურ ბაქოში და იქ კაპიტალის დაბანდების შესაძლებლობის შესწავლა დაიწყო. მალე მას ერთ-ერთმა აზერბაიჯანულმა კომპანიამ დაავალა, გამოენახა კომპანიონი იქაური ნავთობის საბადოების ექსპლუატაციისათვის. ეს იყო დრო , როდესაც მსოფლიოში ნავთობზე მოთხოვნილება იზრდებოდა, მიწოდება კი თანდათან კლებულობდა: ერაყის ნავთობზე სანქციები იყო დაწესებული, ხოლო ირანს კარგა ხანი შეეწყვიტა საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის გატანა.

ის, რაც შემდეგ მოხდა, იმსახურებს სენსაციური ფილმის გადაღებას; ბრიტანეთისა და ამერიკის უდიდესმა კონცერნებმა **BP**-მა და **Amoco**-მ უპრეცედენტო ბრძოლა წამოიწყეს "საუკუნის კონტრაქტისათვის" (როგორც შემდგომში ეწოდა მას). რემპმაც თავისი გაინაღდა – აზერბაიჯანის საერთაშორისო კომპანიის (**ALOC**) აქციების 2 პროცენტი მიიღო, რაც მას მომავალში ყოველწლიურად 10 მილიონ დოლარს ჰპირდება.

მიუხედავად იმისა, რომ **BP**-ს ბრიტანეთის მთავრობა და თავად მარგარეტ ტეტჩერი პროტექტორობდნენ, კონტრაქტი მაინც ამერიკულმა კომპანია "**Amoco**"-მ მიიღო და სწორედ იგი ჩაუდგა სათავეში "**ALOC**"-ს (თუმცა საქმეში **BP**-ც შევიდა).

მოსკოვი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ 1991 წლის 30 აგვისტოს დამოუკიდებლობამოპოვებულ აზერბაიჯანზე კონტროლი არ დაეკარგა. მან კონფლიქტი გააღვივა ყარაბაღში, ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში მთავრობების შეცვლას. ბოლოს მას ეს გამოუვიდა 1993 წელს,

როდესაც ყოფილი დისიდენტი, პანთურქი ელჩიბეი ლონდონში გაემგზავრა "საუკუნის კონტრაქტზე" ხელის მოსაწერად. თუმცა ელჩიბეი დაემხო, მისმა მემკვიდრემ, ყოფილმა კომუნისტმა ფუნქციონერმა, მოხუცმა "კაგებეშნიკმა" მწარე ხუმრობის გაკვეთილი ჩაუტარა; ერთი წლის შემდეგ, 1994 წლის სექტემბერში, დასავლეთის კონცერნებთან მან ხელი მოაწერა 8 მილიარდი დოლარის ღირებულების კონტრაქტს.

## შაჰი გაზსადენით

რუსები თავისას არ იშლიდნენ, თუმცა მათი "ლუკოილი" აზერბაიჯანის შელფის ექსპლუატაციის მიზნით შექმნილი კომპანიის აქციების 10 პროცენტს ფლობდა. გარკვეულ პერიოდში მან შეძლო კიდეც კონტროლის დაწესება აზერბაიჯანზე.

საქმე ის არის, რომ მთავარი მხოლოდ ნავთობის მოპოვება როდია; არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი გადამუშავება და ტრანსპორტირება. ერთადერთი ნავთობსადენი კი რუსეთზე გადიოდა. მოკლედ, ბჟეზინსკის შედარებას რომ მივმართოთ, ფლობდა რა რუსეთი ბოთლის საცობს, მას, ფაქტობრივად, მთელი ბოთლიც ხელში ეჭირა. ახალგაზრდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობაც მოჩვენებითი იყო. 1994 წელს "Washington Post" წერდა, რომ რუსეთის ენერგეტიკის მინისტრს იური შაფრანიკს დაურეკავს თავისი კოლეგისათვის ამერიკაში და განუცხადებია: "გახსოვდეთ, რომ ეს არის რუსეთის საბადოები და იგი რუსეთმა უნდა გამოიყენოს".

ასეთ სიტუაციაში საკმარისი არ აღმოჩნდა დასავლეთის კონცერნების გავლენა, საჭირო გახდა სახელმწიფო დიპლომატიის ამოქმედება. მაგრამ მთელი სირთულე ის იყო, რომ დასავლეთმა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები რუსეთის გავლენის სფეროდ გამოცხადა. 1996 წელს **ALOC**-მა კრემლს ულტიმატუმი წაუყენა: ან დაასრულეთ ჩეჩნეთის ავანტურა ან ნავთობსადენი დაივიწყეთო. კრემლმა, რომლის ზურგს უკან ნავთობის კონცერნები იდგნენ, მთიელების წინაშე სამარცხვინო კაპიტულაცია ამჯობინა ამ დიდი თამაშიდან გამოსვლას.

უფრო ადრე, როდესაც იხილებოდა ნავთობსადენის ტრანსპორტირების საკითხი, კლინტონის მრჩეველმა სახელმწიფოებრივი უშიშროების სფეროში სანდი ბერგერმა დაარწმუნა ტერი ადამსი, **BP**-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რომელიც **ALOC**-ის საქმეებს უძღვებოდა, რომ ნავთობსადენის გაყვანა რუსეთის გვერდის ავლით, საქართველოს გავლით აჯობებდა. **BP**-ს პოზიცია უფრო რუსეთის მილსადენის რეკონსტრუქციისაკენ იხრებოდა. ბერგერმა შეძლო ადამსის დარწმუნება თავისი მოსაზრების სისწორეში. რაც შეეხება ალიევის ამ პროექტის მიზანშეწონილობაში დარწმუნებას, ეს კლინტონის დავალებით შეძლო ბჟეზინსკიმ, რომელიც ორ დღეს ესაუბრებოდა პროექტის პერსპექტიულობაზე აზერბაიჯანის პრეზიდენტს.

## ამერიკის შეერთებული შტატები იცვლის პოზიციას

1997 წლის ზაფხული მიჩნეულია როგორც ამერიკის მიერ სსრკ-ის ყოფილი სამხრეთის კოლონიებისადმი მიდგომის ცვლილების მომენტი. თანდათან უფრო ცხადი ხდებოდა, რომ გარდა ფუჭი სიტყვებისა, მოსკოვის რიტორიკის უკან არაფერი იმალებოდა. ამას ისიც დაერთო, რომ რამდენიმე კვირით ადრე ირანში არჩევნებში გაიმარჯვა მოჰამედ ჰატამის რეფორმისტულმა გუნდმა და დაისახა ამერიკასა და ირანს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის პერსპექტივა; აქამდე ხომ ირანი ამერიკის არქიმტრად, თუმცა პოტენციურ პარტნიორად მიაჩნდათ. 22 ივლისს, ამერიკის კონგრესში გამოსვლისას, სახელმწიფო მდივნის მოადგილე სტროუბ ტელბოტი ამტკიცებდა, რომ "ვაშინგტონი შუა აზიასა და ამიერკავკასიაში გაატარებს უფრო აქტიურ პოლიტიკას. თეთრი სახლი უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ყარაბაღისა და აფხაზეთის კონფლიქტების გადაჭრაში". რუსებმა ვაშინგტონში ძალზე ხშირად გაჟღერებული ამგვარი განცხადებები აღიქვეს (და სწორადაც), როგორც მათი ყველაზე სასიცოცხლო ინტერესების შელახვად და მათთვის გავლენის სფეროების ჩამორთმევის მცდელობად, მაგრამ როგორც ეუთო-ს ხელმძღვანელის მოადგილემ ზენონ კუხციაკმა შენიშნა, "რუსები არავის გაუძევებია, ისინი თავადაც არსად წასულან. უბრალოდ, ადგილზე გაჩერდნენ, ხოლო ცხოვრებას არ უყვარს ერთ ადგილზე შეჩერება. ცხოვრებას არ უყვარს სიცარიელე, მათ კი არ ძალუძთ ახალი იდეოლოგიის შემუშავება თავიანთი სამხრეთისათვის. თანაც, არც ფული გააჩნიათ". ტელბოტს ტყუილად არ უხსენებია ყარაბაღი და აფხაზეთი. მათი წყალობით ცდილობს მოსკოვი საქართველოსა და აზერბაიჯანში თავისი პოლიტიკის წარმართვას.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნების, და განსაკუთრებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის, მიზანს ნამდვილი დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენდა. რეალურად კი ისინი რუსეთთან პირისპირ დარჩნენ. დასავლეთი იმ პოზიციას ადგა, რომ ყოფილი სსრკ-ის სამხრეთი რესპუბლიკები, რუსეთის გავლენის სფეროდ უნდა დარჩენილიყო. გამონაკლისი იყო სომხეთი. ეს რესპუბლიკა იმის გამო, რომ აზერბაიჯანსა და თურქეთთან კონფლიქტი ჰქონდა, იძულებული იყო რუსეთის მოკავშირედ დარჩენილიყო. სომხებმა ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ მოეგვარებინათ ურთიერთობა მათსავე მსგავს ქრისტიანულ ქვეყანასთან - საქართველოსთან.

როდესაც საქართველომ დაიწყო ნამდვილად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, რუსეთმა მას ხელი შეუშალა აფხაზეთისა და სამხერთ ოსეთის ჩამოცილებით, და ასევე თურქეთის მოსაზღვრე აჭარას ცენტრისათვის დაუმორჩილებლობის გამოცხადებაში ხელი შეუწყო. საქართველო იძულებული ხდებოდა დათმობაზე წასულიყო.

მაგრამ  რუსეთს შანტაჟის მეტი არაფერი შეუძლია. მან სათანადოდ ვერ შეაფასა ასევე ორი ჭაღარა კომუნისტური “აპარატჩიკის”, შევარდნაძისა და ალიევის უჩვეულო დიპლომატიური ტალანტი. მათ შიდა პოლიტიკა ცუდად მისდიოდათ, მაგრამ საერთაშორისო არენაზე ნამდვილი გენიოსები აღმოჩნდნენ. ალიევმა შეძლო რუსეთსა და თურქეთს, ვაშინგტონსა და თეირანს შორის მანევრირება, ხოლო შევარდნაძემ ბრწყინვალე ურთიერთობა დაამყარა ყველა მეზობელ ქვეყანასთან (გარდა სომხეთისა)  და ასევე შორეულ სახელმწიფოებთან.

## ღერძი ღერძის წინააღმდეგ

როდესაც წლის დასაწყისში იფეთქა არმენიაგეიტმა (Armeniagate), ანუ რუსეთმა საკუთარ ჯარს სომხეთში მილიარდზე მეტი ღირებულების იარაღი მიაწოდა, აზერბაიჯანელმა დიპლომატმა, პრეზიდენტის მრჩეველმა საგარეო საკითხებში ვაფა გულუზადემ დაუყოვნებლივ და მკვეთრად განაცხადა: აზერბაიჯანი ნატოს ჯარებს შემოუშვებსო. ნატოს ხელმძღვანელობას ამ განცხადებაზე კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ, რაც ყველაზე საინტერესოა, არც ალიევს უარუყვია მრჩევლის განცხადება. ახლა ბაქოში სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის განცხადებები სტრატეგიული ღერძის: ტაშკენტი-თბილისი-კიევი-ანკარა-ამერიკის-ს თაობაზე.

რუსეთმა ამას თავისი ღერძით: - მოსკოვი-ერევანი-თეირანი, - უპასუხა. ირანმა, რომელსაც აწუხებს ამერიკელებისა და თურქების გააქტიურება რეგიონში და რომელსაც მრავალი აზერბაიჯანელი ჰყავს ქვეყანაში (თითქმის ყოველი მესამე ირანელი), უკვე დიდი ხანია, რაც ეგზოტიკურ კავშირს მიაღწია ქრისტიანულ სომხეთთან. აზერბაიჯანული წყაროები იმასაც ამტკიცებენ, რომ სომხეთისათვის გაგზავნილი იარაღის დიდმა ნაწილმა ირანამდე ჩააღწია. ირანმა არაოფიციალურად შესასვლელიც კი გახსნა ყარაბაღთან, უფრო სწორად, სომხების მიერ ოკუპირებულ აზერბიაჯანულ ტერიტორიებთან, რადგან იგი ყარაბაღს უშუალოდ არ ესაზღვრება.

ჩეჩნებთან ომი და, აქედან გამომდინარე, რუსეთის სამხრეთი საზღვრების ბლოკადა ხელს უწყობს საქართველოსა და სომხეთს, თავი დააღწიონ ყოფილ მეტროპოლიას. 1994-1995 წლებში საქართველო-თურქეთს შორის ვაჭრობა აღემატებოდა საქართველო-რუსეთს შორის ვაჭრობას. უფრო მეტიც, ამიერკავკასია კულტურულადაც შორდება რუსეთს. ეს ორი ამიერკავკასიური ქვეყანა, საფრანგეთის კოლონიებისაგან განსხვავებით, ორიენტაციას უკვე აღარ აკეთებს ყოფილ მეტროპოლიაზე. ახალგაზრდები სასწავლებლად უფრო ხშირად მიემგზავრებიან დასავლეთში, ვიდრე მოსკოვში და უფრო ინგლისურს სწავლობენ, ვიდრე რუსულს.

თავისდა უნებლიედ ირანიც ხელს უწყობს ყოფილი საბჭოთა კოლონიების ცენტრისგან ჩამოშორებას; 1996 წლის მაისში შარაქსის ახლოს ზარ-ზეიმით გაიხსნა თურქმენეთისა და ირანის დამაკავშირებელი რკინიგზა.

"დილის გაზეთი",
6 ოქტომბერი, 1999 წ.

## 8. აფხაზური ნამცხვარი
## ვოიცეხ იაგიელსკი

### (თვითმხილველის ჩანაწერები)

ვარშავაში უკვე რამდენიმე წელიწადია ფუნქციონირებს აღმოსავლეთის შესწავლის ცენტრი, რომელმაც გასულ წელს გამოსცა კრებული ,,საქართველო''. მასში გადმოცემულია 1989-1994 წლებში საქართველოში მომხდარი ამბები, ათი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის მოკლე ბიოგრაფია და რამდენიმე სტატია, სადაც აღწერილია აფხაზეთში მომხდარი მოვლენები და მათი წარმოშობის მიზეზები.

**გთავაზობთ ორ წერილს ამ კრებულიდან, რომელთა ქართული თარგმანებიც გამოქვეყნდა 1995 წელს ყოველკვირეულ გაზეთ ,,თასი და მახვილის'' 1995 წლის ოქტომბრის ნომერში.**

მე აფხაზეთის დასაწყისისა და დასასრულის მოწმე ვარ. დასაწყისი საკმაოდ გულუბრყვილოდ გამოიყურებოდა: ისე ჩანდა, რომ მთელი ეს საქმე ერთ-ორ კვირაში, მაქსიმუმ ერთ თვეში დასრულდებოდა. ე. შევარდნაძემ მაქსიმალური უფლებები მიიღო პარლამენტისაგან და გზიდან ჩამოიშორა პოლიტიკური ოპონენტი. ივნისში გაიმართა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით და ამ ,,ფრონტზე'' ბრძოლები შეწყდა. ამ დროისათვის ძირითად პრობლემად ,,ზვიადისტების'' ამბოხება რჩებოდა. რეგიონს, რომელიც ამბოხებულთათვის პოლიტიკურ ბაზას წარმოადგენდა, სამეგრელოს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის. მასზე გადის ყველა სარკინიგზო ხაზი და სამანქანო გზა, რომლებიც თბილისს შავი ზღვის პორტებთან და რუსეთთან აკავშირებს. იგივე გზა აკავშირებს ფოთის პორტს ბაქოსთან და ერევანთან. აუკრძალო საქართველოს სამეგრელოს კონტროლი, ეს იმას ნიშნავს, რომ სასიცოცხლო არტერიები გადაუჭრა მას.

აგვისტოში ეს კუთხე ნამდვილ ქართულ ,,ველურ დასავლეთს'' წარმოადგენდა. პრაქტიკულად ეს რეგიონი უპატრონოდ იყო მიტოვებული.

ერთ სოფელს მეორისაგან შეიარაღებული რაზმი ყოფდა. საერთოდ, გაუგებარი იყო, შემოიჭრებოდნენ აქ შევარდნაძის მომხრეები, გამსახურდიას მხარდამჭერნი, თუ, უბრალოდ, ჩვეულებრივი ბანდიტები. ხშირად კი ადგილობრივი მოსახლეობაც არ თაკილობდა სოხუმი - თბილისის მაგისტრალებზე ავტობუსებზე თუ მატარებლებზე თავდასხმას. მას შემდეგ, რაც ზვიადისტებმა საქართველოს დედაქალაქში ტერორისტული აქცია მოაწყვეს, სამთავრობო ძალებმა სამეგრელო ბლოკადაში მოაქციეს. ამ ხაზის თვით თავდასხმებს აწყობდნენ ჯაბა იოსელიანის მხედრიონელები. მაშინ ზვიადისტები მთებში იმალებოდნენ, ხოლო მხედრიონელები სოფლებს ძარცვავდნენ.

აგვისტოში შევარდნაძემ სამეგრელოს ალყა მოხსნა. სამაგიეროდ მან შეცდომა დაუშვა, რაც თავისი თავდაცვის მინისტრის თ. კიტოვანის მიმართ დამთმობ პოლიტიკაში გამოიხატა. მინისტრმა ნაცვლად იმისა, რომ დაემშვიდებინა ,,ზვიადისტები'', აფხაზეთის პარლამენტის დაპყრობა განიზრახა. თავიდან ისე ჩანდა, რომ კიტოვანი მალე დაამხობდა სეპარატისტებს, ვლ. არძინბას მეთაურობით. მაგრამ გაირკვა, რომ როგორც საქართველოში, ასევე აფხაზეთსა და რუსეთში მრავალ პოლიტიკოსს აწყობდა აქ ომის გაჩაღება. 1993 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, როდესაც შევარდნაძემ განსაკუთრებული მდგომარეობა დააწესა, ,,ზვიადისტებმა'' თბილისის დასავლეთ საქართველოსთან დამაკავშირებელი რკინიგზა გადაკეტეს, იზოლაციაში მოაქციეს აფხაზეთი და ხელისუფლების მომხრე ძალების ხელში მყოფი სოხუმიც. შედეგად, მიუხედავად კარგად ორგანიზებული თავდაცვისა, რომელსაც თავად ე. შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, ქალაქი მალე დაეცა. მთელი აფხაზეთი სეპარატისტთა ხელში აღმოჩნდა.

როდესაც სექტემბერში კვლავ ჩავედი აფხაზეთში, ვიხილე ომი, რომლის მსგავსიც არსად მინახავს. მთელი ეს კუთხე გაუკაცრიელებულა. პრაქტიკულად ყველა ქართველს დაეტოვებინა იგი. მანამდე ისინი შეადგენდნენ მოსახლეობის თითქმის ნახევარს. ამჟამად, გადაუმოწმებელი მონაცემებით, აფხაზეთში კიდევ ცხოვრობს 10 ათასამდე ქართველი. ესეც საკმაოდ ბევრია, თუ იმას გავითვალისწინებთ, როგორი სიმხეცით ეპყრობოდნენ მათ გამარჯვებულები. უფრო ადრე აფხაზეთი დატოვეს სომხებმა და რუსებმა, და ასევე თავად აფხაზებმა: მოკლულთა რიცხვი, ჯერჯერობით, უცნობია.

სოხუმი გაძარცვულია, არ არის ელექტრობა, წყალსაქაჩები მწყობრიდან არის გამოსული, საერთოდ არ არის სასმელი წყალი, რადგან ჯერ გაქცეულმა აფხაზებმა, ხოლო შემდეგ ქართველებმა წყალსაქაჩები მოწამლეს. და თუმცა კავკასიონის ქედიდან მრავალი წვრილ-წვრილი მდინარე მოედინება, ამ წყლით არავინ სარგებლობს - ორივე მხარე აქ დაჭრილ და დახოცილ მეომრებს ისროდა.

ჟურნალისტის თვალწინ შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროს გასწვრივ ნამდვილი ფენოვანი ნამცხვარი იშლება: ერთმანეთს ენაცვლებიან ხელუხლებელი და მიწის პირისაგან აღგვილი სოფლები. ამ ადგილას სრული ეთნიკური წმენდა განუხორციელებიათ.

დღეს ძნელია აფხაზეთზე ლაპარაკი – საერთოდ არსებობს კი რაიმე ამგვარი? ამ ქვეყანაში აღარ არიან მუდმივი მაცხოვრებელნი. ისიც არავინ უწყის, საერთოდ დაბრუნდებიან კი აფხაზები? შესაძლოა, მათ აღარც ჰქონდეთ უკან დასაბრუნებელი ადგილები – დაქირავებულებმა მხოლოდ ქართველთა სახლები როდი დაიკავეს. აფხაზთა უმეტესობამ უკვე წელიწადზე მეტია მიატოვა სამშობლო. ბევრი მათგანი დამკვიდრდა აფხაზეთის საზღვრებს გარეთ. კიდეც რომ დააბრუნონ, მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი კუთვნილი ქონება გაყიდონ. ამიტომ აფხაზეთის მომავალი ეთნიკური სტრუქტურა სრულიად გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში, სექტემბერში მე ეს კუთხე სრულიად ცარიელი დამხვდა.

ვინ იბრძოდა აფხაზეთის ფრონტის ორივე მხარეს? ერთ მხარეს იბრძოდა რამდენიმე პრაქტიკულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ჯარი. მასში, ალბათ, რაოდენობით ყველაზე ნაკლები თავად აფხაზები იყვნენ: მთელი მათი რიცხოვნობა ხომ მხოლოდ 60 ათას აღწევდა და მათგან მხოლოდ 20 პროცენტია ბრძოლისუნარიანი მამაკაცი. აფხაზთა მხარეს იბრძოდნენ, ძირითადად დაქირავებული მეომრები ჩრდილოეთ კავკასიიდან და რუსეთიდან.

კონფლიქტის გაშუქებაზე მომუშავე მას-მედიაში მათ ხშირად მონადირეებად მოიხსენიებდნენ და ისე გამოჰყავთ, თითქოს იდეალების გამო იბრძოდნენ. რეალურად, ისინი აქ ნადავლისათვის ჩამოვიდნენ, ქართველთა ქონების გატაცების მიზნით, რასაც მათ გამარჯვების შემთხვევაში არძინბა შეჰპირდა. ამიტომ, დაპყრობილ ტერიტორიაზე შესული განმათავისუფლებლები ძარცვავდნენ ყველას და იტაცებდნენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ: ავეჯს, პირუტყვს, გადამწყვარ ავტომობილებსაც კი. შემთხვევითი როდი იყო, რომ სოხუმის აღების შემდეგ აფხაზების სეპარატისტული ხელისუფლება კიდევ ორი კვირა ელოდა გადაუთიდან სოხუმში გადაბარგებას. ვლ. არძინბასა და მის მომხრეებს არ სურდათ, თავად ეხილათ, რაც ამ ქალაქში დატრიალდა. ამ დროს კი სახლებზე, რომლებიც სოხუმელმა ქართველებმა მიატოვეს, გამოჩნდა წარწერები:,,ზანიატ'' და იქვე მინიშნებული იყო მისი ახალი ,,მფლობელის'' ვინაობა. ეს გახლდათ საჩუქარი ,,მონადირეთათვის''. აფხაზებს ფული არ ჰქონდათ, რომ დაქირავებული მეომრები გაესტუმრებინათ, ,,მონადირეებს'' ნადავლი სატვირთო მანქანებით გაჰქონდათ, მაგრამ მათ არ შეეძლოთ, გადაეკვეთად რუსეთის საზღვრები, რადგან რუსები არ ატარებდნენ. ამიტომ ნაქურდალ ქონებას წინასწარ შეგულებულ ადგილას ტოვებდნენ (ნადავლი ძირითადად ნახანძრალი ავტომანქანები იყო).

აფხაზეთის შსს-ს ერთ-ერთ მოხელესთან საუბრისას დავრწმუნდი, რომ აფხაზებს ეშინიათ საკუთარი მოკავშირეებისა, ეშინიათ, რომ მათ ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩასულები დაიპყრობენ. მართალია, ეთნიკურად ისინი მათ უფრო მეტად ენათესავებიან, ვიდრე ქართველებს, მაგრამ ფახაზები აცნობიერებენ, რომ ერთი დამპყრობელის მეორეთი შეცვლა ემუქრებათ; ამასთან, ახალმოსულნი ,,მშივრები'' არიან, აფხაზეთში მცხოვრები ქართველები კი, როგორც წესი, მდიდრები იყვნენ. შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად აფხაზ სეპარატისტთა ხელისუფლება განაჩენს ელოდება. არძინბას გადაყენება მხოლოდ დროის საკითხია. მან თავისი უკომპრომისო პოლიტიკით მეტისმეტად ბევრი მტერი გაიჩინა. აქაც, ისევე როგორც საქართველოში, ბანქოს რუსეთი ათამაშებს. რუსეთი კი უპირატესობას იმას ანიჭებს, ვინც ნაკლებად არის კომპრომეტირებული ამ ბარბაროსული ომით. მე ვფიქრობ, სიტუაცია ზამთრის განმავლობაში გაირკვევა. ალბათ, აფხაზებისათვის, ისევე როგორც ქართველებისათვის, ეს ზამთარი ყველაზე მძიმე იქნება მონღოლების შემოსევის შემდეგ. ადამიანებს შიმშილი და სიცივე ელით.

სოხუმის ალყა ნამდვილი ომი იყო. საერთოდ, იგი საოცრად მიმდინარეობდა. როდესაც სააგენტოები იტყობინებოდნენ ოთხი სოფლის დაპყრობას და კომენტატორები მძიმე ბრძოლებზე საუბრობენ, სიტყვასაც არ ძრავდნენ მსხვერპლის შესახებ. აქ ჯარისკაცები იშვიათად იხოცებოდნენ. მსხვერპლი ძირითადად მშვიდობიან მოსახლეობაში იყო. ამასთან, ფრონტის ერთი ხელიდან მეორეში გადასვლას მხოლოდ ნგრევა, გაუკაცრიელება მოსდევდა.

ზუსტად რომ ვთქვათ, აფხაზეთში ან სამეგრელოში ომი არ იყო. კლასიკური ომი ,,მძვინვარებდა'' ფრონტით. ერთმანეთს შორის ძირითადად 5-10 კაციანი რაზმები იბრძოდნენ. მთელს ოპერაციაში საშუალოდ 600 მებრძოლი იღებდა მონაწილეობას ყოველ მხარეს. ეს ერთდროულად არის წყევლაც და დალოცვაც მშვიდობიანი მოსახლეობისათვის.

არავინ იცის, მომავალ დღეს რომელ მხარის ხელში აღმოჩნდება. იმავდროულად, არავინ არავის უსმენს. როდესაც ვცადეთ, ფრონტზე გასვლა, ვერ გავარკვიეთ, ვისგან უნდა აგვეღო ნებართვა, ვინაიდან ყოველი საგუშაგო ჩვენს ტრასაზე სრულიად სხვადასხვა პიროვნებას ექვემდებარებოდა. ხშირად ფრონტის ერთ მხარეს მებრძოლი არმიები ერთმანეთის მიმართ მტრულად იყო განწყობილი.

ოჩამჩირეში მაშინ მივედით, როდესაც ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და ქართველების ნახევარი ფრონტიდან სახლებში ბრუნდებოდა. როდესაც საჭირო იყო, ისინი გამოეხმაურნენ მოწოდებას და სამშობლოს დასაცავად ჩამოვიდნენ აქ, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე, ბრძოლა მოსწყინდათ, ჩაიქნიეს ხელი და უკან გაბრუნდნენ, როგორც წესი, ავტომატებითურთ. ფრონტზე, რომელიც 20 კილომეტრით იყო დაშორებული, ერთ საათში ჩავედით, უკან დაბრუნებას კი

მთელი დღე მოვუნდით, ვინაიდან ყოველ საგუშაგოზე მანქანაზე ახალ - ახალი ხალხი ამოდიოდა და ჩადიოდა. ფრონტზე მიმავალნი იქიდან დაბრუნებულებს იარაღსა და ტყვია-წამალს ართმევდნენ, ფორმას ხდიდნენ... აფხაზეთში ნამდვილად იბრძოდა აფხაზეთის ქართველობა და აფხაზები, სამაგიეროდ, მათ, ვინც თბილისიდან, ბათუმიდან თუ რუსთავიდან ჩამოვიდა, საბრძოლო ჟინმა ძალზე მალე გაუარა.

ამავე დროს ეს იყო ომი, რომელიც ულტრათანამედროვე იარაღის გამოყენებით მიმდინარეობდა. აფხაზთა ხუთათასიანი არმია, რომელიც ორი კვირის განმავლობაში ჩამოყალიბდა, ორი თვის შემდეგ უკვე ფლობდა რუსულ ბომბდამშენებს სუ-24 და სუ-25, ტანკებსა და ,,გრადის'' ტიპის რაკეტებს. ეს ყველაფერი აფხაზებს რუსებმა ათხოვეს ან აჩუქეს. უბრალოდ, რომ წარმოგვედგინა ამ დახმარების ფაქტობრივი მასშტაბები, საკმარისი იყო, რამდენჯერმე მივსულიყავით რუსეთის საზღვართან მდინარე ფსოუზე, რომელიც რუსეთს აფხაზეთთან აერთებს. რუსი ,,მესაზღვრეები'' ატარებდნენ ყველაფერს, მძიმე საბრძოლო ტექნიკის ჩათვლით.

ქართველებსა და რუსებს შორის სოჭში დადებული ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა იკისრა აფხაზეთში მშვიდობის დამყარება აქ სამშვიდობო ძალების შეყვანით. რუსების თვალწინ ეს შეთანხმება დაირღვა აფხაზების მიერ, რომლებიც შეტევაზე მაშინ გადავიდნენ, როცა ქართველებმა სოხუმიდან მძიმე ტექნიკა გაიყვანეს. რუსებმა თავი შეირცხვინეს, როგორც ამ ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარების გარანტებმა. სინამდვილეში საქმე შემდეგში იყო: პრეზიდენტი გამოდიოდა გარანტის როლში და იმავდროულად, რომელიღაც რუსი გენერალი აფხაზებს ქართველებზე თავდასხმის საშუალებას აძლევდა. ამ კონფლიქტის მიმართ თითქმის ყველა რუსი გენერალი ერთ პოზიციაზე იდგა. ისინი აფხაზებს უჭერდნენ მხარს. აფხაზეთში რუსეთის არმიის სარდალი ხომ კვლავ გენერალი სოროკინია, რომლის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ამბების გამო.

რუსეთისაგან დამოუკიდებელი ე. შევარდნაძე ამ ქვეყნისათვის არახელსაყრელ პოლიტიკოსს წარმოადგენს. საქართველოში რუსეთს მხოლოდ სუსტი პოლიტიკოსი აწყობს. ისეთი სიტუაციაა გაბატობენული საქართველოში ამჟამად, რომ მე მგონია, ეს რუსეთის პოლიტიკას ძალზე შეესაბამება. ე. შევარდნაძეს ხელ-ფეხი აქვს შეკრული: იგი ხომ იძულებული გახდა რუსეთისათვის მიემართა დახმარებისათვის. თავის დროზე იგი საქართველოს დსთ-ში შესვლის წინააღმდეგი იყო და, მე ვფიქრობ, რომ მისი ეს განზრახვა გულწრფელი იყო. სხვათაშორის, ამიტომაც უჭერდა მას მხარს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გიორგი ჭანტურიას ხელმძღვანელობით. უკვე ივლისში, ჯერ კიდევ სოხუმის დაცემამდე, სანაპიროზე აფხაზების დესანტის გადმოსხმის შემდეგ, შევარდნაძემ პირველი მოლაპარაკება წამოიწყო

რუსეთთან. მაშინ მას კვლავ არ სურდა დსთ-ში შესვლა და შეეცადა ხელი მოეწერა რამდენიმე ორმხრივი მოლაპარაკებისათვის. მაგრამ რუსებს ეწადათ შეესუსტებინათ მისი პოზიციები საქართველოში. დსთ-ში შესვლაზე ხელმოწერას სწორედ აქეთ მიჰყავდა საქმე. შევარდნაძე ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდა: ან დაშლა ქვეყნისა, რომელსაც საფრთხე ელოდა აფხაზეთიდან, ,,ზვიადისტებისაგან'', ოსებისგან, აჭარლებისგან და ასევე საგანგაშო მდგომარეობა შეიძლება შექმნილიყო სომხების, აზერბაიჯანელების თუ მესხეთელი თურქების მხრიდან, ანდა საქართველოს ერთიანობა, მისი რუსეთის კონტროლის დაქვემდებარების გზით. მან მეორე გზა აირჩია.

აფხაზების მიერ შეთანხმების დარღვევის და სოხუმის დაკარგვის შემდეგ შევარდნაძემ განაცხადა, რომ რუსეთმა მას უღალატა. მან მაინც მოაწერა ხელი დსთ-ში შესვლის აქტს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ რუსეთი მეორედაც უღალატებს. მოსკოვის მიერ ტრანსკავკასიის რკინიგზის დასაცავად სამხედროების გამოგზავნა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ეს ჯარისკაცები აქ შევარდნაძის დასაცავად ჩამოვიდნენ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ამჟამად რუსები ტანკებს ვის გადასცემენ. უკანასკნელად მათ ტანკები მისცეს შევარდნაძეს, რისი მეოხებითაც მან გამსახურდია დაჯაბნა; მაგრამ შემდგომში, ადვილი შესაძლებელია, რუსული ტანკები აღმოჩნდნენ იმ პოლიტიკოსის ხელში, რომელიც მოცემულ ვითარებაში ხელსაყრელი იქნება მოსკოვისათვის.

ქვეყანაში გამეფებული ქაოსისა და იმის გაცნობიერების გამო, რომ რუსეთს მიზანში ჰყავს ამოღებული, შესაძლოა შევარდნაძეს ნერვებმა უმტყუნოს და გამორიცხული არ არის, რომ მისმა პოლიტიკამ ავტორიტარული ხასიათი მიიღოს. ეს კი მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგე ოპოზიციის წისქვილზე ასხამს წყალს. ავტორიტეტის შესანარჩუნებლად და შესაძლო პატივმოყვარეობის აღსადგენად მან, შესაძლოა, აფხაზეთის ძალით დაბრუნებაც სცადოს. არ არის გამორიცხული, ამისკენ სამხედროებმაც უბიძგონ. ასეთ ომში გამარჯვება ძალზე საეჭვოა, ხოლო განმეორებითი მარცხი ედუარდ შევარდნაძის კარიერის დასასრულს მოასწავებს. ისიც საეჭვოა, რომ ზვიად გამსახურდიას სიკვდილმა გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ სიტუაციაზე საქართველოში. ,,გამსახურდია უკვე პოლიტიკური გვამი იყო'', – თქვა შევარდნაძემ, თავისი მეტოქის სიკვდილი რომ გაიგო. არ შეიძლება არ დაეთანხმო მას, გამსახურდიას სიკვდილი შესაძლოა, მოასწავებდეს მისი უბედური მოძრაობის - ,,ზვიადიზმის'' სიკვდილს, თუმცა, ეს მხოლოდ ნუგეშისმომგვრელი თუ იქნება.

Р.შ. 1993 წლის ოქტომბერში გაეროს ჟენევის რეზიდენციაში სამშვიდობო მოლაპარაკებები გაიმართა. ქართველები და აფხაზები შეთანხმდნენ უსაფრთხო ზონის შექმნასა და მასში გაეროს სამშვიდობო ძალების ჩაყენებაზე. გაეროს სამშვიდობო ძალები აფხაზეთში, თუკი საერთოდ იქნება გაგზავნილი, უპირველეს ყოვლისა, რუსებისაგან იქნება დაკომპლექტებული. აფხაზები დათანხმდნენ ასევე 250 ათასი ქართველი ლტოლვილის აფხაზეთში

დაბრუნებაზე. ეს პროცესი ივლისში დაიწყება. 22 ივლისს ჟენევაში განახლდება მოლაპარაკების მესამე რაუნდი.

ჯერჯერობით ჟენევის მოლაპარაკებებს მხოლოდ წარმატებები მოაქვს. ქართველები და აფხაზები შეთანხმდნენ მშვიდობის შენარჩუნებაზე. შეთანხმდნენ ასევე უსაფრთხო ზონების შექმნაზე და ლტოლვილთა დაბრუნებაზე. მაგრამ ყველაზე რთული დრო ჯერ კიდევ წინ არის. მნიშვნელოვანი კამათი მაშინ დაიწყება, როდესაც საჭირო გახდება აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა. ქართველები თანხმდებიან ფართო ავტონომიას, მაგრამ გამორიცხავენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას. აფხაზები მოითხოვენ კონფედერაციას, მაგრამ იტოვებენ სრული გამოყოფის უფლებას.

## 9. აფხაზეთის კონფლიქტი აფხაზთა თვალით

ჟურნალ ,,საქართველოში'' დაბეჭდილია პოლონელი ჟურნალისტის ვოიცეხ გორეცკის წერილიც.

სარედაქციო შესავლის მიხედვით, თუმცა აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტი რეგულარულად აისახებოდა პოლონეთის პრესაში, მაგრამ ეს იყო საქართველოს გულშემატკივარი ჟურნალისტების მიერ მომზადებული რეპორტაჟები და საერთოდ არ ყოფილა წერილები ფრონტის მეორე მხრიდან. ამ მიზეზით, პოლონეთის პრესა წერდა სოხუმის დაცემის შესახებ, მაშინ, როდესაც აფხაზეთის მხარეს მყოფთათვის ეს იყო განთავისუფლება. ასევე აფხაზი მებრძოლები მოხსენებული იყვნენ როგორც სეპარატისტები, მაშინ, როდესაც საწინააღმდეგო შეხედულების თანახმად ისინი იყვნენ სამშობლოს დამცველები.

ამიტომ აფხაზეთის მოვლენების თაობაზე დაბეჭდილი მასალების ერთგვარი დაბალანსების, ანუ როგორც რომაელები იტყვიან audiator et altera pars (საჭიროა მოვუსმინოთ მეორე მხარესაც) პრინციპის დაცვის მიზნით, ჟურნალმა წინამდებარე წერილიც გამოაქვეყნა.

### ვინ იყვნენ აფხაზები – ხალხისა და სახელმწიფოს ისტორია

აფხაზები, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და, უპირველეს ყოვლისა, ლინგვისტიკური მონაცემების თანახმად, დასავლეთ კავკასიის უძველეს ხალხებთან ერთად თავიანთ ისტორიას ძვ. წელთაღრიცხვის ლV ათასწლეულიდან იწყებენ. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორია ბერძნებმა დაიპყრეს. სახელმწიფოებრიობა, როგორც დოვლათის ცენტრალიზებულ შეგროვებასა და მის განაწილებაზე საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის სისტემა, აფხაზეთის ტერიტორიაზე სწორედ ბერძნებმა დაამკვიდრეს. უკვე VI

საუკუნის დასაწყისისათვის მათ აქ დაარსეს ქალაქი-სახელმწიფო დიოსკურია (ახლანდელი სოხუმი) და გენოსი (ახლანდელი ოჩამჩირე). აღნიშნული და აგრეთვე მრავალი სხვა ზღვისპირა დასახლებები (ეშერა, ბიჭვინთა და ა. შ.) შემდგომი 600 წლის მანძილზე ამ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრებს წარმოადგენდნენ. კოლხეთის სამეფო (VI – I საუკუნე ჩვ. წელთაღრიცხვამდე), რომლის საზღვრები ემთხვეოდა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიას, უნდა მიეკუთვნოს ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების (ბერიას ეპოქა) ბოლოს პოლიტიკოსებისა და მეცნიერების მიერ შექმნილ მითებს (ი. მარიხუბა, აფხაზეთსა და აფხაზების შესახებ, სოხუმი 1992 წ.გვ.4).

VII საუკუნის დასაწყისმა აფხაზებს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა მოუტანა. ეს იყო პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ფორმაცია, რომელიც კავკასიის რეგიონში გამოჩნდა. მაშინ წარმოსდგა აფხაზი ხალხი, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით (იხ. ინფორმაციული მიმოხილვა აფხაზეთის შესახებ. აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, გუდაუთა, ივნისი 1993 წ. გვ. 10, ინგლისურ ენაზე). მისმა პოლიტიკურმა ძლიერებამ თავის მწვერვალს 830-950 წლებში მიაღწია. მალე აფხაზეთი საკუთარი ინიციატივით შევა საქართველოსთან პოლიტიკურ კავშირში, რათა XIV-XVლ კვლავ გამოყოფილიყო. 30000 მეომარი და იგი დე ფაქტო დამოუკიდებელი იყო საქართველოსგან (იხ. ი. მარიხუბა, აფხაზეთსა და აფხაზების შესახებ, სოხუმი 1992 წ.გვ.12).

შემდგომში თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო, ისევე როგორც მთელი დასავლეთ საქართველო, თურქეთმა დაიპყრო. 1810 წელს აფხაზეთს რუსეთი იერთებს (იყო რა ფორმალურად მისი შემადგენელი ნაწილი, გარკვეული დროის მანძილზე აფხაზეთმა შეინარჩუნა პოლიტიკური ავტონომიურობა და საკუთარი სამთავრო დინასტია). რევოლუციის შემდეგ აფხაზეთში ხელისუფლება მცირე ხნით მენშევიკებმა აიღეს ხელში. 1918 წლის 26 მაისს შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ხოლო ამავე წლის ივნისში ბოლშევიკებთან ბრძოლის მოტივით, ქართული ჯარის ნაწილები აფხაზეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ, სადაც ტერორი გააჩაღეს (იხ. ზემოთდასახელებული ინგლისური ნაშრომი, გვ. 51). 1918 წელს აგვისტოსა და ოქტომბერში მათ ორჯერ დაამხეს მენშევიკური ეროვნული საბჭო, ხოლო მისი წევრები დააპატიმრეს. მშვიდობიანად განწყობილი მოსახლეობის წინააღმდეგ ქართველებმა რამდენჯერმე გაგზავნეს დამსჯელი ექსპედიცია. აფხაზთა მეხსიერებაში დროის ეს პერიოდი შემორჩა როგორც ერთ-ერთი რთული საქართველოსთან ურთიერთობაში.

1921 წელს აფხაზეთში დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება და საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა მრავალმა აფხაზმა აღითქვა როგორც საქართველოს ოკუპაციისაგან განთავისუფლების და სახელმწიფოს აშენების შანსი. მაგრამ ამავე წლის დეკემბერში სტალინის, ორჯონიკიძისა და მათი მომხრეების ზეწოლით აფხაზეთი კვლავ იძულებული გახდა კავშირი შეეკრა

საქართველოსთან და შესაბამისი ხელშეკრულებისათვის მოეწერა ხელი. თეორიულად ეს დოკუმენტი აღნიშნავდა რესპუბლიკებს შორის ნორმალურ ორმხრივ ურთიერთობებს, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო აფხაზეთის საქართველოსთან მიერთება. აფხაზები თვლიან, რომ მათი ქვეყანა სტალინმა საჩუქრად მიართვა თავის სამშობლოს.

ფორმალურად აფხაზეთი იყო ისეთივე მოკავშირე რესპუბლიკა, როგორც საქართველო კიდევ 9 წელი. 1931 წელს იგი შეიყვანეს საქართველოს სსრ შემადგენლობაში, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, დაამტკიცეს რა ამ აქტით მისი ფაქტიური მდგომარეობა.

## 1990-1992 წლების მოვლენები

ჯერ კიდევ 1989 წლის ნოემბერში საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ორი სესია მიუძღვნა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. 1990 წლის მარტსა და ივლისში მან მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც 1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ნიშნავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგიტიმური პოლიტიკური სტრუქტურების დამხობას. ამით 1921 წლის თებერვალში საქართველოში არსებული სახელმწიფო სტრუქტურები და აგრეთვე დამოუკიდებელი საქართველოს მიერ დადებული ტრაქტატები - საქართველოს სსრ და რსფსრ შორის (21.05.1921 წ.) და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის (12.03.1921 წ.) – მიიჩნიეს ძალადაკარგულად და გააუქმეს.

თავის მხრივ 1920 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ – ისტორიული სამართლიანობის ადგენისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის მიზნით, როგორც ეს განაცხადა მისმა თავმჯდომარემ ვლ. არძინბამ, მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის თაობაზე. დეკლარაცია აცხადებს, რომ აფხაზეთის სუვერენულობა არის აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ერთადერთი ლეგალური ფორმა. იგი ამ ხალხს ახსენებდა, რომ რესპუბლიკა, რომელიც შექმნილი იყო როგორც ხალხის ნების გამოხატულება 1921 წლის 31 მარტს, 1931 წლის აგვისტოში გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად და შეყვანილი იქნა საქართველოს სსრ შემადგენლობაში აფხაზი ხალხისა და რესპუბლიკის ყველა მცხოვრების სურვილის საწინააღმდეგოდ.

აფხაზეთისა და საქართველოს შორის ურთიერთობები გამწვავდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ. მაგრამ კონფლიქტმა პიკს მიაღწია მისი გადაყენების შემდეგ. 1992 წლის თებერვალში საქართველომ ანულირება გაუკეთა თავის 1978 წლის კონსტიტუციას, რომელშიც აფხაზეთი ნახსენები არ არის. ამის საპასუხოდ ივლისში აფხაზეთმაც გააუქმა თავისი კონსტიტუცია (1978 წ.) და დაუბრუნდა 1925 წლის კონსტიტუციას, რომელიც ადგენს, რომ აფხაზეთის საქართველოსთან

შეერთების საფუძველია ორმხრივი ხელშეკრულება. იმავე პერიოდში აფხაზეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 14 ოქტომბერს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო საქართველოსთან ახალი ხელშეკრულების პროექტზე უნდა შესდგომოდა მუშაობას. მაგრამ სესია ვერ შედგა - ზუსტად იმ დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს ჯარები შეიჭრნენ თ. კიტოვანის მეთაურობით. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლ. არძინბამ ეს ფაქტი მიიჩნია უცხო ქვეყნის ინტერვენციად და ხალხს შეიარაღებული დაცვისაკენ მოუწოდა. აფხაზები ხაზს უსვამდნენ, რომ საქართველოს ჯარების შეჭრა მოხდა გამოუცხადებლად და ამ ომს მიიჩნევენ როგორც სამამულოს (იხ. აფხაზეთის თეთრი წიგნი. 1992-1993 წწ. მოსკოვი. 1993წ. გვ.1).

## პოლიტიკური მიზეზები

აფხაზებს მიაჩნიათ, რომ ომის წამოწყების უმთავრესი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ ედ. შევარდნაძემ განაგრძო ზ. გამსახურდიას პოლიტიკური კურსი, რომლის მიზანსაც ყოფილი საქართველოს სსრ საზღვრებში ეთნიკურად ერთსახოვანი სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა. ორივე პოლიტიკოსი ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა დეკლარაციაზე მაღლა აყენებდა. მიუხედავად ამისა, შევარდნაძემ მოიპოვა როგორც გაეროს მხარდაჭერა, ისე დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერებისა თუ დსთ ქვეყნების მეთაურთა თანადგომა, რომლებმაც, გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან, განაცხადეს, რომ სსრკ-ს დაშლა უნდა შეჩერებულიყო მოკავშირე რესპუბლიკათა დონეზე, სტალინის ეპოქაში დადგენილ საზღვრებში.

კონფლიქტის სხვა მიზეზი იყო სსრკ-ს დაშლა, რამაც გამოიწვია საბჭოთა კონსტიტუციისა და სხვა სამართლებრივი აქტების გაუქმება, რომელთა საფუძველზეც წესრიგდებოდა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებისა და ამავე ავტონომიების ურთიერთობები სსრკ ფარგლებში.

ქართველმა პოლიტიკოსებმა (ასევე ,,რიგითმა ქართველებმა'') ღრმად ირწმუნეს სახელმწიფოს ისტორიული უფლება საქართველოს მიწებისადმი ლენინისა და სტალინის მიერ დადგენილ საზღვრებში და სისწორე კონცეფციისა მასპინძელი (ქართველი) და სტუმრები (მ. შ. აფხაზები) შესახებ, რომელთაც უნდა იცოდნენ თავისი ადგილი.

აი, რას წერენ აფხაზეთის თეთრი წიგნის ავტორები:

,,ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საქართველოს დაშლა და მისი საზღვრებიდან აფხაზეთისა და ოსეთის გამოყოფა მოხდა არა იმდენად ამ უკანასკნელთა, რამდენადაც საქართველოს ხელმძღვანელობის ინიციატივით. სახელდობრ, იგი აკეთებდა ყველაფერს, რათა შეექმნა ეთნიკურად ერთიანი ანტიდემოკრატიული, ნაცისტური სახელმწიფო და ყოველგვარი

ოფიციალური დოკუმენტი, მ. შ. 1931 წლის სტალინური აქტი აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შეყვანის თაობაზე, არასამართლიანად ცნო. გააცნობიერა რა ფაქტი, რომ შექმნილ სიტუაციაში ცივილიზებული ურთიერთცნობის ერთ-ერთ შანსს მოცემულ პოლიტიკურ სივრცეში შეადგენდა ორმხრივი ხელშეკრულება, აფხაზეთის ხელმძღვანელობამ (საქართველოს კვალად, რომელმაც დაიბრუნა 1921 წლის კონსტიტუცია) აღიდგინა თავისი 1925 წლის კონსტიტუცია. ეს დოკუმენტი შეიცავს მუხლს, რომელშიც ლაპარაკია აფხაზეთის გაერთიანებაზე საქართველოსთან, შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მეოხებითაც პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესაძლებლობა იქმნებოდა.

ე. შევარდნაძის მიერ ეს შანსი ხელიდან იქნა გაშვებული, რადგან მან

რომელიღაც ახალი, 3-5 დღიანი ბლიცკრიგის ვარიანტი არჩია. როგორც ძნელი არ იყო ამის განჭვრეტა, მოვლენები განვითარდა ყარაბახ-დნეპრისპირა-სამხრეთ ოსეთის სცენარის თანახმად (იხ. აფხაზეთის თეთრი წიგნი).

აფხაზები არ მალავენ, რომ დასაწყისში მათ არ ჰქონიათ განზრახული საქართველოს გამოყოფოდნენ.

## დემოგრაფიული მიზეზები

საქართველოს მხრიდან მთავარი არგუმენტი აფხაზთა პრეტენზიების გასაბათილებლად სტატისტიკური მონაცემები იყო. მათი მიხედვით, 1989 წლიდან აფხაზები აფხაზეთის მოსახლეობაში შეადგენდნენ 17.8 პროცენტს. სამაგიეროდ ქართველები – 45.7 პროცენტს. რა უფლება აქვს მოსახლეობის უმცირესობას ავტონომია საქართველოს რესპუბლიკას გამოსწყვიტოს? ასეთ ისტორიული შეკითხვებით მიმართავდა თბილისი მსოფლიო საზოგადოებრიობას.

სამაგიეროდ აფხაზები ისტორიას მიმართავდნენ. მათ მიაჩნიათ, რომ სახელდობრ ისინი არიან აფხაზეთის ერთადერთი მკვიდრი მოსახლენი, ხოლო ქართველები კი - ჩამოსახლებულები. რესპუბლიკის მოსახლეობის ამჟამინდელი ეთნიკური შემადგენლობა, აფხაზთა აზრით, არის გეგმური აქციის შედეგი, რომელსაც საქართველო ატარებდა.

ერთ-ერთი კავკასიური ომის შედეგად, რომელიც 1864 წლის მაისში დამთავრდა, მოხდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავროს საბოლოო განადგურება (ამ ომში ქართველები რუსეთის მოკავშირეები იყვნენ, აფხაზებმა კი იმპერიის წინააღმდეგ გამოსვლა გადაწყვიტეს). რუსეთმა მაშინ აიძულა აფხაზთა უმეტესობა ემიგრაციაში წასულიყო, ხოლო მათ მიერ მიტოვებულ ტერიტორიაზე ქართველები (განსაკუთრებით მეგრელები) მასობრივად დასახლდნენ. ქართველების მეორე ტალღის დასახლება აფხაზეთში 1937-1953 წლებს განეკუთვნება. მაშინ ქართველები ძირითადად სახლდებოდნენ

აფხაზურსა და ბერძნულ სოფლებში, რომლებიც ბერძნებმა 1949 წელს მიატოვეს (იხ. ქართველების ასწლიანი ომი აფხაზების წინააღმდეგ, გაგრა 1993 წელი, გვ.14 და შემდეგ).

აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებებს გამოხატავს თითქმის ყველა აფხაზურ წყაროში მოტანილი და ყველაზე პრინციპულ არგუმენტად გამხდარი ცხრილი, საიდანაც ჩანს რესპუბლიკის გეგმური „გაქართველება":

| | 1886 | 1897 | 1926 | 1936 | 1959 | 1970 | 1989 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აფხაზები | 58.963 | 58.697 | 56.918 | 61.193 | 61.193 | 83.097 | 93.267 |
| ქართველები | 4.166 | 25.875 | 67.494 | 91.967 | 158.221 | 213.322 | 239.872 |
| რუსები | 971 | 5.135 | 20.496 | 60.201 | 86.715 | 79.73 | 74.913 |
| სომხები | 1.049 | 6.552 | 30.048 | 49.705 | 64.473 | 73.0 | 76.541 |
| ბერძნები | 2.149 | 5.393 | 27.085 | 34.621 | 9.111 | 13.6 | 14.664 |

## კულტურული მიზეზები

აფხაზები ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება თბილისში ურთულებდა ან საერთოდ შეუძლებელს ხდიდა აფხაზებისათვის განათლების მიღებას აფხაზურ ენაზე, ამცირებდა აფხაზურ ენაზე სკოლების რაოდენობას, ამ ენის შესწავლის საათებს და ბოლოს, აფხაზურ სკოლადამთავრებულთ ძალზე უძნელებდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობას. სოხუმის უნივერსიტეტშიც კი, ამ სასწავლებლის სტუდენტთა გადმოცემით, აფხაზური წარმოშობის სტუდენტები დისკრიმინაციას განიცდიდნენ და მათ ძალიან ავიწროებდნენ.

იგორ აჩბა, აფხაზეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი რფ-ში, ამტკიცებს, რომ იმ დროს, როდესაც სოხუმს ქართველები აკონტროლებდნენ, ქალაქიდან გატანილი იყო აფხაზთა მატერიალური კულტურის ძეგლები (მ.შ. გაძარცული იქნა მუზეუმი), რომლებიც შემდეგ გაიყიდა თურქეთში. ბ. საგარია კი წერს, რომ დაცარიელდა სოხუმის არქივი (იხ. ბ. საგარია, „თეთრი" და „შავი" ლაქების შესახებ აფხაზეთის ისტორიაში, გაგრა, 1993).

დისკრიმინაციის ერთ-ერთ მაგალითად აფხაზებს მოჰყავთ ისიც, რომ მათ მხოლოდ 1978 წელს მიიღეს საკუთარი ტელევიზიის ამუშავების უფლება.

## აფხაზები და ქართველები

ყველაზე მეტად საზიზღარი ადამიანი აფხაზეთში ე. შევარდნაძეა, და არა მხოლოდ ოფიციალურ პროპაგანდაში, არამედ კერძო საუბრებშიც. ადგილობრივი რიგითი მოქალაქეების შეხედულებით იგი არის ოკუპანტი, სტალინისტი და ორსახოვანი იანუსი.

ე. შევარდნაძე მთავარი პერსონაჟია 1993 წელს გამოცემულ კარიკატურების კრებულისა, ყველაზე ტიპიური კარიკატურა: ჰალსტუხით დამშვენებული შევარდნაძე, იატაკზე დახოხავს და საქართველოს გეოგრაფიული ფორმის მქონე ქსოვილს ჯღლარდავს. აი, სხვა კარიკატურაც: მხარბეჭიანი სტალინი მამობრივად ეხვევა რაკეტაში ჩამჯდარ იარაღასხმულ შევარდნაძესა და კიტოვანს, რომელსაც ხელში შოლტი უჭირავს. კარიკატურას წარწერა ამშვენებს: ,,ერთგული გამაგრძელებელნი ბრწყინვალე მასწავლებელ-თანამემამულის ტრადიციებისა''. და კიდევ ერთი კარიკატურა. ტელეეკრანზე გამოდის ჰალსტუხიანი შევარდნაძე, სურათზე ეკრანს ქვემოთ მოჩანს შევარდნაძე წელს ქვემოთ, სამხედრო მწვანე ლაქებიანი ქურთუკით, ნაჯახი ქამარში, ბომბები და ტყვია-წამალი. ასეთ კარიკატურებში ქართველი მეომარი კბილებამდე შეიარაღებული ჯალათი, მძარცველი ან ... ნარკომანია.

აფხაზებთან საუბრისას არასოდეს მქონია შეგრძნება, რომ ისინი ბიოლოგიურ ზიზღს გრძნობდნენ ყველა ქართველისა და ყოველივე ქართულისადმი. ისინი სიამოვნებით ჰყვებოდნენ თავიანთი მეგობრების – ქართველების შესახებ, მეგობრული შეხვედრებისას აფხაზები მღერიან ოკუჯავას სიმღერებს (მ. შ. ,,ძველი ქართული სიმღერა''). საკმაოდ გავრცელებულია შეხედულება, რომ ქართველებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო შეიარაღებულ დაპირისპირებასთან, შეუძლიათ და უნდა დაბრუნდნენ კიდეც საკუთარ სახლებში, რაც არ ცვლის იმ უცილობელ ფაქტს, რომ ქართველები უბრალოდ ვერსად დაბრუნდებიან. მათ სახლებში უკვე ცხოვრობენ აფხაზები, ბოევიკები ჩრდილოეთ კავკასიიდან, ან კაზაკები.

კავკასიურ ომებში ჯარი, როგორც წესი, მოქმედებს აგრეთვე მშვიდობიანი მაცხოვრებლების წინააღმდეგაც. აფხაზებმაც ისევე უპირობოდ გაყარეს ქართველები, როგორც თავად იყვნენ მათ მიერ გამოყრილნი.

დასასრულს, საჭიროა დავუმატოთ, რომ აფხაზეთში, უპირველეს ყოვლისა, ქალაქებში, დღემდე ცხოვრობენ არც თუ მცირე რიცხოვნობის ქართველები (განსაკუთრებით, შერეული წყვილები). ისინი არ არიან შევიწროებულნი, თუმცა გასაგებია, ანტიქართული ისტერია მათზეც საკმაოდ მოქმედებს.

## აფხაზები და გაერო, აფხაზები და რფ

1992 წლის აგვისტოში საქართველო გაეროში მიიღეს.

როდესაც ლაპარაკობენ საქართველოს საზღვრებზე – და ასევე სსრკ-ს ყველა სახის რესპუბლიკის საძღვრებზე, – წერს ვლ. არძინბა, – არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ რესპუბლიკების გაეროში მიღება არ უნდა იყოს ისე გაგებული, თითქოს მათი ტერიტორია და საზღვრები საერთაშორისო სამართლის საფუძველზეა აღიარებული. ამ ტერიტორიასა და საზღვრებს ხომ ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. მხოლოდ ყოფილი სსრკ-ს საზღვრებია დაურღვეველი საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

არძინბა ამტკიცებს, რომ გაერომ, რომელმაც ყველაფრის მიუხედავად ცნო საქართველოს საზღვრები (მსგავსად ყველა სხვა წევრი ქვეყნის საზღვრებისა) ხელშეუხებლად, ამით დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები. ეს საზღვრები ხომ, არძინბას მტკიცებით, დაადგინა ხელისუფლებამ, რომელიც თავად საქართველოს მიერ არის ამჟამად არალეგიტიმურად ცნობილი.

საინტერესო შეხედულება გამოთქვა გუდაუთაში ჩემთან შეხვედრისას იახია კაზანმა, რომელიც აფხაზეთში ამერიკულ ორგანიზაცია – ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრს წარმოადგენს.

,,მსოფლიომ დაგმო სტალინი, მაგრამ მხარს უჭერს მის მიერ საფუძველჩაყრილ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას. საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაეროს მეთაურობით, არ სურთ დაეხმარონ აფხაზეთს და იშველიებენ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. მიუხედავად ლამაზი ლოზუნგებისა, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელი მცირე ერების წლად არის გამოცხადებული, ყველა ეს დაწესებულება მოქმედებს ექსკლუზიური კლუბების პრინციპით: ხარ ჩვენი წევრი, დაგიჭერთ მხარს, არ ხარ, ამის იმედი ნუ გექნება. საერთაშორისო საზოგადოებრიობა მხოლოდ იმიტომ უჭერს მხარს საქართველოს, რომ შევარდნაძე პოპულარულია დასავლეთში''.

აფხაზები წყენით საუბრობენ რუსეთზეც, რადგან მიაჩნიათ, რომ რუსეთმა მიატოვა ისინი. აფხაზები დარწმუნებული არიან, რომ რუსეთმა ისინი თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა. აი, ზოგიერთი დამახასიათებელი საუბარი, რომლებიც სოხუმის ქუჩებში მოვისმინე:

,,თავდაპირველად ისე ჩანდა, თითქოს რუსეთი ჩვენ გვიჭერდა მხარს, მაგრამ ახლა ვხვდებით, რომ მხოლოდ სათამაშო ბანქო ვყოფილვართ მის ხელში. საკმარისი იყო საქართველოს დსთ-ში შეყვანა. როდესაც ეს მოხდა, ჩვენ უკვე აღარა ვართ რუსეთისათვის საჭირო და მოსკოვი ბლოკადას გვიკეთებს''.

მიუხედავად ყველაფრისა, აფხაზებს, რომლებთანაც მე მისაუბრია, ურჩევნიათ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში იხილონ, რომელიც მათ თვალში სტაბილურობისა და საიმედოობის გარანტს წარმოადგენს.

## აფხაზეთის მომავალი

ვლადისლავ არძინბამ ჩემთან საუბარში აფხაზეთი წარმოადგინა როგორც სრულიად სუვერენული სახელმწიფო, რომელიც მიისწრაფის დემოკრატიული ქვეყნების ოჯახში გასაწევრიანებლად.

„...ჩვენი პარლამენტი იღებს ყველა საერთაშორისო სამართლის ნორმებს და რატიფიკაციას უკეთებს ყველა იმ დოკუმენტს, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს. აფხაზეთის საერთაშორისო ფორუმზე ცნობის გზა სამწუხაროდ გრძელი და რთულია. ჩვენ უკვე შევძელით გაგვეკეთებინა პირველი ნაბიჯები, ახლა მოთმინებით უნდა აღვიჭურვოთ".

ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად, რომელიც აფხაზეთმა უნდა გადაჭრას,

არძინბას მიაჩნია ორმხრივი ურთიერთობების დარეგულირება საქართველოსთან, რფ-თან ორმხრივ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზური ხელისუფლების გაძლიერება, ყოველდღიური ცხოვრების ნორმალიზაცია და ასევე ახალი კონსტიტუციის შემუშავება, რომელიც საბოლოოდ რეფერენდუმზე უნდა მიიღოს მთელმა მოსახლეობამ. ისიც უნდა დავუმატოთ, რომ აფხაზებს შორის არძინბა უდიდესი პატივისცემით და ნდობით სარგებლობს. მას, უპირველეს ყოვლისა, პატივს მიაგებენ ცოდნის, განათლების, სიბრძნის, მოქმედების თანმიმდევრულობისათვის, სიმტკიცისა და აგრეთვე მოლაპარაკებების წარმართვის ცოდნისათვის. მას ახასიათებენ როგორც მხსნელს. მისი პორტრეტები, მართალია არ ამშვენებს აფხაზეთის ქუჩებსა და კედლებს, მაგრამ, როდესაც არძინბას მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ვუჩვენე მძღოლს, რომელსაც რუსეთის საზღვრისაკენ მივყავდი, იგი ზედ გადამყვა და ჩემთვის არაფერი დაუშურებია.

**გაზეთ „თასი და მახვილი", 1995 წლის ოქტომბერი**

## 10. შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში

პეტრე ბორავსკის წინამდებარე სტატია პოპულარულ ყოველთვიურ ჟურნალ „პოლიტიკური პრობლემების" 2003 წლის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლას ამიერკავკასიის მრავალ რეგიონში ეთნიკური კონფლიქტების წარმოშობა და გააქტიურება მოჰყვა. ზოგიერთი მათგანი, რომლებიც სეპარატისტული განწყობილებებით იყო ნაზავი,

მრავალწლიან და სისხლიან ომებში გადაიზარდა. სახელდობრ, ასეთი კონფლიქტების რიცხვს მიეკუთვნება ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტიც.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ათეული წლების მანძილზე საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთ უმდიდრეს პროვინციას წარმოადგენდა, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის, იქაური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადისლავ არძინბას ხელშეწყობით უსაზღვრო ძალადობისა და უნაპირო სიღატაკის ადგილად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რვა წელია, რაც დასრულდა 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, ამ ამბოხებულ რესპუბლიკაში არ იქნა და არ დამყარდა წესრიგი. აფხაზეთიდან 290 ათასი ქართველის გამოძევების, რომლებიც ამ ნახევარმილიონიან რესპუბლიკაში მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს შეადგენდნენ, და ასევე ადგილობრივი რუსების, ბერძნების, სომხების და ასევე აფხაზთა ნაწილის პროვინციიდან მასიური აყრისა და გასახლების მიუხედავად, ეს მხარე მაინც წარმოუდგენელ ქაოსშია ჩაძირული. ნაცვალდ იმისა, რომ არძინბას თავისი დაპირება შეესრულებინა, რომელიც აფხაზთა მიწაზე სამოთხის დამყარებას გულისხმობდა, აფხაზებმა მიიღეს მთელ მსოფლიოში არავისგან აღიარებული სახელმწიფო, რომელშიც გაბატონებულია ბანდიტიზმი, სიღატაკე, კანონებისა და უცხოს საკუთრების ფეხქვეშ გათელვის მასიური უპრეცენდენტო მაგალითები. ,,დამოუკიდებელ" აფხაზეთში ხელისუფლება ხელთ უპყრია ომისაგან დემორალიზებულ აფხაზთა კლანს. რესპუბლიკის ერთერთი ნაწილი, გალის რაიონი, ანტიაფხაზურ პარტიზანებს აქვთ ხელში ჩაგდებული. კოდორის ხეობა, რომელიც ამ რესპუბლიკის ტერიტორიის 10%-მდე მოიცავს იქაურ ქართველთ ხელთაა, რომლებიც არ ცნობენ არძინბას სეპარატისტულ რეჟიმს. ის მოჩვენებითი სიმშვიდეც კი, რომელსაც საქართველოს არმიასა და აფხაზეთის მილიციას შორის აქვს ადგილი, დსთ-ს სამშვიდობო ძალების რუსეთის ნაწილების მიერ არის დამყარებული.

პოლიტილოგთა უმეტესობას მიაჩნია, რომ აფხაზეთის კონფლიქტი არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორი ორმაგი სტანდარტები აქვს მოსკოვს ეთნიკურ-პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად. როგორც მეფის, ისე საბჭოთა რუსეთისათვის, ქართველები, რომელთაც გააჩნდათ დამოუკიდებლობის მძაფრი შეგრძნება და ასევე იმის გამოც, რომ მათთვის დამახასიათებელია ტემპერამენტი და მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი, იყვნენ იმდენად საშიში, რომ მოსკოვი ატარებდა ამ რესპუბლიკაში მცხოვრები მცირე ერების გაძლიერების პოლიიტიკას ქართველი ხალხის ხარჯზე. ამგვარი პოლიტიკის შედეგები განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც საქართველოს საზღვრებში შედიოდა. 1990 წლის იანვრის აღწერის მასალების მიხედვით აქ ცხოვრობდა: 44% ქართველი, 17% აფხაზი, 16% რუსი, 15% სომეხი და ასევე მრავალი სხვა მცირე ეთნიკური ჯგუფი. მათგან

განსაკუთრებით აღსანიშნავია უკრაინელები, ბელორუსები, ლატვიელები და ესტონელები. ამ რესპუბლიკაში მოქმედი საარჩევნო კანონი, რომელიც აფხაზებს მკვიდრ მოსახლეობად მიიჩნევდა, მათთვის უზრუნველყოფდა ადგილობრივ პარლამენტსა თუ ხელისუფლების ორგანოებში ყველაზე მეტ ადგილს. თუ ამას ზოგიერთ სხვა სამართლებრივსა თუ ეკონომიკურ პრივილეგიასაც დავუმატებთ, რაც აფხაზებისათვის ადგილობრივ ადმინისტრაციაში უმაღლეს თანამდებობას უზრუნველყოფდა, მაშინ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართველებს თავი მეორეხარისხოვან ადამიანებად მიაჩნდათ. ცეცხლზე ნავთი გადაასხა აფხაზი ინტელიგენციის პეტიციამ, რომელიც მათ 1956,1967, 1978 და 1989 წლებში მოსკოვში გაგზავნეს. მასში სსრკ-ს უმაღლესი ხელისუფლებისადმი იყო თხოვნა იმის შესახებ, რომ აფხაზეთი გამოეყვანათ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობიდან და გარდაექმნათ იგი მოკავშირე რესპუბლიკად.

მიუხედავად იმისა, რომ კიდევ დიდხანს არ გვეცოდინება ყველა ის ფაქტი, რომლებიც დაკავშირებულია აფხაზეთში კონფლიქტის წარმოშობასა და მსვლელობასთან, უკვე დღეს ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ 1992 წლის ივლისის აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ დეკლარაცია, ანუ გადაწყვეტილება საქართველოდან გამოყოფის შესახებ, სეპარატისტების მიერ დაგეგმილი და შეთანხმებული იყო  მოსკოვში მოქმედ მრავალ დისიდენტურ ცენტრთან. ლტოლვილობაში (თბილისში) მყოფი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს, ანუ აფხაზეთის ლეგალური პარლამენტის თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ამტკიცებს, რომ ,,ევროპა არ ფლობს ობიექტურ ინფორმაციას აფხაზეთის შესახებ. მოსკოვი მოვლენათა მსვლელობას წარმოადგენს როგორც დაჩაგრული აფხაზების ამბოხს ქართველი ოკუპანტების წინააღმდეგ. და ეს იმ დროს, როდესაც სახეზეა კლასიკური სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც მოსკოვის მიერ არის ინსპირირებული”. აფხაზეთის დამოუკიდებლობის დეკლარაცია შემთხვევით როდი დაემთხვა ზვიადისტების, ანუ დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეთა ანტისამთავრობო გამოსვლებს საქართველოს ზოგიერთ დასავლეთის რეგიონში. ამ ნაბიჯის გადადგმისას სეპარატისტთა ლიდერს ჰქონდა იმედი, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას არ ეყოფოდა ძალები წინ აღსდგომოდა აფხაზეთის  გამოყოფისაკენ მიმართულ მოძრაობას.

1992 წლის 23 ივლისში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ ქართული და ნაწილობრივ, აფხაზური დეპუტატების ნება-სურვილის მიუხედავად გამოცხადებულმა დამოუკიდებლობამ შედეგად ის მოიტანა, რომ აფხაზეთის პარლამენტი და მთავრობა ორ ნაწილად დაიშალა. კერძოდ, მის ერთ ნაწილს წარმოადგენდნენ დეპუტატები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ავტონომიის დარჩენას საქართველოს საზღვრებში, ხოლო მეორე ნაწილს დეპუტატები, რომლებიც თბილისისაგან სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ.

დეპუტატების პირველმა ნაწილმა, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ვლ. არძინბას, ახალი საპარლამენტო ფრაქცია - ,,დემოკრატიული აფხაზეთი'' შექმნეს. ფრაქციის წევრები მოითხოვდნენ საბჭოს დაუყოვნებლივ დაშლას და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. ამ დეპუტატების აზრით, ახლად არჩეული პარლამენტი უფლებამოსილი იქნებოდა გადაეწყვიტა აფხაზეთის ბედ-იღბალი ამ რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის ნებისა და სურვილის შესაბამისად. სეპარატისტებმა კარგად უწყოდნენ, რომ ამგვარ არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწევდნენ და ამიტომ გადაწყვიტეს შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება. უკვე 1992 წლის 24 ივლისს მათი საბრძოლო რაზმები მიეჭრნენ და სასტიკად სცემეს ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, წარმოშობით ქართველი გივი ლომინაძე. ვლადისლავ არძინბამ მის ადგილას აფხაზი დანიშნა. ამგვარმა საკადრო ცვლილებამ კარგად დაანახა საქართველოს ხელისუფლებას, რომ მშვიდობიანი გზებით შეუძლებელი იქნებოდა აფხაზეთში სეპარატიზმის პრობლემის მოგვარება. ამიტომ საქართველოს იმდროინდელმა ხელმძღვანელმა ედუარდ შევარდნაძემ 13 აგვისტოს აფხაზეთში საქართველოს ეროვნული გვარდიის ნაწილები გაგზავნა. მანამდე ამ ნაწილებს დასავლეთ საქართველოში დამარცხებული ჰყავდათ ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრე აჯანყებული საჯარისო ფორმირებები. ქართველებს სეპარატისტებთან ანგარიშის გასწორება რთულ ამოცანად არ მიაჩნდათ. ქართული მოსახლეობის სიჭარბის პირობებში აფხაზურ მოსახლეობასთან შედარებით, რომელთაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, თბილისელ პოლიტიკოსთა აზრით, შექმნილ ვითარებას რაიმე საშიშროების შექმნა არ შეეძლო ქართული სახელმწიფოს ერთიანობისათვის.

უკვე 14 აგვისტოს საქართველოს ეროვნულმა გვარდიამ, რომელსაც მხარს ,,მხედრიონიც'' უჭერდა, დაიკავა ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი სოხუმი. ქართველთა ამ გალაშქრებას ხელმძღვანელობდა ქვეყნის თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი. ამ ინტერვენციის მიზეზად დასახელდა ,,დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეთა შეიარაღებულმა ბანდების ლიკვიდაცია'' და ასევე სატრანსპორტო ხაზების, განსაკუთრებით სარკინიგზო ხაზის – ქუთაისი-სოხუმი-გაგრა-სოჭის დაცვა აფხაზთაგან. მართლაც, ამ შეიარარებულმა ბანდებმა, რომლებიც ძარცვავდნენ როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო ვაგონებს, ქვეყანას მხოლოდ 1992 წელს დაახლოებით 12 მილიარდი რუბლის ზარალი მიაყენეს. ამ სატრანსპორტო არტერიებით საქართველო რუსეთიდან მარაგდებოდა როგორც სურსათით, ისე სამრეწველო პროდუქციით. ამიტომ, ქართულ პოლიტიკურ პარტიათა, და მათ შორის, ოპოზიციურ პარტიათა, უმრავლესობამ აფხაზეთში ჯარების შეყვანა სწორ ნაბიჯად მიიჩნიეს.

ქართველთა ამ ნაბიჯით გაოგნებულმა აფხაზებმა მოკლე ხანში აფხაზეთის ტერიტორიის 80 პროცენტამდე დატოვეს. ქართველებმა აფხაზთა

სამხედრო ნაწილები განდევნეს სოხუმიდან და გაგრიდან. სეპარატისტთა ნაწილებმა თვითმარქვია აფხაზ პარლამენტარებთან და მთავრობასთან ერთად უკან, ქართველების მიერ დაუკავებელი გადაუთისაკენ დაიხიეს. მათ მხარს უჭერდა ასევე ბომბორის აეროპორტში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზაც. ამ დროს ფრაქცია ,,დემოკრატიული აფხაზეთის" დეპუტატებმა აირჩიეს ახალი უმაღლესი საბჭო თამაზ ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით.

ქართველთა შეტევა რუსეთის მხარის მოთხოვნით იქნა შეჩერებული. რუსებმა, რომელთაც სურდა რა ეხსნა აფხაზები საბოლოო დამარცხებისაგან, ქართველები აიძულეს არძინბას სეპარატისტებთან ხელი მოეწერათ 3 სექტემბრის ხელშეკრულებისათვის, რაც იარაღის დაყრას ითვალისწინებდა. მცირე დროის შემდეგ აღმოჩნდა, რომ აფხაზებმა საომარი მოქმედებების შეწყვეტით ისარგებლეს და თავიანთი ძალების განმტკიცებას შეუდგნენ. ეს ძალები მათ გაამაგრეს ასევე რუსეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან მოწვეული მებრძოლებითაც. ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებში, რომლებიც რუსეთის საზღვრებში შედიან, შეუდგნენ იმ მებრძოლთა შეკრების პუნქტების გახსნას, რომლებსაც სურდათ აფხაზთა მხარეს ქართველთა წინააღმდეგ ებრძოლათ. მართლაც მალე ჩრდილოეთ კავკასიაში 10 ბატალიონი ჩამოყალიბდა, რომლებიც შედგებოდა რუსების, ჩეჩნების, ჩერქეზების, ინგუშების, ოსების, კაზაკების და რუსებისაგან. ცალკე ბატალიონი შექმნეს აფხაზეთში მცხოვრებმა სომხებმაც. ამ სამხედრო ნაწილებში მსახურობდნენ პროფესიონალი ჯარისკაცები და ოფიცრები, რომელთა უმრავლესობასაც ავღანეთში ჰქონდათ საბრძოლო გამოცდილება მიღებული. ვფიქრობ, რომ აფხაზეთის ქართველთა, რომლებიც მთელ საბჭოთა კავშირში ცნობილი იყვნენ თავიანთი სიმდიდრით, ბინებისა და ქონების დასაკუთრება იყო ის ძირითადი მოტივი, რაც ამ ხალხს აიძულებდა ,,ძმური" დახმარება აღმოეჩინათ აფხაზებისათვის. აფხაზურ კონფლიქტში მონაწილეობა მიიღეს ასევე იმ აფხაზთა შთამომავლებმა, რომლებიც კავკასიიდან ჯერ კიდევ XlX საუკუნეში რუსთა ხელმწიფემ გააძევა. აფხაზეთში ჩამოსული ეს ხალხი, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა ,,თურქებს" ეძახდა, კავკასიელთათვისაც კი მიუღებელი ულმობელობით ხასიათდებოდნენ. და მაინც, ყველაზე სერიოზული და ეფექტური მხარდაჭერა აფხაზებმა რუსთაგან მიიღეს, რომლებიც ოფიციალურად კონფლიქტის მხარეს არ წარმოადგენენ. რუსები არამხოლოდ თავიანთ საზღვარზე ატარებდნენ ,,მონადირეთა" რაზმებს, რომლებიც არძინბას სეპარატისტთა დასახმარებლად მიიჩქაროდნენ, არამედ აფხაზთა მხარე აღჭურვეს მრავალგვარი საბრძოლო იარაღით, მათ შორის, ტანკებით: თ-72 და თ-80-ით. უფრო მეტიც, რუსები აფხაზთა ქართველებზე თავდასხმის მხარდაჭერას ჰაერიდან თავიანთი თვითმფრინავებით უზრუნველყოფდნენ. ქართული წყაროების მიხედვით, კავკასიელ ,,მონადირეთა" 30 პროცენტს რუსი ჯარისკაცები შეადგენდნენ.

აფხაზური არმიის კარგად შეიარაღებისა და დაქირავებულ მებრძოლთა საშუალებით მომძლავრების შემდეგ მათ ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლა წამოიწყეს. მათ რუსეთის ავიაციის დახმარებით სამდღიანი დაბომბვებისა და სახმელეთო ბრძოლების შემდეგ აიღეს გაგრა, რომელიც თითქმის მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული. მძარცველებმა დაკავებული ქალაქი იავარჰყვეს. იქაური სამოქალაქო მოსახლეობა, რომელიც უმთავრესად ქართველი ქალების, მოხუცებისა და ბავშვებისაგან შედგებოდა, მრავალი დღის მანძილზე უსასტიკეს რეპრესიებს განიცდიდა აფხაზი ,,ჯარისკაცებისა'' და მათი ჩრდილოეთ კავკასიელ მხარდამჭერთა მხრიდან. ამ ამბების მაშინდელი მონაწილის თამაზ ნადარეიშვილის განცხადებით, სეპარატისტები ,,ცოცხალ ადამიანებს აჭრიდნენ თავებს, ხელებსა და ფეხებს, ასევე ყურებს, სასქესო ორგანოებს, ქალებს აჭრიდნენ მკერდს და როგორც ქარვის მძივებს, კისერზე იკიდებდნენ. მშობლებისა და ქმრების თვალწინ აუპატიურებდნენ ქალებსა და ბავშვებს, მათ შორის მცირეწლოვანებს. ისინი ჯერ ძარცვავდნენ, ხოლო შემდეგ ცეცხლს უკიდებდნენ ქართველთა ავლადიდებას''. მიისწრაფოდნენ რა იქით, რომ აეძულებინათ ქართველები დაეტოვებინათ აფხაზეთი, მუსრს ავლებდნენ ქართულ ინტელიგენციას – ექიმებს, მასწავლებლებს, ჟურნალისტებს, მეცნიერებს, მწერლებს. აღვსილნი უსაზღვრო სიძულვილის გრძნობით ქართველების მიმართ, აფხაზები და მათი მოკავშირეები თვალებს თხრიდნენ ბავშვებს, ოთხში იღებდნენ და წვავდნენ ადამიანებს. ცნობილია შემთხვევები, როცა აფხაზები, სურდათ რა დაემტკიცებინათ პატრიოტობა, საკუთარი ხელით კლავდნენ თავიანთ ქართველ ცოლებს და მათგან გაჩენილ ბავშვებს.

მოწინააღმდეგის ასეთი მოულოდნელი გააქტიურებით გაოგნებულ, ძირითადად მსუბუქი იარაღით აღჭურვილ ქართველებს ,,აფხაზთა'' შემოტევების შეჩერებას უძნელებდა საკუთარ ზურგში ყოფილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახუდიას მომხრეთა შეიარაღებული გამოსვლებიც.

რუსეთის მოთხოვნით 1993 წლის 27 ივლისს სოჭში ხელი მოეწერა მორიგ შეთანხმებას, რომელიც სეპარატისტ აფხაზებსა და ქართველებს შორის საომარი მოქმედებები შეწყვეტას ითვალისწინებდა. ხელშეკრულების ძალით მოწინააღმდეგე მხარეებს მძიმე იარაღი საომარი მოქმედებებით მოცული ტერიტორიიდან უნდა გაეტანა. ამის შემდეგ მებრძოლ მხარეებს მეთვალყურეების თანდასწრებით, რომლებიც რუსებისა და საბრძოლო მოქმედებებში აღმოჩენილი მხარეების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, ბრძოლის არენიდან უნდა გაეყვანათ ყოველგვარი რეგულარული თუ პარამილიტარული ძალები. ქართულმა მხარემ მართლაც შეასრულა ხელშეკრულების მოხოვნები და მძიმე იარაღი სოხუმის რეგიონიდან გაიტანა. აფხაზებმა კი შექმნეს ილუზია, თითქოს მძიმე იარაღი და ტანკები გაჰქონდათ ქალაქიდან და მათი ნაწილი კვლავ ძველ ადგილებში მალულად დატოვეს. სიტუაციის დასტაბილურება როგორც საერთოდ აფხაზეთის ავტონომიურ

რესპუბლიკაში და განსაკუთრებით იქ, სადაც ეთნიკურად უფრო ჭარბ მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ, არ აწყობდათ აფხაზ სეპარატისტებს. ამიტომ მათ უკვე 1993 წლის 15 სექტემბერს დაარღვიეს ხელსეკრულება და სოხუმს შეუტიეს. ,,მათ მთავარ ძალას კაზაკები წარმოადგენდნენ, შემდეგ მიდიოდნენ აფხაზები, ჩეჩნები, ადიღეები, - სულ მთლიანობაში 10 ბატალიონი''. შემონახულია თვითმარქვია აფახაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დოკუმენტები, რომ აფხაზ სეპარატისტებს მხარს უჭერდნენ პროფესიონალი რუსი ოფიცრები, ხოლო აფხაზთა ნაწილები რუსული სამხედრო ტექნიკით მარაგდებოდნენ. აფხაზეთის მხარის ცალკეული სარდლები ქირაობდნენ აფხაზურ ,,არმიას'', ტანკებსა და თვითმფრინავებს შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ. ,,სოხუმზე საჰაერო შეტევის დროს, – წერს პოლონელი ისტორიკოსი ვოიცეხ მატერსკი, – რუსეთის თავდაცვის მინისტრმა პავლე გრაჩოვმა ქართველებს შესთავაზა დაზავების საკუთარი ვარიანტი. მისი მიხედვით, უნდა მომხდარიყო აფხაზური და ქართული სამხედრო ნაწილების დაშორიშორება და შუაში რუსული არმიის ორი დივიზიონი და ერთი ბრიგადა უნდა ჩამდგარიყო. ეს კი მებრძოლ მხარეთა სამხედრო ნაწილებთან შედარებით საკმარისად სერიოზული ძალები იყო. შევარდნაძემ თავდაპირველად უარყო გრაჩოვის წინადადება, მაგრამ ორდღიანი ბრძოლების შემდეგ, ნახა რა ქართული ჯარების წარუმატებლობა, გადაწყვიტა მიეღო ასეთი წინადადება. მაგრამ ახლა უკვე გრაჩოვი აღარ იყო თანახმა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ საკმაოდ გვიანაა იმისათვის, რათა შესაძლებელი ყოფილიყო აფხაზთა კონტრშეტევების მოგერიება. როგორც ახლა ჩანს, ეს ყველაფერი უაღრესად ცინიკურ თამაშს წარმოადგენდა. აფხაზთა ყველა უმთავრეს შეტევებში ხომ გრაჩოვს დაქვემდებარებული რუსეთის სამხედრო საჰაერო ავიაცია მონაწილეობდა, ხოლო უშუალოდ სოხუმის აღებაში კი მონაწილეობდნენ აფხაზეთში დისლოცირებული რუსული ბაზების ტანკები თ-72 და თ-80.

ქართველთა სამხედრო ნაწილები, რომლებსაც ჩამორთმეული ჰქონდა მძიმე ტექნიკა, ქალაქის 11 დღის მანძილზე ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან დაბომბვის შემდეგ უკუიქცნენ. მიტოვებულ ქალაქში აფხაზებმა ქართველი მოსახლეობის სისხლიანი კალო დადგეს. აფხაზებმა და მათმა მოკავშირეებმა, ისარგებლეს რა საქართველოს ეროვნულ არმიაში და ასევე პარამილიტარიზებულ ,,მხედრიონში'' ჩამოვარდნილი პანიკით, რამდენიმე დღის მანძილზე მთელი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია ხელთ იგდეს.

ვფიქრობ, მართალია აფხაზეთის ამჟამინდელი, ლტოლვილობაში მყოფი ლეგალური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი, როდესაც ამბობს, რომ ,,ქართველებს ომი მოუო არა აფხაზებმა, არამედ რუსულმა იარაღმა და ფულმა''. უკვე დღეს არავისათვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის არმია აფხაზურ მხარეს ეხმარებოდა

თავისი თვითმფრინავებით, ტანკებით, პროფესიონალი ოფიცრებით და ასევე ყველა ჯურის მონადირეებით. ქართველ ხელისუფალთა კონტროლის დაწესების ყველა მცდელობა აფხაზეთის ტერიტორიაზე, მათი მხრიდან იარაღით მუქარასთან იყო გათანაბრებული. ქართველი პოლიტიკოსები, მიუხედავად იმისა, ოპოზიციაში იმყოფებიან თუ არა, ერთხმად იზიარებენ აზრს, რომ თუმცა რუსეთი ქართველ-აფხაზთა კონფლიქტში ოფიციალურად ნეიტრალიტეტს აცხადებდა, ფაქტობრივად ამ კონფლიქტში მონაწილეობდა. ომის ვეტერანთა აზრით, რუსეთის სინდისზეა ასევე აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მიმართ აფხაზებისა და რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული ,,მონადირეების'' მიერ განხორციელებული დანაშაულობებიც.

ეთნიკური წმენდა, რომელიც 1992-1993 და 1998 წლებში აფხაზეთში ქართველი ხალხის მიმართ განხორციელდა და რომელსაც შედეგად მოჰყვა დაახლოებით 230 ათასი ქართველისა და ამ ქვეყნის ხელისუფლების ლეგალურად მხარდამჭერთა განდევნა აღნიშნული კუთხიდან, ნათლად გვიჩვენებს, რომ არძინბას სეპარატისტული რეჟიმი ახორციელებს გეგმას, რომლის მიზანსაც აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორება წარმოადგენს.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ქართველ-აფხაზთა კონფლიქტში კავკასიის მთიანი ხალხის კონფედერაციის ჩართვას მოსკოვმა იმ მიზნით მიმართა, რომ ხელი შეეწყო ამ ,,ტერორისტთა ბანდის'' განადგურებისათვის, როგორც ამ ორგანიზაციას თავის დროზე ბორის ელცინმა უწოდა. მაგრამ რუსეთმა სრულიად სხვა გზა არჩია. მოსკოვმა იგრძნო რა, რომ შევარდნაძე საქართველოს რუსეთისაგან სრული ჩამოშორებისაკენ ესწრაფოდა, გადაწყვიტა ქრისტიანული საქართველო მაჰმადიანური ჩრდილოეთ კავკასიისათვის წაეკიდებინა. ამის წყალობით ურთიერთგადაკიდებული მხარეების გამშველებელს საშუალება ექნებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების სადავეები საკუთარ ხელში ჰქონოდა და კონტროლი დაეწესებინა ისეთ სტრატეგიულ რეგიონზე, როგორსაც საქართველო წარმოადგენს.შეიძლება ოდნავ გადავუხვიოთ თემას და ვთქვათ, რომ პრეზიდენტის პოსტზე კრემლს გაცილებით აწყობდა ზვიად გამსახურდია, ვიდრე ედუარდ შევარდნაძე. მიუხედავად თავისი ანტირუსული რიტორიკისა, მას გამსახურდიას მანიპულირება უფრო შეეძლო, ვიდრე შევარდნაძის. ამ უკანასკნელის პოზიცია იანაევის პუტჩის დროს მოწმობს, რომ იგი ეროვნულ-პატრიოტული ლოზუნგებით ნიღბავდა თავის უპრინციპობას და პოლიტიკური პროგრამის ნაკლს. სამაგიეროდ შევარდნაძე, თითქმის თავისი ხელისუფლების დასაწყისიდანვე მიისწრაფოდა საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროდან გამოყვანისაკენ.

ფსონი, რომლის გარშემოც აფხაზეთში ბრძოლა მიმდინარეობს, ძალზე დიდხანს თავად არძინბას უახლოესი თანამებრძოლებისათვისაც კი არ იყო ცნობილი. ზოგიერთ მათგანს დიდხანს მიაჩნდა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დროს მათ მოხერხებულად გამოიყენეს

თავისი რუსი პროტექტორის - რუსეთის სამხედრო პოტენციალი, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ რუსეთს სრულიადაც არ ეხატება გულზე აფხაზთა ეროვნული მისწრაფებანი, ეს ზოგიერთი მათგანისათვის ნამდვილ კატასტროფას ჰგავდა. ერთ-ერთი მათგანი, ზურაბ აჩბა, რომელიც აფხაზთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა ქართველებთან მოლაპარაკებებში, რუსულ გაზეთ ,,ვრემიასათვის" 1998 წლის ივნისში მიცემულ ინტერვიუში ამბობს: ,,ამ ბოლო დროს მივხვდი, რომ აფხაზეთის კონფლიქტს დასასრული არ აქვს. რუსეთს არა სურს კონფლიქტის გადაჭრა, რამეთუ იგი ერთობ სასარგებლოა. აფხაზეთი მისთვის ტაქტიკური საშუალებაა, ხოლო საქართველო სტრატეგიული მიზანი. აფხაზეთის დახმარებით რუსეთი საქართველოს თავისი გავლენის სფეროში აკავებს". ამავე ინტერვიუში აჩბა ამტკიცებს, რომ აფხაზეთის სუვერენიტეტის პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ამ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის, და მათ შორის ქართველების, თანაბარ უფლებებთან. ინტერვიუში პოლიტიკოსი იმასაც ამბობს, რომ ვიდრე აფხაზეთში ყველა ლტოლვილი არ დაბრუნდება, ხელისუფლებას არა აქვს არავითარი უფლება გადაჭრას რესპუბლიკის დამოუკიდებლობის პრობლემა. აფხაზეთის მოსახლეობაში უაღრესად პოპულარული აჩბა გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს 2000 წლის ივლისში სოხუმში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მთავრობა, რომელიც ლტოლვილობაში თბილისში მოღვაწეობს, წლების მანძილზე აგროვებს ქართველ-აფხაზთა კონფლიქტისა და განსაკუთრებით ქართველების მიმართ აფხაზების მიერ ჩადენილი მხეცობების შესახებ მასალებს. საქართველოს ქალაქებში ცხოვრობს დაახლოებით 228 ათასი აფხაზეთიდან ლტოლვილი ანუ ყოფილი ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობა. არძინბას მიერ შექმნილ ამ თვითმარქვია ,,სახელმწიფოში" მაქსიმუმ 145 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ისინი არიან ძირითადად აფხაზები, სომხები და რუსები. საქართველოს გარდა ამ კუთხის დანარჩენმა მოსახლეობამ თავშესაფარი ჰპოვა რუსეთში (40 ათასი) და უკრაინაში (38 ათასი).

ყველაზე მეტი ქართველი ცხოვრობს გალის რაიონში.აფხაზთა აღრიცხვის მიხედვით, 40 ათასი, ხოლო ქართველთა აღრიცხვით – 20 ათასამდე. ეს ძირითადად ხანშიშესული გლეხობაა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვით ირჩენს თავს. მათ ელემენტარული უფლებებიც კი ჩამორმეული აქვთ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის ანზორ ლაცუსბაიას განცხადებით, სეპარატისტები ხოცავენ ადგილობრივი სოფლების ქართულ მოსახლეობას თითქმის რუსი მშვიდობისმყოფელთა თვალწინ. 1998 წელს ქართველი პარტიზანების მოქმედებების საპასუხოდ სეპარატისტების მილიციამ გალის რაიონის რამდენიმე ქართული სოფელი გადაწვა.

ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე სიმშვიდეს, გარდა რუსული ძალებისა, იცავს გაეროსა და ეუთოს ძალები, სადაც პოლონელებიც მსახურობენ. ამასთან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზური კონფლიქტის გადაჭრის გასაღები მოსკოვში ძევს. ეს უკანასკნელი კი, დამოუკიდებელი ექსპერტების განცხადებით, არ ჩქარობს ეს ამბოხებული კუთხე დედა-საქართველოს დაუბრუნოს. ედუარდ შევარდნაძის პროდასავლური პოლიტიკა უკვე წლების მანძილზე იწვევს არა მხოლოდ რუსი გენერალიტეტის უკმაყოფილებას, არამედ იმ რუსული პოლიტიკური წრეებისაც, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროში დარჩენით.

## 11. ამერიკელები კავკასიაში

პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ნატოს დაინტერესება ყველაზე მეტად საქართველოსა და აზერბაიჯანში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიმართ იგრძნობა. თავის მხრივ, არც საქართველოსა თუ აზერბაიჯანის ხელისუფალნი მალავენ მისწრაფებას დასავლეთის, ჩრდილოატლანტიკის, ევროკავშირის სამხედრო თუ პოლიტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ. დღეს თავად ამ ქვეყნების პოლიტიკოსებისთვისაც ძნელია იმის ნათლად წარმოდგენა, თუ რაოდენ მჭიდროდ დაუკავშირდა მათი რეგიონი, ანუ ამიერკავკასია ამ ბოლო წლებში შეერთებულ შტატებსა და ევროპას. ერთი რამ კი ნათელია, რომ ამგვარი საგარეო პოლიტიკა მოითხოვს საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობების არა მხოლოდ ძირფესვეულ გარდაქმნას, არამედ მათი შეიარაღებული ძალების ახლებურად ფორმირებასაც. ოფიციალური წრეებისა თუ დამოუკიდებელი პოლიტოლოგების განცხადებით, საქართველოში გონიერი ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებლად აუცილებელია მთელი ამიერკავკასიის პოლიტიკური სტაბილურობა და ასევე ამ რეფორმების მძლავრი სახელმწიფოების მხრიდან მფარველობა.

1999 წლის ნოემბერში ბრიუსელში ჩატარებულ ნატოს ეკონომიკურ ფორუმზე პირველად იყო წარმოდგენილი ამიერკავკასიის უშიშროება ამ რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური უშიშროების უზრუნველყოფის კუთხით. საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის ამჟამად უაღრესად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს კასპიის ზღვიდან ევროპამდე ნავთობის შეუფერხებელი მიწოდება. როგორც ცნობილია, ამ პრობლემის გადაჭრა სცილდება სამხრეთ კავკასიის საზღვრებს. უკვე დღეს, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, თუ როგორც იქცა ამიერკავკასია ამერიკული გლობალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტად, რომლის ერთ-ერთ

პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს შუა აზიიდან ჩრდილო კავკასიის გავლით ევროპის სატრანსპორტო გზების კონტროლი. შეერთებული შტატები, აძლიერებენ რა თავიანთ გავლენას ამიერკავკასიაში, რა თქმა უნდა, კარგად ითვალისწინებენ, რომ იმ სფეროში იმყოფებიან, რომელი სფეროც, ამ ბოლო დრომდე, მხოლოდ რუსეთის გავლენის სფეროში იმყოფებოდა. ამიტომ არის, რომ იგი აქ უაღრესად დიდი სიფრთხილით მოქმედებს. სთავაზობს რა რუსეთს მონაწილეობას ტრანსკავკასიური დერეფნის ინფრასტრუქტურის ერთობლივ მშენებლობაში და შესაბამისად, მოგების მიღებასაც ამიერკავკასიაში სამეურნეო საქმიანობიდან, ცდილობენ ასევე ნეიტრალიზაციას რუსეთის მცდელობის, მეტად გააღვივოს ეთნიკური პრობლემები ამ ქვეყნებში. მოსკოვის პოლიტიკის ანალიზისას ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი, არ შეიძლება არ შევნიშნოთ ის ასიმეტრია, რომელიც არსებობს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკურ ურთიერთობებში რუსეთსა და საქართველოს, რუსეთსა და აზერბაიჯანს, რუსეთსა და სომხეთს შორის. იმ უდიდეს დისპროპორციას, რომელიც არსებობს სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში რუსეთსა და ამ რეგიონის ქვეყნებს შორის, მათ დამოკიდებულებას რუსეთისადმი, ეს უკანასკნელი იყენებს თავისი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად, და არც თუ ისე იშვიათად, სამხედრო პროვოკაციებისათვის საქართველოს და აზერბაიჯანის მიმართ.

ეჭვგარეშეა, რომ ერაყში მოახლოებულმა კონფლიქტმა მნიშვნელოვნად გაზარდა შეერთებული შტატების და დასავლეთ ევროპის დაინტერესება კასპიის ზღვის ენერგეტიკული მარაგებისადმი. მსოფლიო ნავთობის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ უახლოეს მომავალში ამერიკული კომპანიები მეტ დაინტერესებას გამოავლენენ კასპიის ზღვის ნავთობის ექსპლოატაციისადმი.

ამჟამად საქართველოში იმყოფება ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების მცირე კონტინგენტი, რომლებიც ქართულ ჯარს ეხმარება სპეციალური ამოცანების შესასრულებლად განკუთვნილი ბატალიონების გაწვრთნაში. ოფიციალური წყაროების თანახმად, საქართველოს ხელისუფლებას ამ დაჯგუფების გამოყენება სურს სხვადასხვა ჯურის ტერორისტ-დამნაშავეთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც საფრთხეს უქმნიან როგორც სახელმწიფოს ტერიტორიულ ინტეგრაციას, ისე საქართველოს მოქალაქეთა ქონებასა და სიცოცხლეს. ეჭვგარეშეა, რომ აღნიშნულ ნაწილებს, რომლებიც შეიარაღებული და აღჭურვილები არიან მსოფლიო სტანდარტების დონეზე, შეუძლიათ გახდნენ ერთგვარი საყრდენი ბირთვი მოდერნიზებული ქართული არმიისათვის.

საჭიროა ხაზი გაესვას იმას, რომ ამჟამად საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს, პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს რუსეთის არცთუ ისე მცირე დახმარების აღმოჩენით ქვეყნისაგან ჩამოშორებული ტერიტორიების - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის -

დაბრუნება. ეს პროვინციები, რომლებსაც კლანურ-მაფიოზური რეჟიმები მართავენ, მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით დანაშაულობების ბუდეს წარმოადგენენ. აფხაზეთი, რომლის თითქმის მთელ ტერიტორიას თვითმარქვია ვლადისლავ არძინბას კლანი აკონტროლებს, ნარკოტიკების გავრცელების უმთავრეს სფეროდ იქცა. სახელდობრ, აქედან იგზავნება ნარკოტიკები ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან რუსეთში. თავის მხრივ, ეს ნივთიერებები გადაიგზავნება ევროპაში. რაც შეეხება იმ აფხაზურ კლანებს, რომლებსაც არ უშვებენ ნარკობიზნესში, ისინი დაკავებული არიან ალკოჰოლის, სიგარეტის და მოპარული ავტომანქანების რეალიზაციის ბიზნესით. ,,დამოუკიდებელი'' აფხაზეთის ლიდერებისათვის არც თუ ისე მცირე შემოსავალი მოაქვს ადამიანების გატაცებას გამოსყიდვის მიზნით. რაც შეეხება თვითმარქვია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის რეჟიმს, იგი ძირითადად სპირტისა და ალოჰოლური სასმელების რუსეთში კონტრაბანდაზე სპეციალდება.

ამ ამბოხებული პროვინციების დაბრუნება თბილისისათვის უაღრესად მწვავე პრობლემას წარმოადგენს. უაღრესად მობილური, თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული არმიის გარეშე, რომელიც შეძლებს სრულად გააკონტროლოს სახელმწიფო საზღვრები, საქართველოს არ ძალუძს გააუვნებელყოს თავის ტერიტორიაზე მოქმედი მრავალეთნიკური დამნაშავეთა დაჯგუფებები. ამ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობა იწვევს იმას, რომ არალეგალური ბიზნესით დაკავებული თანდათან უფრო მეტი ჯგუფები შეეცდებიან საქართველოში შეღწევას. ეჭვგარეშეა, რომ ამგვარი დამნაშავეების საქმიანობას ჯვარს დაუსვამს პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური სახელმწიფო, რომლის განკარგულებაშიც იქნება თანამედროვე ჯარი.

რუსეთის პრესა ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ხელისუფლების მისწრაფება ამ სახელმწიფოს გაძლიერება არმიის რადიკალური მოდერნიზაციის გზით, ხორციელდება შეერთებულ შტატებთან შეთანხმებით, რომელიც ძალისხმევას არ ზოგავს შუა აზიიდან ევროპისაკენ ამიერკავკასიაზე გამავალ კომუნიკაციებზე კონტროლის დასამყარებლად. სახელდობრ, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გაიაროს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა. ამ სატრანსპორტო ხაზის საშუალებით მოხდება კასპიის ზღვიდან თურქულ პორტ ჯეიჰანამდე ნავთობის ტრანსპორტირება. ალბათ, აღარავისთვის აღარ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ამ ნავთობსადენის ამოქმედების შემდეგ მოსკოვი მნიშვნელოვნად დაკარგავს თავის გავლენას კასპიის ენერგეტიკულ რესურსებზე. ამას კი ბუნებრივია, თავის მხრივ მოჰყვება ის, რომ რუსეთი იძულებული ხდება ლიკვიდაცია მოახდინოს ყველა თავისი ბაზისა საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მეორეს მხრივ, გაძლიერდება ამერიკელთა აქ ყოფნის და საქმიანობის მასშტაბები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ,

რომ ამჟამად ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთა ყოფნა საქართველოში მიუთითებს მათ მხარდაჭერას საქართველოსათვის, აღიდგინოს ტერიტორიალური მთლიანობა. ხოლო როგორც მრავალი დამოუკიდებელი ექსპერტი მიუთითებს, გზა ამ მიზნის მიღწევისაკენ გადის ქართული არმიის გაძლიერებაზე.

მე ვფიქრობ, რომ საქართველოს მიერ თანამედროვე და მოდერნიზებული არმიის ფლობა მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს აგრეთვე ამ ქვეყნის კუთხეებში ეთნიკური უმცირესობების სეპარატიზმისაკენ ლტოლვასაც. დღეს კი საქართველოს წიაღში წარმოშობილ სომხურ თუ აზერბაიჯანულ სეპარატისტულ ჯგუფებს პრაქტიკულად აქვთ იმის საშუალება, რომ დაუსჯელად განახორციელონ თავიანთი ბოროტი ქმედებანი.

რუსი ანალიტიკოსების პროგნოზების თანახმად, ამიერკავკასიაზე ამერიკელთა კონტროლის დამყარება ძალზე ხელსაყრელია საქართველოსათვის. ეს პატარა სახელმწიფო, რომელიც ტრადიციულად რუსეთის ინტერესთა სფეროში იმყოფება, შეერთებული შტატების სტრატეგიული მოკავშირე ხდება. მათი მტკიცებით, მხოლოდ დროის საკითხია რუსებისგან მიტოვებული ბაზების ამერიკელთა მიერ დაკავება. რუსი ანალიტიკოსები არ მალავევენ ასევე, რომ საქართველოში ამერიკელთა სამხედრო ფორმირებების განლაგების შემდეგ არძინბასა და სამხრეთ ოსეთის სეპატრატისტთა ბედი უმოკლეს ხანში გადაწყდება. ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ამბოხებულ პროვინციებში 350 ათასი ლტოლვილის დაბრუნების შემდეგ ჩატარებულ არჩევნებში ამ კუთხეების საქართველოს საზღვრებში მოქცევის საკითხი დადებითად გადაწყდება.

საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა უკვე მრავალი წელიწადია, რაც დასავლეთის დაინტერესების საგანს წარმოადგენს. თუმცა ჯერ არ წარმომდგარა რაიმე კონკრეტული პროგრამა, რომელიც შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ინტერესებში დამოუკიდებელი საქართველოს ამბიციებს გაითვალისწინებდა. ქართველი პოლიტიკოსების აზრით, ასეთი პროგრამა შექმნილი აქვს პრეზიდენტ ე. შევარდნაძეს. მისი პოლიტიკის თანახმად, დიდი აბრეშუმის გზის აღდგენა, რომელიც ოდესღაც ჩინეთს ევროპასთან აკავშირებდა, შექმნის რუსეთის ტრანს - ციმბირის მაგისტრალის ალტერნატიულ საგზაო ინფრასტრუქტურას. იგი გახდება რუსეთისაგან დამოუკიდებელი დერეფანი და მისი გამართული ფუნქციონირება განამტკიცებს ევროპასა და ჩინეთ - შუა აზიას შორის სატრანსპორტო - კომუნიკაციურ კავშირებს. აღნიშნული კომუნიკაციური გზის აღდგენა – განვითარება, მრავალი რუსი ანალიტიკოსის აზრით, მნიშვნელოვნად შეასუსტებს რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურსა და სამხედრო პოზიციებს, როგორც შუა აზიაში, ისე ამიერკავკასიაში.

დიდი აბრეშუმის გზის იდეა პრეზიდენტმა შევარდნაძემ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნისას დასვა

კონფერენციაზე ვლადივოსტოკში. ეს იდეა მოიწონა ევროკავშირმა. მაშინ აღნიშნული დერეფანი უნდა მომსახურებოდა მოსკოვის ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების შემდგომ ზრდას. დროთა განმავლობაში ამ იდეის საფუძველზე წარმოიშვა სპეციალური პროგრამა თღAჩEKA–ს სახელწოდებით ანუ ევროპა – კავკასია – აზიის სატრანსპორტო დერეფანი. ამ პროგრამის რეალიზაცია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გარკვეულ შიშსა და უარყოფით ემოციებს აღძრავს მოსკოვში. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ქართველი პოლიტიკოსები მრავალ იმ ტერორისტულ აქტს, რომელიც მათ ქვეყანაში განხორციელდა, უკავშირებენ რუსეთის სპეცსამსახურების საქმიანობას, რომლებიც საბოტაჟს უწევენ დიდი აბრეშუმის გზის ამოქმედებას. 1995 წელს ადგილი ჰქონდა ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებულ უიღბლო თავდასხმას. საქართველოს პრეზიდენტის კანცელარიის პრესსამსახურის განცხადებით, „ამ თავდასხმის უკან დგას იგორ გიორგაძე, საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის სპეცსამსახურებთან. გიორგაძეს გაქცევაში საქართველოში, ვაზიანში დაბანაკებული რუსი ჯარისკაცები მიეხმარნენ". ე. შევარდნაძეზე შემდგომ, 1998 წელს განხორციელებულ თავდასხმაში ქართველები ასევე რუს სამხედროებს ადანაშაულებენ.

კავკასიაში შეერთებული შტატების გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში უდიდეს როლს თამაშობს ასევე აზერბაიჯანიც. ეს ქვეყანა, რომელიც სამხრეთით ირანს ესაზღვრება და არის ამავე დროს თურქეთის უაღრესად მჭიდრო მოკავშირე, ამერიკული არმიებისათვის ფრიად ხელსაყრელ ტერიტორიაზე მდებარეობს. კურდამირისა და ნოსნაის ყოფილი საბჭოთა აეროდრომების გამოყენების შესაძლებლობამ ერაყთან მოახლოებულ ომში, და ასევე ბაქოს აეროპორტმა ხელი შეუწყო ამერიკელ პოლიტიკოსთა დაინტერესებას კავკასიის ამ რეგიონშიც შეერთებული შტატების დამკვიდრების მიზნით. რუსი ანალიტიკოსების შესაბამის გაანგარიშებათა თანახმად, რომელთაც ზედმიწევნით კარგად უწყიან აზერბაიჯანული რეალიები, აზერბაიჯანის ბაზებზე შეიძლება განთავსდეს დაახლოებით 100 სამხედრო თვითმფრინავი. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეს ბაზები, რომლებიც ამ ბოლო ხანებში მიატოვა რუსმა სამხედროებმა, წესრიგში მოსაყვანად სათანადო სამუშაოების განხორციელებას მოითხოვს. ეს, რა თქმა უნდა, დიდ პრობლემას არ შეუქმნის ამერიკის მდიდარ სახელმწიფოს.

ამასთან, არც იმის დავიწყება ეგების, რომ აზერბაიჯანში ამერიკელთა ბაზების განთავსება ამ ქვეყნის მიერ გარკვეული საფასურის გადახდის შედეგად მოხდება. ეს საფასური კი, ეჭვგარეშეა იქნება, შეერთებული შტატებისა და ნატოს მხარდაჭერა აზერბაიჯანისათვის, ბაქოს სასარგებლოდ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტა. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, რომელსაც უკვე გადაეწურა იმის იმედი, რომ ეუთოს დახმარებით ამ აჯანყებულ რესპუბლიკას დააბრუნებს აზერბაიჯანის

საზღვრებში, უფრო და უფრო მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს ვაშინგტონსა და ბრიუსელთან. აზერბაიჯანში სამხედრო ძალების განლაგებას შეერთებული შტატებისათვის აქვს უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა არა მხოლოდ კასპიის ზღვიდან ნავთობის ტრანსპორტირების, არამედ ევროპა – აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობის თვალსაზრისითაც. დიდი აბრეშუმის სატრანსპორტო გზის მშენებლობის იდეამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა შეერთებულ შტატების როგორც საფინანსო – ეკონომიკურ, ისე სამხედრო წრეებში. ამერიკის კონგრესმა დაამტკიცა ,,დიდი აბრეშუმის გზის სტრატეგიის აქტი'', რომლის მიხედვითაც პრეზიდენტ კლინტონს დაეკისრა პასუხისმგებლობა ამიერკავკასიაში კონფლიქტების გადაჭრის მიმართულებით. ამ დოკუმენტის თანახმად, შეერთებულმა შტატებმა დახმარება უნდა აღმოუჩინონ აზერბაიჯანსა და საქართველოს, რათა დროულად აშენდეს აზიიდან ევროპაში მიმავალი კომუნიკაციური გზის მშენებლობისათვის აუცილებელი ინფრასტუქტურა. ამ დოკუმენტის მიღებამდე დიდი აბრეშუმის გზის იდეის რეალიზაცია მხოლოდ ევროკავშირის თავს იდო. ასეთ პირობებში კი აღნიშნული პროექტის რეალიზაცია ექსპერტების შეფასებით არასაკმარისად სწრაფად მიმდინარეობდა. მან მხოლოდ შეერთებული შტატების პროექტში ჩართვის შემდეგ მიიღო სათანადო ტემპები. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ალიევი, მაგალითს იღებს რა თავისი ქართველი მოკავშირე შევარდაძისაგან, განზრახული აქვს შეერთებული შტატების დახმარებით მოახდინოს საკუთარი არმიის რეფორმირება. ბაქოს აქამომდელმა მცდელობებმა ამ მიზნისათვის თურქეთის დახმარებით მიეღწია, შედეგი ვერ გამოიღო. აზერბაიჯანის არმიამ მთიან ყარაბაღში ბრძოლებისას მარცხი – მარცხზე იწვნია რუსების მიერ შეიარაღებული სომხების მხრიდან. აზერბაიჯანის ხელისუფლებასა და პენტაგონს შორის შარშან დაწყებული მოლაპარაკებები იმაზე მიუთითებს, რომ უკვე წელს ბაქოში ამერიკული სამხედრო ნაწილები გამოჩნდებიან და აზერბაიჯანელი ჯარისკაცების წვრთნას შეუდგებიან. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნატოს სტანდარტებით ამ ქვეყნის არმიის მომზადება ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების 7000 ათას აშშ დოლარამდე გაზრდას მოითხოვს. ჯერჯერობით კი ეს მაჩვენებელი 500 დოლარს არ აღემატება. ეჭვგარეშეა, რომ ამერიკელთა სამხედრო არსებობა ამიერკავკასიაში, საქართველოსა და აზერბაიჯანში, წარმოადგენს აზია – ევროპის დამაკავშირებელი დერეფნის დაჩქარებული განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს. პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადებათა თანახმად, ამ დერეფნის პერსპექტიულობა გამომდინარეობს ტრადიციული, რუსეთის მიერ კონტროლირებადი დერეფნის ალტერნატიული გზის არსებობით. მრავალი რუსი ანალიტიკოსის განცხადებით, ამიერკავკასიაში რუსების 200 - წლიანი ბატონობის შემდეგ დგება ამ რეგიონში ამერიკელთა ბატონობის ხანა.

პეტრე ბორავსკი,1997-2000 წლებში პოლონეთის რესპუბლიკის დესპანი თბილისში, ამჟამად პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი.

# საქართველოსა და კავკასიაში ისლამის აღორძინების პოლიტიკური ასპექტი (პანკისის ხეობაში მიმდინარე ამბების შუქზე)

**პეტრე ბორავსკი**

ამასწინათ, უფრო ზუსტად 11 ნოემბერს, პოლონელმა ხალხმა თავისი დამოუკიდებლობის 80 წლისთავი აღნიშნა. ჩვენ ვულოცავთ პოლონელებს ამ ბრწყინვალე დღესასწაულს და აქვე გვინდა ვთქვათ შემდეგი:

ალბათ იშვიათია ერი, რომელიც ასე მიისწრაფოდეს თავისუფლებისაკენ. მთელი თავისი არსებობის მანძილზე რამდენი ბრძოლა გადახდენია ამ ერს, რამდენი მსხვერპლი გაუღია დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვებისათვის ამ ბრძოლებში.

ნიშანდობლივია თუნდაც ის, რომ არსად მთელი დედამიწის ზურგზე მასონური ორგანიზაციები ეროვნული ნიშნით არ ჩამოყალიბებულა. მათ აბსოლუტურად ყველგან ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდათ და თითქმის აკრძალულიც კია მასონური ლოჟისათვის ეროვნული ხასიათის მიცემა.

მხოლოდ პოლონეთის მასონურ ლოჟას ჰქონდა ეროვნული ხასიათი.

დადიხარ ვარშავის ქუჩებში და თითქმის ყოველ ნაბიჯზე ხვდები მემორიალურ დაფას, რომელზე წარწერაც იუწყება, რომ აქ ჰიტლერელებთან ბრძოლაში დაეცა ამდენი და ამდენი ადამიანი. დაფების ქვეშ კი განუწყვეტლივ ანთია სანთლები და ქოთნებით თითქმის ყოველთვის დგას ხასხასა ყვავილები.

თავისუფლებისმოყვარე პოლონელი ხალხი დიდ პატივს მიაგებს სხვა ერების თავისუფლებისათვის ბრძოლას. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება პოლონელებმა ერთ-ერთმა პირველებმა მოგვილოცეს და აღიარეს როგორც 1918 წელს, ისე XX საუკუნის ბოლოს - 1992 წელს.

როდესაც 2002 წლის სექტემბრის ბოლოს პანკისის ხეობასთან დაკავშირებით ვითარება დაიძაბა და რუსეთი ლამისაა ჩვენს ქვეყანაში შემოჭრას ლამობდა, პოლონელებმა ამის საწინააღმდეგო პროტესტი გამოთქვეს

და თავიანთი თავდაცვის მინისტრის პირით განაცხადეს, რომ არ მიესალმებოდნენ რუსეთის ამგვარ ნაბიჯებს საქართველოს წინააღმდეგ. ამასთან, ჩვენ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ საქართველოს, რათა მან შეძლოს საკუთარი საზღვრების თავად განმტკიცება და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაო, - დააფიქსირა მან თავისი და მთელი ქვეყნის ამგვარი პოზიცია საქართველოს მიმართ. მე თავად მოვისმინე და ვნახე პოლონეთის ტელევიზიით მინისტრის ეს განცხადება 2002 წლის 26 სექტემბერს.

პოლონეთში სხვა ბევრი მეგობარიც გვყავს.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი განსაკუთრებული მეგობარია წინამდებარე სტატიის ავტორი პეტრე ბორავსკი. იგი 1997-2000 წლებში საქართველოში დესპანად ყოფნისას კარგად გაეცნო ყველა კუთხის მწვავე პრობლემებს და ამის თაობაზე მრავალი სტატიაც გამოაქვეყნა როგორც ქართულ, ისე პოლონურ პრესაში. მაგალითად, ჟურნალ “ომეგას” 2002 წლის ოქტომბრის ნომერში მკითხველი ინტერესით გაეცნო პ. ბორავსკის სტატიას ‘რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის მიმართ XX საუკუნის მიწურულში".

გთავაზობთ პ. ბორავსკის კიდევ ერთ წერილს, რომელიც დაბეჭდილია პოპულარულ ჟურნალ ‘სპრავი პოლიტიჩნეს" (“პოლიტიკური პრობლემები") 2002 წლის სექტემბრის ნომერში.

ამბროსი გრიშიკაშვილი

ეროვნული მოძრაობის განვითარებამ და ეთნიკური თვითშეგნების ამაღლებამ XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში კავკასიის მაჰმადიანურ ხალხებში ხელი შეუწყო ამ რეგიონში ისლამის პოზიციების გაძლიერებას. ამ დროიდან მოყოლებული მაჰმადიანური რელიგია უკვე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს არსებითი შემადგენელი ნაწილი ხდება როგორც შიიტურ აზერბაიჯანში, ისე ჩრდილოეთ კავკასიის სუნიტურ რესპუბლიკებში. პარალელურად ისლამი თავის პოზიციებს იმაგრებს ქრისტიანულ საქართველოში მოსახლე მაჰმადიანურ ხალხებშიც.

ამასთან ერთად, აღნიშნული რეგიონის მაჰმადიანური მოსახლეობა თავის გასაოცრად მრავალფერ სახეს ამჟღავნებს. კერძოდ, ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და ნაწილობრივ დაღესტანშიც იატაკქვეშეთიდან სუფიტური რელიგიური ძმობა, ეგრეთწოდებული ტარიკათი, რომელიც ბოლო 150 წლის განმავლობაში ამ ქვეყნების მთიან მოსახლეობას საშუალებას აძლევდა არა მხოლოდ შეენარჩუნებინა თავისი ეროვნული თვითმყობადობა, არამედ ასევე წინააღმდეგობა გაეწია ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის ზეწოლისათვის. რაც შეეხება ადიღეელებს, ბალყარელებს, ყაბარდოელებს და ყარაჩაეველებს, მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გარკვეულ გავლენას ახდენდა წარმართული ზნე-ჩვეულებებით გაჯერებული მაჰმადიანური

რელიგია; სახელდობრ, ამგვარი, ანუ ადგილობრივ ადათ-წესებთან შეგუებული რელიგია გახდა ვაჰაბიტების მკაცრი კრიტიკის საგანი, რომელთა მიზანსაც მაჰმადიანური რელიგიის უცხო გავლენისაგან გაწმენდა შეადგენს. აღსანიშნავია, რომ "წმინდა" ისლამურმა იდეებმა, მიუხედავად იმისა, რომ მისმა ფანატიკოსებმა ჩრდილოეთ კავკასიის მრავალ სოფელზე მკაცრი კონტროლი დააწესეს, ვერ შეძლეს მოეპოვებინათ მნიშვნელოვანი გავლენა მთელ აქაურ მოსახლეობაზე. მაჰმადიანურმა ფუნდამენტალიზმმა მხოლოდ ჩეჩნეთისა და ნაწილობრივ დაღესტნის საზოგადოების პაუპერიზებულ ფენებში ჰპოვა დასაყრდენი.

თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გართულ ქართველებს კავკასიაში ისლამის აღორძინების პროცესები ყურადღების მიღმა დარჩათ. მათ მხოლოდ 1992 წელს აფხაზეთში მიმდინარე ბრძოლების დროს, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიელმა ბოევიკებმა შეიარაღებული დახმარება აღმოუჩინეს ვლადისლავ არძინბას სეპარატისტებს, მიაპყრეს ყურადღება საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე აგრერიგად გაძლიერებულ ისლამს. აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილე ჩეჩნები, ადიღეები, ბალყარები, ყაბარდოელები და დაღესტნელები ცდილობდნენ ქრისტიანი ქართველების წინააღმდეგ თავიანთი ბრძოლისათვის რწმენისათვის თავდადების სახე მიეცათ. სინამდვილეში, ამის ნაცვლად მათი ბრძოლა მეხსიერებას მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის სახით შემორჩა.

აფხაზი სეპარატისტებისათვის რუსეთის სამხედრო დახმარებას თუმცა ოფიციალური ხასიათი არ ჰქონია, მაგრამ იმდენად აშკარა იყო, რომ საშუალებას არ აძლევდა მაჰმადიან მკვლელებს ამ კონფლიქტისათვის რელიგიური ომის ხასიათი მიეცათ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ აფხაზთა გადამწყვეტი უმეტესობა ანიმისტური რელიგიის მაღიარებელია და სწამს ხის, ქვის, წყლის კულტი. ამის გამო, ისლამის იდეოლოგიის მიხედვით, აფხაზები მაჰმადიანთა მხრიდან უფრო დაგმობის ღირსნი იყვნენ, ვიდრე მათი თანამებრძოლთა სახელისა მაჰმადიანური რწმენის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დსთ-ს საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტმა კახაბერ ძებისაშვილმა სტატიაში, რომელიც ეძღვნება კავკასიაში ისლამურ ფუნდამენტალიზმს და რომელიც დაბეჭდილია 1999 წელს, წერდა: "გამსახურდიას რეჟიმის იზოლაციურმა პოლიტიკამ, რომელიც უგულვებელყოფდა ახლო და შორეულ საზღვარგარეთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და რომელმაც ფაქტიურად მოახდინა თითქმის სრული დეგრადაცია ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური ურთიერთობებისა, საშუალება არ მისცა საქართველოს ადექვატური რეაგირებისათვის საზღვარგარეთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე".1

ეს მოსაზრება ძალიან ბევრს მეტყველებს იმის შესახებ, თუ როგორ იყო ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ელიტა მომზადებული, უფრო სწორად კი, მოუმზადებელი ისეთ რთულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში მყოფი სახელმწიფოს გაძღოლისათვის, როგორსაც საქართველო წარმოადგენს. ეს პატარა ქვეყანა, რომელიც მდებარეობს რეგიონში, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ერთმანეთს ეჯახებოდა არა მხოლოდ რუსეთის, ირანისა და თურქეთის ინტერესები, არამედ ადგილი ჰქონდა განუწყვეტელ კონფრონტაციას ისლამურ ცივილიზაციასა და აღმოსავლეთის ქრისტიანობას შორის, უფრო მგრძნობიარე უნდა ყოფილიყო მის მაჰმადიანურ მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე ამბების მიმართ.

VII საუკუნეში არაბების თავდასხმებიდან მოყოლებული მაჰმადიანურ პრობლემას საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის ექცეოდა სერიოზული ყურადღება. ამიტომ გასაკვირია, რომ XX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ქართველმა პოლიტიკოსებმა ამ მხრივ მოადუნეს თავიანთი ყურადღება. მათ მხედველობიდან გამორჩათ საზღვრების სიახლოვეს მიმდინარე ისლამის აღორძინებისაკენ მიმართული პროცესები. მოსკოვთან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში დაკავებული ქართველები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული იმ პრობლემებით, რომლებიც ძალზე აღელვებდათ ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანურ ხალხებს. გრძნობდნენ რა თავს ქრისტიანული სამყაროს განუყოფელ ნაწილად, ქართველები თითქმის უგულვებელყოფდნენ საზღვრების ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მოძლიერებულ ისლამს. სათანადოდ არ შეაფასეს რა მაჰმადიანური სამყაროს დინამიზმი და მისი სოლიდარული ბუნება, ქართველებმა შოკი განიცადეს, როდესაც მათ აფხაზეთში აფხაზ სეპარატისტებთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიის ბოევიკებთანაც მოუწიათ ბრძოლა.

თუკი საქართველოს ხელისუფლება შეძლებდა არძინბას რეჟიმთან მორიგებას, მას საშუალება ექნებოდა ისე მოეგვარებინა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობა, რომ რუსეთის მხარეს ვერ შეძლებოდა მათი გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლებში. ახალი პოლიტიკის შემუშავებაში როგორც ჩრდილოეთ კავკასიის, რომელიც რუსეთის ფედერაციის ნაწილს შეადგენს, ისე აზერბაიჯანის მიმართ, ჩაერთო არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლება, არამედ ამ ქვეყნის ყველა პოლიტიკური ძალა. როგორც მრავალმა ეთნიკურ-ტერიტორიულმა კონფლიქტმა საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებთან, ისე დაძაბულმა ურთიერთობებმა რუსეთთან აიძულა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება შეემუშავებინა გონივრული სტრატეგია კავკასიის მაჰმადიანური ხალხების მიმართ.

კავკასიაში მიმდინარე ამბები - ომი ჩეჩნეთში, ინგუშეთში, დაღესტანსა და ყაბარდო-ბალყარეთში განვითარებული მოვლენების დიდ მღელვარებას

იწვევდა არამხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაში, არამედ ამ ქვეყნის მთელ საზოგადოებაში. დიდი იყო შიში, რომ საომარი მოქმედებები ჩრდილოეთ კავკასიიდან არ გადატანილიყო საქართველოს ტერიტორიაზე. რუსეთის აქტიური მონაწილეობით საქართველოს მიერ ორი კუთხის - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვა შევარდნაძის პოლიტიკურ გუნდს სერიოზული დაფიქრების საფუძველს აძლევდა როგორც საერთოდ ქვეყნის ბედზე, ისე განსაკუთრებით მისი ისეთი კუთხეების ბედზე, რომლებიც ეროვნული უმცირესობებით იყო დასახლებული. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებას აწუხებდა არამხოლოდ მაჰმადიანური - აზერბაიჯანლებითა და ჩეჩნებით, არამედ ასევე ქრისტიანი სომხებით დასახლებული კუთხეების ბედიც.

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს რამდენიმე ასეული ათასი მაჰმადიანი. ესენი არიან ძირითადად აზერბაიჯანლები (400 ათასი), აჭარლები (დაახლოებით 200 ათასი) და ასევე ჩეჩნები (დაახლოებით 5-6 ათასი).

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრები აზერბაიჯანლები შიიტიზმის მიმდევრები არიან. სტაბილური ეკონომიკური სიტუაციისა და გაცილებით ნაკლები რელიგიურობის გამო, ვახაბიზმმა აქ ფეხი ვერ მოიკიდა. რელიგიურ საფუძველზე აღმოცენებული ანტიქართული გამოსვლები აქ თითქმის გამორიცხულია. თბილისსა და ბაქოს შორის არსებული კარგი ურთიერთობა საქართველოს მთავრობას აზერბაიჯანული უმცირესობის მხრიდან ლოიალური დამოკიდებულების გარანტიას აძლევს.

საქართველოში თავისი სიდიდით მეორე მაჰმადიანურ ჯგუფს წარმოადგენენ აჭარლები, რომლებიც ქართული ეთნოსის ნაწილს შეადგენენ. ისინი XVI-XVII საუკუნეებში გაამაჰმადიანეს თურქებმა. საბჭოთა კავშირში გაბატონებული ათეისტური მსოფლმხედველობის გავლენით აჭარლები არ წარმოადგენენ ფანატიკოს მორწმუნეებს. რელიგიური თავისუფლების მოპოვების შემდეგ მათ მიმართ აქტიური საქმიანობა გააჩაღა ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რამაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში თვალსაჩინო დადებითი შედეგიც გამოიღო.

90-იან წლებში განსაკუთრებით ზღვისპირას მცხოვრები აჭარელი ახალგაზრდობა შემობრუნდა ქრისტიანობისაკენ, თავისი წინაპრების რწმენისაკენ. უახლოეს მომავალში აჭარული ისლამი შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ამ ავტონომიის მთიანი ტერიტორიების რამდენიმე მცირე ანკლავით. ამის თქმის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ გარკვეულ პერიოდში, რელიგიური გამოცოცხლების შემდეგ, ისლამის აღორძინების პროცესები აჭარაში მინელდა. აქაური ინტელიგენციის დიდი ნაწილის მიბრუნებამ მართლმადიდებლობისაკენ აჭარის მაჰმადიანურ მოსახლეობას ინტელექტუალური საფუძვლები გამოაცალა. აჭარელი მაჰმადიანობა ძირითადად მთიან ზონაში მდებარე მოსახლეობის რელიგიად იქცა. აჭარის

ლიდერის, ასლან აბაშიძის ოპონენტთა მტკიცებათა წინააღმდეგ შეიძლება იმის თქმა, რომ აჭარული მაჰმადიანობა არ შეიცავს რაიმე საშიშროებას ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. ამ ავტონომიურ რესპუბლიკაში ალბათ ვერავინ შეეცდება იმ ფაქტის ეჭვის ქვეშ დაყენებას, რომ აჭარა საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.2

XX საუკუნის ოთხმოციან და ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოს კიდევ ორ ქვეეთნოსში - ინგილოებსა, ანუ ძალით გამაჰმადიანებულ და არასწორად ეგრეთწოდებულ თურქ-მესხებშიც შეიმჩნეოდა მართლმადიდებლობისაკენ შემობრუნების პროცესები.

აზერბაიჯანში ინგილოებს, ანუ რწმენისაკენ ბოლო ხანს შემობრუნებულებს, უწოდებენ გამაჰმადიანებულ ქართველებს, მცხოვრებთ ადრინდელი ზაქათალას ოლქში, რომელიც თბილისის გუბერნიაში შედიოდა. ეს მიწები ძველი ქართული კუთხის - ჰერეთის შემადგენელი ნაწილი იყო. ამჟამად ეს მხარე, რომელიც აზერბაიჯანს ეკუთვნის, წარმოდგენილია სამი - ბელაქანის, ზაქათალის და კახის რაიონებით. ამრიგად, ქართველი აზერბაიჯანლები წარმოადგენენ ქართული კუთხის ჰერეთის ავტოხტონურ მოსახლეობას, რომელნიც XVIII საუკუნეში მოექცნენ დაღესტნელ ფეოდალთა ბატონობის ქვეშ, შემდეგ კი, უკვე საბჭოთა პერიოდში, განიცადეს იძულებითი გააზერბაიჯანელება.

1918 წლიდან ვიდრე XX საუკუნის 90-იან წლებამდე ამ ტერიტორიაზე ანტიქართული პოლიტიკა ტარდებოდა, რომელიც ემყარებოდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის უხეში მეთოდებით გააზერბაიჯანელებას, გეოგრაფიული ადგილებისათვის სახელების შეცვლას, ისტორიული ძეგლების განადგურებას, იქაური ქართველების კულტურულსა და ეკონომიკურ დისკრედიტაციას. აქაური ქართველი მაჰმადიანები ბოლო ხანებამდე ყველა სახის აღრიცხვის სიებში ჩაწერილები იყვნენ

როგორც აზერბაიჯანლები, მათ გვარებს აზერბაიჯანულ ყაიდაზე უცვლიდნენ. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ საქართველოში არავინ ექცევა ამგვარად თურქულენოვან მოსახლეობას. უფრო მეტიც, ქართველმა აზერბაიჯანლებმა თითქმის სრულიად არ იციან ქართული და ხელისუფლებასთან კავშირს რუსული ენის დახმარებით ამყარებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება ერიდება აზერბაიჯანში მცხოვრებ თანამემამულეთა მდგომარეობაზე საუბარს.

მიუხედავად ქართული საზოგადოების პრეტენზიებისა აზერბაიჯანული ხელისუფლებისადმი, რომ იგი არ აღკვეთავს ადგილობრივი ხელისუფლების დისკრიმინაციულ პოლიტიკას ქართველთა მიმართ, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ოფიციალური მეგობრობა მტკიცდება. ამ ორ სახელმწიფოს აქვთ მსგავსი ეთნიკურ-ტერიტორიული პრობლემები, რის გამოც ისინი იძულებული არიან ითანამშრომლონ პოლიტიკურ თუ

ეკონომიკურ სფეროებში. 1998-1999 წლებში ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების გაუმჯობესების კვალობაზე გაუმჯობესდა აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების მდგომარეობაც. მათ მიმართ ასიმილაციური ტენდენციების შესუსტების საპასუხოდ აქ შეიმჩნევა გამაჰმადიანებულ ქართველთა შემობრუნება მართლმადიდებლური ეკლესიისაკენ.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის წინაშე მდგარ აქტუალურ პრობლემებს შორის გამოირჩევა რამდენიმე ათეული ათასი მესხის საქართველოში დაბრუნებაც.3

ეს ხალხი წარმოადგენს გამაჰმადიანებულსა და გათურქებულ ქართველებს, რომლებიც, როგორც "საბჭოთა კავშირის მტრები", 1944 წელს ამიერკავკასიიდან შუა აზიაში გადაასახლეს. იქაურ თურქულ მოსახლეობას შორის მოქცეულთ მათ თითქმის სულ დაავიწყდათ მშობლიური ენა. თუმცა ბევრი არ ივიწყებდა თავის ვინაობას. მიუხედავად ადგილობრივ მოსახლეობასთან რელიგიური ერთობისა და ასევე ენობრივი მსგავსებისა, მესხი მოსახლეობა მკვიდრი მოსახლეობის მიერ უცხოდ იყო მიჩნეული. აქედან წარმოსდგა ის სიადვილე, რომელი სიადვილითაც უზბეკმა ნომენკლატურამ შეძლო 1989 წელს ფერგანას დაბლობზე მოეწყო მესხთა ორგანიზებული რბევა. ამ მოვლენამ აქაური მესხი საზოგადოების შეხედულებების ცვლილებები გამოიწვია თავისი ეროვნული წარმომავლობისადმი. მესხთა გადამწყვეტი უმრავლესობა ამის შემდეგ უკვე აღარ ოცნებობდა დაბრუნებოდა თავის ქართულ ეროვნულ ფესვებს. მათში გაიმარჯვა ანატოლიელ თურქებთან გაიგივების ტენდენციამ.

მესხი თურქების ყრილობაზე, რომელიც გაიმართა 1989 წელს აზერბაიჯანში, დელეგატების 80%-მა თურქეთში გადასახლება მოითხოვა, მითუმეტეს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ეთანხმებოდა ყველა მესხის საქართველოში რეპატრიაციას მათ მიერ ქართველად თავის აღიარების გარეშე. ქართულ ხელისუფლებას ეშინოდა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში "თურქი-მესხების რესპუბლიკის ავტონომიური ოლქის" წარმოშობისა "დედაქალაქით ახალციხე" და ამიტომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა თურქი-მესხების საქართველოში დაბრუნებას, თუ ისინი აღიარებდნენ ქართულ წარმომავლობას და დაიბრუნებდნენ ძველ გვარებს. იმის გამო, რომ მესხთა უმრავლესობას არ ეწადა ქართული წარმომავლობის აღიარება, საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა მათ რეპატრიაციაზე. ამჟამად საქართველოში მხოლოდ ის მესხები ცხოვრობენ, რომელთაც აღიარეს ქართული წარმოშობა. ამ ადამიანებმა დაიბრუნეს ქართული გვარები და, როგორც წესი, გადადიან მართლმადიდებლურ რწმენაზე.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში ყველაზე დიდ წარმატებას საგარეო პოლიტიკის სფეროში უნდა მიეწეროს ურთიერთობების გაუმჯობესება თავისი მეზობელი მაჰმადიანი

ხალხებისადმი. განსხვავებით მისი წინამორბედი ზვიად გამსახურდიასაგან, შევარდნაძეს არ ეშინია ისლამის სამყაროსი.

შევარდნაძემ ჯერ კეთილმეზობლური, ხოლო შემდეგ სამოკავშირეო ურთიერთობა დაამყარა აზერბაიჯანთან. მან მჭიდრო კავშირები გააბა ასევე თურქეთთან, რომელშიც ქართველ პოლიტიკოსებს სურთ დაინახონ, უპირველეს ყოვლისა, ნატოს წევრი და არა მაჰმადიანური ქვეყანა. მიუხედავად უნდობლობისა, რომელიც გამომდინარეობს ისტორიული წარსულიდან, თანამედროვე თურქეთი საქართველოსათვის ძვირფას სამეურნეო პარტნიორსა და კეთილგანწყობილ მეზობელს წარმოადგენს. რამდენიმე ასეული ათასი ქართველი-მაჰმადიანი, რომელიც ცხოვრობს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რომ მოკლებულია მშობლიური ენისა და კულტურის განვითარების შესაძლებლობას, თურქეთ-საქართველოს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარების საქმეში მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს.

XX საუკუნის მიწურულს საქართველოს ხელისუფლებას გაცილებით რთული პრობლემები შეუქმნა ჩეჩენთა მცირე დასახლებამ, ვიდრე რამდენიმე ასეულმა ათასმა აზერბაიჯანელმა. წარსულ საუკუნეებიში პანკისის ხეობა აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა. დაღესტნელთა განუწყვეტელი თავდასხმის შედეგად ქართველმა მოსახლეობამ დატოვა ხეობა. XVII საუკუნეში ქართველმა თავადებმა, ეწადათ რა ქვეყნის დაცვა ჩრდილოეთის მხრიდან შესაძლო თავდასხმებისაგან, დაიწყეს მიტოვებულ ხეობაში ჩეჩნებისა და ოსების, აგრეთვე ქართველ მთიელთა - ფშაველთა და თუშთა - ჩამოსახლება.

ჩეჩენები ძირითადად ხუთ მსხვილ სოფელში - დუისში, ჯოყოლოში, ომალოში, ძბახეთსა და შნა-ხათაკანში დასახლდნენ. საქართველოს ჩეჩნები ტრადიციულად მიწათმოქმედებას, მეცხოველეობას და ასევე ხეობაში მდებარე ყორღანების ძარცვას მისდევენ. ქართველთა ყოველი მცდელობა ხეობაში პოლიციელთა საგუშაგოები მოეწყოთ, მარცხით დასრულდა. ადგილობრივი მოსახლეობა ამის წინააღმდეგი იყო. მიუხედავად ქართულ ხელისუფლებასა და ქისტებს შორის დაძაბული ურთიერთობისა, რაც გამომდინარეობდა, როგორც ამ უკანასკნელთა კრიმინალური საქმიანობიდან, ისე აღნიშნული ეთნიკური ჯგუფის საკუთარ რელიგიურ-თემობრივ სტრუქტურებში ჩაკეტვის მცდელობიდან, ქართველები ახერხებდნენ საკუთარ ჩეჩნებთან გარკვეულად მისაღები ურთიერთობების შენარჩუნებას. შეიარაღებული ინცინდენტები და კრიმინალური ელემენტების საქციელი, რომლებიც საკმაოდ არიან ქისტებს შორისაც, არ გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ იქაური მოსახლეობა უკვე რამდენიმე წელია არ ცნობს საქართველოს ხელისუფლებას.4

ჩეჩნეთის მეორე ომამდე ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობა იზიარებდა იმ თვალსაზრისს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის

ბატონობას ყველაზე მეტად ისლამის აღორძინება ემუქრება. ეს პროცესი მჭიდროდ უკავშირდება იმამ შამილის, XIX საუკუნეში ანტირუსული აჯანყებების ბელადის, პიროვნების კულტს, რომელიც, როგორც წესი, ასოცირდება ამ რეგიონის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. შამილმა რამდენიმე წლის განმავლობაში თავისი ბატონობის ქვეშ გააერთიანა ამჟამინდელი ჩეჩნეთისა და დაღესტნის ყველა მაჰმადიანური ხალხები. ამ რესპუბლიკების მაჰმადიანებისათვის იგი იქცა განთავისუფლებისაკენ მიმართული ბრძოლებისა და რელიგიოური აღორძინების სიმბოლოდ. შამილის აჯანყება ჩეჩნეთისა და დაღესტნის მოსახლეობის რამდენიმე თაობისათვის ისტორიის დაუვიწყარ ფურცლებად იქცა.

ჩრდილოეთ კავკასიიდან რუსთა განდევნის იდეა, თუმცა ნაკლებ რეალისტური და სარწმუნოა, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ძალზე მიმზიდველი ჩანდა რეგიონში დასახლებული ხალხებისათვის. აქვე გვინდა განვაცხადოთ, რომ მრავალი, როგორც პოლონელი, ისე სხვა ქვეყნის პოლიტოლოგი, ბევრი საერთაშორისო თუ ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკური წრეების წარმომადგენელი, იზიარებდა იმ აზრს, თითქოს რუსეთის ბატონობის დღეები კავკასიაში დათვლილი იყოს. ცხადია, რომ ამგვარი შეხედულებები გამომდინარეობდა მათ მიერ არამხოლოდ რუსეთის, არამედ ასევე კავკასიის ცუდი ცოდნით.5

ქართველი მეცნიერები და პოლიტიკოსები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის თანამედროვე პოლიტიკურ პრობლემებზე წერენ, ხშირად მოუხმობენ ხოლმე შამილის მიმოწერას შვილთან. ეს უკანასკნელი, როგორც მძევალი, ისე იმყოფებოდა რუსეთში, სადაც სამხედრო განათლებას ეზიარა. ერთ-ერთ წერილში იგი ეკითხება შამილს: "მამაჩემო, რატომ ეომები რუსეთს, შენ ხომ მას ვერასოდეს დაიპყრობ?" აი, ჩეჩნეთისა და დაღესტნის იმამის პასუხი შვილის ამ კითხვაზე: "ჩვენ არ გვსურს რუსეთის დაპყრობა. ჩვენი მიზანი მხოლოდ ისაა, რომ მან თავი დაგვანებოს". ეს იდეა კვლავაც აქტუალურია, თუმცა არა მთელ კავკასიაში.

შამილ ბასაევის შეჭრამ დაღესტანში იმ "მისიით", რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ერთიანი, მაჰმადიანური სახელმწიფო ჩამოეყალიბებინა, გააქარწყლა რადიკალური ჩეჩენი პოლიტიკოსების ოცნება კავკასიური იმამატის შექმნის შესახებ. ზოგიერთი სოვეტოლოგის მოლოდინის მიუხედავად, დაღესტნის ტერიტორიაზე არსებულ ნახევრადლეგალურ სამხედრო-მაჰმადიანურ ძმობას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტარიკატებისაგან იყო შექმნილი, არ წამოუწყია ომი რუსეთის წინააღმდეგ. აღმოჩნდა, რომ მათთვის რუსეთზე მეტ საშიშროებას ისლამისტ ფუნდამენტალისტთა თანდათან მზარდი გავლენა წარმოადგენდა. უფრო მეტიც, დაღესტანელ მაჰმადიანთა უმრავლესობამ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია შამილ ბასაევის შეიარაღებულ რაზმებს. ამ მოვლენების ფონზე სუფისტური ტარიკატისა და მოსკოვს შორის მოლაპარაკებების

საფუძველი შეიქმნა. დაღესტნის წინააღმდეგ ჩეჩენთა გალაშქრებამ ამ რესპუბლიკის პოლიტიკური ელიტა იმაში დაარწმუნა, რომ უშიშროების გარანტს მოსკოვი უფრო წარმოადგენს და რომ სახელდობრ მოსკოვს შეუძლია განამტკიცოს მათი პოზიციები დაღესტნის მრავალეროვნულ საზოგადოებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ ამ მთიანი რესპუბლიკის ეკონომიკა სწორედ რუსეთის დოტაციებს ემყარება. პრინციპში ძირითადად რუსეთია დაღესტნური ლეგალური თუ არალეგალური საქონლის გასაღების ბაზარი. დაღესტნის უაღრესად გართულებულმა ეთნიკურ-პოლიტიკურმა სიტუაციამ ის გარემოება გამოიწვია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში საერთო-მაჰმადიანური სახელმწიფოს შექმნის იდეამ, რომელშიც გაბატონებული პოზიციები ორთოდოქსალურ ისლამს ექნებოდა დაკავებული, ვერ მოიპოვა მხარდაჭერა იქაურ მრავალეთნიკურ საზოგადოებაში.

დაღესტანში, რომელიც დაახლოებით 50 ათას კვ.კმ-ს იკავებს, რამდენიმე ათეული ეთნიკური ჯგუფი არის დასახლებული.6

დაღესტანში ბასაევის გალაშქრებამდე რამდენიმე მათგანს უკვე გამოთქმული ჰქონდა საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის სურვილი, მრავალი კი ფართო ავტონომიური უფლებების მოპოვებისაკენ მიისწრაფოდა. პარალელურად თითქმის ყველა მათგანი გამოთქვმდა პრეტენზიებს როგორც დაღესტნის საზღვრებში მცხოვრები სხვა მეზობელი ეთნიკური ჯგუფის, ისე დაღესტნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებთა მიმართ.

არსებული პოლიტიკური ქაოსი ისლამის მაღიარებელთა შორის დიდ კამათს იწვევდა. იქ არსებული სუფიტური ძმობა, რომელიც მაჰმადიანური მისტიციზმის გამომხატველია, არამხოლოდ ერთმანეთს შორის ქიშპობდა, არამედ ებრძოდა ფუნდამენტალიზმსაც, რომელსაც მთელი კავკასია ისლამის საკუთარ ვერსიაზე მოქცევა ეწადა. ქართველები, თუმცა მწვავე კონფლიქტში იმყოფებიან რუსეთთან, არ მალავენ, რომ კავკასიაში მაჰმადიანური სახელმწიფოს შექმნა, დაღესტნისა და ჩეჩნეთის ბაზაზე, რეგიონში კიდევ უფრო გაამწვავებდა სიტუაციას. ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მოვლადი უგუდოვს, დაღესტანზე გალაშქრების წინ მრავალჯერ გაუმეორებია, რომ საქართველო ჩრდილოეთ კავკასიის მაჰმადიანური ხალხისათვის წარმოადგენს არამხოლოდ სტრატეგიულ პარტნიორს, არამედ ასევე მეგობარ ერსაც. ამგვარ მეგობრულ ჟესტებს ჩეჩენი ხელისუფლების მხრიდან გავლენა არ მოუხდენია პოლიტიკოსების გრძნობებზე. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს დიდი სიმპატიები გააჩნიათ თავისუფლებისმოყვარე ჩეჩნების მიმართ, მათ გადამწყვეტ უმრავლესობას რუსეთზე მეტად ამ რეგიონში რომელიმე აგრესიული სახელმწიფოს წარმოშობის ეშინია. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთელი ყურადღება გადატანილი იყო იქით, რომ რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტი საქართველოს ტერიტორიაზე არ გადატანილიყო.

მიუხედავად მოსკოვსა და თბილისს შორის არსებული ანტაგონიზმისა, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს გააქტიუროს თანამშრომლობა, ძირითადად ეკონომიკური, რუსეთის ფედერაციის ჩრდილო კავკასიის სუბიექტებთან - ყაბარდო-ბალყარეთთან, ჩრდ. ოსეთთან, ინგუშეთთან, ჩეჩნეთთან და დაღესტანთან. ჩეჩნეთში ბრძოლების დროს საქართველოს ხელისუფლება სრულ ნეიტრალურ მდგომარეობას ინარჩუნებდა და ამას ასაბუთებდა იმით, რომ ეს ომი არის რუსეთის საშინაო საქმე. ამასთან, იგი არ ეთანხმებოდა ასევე საქართველოს ტერიტორიის გამოყენებას რუსეთის სამხედრო ნაწილების მიერ ჩეჩნებთან საბრძოლველად. თუკი საქართველო თავის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიას ამ მიზნით რუსეთს დაუთმობდა, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ადრე თუ გვიან თბილისი როგორც რუსეთის, ასევე საკუთარ ჩეჩნებთან ბრძოლაში ჩაერთვებოდა. ეს კი იმის მაუწყებელი გახდებოდა, რომ იგი რუსეთის მხარეს იჭერს, იმ რუსეთისა, რომელმაც მას აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი წაართვა. ამრიგად, საქართველო ისე, რომ სანაცვლოდ არაფერს მიიღებდა რუსეთისაგან, გახდებოდა ჩათრეული რუსეთ-ჩეჩნეთის ომში. ამასთან, იგი დაკარგავდა არამხოლოდ საკუთარი ჩეჩენი მოსახლეობის კეთილგანწყობას, არამედ მის ტერიტორიაზე მოსახლე მთელი მაჰმადიანური მოსახლეობის კეთილგანწყობასაც. ცხადია, ეს საქართველოს იმიჯზე, ანუ იმიჯზე სახელმწიფოსი, რომელიც ტოლერანტულად და მეგობრულად არის განწყობილი კავკასიის მაჰმადიანობისადმი, ძალზე ცუდად იმოქმედებდა. არც ის იწვევს ეჭვს, რომ თუკი საქართველოს მთავრობა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს პანკისის განიარაღების უფლებას მისცემდა, ანუ განიარაღებას იმ ადგილებისა, სადაც ადგილობრივ ქისტებთან თავს აფარებდა და აფარებს მრავალი ათასი ჩეჩნეთიდან ლტოლვილი, ძირითადად ქალები და ბავშვები, გამოიწვევდა საქართველოსადმი მტრულ დამოკიდებულებას ჩეჩნებისა და საერთოდ მაჰმადიანი ხალხის მხრიდან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე დადებითად არ რეაგირებდა ასევე საველე მეთაურების წინადადებაზე, რომლებიც ჩეჩენთა მიერ აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებათა გამოსყიდვის მიზნით წინადადებას იძლეოდნენ დაერტყათ აფხაზი სეპარატისტებისათვის. ჩეჩენ საველე მეთაურებს მიაჩნდათ, რომ აფხაზთა შეიარაღებულ ძალებზე განხორციელებული რამდენიმე თავდასხმა არძინბას რე;იმს აიძულებდა უფრო ლოიალური პოზიცია დაეკავებინა ოფიციალური თბილისის მიმართ.

საქართველოს ნეიტრალიტეტმა ჩეჩენთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის წამოყენებული ბრძოლებისადმი საშუალება მისცა პრეზიდენტ შევარდნაძეს თავიდან აეცილებინა ჩეჩენთა შეიარაღებულ რაზმებთან შეტაკებები, რომლებიც პერიოდულად არღვევდნენ საქართველოს საზღვრებს. მაგრამ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, რომელიც

ერთის მხრიდან გარშემორტყმულია მაჰმადიანი ხალხებით, ხოლო მეორე მხრივ ესაზღვრება რუსეთის უძლიერეს სახელმწიფოს, უაღრესად რთულია. ქართველთა კეთილგანწყობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების მიმართ, რომლებიც მოსკოვს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ებრძვიან, არ ნიშნავს სეპარატისტებისათვის მხარდაჭერას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული ამგვარი პოლიტიკური კურსი მოსკოვის დიდ უკმაყოფილებასა და კრიტიკას იწვევს. რუსები საყვედურობენ შევარდნაძეს, რომ იგი საშუალებას არ აძლევს მათ არმიას გამოიყენოს საქართველოს ტერიტორია ჩეჩნების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში, რუსები აცხადებენ თითქოს პანკისის ხეობაში მდებარეობდეს 'საერთაშორისო ტერორიზმის ბუდე''. რუსეთის პოლიტიკოსთა, და მათ შორის რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ გამოთქმული ანტიქართულ განცხადებებს, რომლებიც სამხედრო ზეწოლის ფონზე კეთდება, მიზნად აქვთ დასახული საქართველოს "მორჯულება". მაგრამ ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორსაც პრეზიდენტი შევარდნაძე წარმოადგენს და რომელსაც უსაფუძვლად როდი ეძახიან მოწინაღმდეგენი "თეთრ მელას", კარგად აცნობიერებს, რომ საქართველოს ჩათრევა ჩეჩნებთან ბრძოლაში მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის მაუწყებელი იქნებოდა. იმ შემთხვევაში თუკი საქართველო დაეთანხმებოდა პუტინის მოთხოვნებს და ამასთან, არაფერს არ მიიღებდა სანაცვლოდ, საკუთარ ტერიტორიაზე წარმოშობდა ახალ ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტს, იქნებ გაცილებით უფრო საშიშსა და სახიფათოსაც, ვიდრე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები იყო. ასეთ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოს მთელი ჩრდილოეთი ტერიტორიები რუსეთ-ჩეჩნეთის ბრძოლების არენად გადაიქცეოდა. შევარდნაძე კარგად აცნობიერებს იმ ფაქტსაც, რომ საქართველოს არმიის თანამედროვე მდგომარეობა თბილისს საშუალებას არ მისცემს შეასრულოს დამოუკიდებელი როლი რუსეთ-ჩეჩნეთის ომში. ჩეჩნეთის ომის საქართველოში გადატანის ერთადერთი შედეგი იქნებოდა ის, რომ გარდა ქვეყნის განადგურებისა, საქართველოს კვლავ რუსეთის ინტერესების სფეროში შეიყვანდა. კავკასიის პრობლემებზე მომუშავე ზოგიერთი ექსპერტი ყურადღების გარეშე ტოვებს იმ ფაქტს, რომ შევარდნაძე უარყოფს არა მხოლოდ რუსეთის მხრიდან მომდინარე წინადადებებს, არამედ ასევე ჩეჩენთა წინადადებებსაც. კერძოდ, როგორც ჩეჩნეთის ხელისუფლებას, ისე ცალკეულ ჩეჩენ საველე მეთაურებს არაეთხელ შეუთავაზებიათ მისთვის აფხაზეთში შეჭრა და იქაური სეპარატისტული ხელისუფლების ძალით იძულება თბილისისადმი ლოიალური პოზიციის დაკავების მიზნით. ამგვარ წინადადებებს ჩეჩნეთის პირველი ომის დროსაც თბილისის ხელისუფლება დუმილით პასუხობდა. და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლებისათვის უმთავრეს, პრიორიტეტული საგარეო თუ თავდაცვით ღონისძიებას რუსეთის აქტიური მონაწილეობით მისთვის

ჩამოცილებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება წარმოადგენს. ითვალისწინებენ რა როგორც თავის გეოპოლიტიკურ მდებარეობას, ისე რუსეთის სამხედრო პოტენციალს, ქართველებს მდგომარეობიდან გამოსავლად შეერთებული შტატების დახმარება ესახებათ. ამერიკელთა ზეწოლის გარეშე ამბოხებული პროვინციები საქართველოს არ დაუბრუნდებიან.

საქართველოს, გამომდინარე თავისი გეოპოლიტიკური სიტუაციიდან და ასევე საკუთარი მრავალეროვნული მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, არასოდეს წაუქეზებია მეზობელ ქვეყნებში სეპარატისტული მოძრაობები. ჯერ კიდევ აფხაზეთში ომის დროს, როდესაც ვლ.არძინბას ბოევიკები რუსეთის არმიის საბრძოლო საშუალებებით მარაგდებოდნენ, პრეზიდენტი შევარდნაძე აფრთხილებდა ელცინს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტთათვის მხარდაჭერა 'ბუმერანგივით დაუბრუნდებოდა რუსეთს''. მაშინ შევარდნაძე იმასაც აცხადებდა, რომ შამილ ბასაევისა და რუსლან გელაევის შეიარაღებული რაზმებისათვის აფხაზეთში ბრძოლა წარმოადგენს წვრთნას რუსეთის წინაღმდეგ მოსალოდნელი ომისათვის. რუსეთის ხელისუფლება უგულვებელყოფდა შევარდნაძის ამგვარ გაფრთხილებებს. მე ვფიქრობ, რომ უკვე იმ პერიოდში ქართულ პოლიტიკურ ელიტას გათვითცნობიერებული ჰქონდა ის ფაქტიც, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი უნდა გამხდარიყო თბილისის ურთიერთობების დარეგულირება ისლამურ სამყაროსთან, რათა რუსეთს ვერ შეძლებოდა კავკასიელ მაჰმადიანთა გამოყვანა ქართველ ხალხთან საბრძოლველად.

ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის შეიარაღებული გამოსვლა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე კოდორის ხეობაში ეჭვგარეშეა, რომ თავად ჩეჩნების თვითნებური ინიციატივა იყო და არა ქართველ-ჩეჩნთა ერთობლივი აქცია, როგორც ამის წარმოდგენა სურს მოსკოვს.

თანამედროვე გეოპოლიტიკურ სიტუაციაში აფხაზეთში ომის გაჩაღებით ისარგებლებდნენ მხოლოდ ჩეჩნები და ვერავითარ შემთხვევაში - ქართველები. თავისი გამოსვლით გელაევმა რუსეთს მისცა იმის მტკიცების საფუძველი, რომ თითქოს შევარდნაძე არამხოლოდ კავკასიური ტერორიზმის მფარველია, არამედ ოსამა ბენ ლადენის ფარული თანამძრახველიც. ალბათ ასე უნდა გავიგოთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის განცხადება, რომელშიც იგი ამტკიცებდა, თითქოს არსებობდეს ალ-ქაიდის ხელმძღვანელის ყოფნის პანკისის ხეობაში დამადასტურებელი ფაქტები.

რუსეთის მხარის ამგვარმა განცხადებებმა შეიძლება დააჯერონ, ალბათ, მხოლოდ კავკასიის პრობლემების უცოდინარი ჟურნალისტები და კიდევ ის ექსპერტები, რომლებიც შემთხვევით მოხვდებიან ხოლმე ამ მხარეში. კავკასიის ეთნიკურ-პოლიტიკური პრობლემების მცოდნე ადამიანს ამგვარი

განცხადებები გაახსენებს ერთ ძველ ანეკდოტს წითელ მოედანზე ველოსიპედების დარიგების შესახებ 7.

ჯერ ერთი, რომ თვრამეტი კილომეტრი სიგრძის პანკისის ხეობა შეუძლებელს ხდის რაიმე სერიოზული პარტიზანული ქვედანაყოფების აქ დამალვას; მეორეც, თანამედროვე ტექნიკით ძალზე ადვილია ხეობის ბლოკირება. აქედან გამომდინარე, ალ-ქაიდას ხელმძღვანელობაში არავის არ მოუვიდოდა თავში ოსამა ბენ ლადენის თავშესაფრის აღნიშნულ ხეობაში მოწყობა, რომელიც ყველაფერთან ერთად შეერთებული შტატების მეგობარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს. ამასთან, კოდორის ხეობას, რომელშიც აღმოჩნდნენ გელაევის ჩეჩენი მებრძოლები, ვერ აკონტროლებს ვერც აფხაზი სეპარატისტები, ვერც საქართველოს ხელისუფლება. ეს ხეობა სვანთა ხელშია. ამ თავისუფალმა მთიელმა ქართველებმა თავის დროზე საკუთარი ძალებით შეძლეს დაქირავებული რუსებითა და ჩეჩნებით გაძლიერებულ აფხაზ სეპარატისტთა შეკავება. მართალია სვანები თავს ქართველებად გრძნობენ, მაგრამ მთელი ომის განმავლობაში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდათ, რის გამოც ბრმად როდი ასრულებდნენ თბილისის რეკომენდაციებს.

ცხადია, კოდორის ხეობაში ბრძოლისათვის აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ გელაევის მებრძოლებს სვანების ნებართვა უნდა ჰქონოდათ და მხოლოდ შევარდნაძის სურვილი როდი იკმარებდა ჩეჩნების გამოყენების თაობაზე აფხაზების წინააღმდეგ. სვანებს კი კარგად ესმით, რომ აფხაზეთში ჩეჩნების გამოყენება საქართველოს უფრო მეტ პრობლემებს შეუქმნის, ვიდრე რაიმე სარგებლობას მოუტანს. ქართველი პოლიტიკოსების სრული კონტროლის გარეშე აღმოჩენილი პანკისის ხეობა საკმაოდ კარგ კოზირს წარმოადგენს თბილისის წინააღმდეგ. მოსკოვი, რომელსაც დიდი სურვილი აქვს პანკისში შეჭრისა, საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში საქართველოს უქმნის ისეთი სახელმწიფოს იმიჯს, რომელსაც არ ძალუძს საკუთარი ტერიტორიის გაკონტროლება და რომელიც საშუალებას აძლევს ტერორისტებს იქონიონ იქ თავიანთი ბაზები. ამასთან, მოსკოვი მშვენივრად ნიღბავს თავის მოქმედებებს საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში მიმართულია ამ ქვეყანაში პოლიტიკური დესტაბილიზაციისაკენ. ჩეჩნეთის პირველი ომის დროს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე არ არსებობდა რუსეთის საზღვრის დაცვის საგუშაგოები, ხოლო ჩეჩენი პარტიზანები მრავალგზის არღვევდნენ საქართველოს ტერიტორიის საზღვრებს, მოსკოვში არავის წამოუწევია პანკისის ხეობის პრობლემა. ყოველმა ადამიანმა, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე, კარგად იცის, რომ პანკისის ხეობაში შეუძლებელია სერიოზული სამხედრო ტრანსპორტის (ტყვია-წამლითა თუ პროდუქტით დატვირთულის) გადაადგილება. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის

ხელმძღვანელის ვალერი ჩხეიძის განცხადებით, ამის შესახებ რუსებმაც კარგად უწყიან, მაგრამ შეგნებულად ზრდიან რა როგორც ხეობაში არალეგალურად მყოფი ჩეჩენი პარტიზანების რიცხოვნობას, ისე ჩრდილოეთ კავკასიის და საქართველოს ტერიტოტიაზე გადატანილი ტყვია-წამლის მარაგების მოცულობასაც. ამით რუსები განგებ ამახინჯებენ ქართველ პოლიტიკოსთა და ჩეჩენ ბელადთა შორის არსებული ურთიერთობების სურათს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარაშვილს არაერთხელ განუცხადებია პატარა პანკისის ხეობის საერთაშორისო ტერორიზმთან დაკავშირების წინააღმდეგ პროტესტი. მან თბილისში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და ჟურნალისტების წინაშე განაცხადა იმის შესახებაც, რომ ჩეჩნეთში მებრძოლები და იარაღი ხვდება არა პანკისის ხეობის, არამედ რუსეთის ფედერაციაში შემავალი სუბიექტების, დაღესტნისა და ჩრდილოეთ ოსეთის გავლით.

მინისტრის აზრით, ის რამდენიმე ათეული დაქირავებულ მებრძოლთა რაზმები, რომლებიც რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოხვდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, იმ იარაღის მოცულობასთან და მებრძოლებთან შედარებით, რომლებიც ხვდებიან რუსეთში სწორედ ამ მარშრუტის გავლით, ზღვაში წვეთია.

თბილისში არაოფიციალურად მოქმედი ჩეჩნეთის საინფორმაციო წყაროს ცნობით, კავკასიაში ბაზირებული და მოქმედი რუსეთის საჯარისო ნაწილების ხელმძღვანელობისათვის ჩეჩნეთში მიმდინარე როგორც პირველი, ისე მეორე ომი მშვენიერი ბიზნესი იყო დიდი ფულის გასაკეთებლად. ხიზრი ალდამოვის, თბილისში ჩეჩნეთის ყოფილი წარმომადგენლობის ხელმძღვანელის განცხადებით, ჩეჩნეთში მყოფი ამ საჯარისო ნაწილების გადაადგილება ხშირად სწორედ ამ ბიზნესის გავლენით ხდება და არა საბრძოლო ტაქტიკიდან გამომდინარე. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ თბილისში ღიმილს იწვევს მოსკოვის პრეტენზიები, თითქოს საქართველოს ხელმძღვანელობა თავის ტერიტორიაზე ატარებდეს "შეიარაღებულ ტერორისტებს", მაშინ, როდესაც რუსეთის სახელმწიფოს საზღვრის დამცველთა თვალში, რა თქმა უნდა, შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე, თავისუფლად გადაადგილდებიან ჩეჩენთა პარტიზანული რაზმები.

თბილისში არავის ეპარება ეჭვი, რომ რუს პოლიტიკოსებს "პანკისის პრობლემის" გამოყენება სურთ საქართველოში საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად. მოსკოვისათვის "პანკისის ხეობა" ბოლო შანსია იმისა, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების სტატუსის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

პრეზიდენტი შევარდნაძე რუსებისაგან მოითხოვს, რომ 1999 წლის სტამბულის შეთანხმების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე გააუქმონ ორი სამხედრო ბაზა. მოსკოვს კი სურს ჯარების გაყვანა გაწელოს 10-12 წლით; რუსები ცდილობენ საქართველოში თავიანთი ჯარების საშუალებით წინ

აღუდგნენ ამიერკავკასიაში ამერიკის გავლენის გაძლიერებას. ვლადიმერ პუტინთან დაკავშირებული ოფიციალური წრეები ამ ბაზებში ხედავენ იმის გარანტიას, რომ საქართველო ამის გამო ნატოში გაწევრიანებას ვერ მოახერხებს.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ძალზე დიდ გულუბრყვილობად გვეჩვენება პოსტსაბჭოური სივრცის მკვლევართა აზრი, თითქოს წინააღმდეგობები რუსეთის პოლიტიკაში ამიერკავკასიის მიმართ გამომდინარეობდეს ასევე რუსული დიპლომატიის პროფესიონალიზმის არასათანადოდ შეფასებაში, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში ახერხებს და ნახულობს თავისთვის სასარგებლო გამოსავალს. ეჭვი არაა, რომ რუსული პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს ამ რეგიონთან მიმართებში წარმოადგენს ამიერკავკასიის შენარჩუნება თავისი ინტერესების სფეროში. შესაბამისად, აქ რუსეთის საქმიანობა გამომდინარეობს როგორც სიტუაციებიდან, ისე ამ სახელმწოფოს ამჟამინდელი სამხედრო და ფინანსური პოტენციალიდან. რუსეთის ეკონომიკას კი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა, არ შეუძლია ფინანსური დახმარებების გზით მიიმხროს ამიერკავკასიის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩენილი ქვეყნები. ამიტომ რუსეთს ისღა დარჩენია, რომ გამოიყენოს მის ხელთ არსებული პოლიტიკური ზეწოლის და იარაღის ენა. არც ის არის მხედველობიდან გასაშვები, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთმა ვერ შეძლო აემოქმედებინა მაჰმადიანური ფაქტორი, ისევე როგორც ამას ადგილი ჰქონდა აფხაზთა ომის დროს. საქართველოს, რომელიც თითქმის ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მაჰმადიანი ხალხებით, როგორც ტოლერანტულმა და მაჰმადიანებისადმი კეთილმეზობლურად განწყობილმა ქვეყანამ, შეძლო შეენარჩუნებინა მათი პატივისცემა.

1 კ. ძებისაშვილი, ისლამური ფუნდამენტალიზმი კავკასიაში, გვ.161

2 ამ პრობლემას მე უფრო ფართოდ განვიხილავ სტატიაში “აჭარა - რეგიონალიზმი თუ სეპარატიზმი"?, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ “პოლიტიკური პრობლემების” ოქტომბრის ნომერში პ.ბ. ამ წერილის ქართული თარგმანი დაიბეჭდა გაზეთ „აჭარის” 2002 წლის დეკემბრის ნომრებში. ა.გ.

3 ამ პრობლემაზე 1996 წელს ჟურნალ "პოლონეთის ეთნოგრაფიაში"გამოვაქვეყნე სტატია. 1997 წელს ეს სტატია დაიბეჭდა ქართულ პრესაში, ხოლო 1998 წელს სტამბოლში თურქულ პრესაშიც.

4 ქართველ ჩეჩნებს შორის არასოდეს არ ყოფილა გამოყოფისაკენ მისწრაფება. მათ არასოდეს არ დავიწყებიათ, რომ უცხო მიწაზე ცხოვრობენ. იხ. ზ. მაზაევა
“კრიზისი პანკისის ხეობაში", თბ. 2000 წ. პ.ბ.

5 ჯერ კიდევ 1993 წელს ვწერდი: ‘საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულმა პოლიტიკამ, განსაკუთრებით 40-იან წლებში, ჩრდილოეთ კავკასიაში მრავალი სერიოზული ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტი წარმოშვა. მოსალოდნელია, რომ ბევრი მათგანი უახლოეს ხანებში ხანგრძლივ, სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდოს. ამ რეგიონში სიტუაციის განვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას მოახდენს, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო ფაქტორი. ეს, ალბათ, არავის უნდა აეჭვებდეს, რომ რუსეთის ხელთაა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ჩრდილოეთ კავკასიის მისი ბატონობიდან გასვლას.”იხ. პ.ბორავსკი, “გახდება თუ არა ჩრდილოეთ კავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო?” “ობოზი” #25, 1993 წელი, გვ.167.

6იქვე, გვ. 158

7ერევნის რადიოს ეკითხებიან, მართალია თუ არა, თითქოს წითელ მოედანზე ველოსიპედებს არიგებენო? რადიო პასუხობს, მართალია, ოღონდ არა წითელ მოედანზე, არამედ კომკავშირის ქუჩაზე, ამასთან, არა ველოსიპედებს, არამედ ავტომანქანებს. თანაც კი არ არიგებენ, - არამედ იპარავენო.

**დაიბეჭდა ჟურნალ „ომეგას” 2003 წლის მარტის ნომერში**

## მაჰმადიანური ძეგლები აჭარაში

პეტრე ბორავსკი

ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში აჭარის მიწაზე არავის უკვირდა მრავალი მაჰმადიანური მეჩეთის ნახევარმთვარე, რამეთუ ეს ადგილობრივი ყოველდღიურობის ფრაგმენტებად აღითქმებოდა. მაჰმადიანური სიწმინდეები აქ მართლმადიდებლურ ეკლესიებთან, კათოლიკურ კოსტიოლებთან და ევანგელიკურ საყდრებთან თანაარსებობდნენ. მხოლოდ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ გამოუცხადა ბრძოლა და გაანადგურა აჭარული მეჩეთების დიდი რაოდენობა. ამჟამად ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემორჩა მხოლოდ რამდენიმე

ათეული მცირე ზომის მეჩეთი, რომლებიც მთიან, ძნელად მისადგომ ადგილებში მდებარეობენ.

სამხრეთ საქართველოში პირველი მეჩეთების მშენებლობა XVII საუკუნეში დაიწყეს, როდესაც თურქებმა მამულების წართმევის მუქარით აიძულეს ადგილობრივი ფეოდალები უკუეგდოთ მართლმადიდებლობა და ისლამზე გადასულიყვნენ. მთიანი აჭარის მაჰმადიანური სამლოცველოები გარეგნულად ძალზე წააგავს ლიტველი თათრების მეჩეთებს ძველი რეჩპოსპოლიტას საზღვრისპირა რაიონებში. მოცულობით ისინი ძალზე პატარებია, რომ არაფერი ვთქვათ ზოგიერთი მათგანის ნამდვილად მინიატურულ ზომებზე, თუმც მათგან ყველაზე პატარაც კი ნახევარმთვარით არის დაბოლოვებული. ამასთან, ამ მინარეთებს აქვთ სიმბოლური ან დეკორაციული მნიშვნელობა, ვინაიდან არც ერთი მათგანი არ უხმობს მორწმუნეებს სალოცავად.

მთიან აჭარაში შემორჩენილი მეჩეთები გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ მაჰმადიანურ სალოცავთა უმრავლესობა ამ ადგილებში აშენდა ხისა ან ქვისაგან. აჭარული მეჩეთები, როგორც წესი, თავიანთ არქიტექტურაში იმეორებენ ადგილობრივ ტრადიციებს. ისინი უფრო ადგილობრივი, წვრილი ფეოდალების საცხოვრებელ სახლებს მოგვაგონებენ, ვიდრე სტამბოლის მეჩეთებს. მათ რელიგიურ დანიშნულებაზე მხოლოდ მცირე ზომის, ნახევარმთვარით დასრულებული მინარეთები მეტყველებენ. ეს მეჩეთები აშენებულია მთის მწვერვალებზე, უმეტესად სოფლის განაპირას. ოსმალეთის თურქების ანალოგიურად არა აქვთ სპეციალურად გამოყოფილი ადგილი იმისათვის, რომ მლოცველებმა რიტუალური წეს-ჩვეულებები შეასრულონ. ჩვეულებრისამებრ მეჩეთები აგებულია კვადრატის გეგმით. სამლოცველო დარბაზში მლოცველი შედის დერეფნის გავლით, სადაც იგი ტოვებს ფეხსაცმელს.

სალოცავ დარბაზში შესასვლელი დერეფნის კედელში, როგორც წესი, დატანებული იყო მიჰრაბი, ანუ ნიშა, რომელიც უჩვენებდა მიმართულებას, თუ რომელ მხარეს მდებარეობდა მაჰმადიანთა წმინდა ქალაქი მექა. მეჩეთში ერთობლივი ლოცვის დროს მიჰრაბის წინ იდგა მოლა, რომელსაც პირისახე წმინდა ქალაქისაკენ ჰქონდა მიბრუნებული. აჭარულ მეჩეთებში მიჰრაბი ხისაგან იყო დამზადებული. ხშირ შემთხვევაში მიჰრაბი ხელოვნების უმაღლეს ნიმუშს წარმოადგენდა. მიჰრაბის ორნამენტებში ხშირად არის გამოყენებული ქართული კულტურის ნიმუშები. ამგვარ ორნამენტებს ვხვდებით გურიის, იმერეთისა თუ ქართლის ხის არქიტექტურაშიც. ამგვარი მიჰრაბიდან მოლა ყოველ პარასკევს აღავლენდა ლოცვას თურქეთის სულთანის სადიდებლად.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა ხელს არ უწყობდა აჭარაში მაჰმადიანური ხელოვნების შესწავლას. სხვადასხვა აღმსარებლობის 1500 სამლოცველოდან, რომლებიც 20-იან წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობდა, მხოლოდ ორიოდე

ათეული მეჩეთიღაა შემორჩენილი. მრავალი მაჰმადიანური სამლოცველო განადგურდა, ან საწყობად თუ მაღაზიად გადაკეთდა. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ მეჩეთები, რომლებიც შემორჩა აჭარისწყლის ხეობაში, ქედის, შუახევის და ხულოს რაიონების ტერიტორიაზე, წარსულის უაღრესად ძვირფას ძეგლებს წარმოადგენენ. ისინი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზეა აგებული, როცა ისლამი ფართოდ ვრცელდებოდა მთიან აჭარაში. ზედაპირული გამოკვლევებიც კი გვიჩვენებს, რომ თავიანთი არსებობის მანძილზე ისინი მრავალგზის გადაკეთდა.

შუახევის რაიონის სოფელ გოგაძეების მეჩეთი, ადგილობრივი ტრადიციების თანახმად XVIII საუკუნის მიწურულს ააგეს. მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში ,,რელიგიურ გადმონაშთებთან'' ბრძოლის ტალღაზე, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებაში ჰქონდა ადგილი, იგი ოფიციალურად დაკეტეს. თუმცა არაოფიციალურად იგი დღემდე ფუნქციონირებს. ადგილობრივი მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელ მანძილზე მასში ლოცულობდა.

ეს სამლოცველო წარმოადგენს მცირე ზომის კვადრატულ ნაგებობას, მცირე მინარეთთან ერთად, რომელსაც ამშვენებს ლითონის ნახევარვარსკვლავი. მეჩეთი შიგნით ძალზე მოკრძალებულად არის მორთული. სამლოცველო დარბაზის თეთრი კედლები მრავალგვარ მცენარეულობათა ორნამენტური ფორმებით არის დამშვენებული, სადაც უმრავლესობას სტილიზებული წითელი ვარდები და ტიტები წარმოადგენენ. ჩანს ადგილობრივმა ფერმწერმა თავის შემოქმედებაში გამოიყენა საქართველოს მრავალი რაიონის ძველ არქიტექტურაში ფართოდ გავრცელებული ორნამენტური ფორმები.

ამ კუთხის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მეჩეთს წარმოადგენს ძველი მაჰმადიანური სამლოცველო ხულოს რაიონში. იგი, როგორც ვარაუდობენ, აშენებულია XVIII საუკუნეში და წარმოადგენს იმის საუკეთესო მაგალითს, რომ აჭარის მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა მართლმადიდებლობის უარყოფასა და თურქების მიერ მისთვის მაჰმადიანობის ძალით თავს მოხვევას. მცენარეული ფორმების ორნამენტში, რომლებითაც მორთულია ხულოს რაიონში აგებული მეჩეთი, ჩახატულია მართლმადიდებლური ჯვარი. ეს მეჩეთი ათეული წლების მანძილზე წარმოადგენდა ადგილს, სადაც საიდუმლოდ ტარდებოდა ქრისტიანული ღვთისმსახურება (თუ არ ვცდები, ეს მეჩეთი სოფელ ღორჯომში მდებარეობს. იგი მეც მაქვს ნანახი. ა.გ.).

ანტირელიგიური ბარბაროსობის ტალღას, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო გაბატონებული, აჭარის მხოლოდ რამდენიმე მეჩეთი გადაურჩა. ისინი ძირითადად მდებარეობენ მთიან, რთულად მისადგომ ადგილებში. ეს მეჩეთები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არის აგებული. ეკონომიკური კრიზისის გამო, რომელიც უკვე რამდენიმე წელია საქართველოში

მძვინვარებს, ადგილობრივ მოსახლეობას წაერთვა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარების აღმოჩენის საშუალება. გადარჩენილი მეჩეთების აღდგენა-განახლება ხდება პროფესიონალი რესტავრატორების მონაწილეობის გარეშე. ამის გამო ხშირია, როცა აღდგენილი მეჩეთი კარგავს თავის პირვანდელ სახეს. თითქმის ყველა მეჩეთი ლითონის სახურავით არის დახურული, რაც არც თუ ისე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. სამაგიეროდ იგი წვიმისაგან კარგად იცავს ნაგებობას.

აჭარის სანაპიროზე ჩვენი საუკუნის ოციან წლებში არსებული რამდენიმე ათეული მაჰმადიანური სამლოცველოდან დღემდე მხოლოდ ერთი, მეცხრამეტე საუკუნის აზიზას მეჩეთია შემორჩენილი. იგი ბათუმის პორტის სიახლოვეს დგას, ზღვისპირა ბულვარის სიახლოვეს. გარეგნულად აზიზას მეჩეთი ჩამოჰგავს ანატოლიის პროვინციულ ქალაქებში მდებარე მაჰმადიანურ სამლოცველოებს. რომ არა ისრისებური მინარეთი, ძნელი მისახვედრი იქნებოდა, რომ იგი მეჩეთს წარმოადგენს.

ბოლშევიკურ რევოლუციამდე თითქმის ყოველ მეჩეთთან არსებობდა რელიგიური სკოლა, რომელშიც არა მხოლოდ მაჰმადიანური რწმენის ძირითადი პრინციპები ისწავლებოდა, არამედ თავმოყრილი იყო წიგნები და ხელნაწერები ისლამის თაობაზე. სამწუხაროდ, მათი უდიდესი ნაწილი უკვე უკვალოდაა გამქრალი. ასრულებდა რა მოსკოვის მითითებებს, აჭარის საბჭოთა ხელისუფლებამ პირწმინდად გაანადგურა მეცნიერებისათვის ეს უჩვეულოდ ძვირფასი საგანძური.

აჭარის ტერიტორიაზე იმ პერიოდში განადგურდა ასევე უძველესი მაჰმადიანური სასაფლაოები. მხოლოდ მეჩეთების სიახლოვეს გადარჩა ზოგიერთი მაჰმადიანური სასაფლაო. ისინი ამ ადგილებისათვის დამახასიათებელი მცენარეული საფარით არიან დაფარული. აჭარაში მაჰმადიანური სასაფლაოები გაანადგურა ასევე შემოსულმა მოსახლეობამ, რომელიც საფლავის ქვებში მშვენიერ სამშენებლო მასალას ხედავდა. ზოგიერთი უძველეს სასაფლაოს ახლა მხოლოდ ადგილობრივი ლეგენდები მოიხსენიებენ. აჭარაში დღემდე შემორჩენილი მაჰმადიანური სასაფლაოები ჯერჯერობით შეუსწავლელია, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონის შესასწავლად ისინი ძალზე ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ. განსაკუთრებით საინტერესო იქნება აჭარის მთიანეთში ჩატარებული მეცნიერული კვლევები. სახელდობრ, იქ შემოინახა ადგილობრივი შეიხებისა და მაჰმადიანურ ,,წმინდანთა'' სამარხები.

აჭარის ქალაქებისა და სოფლების არქიტექტურა მთლიანად დამოკიდებულია ქართულ ტრადიციებზე. მათ პირველი შეხედვით ძნელად თუ გამოარჩევთ აჭარის მეზობელ გურიაში თუ სამეგრელოში არსებული ანალოგიური ნაგებობისაგან. XIX საუკუნის მეორე ნახევრის აჭარაში გავრცელებული იყო ორი ტიპის საცხოვრებელი სახლები. მდინარე ჭოროხის წელს ქვემოთ ორსართულიანი სახლები აშენებული იყო ხისაგან ქვის

საძირკველზე, აქვე არც თუ ცოტა იყო მხოლოდ ქვითნაგები სახლები. რაც შეეხება მთიანი აჭარის სოფლებს, აქაც მრავლად არის ორსართულიანი სახლები, სადაც პირველ სართულზე პირუტყვს აბინავებენ.

დამოუკიდებელ საქართველოში აჭარა ავტონომიური რესპუბლიკაა. მისი ხელისუფლება ატარებს სრული შემწყნარებლობის პოლიტიკას ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანებისადმი. ავტონომიის ხელმძღვანელის, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობის პერიოდში აიგო ახალი და განახლდა მრავალი ძველი რელიგიური ძეგლი. ამ რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც ძალად თავს მოხვეული მაჰმადიანური რელიგიის მიმდევარი იყო, თანდათან უბრუნდება თავიანთი წინაპრების რელიგიას, ანუ მართლმადიდებლობას. ეს ხშირად თავის, არც თუ ისე დადებით, გავლენას ახდენს ძველ მაჰმადიანურ ძეგლებზე. ყველას კარგად როდი აქვს გათვითცნობიერებული, თუ რაოდენ საჭიროა მომავალი თაობისათვის ძველი, მაჰმადიანური ძეგლებისა და სასაფლაოების შემონახვა, რომლებსაც ისინი მხოლოდ თურქული მონობის დამადასტურებელ ნიშნებად მიიჩნევენ.

მრავალ რაიონში ძველ არქიტექტურაში ფართოდ გავრცელებული ორნამენტური ფორმები.

ანტირელიგიური ბარბაროსობის ტალღას, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო გაბატონებული, აჭარის მხოლოდ რამდენიმე მეჩეთი გადაურჩა. ისინი ძირითადად მდებარეობენ მთიან, რთულად მისადგომ ადგილებში. ეს მეჩეთები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ არის აგებული. ეკონომიკური კრიზისის გამო, რომელიც უკვე რამდენიმე წელია საქართველოში მძვინვარებს, ადგილობრივ მოსახლეობას წაერთვა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარების აღმოჩენის საშუალება. გადარჩენილი მეჩეთების აღდგენა-განახლება ხდება პროფესიონალი კონსერვატორების მონაწილეობის გარეშე. ამის გამო ხშირად აქვს ადგილი, როდესაც აღდგენილი მეჩეთი სცილდება მის თავდაპირველ სახეს. თითქმის ყველა მეჩეთი ლითონის სახურავით არის დახურული, რაც არც თუ ისე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. სამაგიეროდ იგი წვიმისაგან კარგად იცავს ნაგებობას.

აჭარის სანაპიროზე ჩვენი საუკუნის ოციან წლებში არსებული რამდენიმე ათეული მაჰმადიანური სამლოცველოდან დღემდე მხოლოდ ერთი, მეცხრამეტე საუკუნის აზიზას მეჩეთია შემორჩენილი. იგი ამ ქალაქის პორტის სიახლოვეს დგას, ზღვისპირა ბულვარის სიახლოვეს. გარეგნულად აზიზას მეჩეთი ჩამოჰგავს ანატოლიის პროვინციულ ქალაქებში მდებარე მაჰმადიანურ სამლოცველოებს. რომ არა ისრისებური მინარეთი, ძნელი მისახვედრი იქნებოდა, რომ იგი მეჩეთს წარმოადგენს.

ბოლშევიკურ რევოლუციამდე თითქმის ყოველ მეჩეთთან არსებობდა რელიგიური სკოლა, რომელშიც არა მხოლოდ მაჰმადიანური რწმენის ძირითადი პრინციპები ისწავლებოდა, არამედ აქ იყო თავმოყრილი წიგნები

და ხელნაწერები, რომლებიც ისლამს ეხებოდა. სამწუხაროდ, მათი უდიდესი ნაწილი უკვე უკვალოდ არის გამქრალი. ასრულებდა რა მოსკოვის მითითებებს, აჭარის საბჭოთა ხელისუფლებამ პირწმინდად გაანადგურა მეცნიერებისათვის ეს უჩვეულოდ ძვირფასი საგანძური.

აჭარის ტერიტორიაზე იმ პერიოდში განადგურდა ასევე უძველესი მაჰმადიანური სასაფლაოები. მხოლოდ მეჩეთების სიახლოვეს გადარჩა ზოგიერთი მაჰმადიანური სასაფლაო. ისინი ამ ადგილებისათვის დამახასიათებელი მცენარეული საფარი არიან დაფარული. აჭარაში მაჰმადიანური სასაფლაოები გაანადგურა ასევე შემოსულმა მოსახლეობამ, რომელიც საფლავის ქვებში მშვენიერ სამშენებლო მასალას ხედავდა. ზოგიერთი უძველეს სასაფლაოს ახლა მხოლოდ ადგილობრივი ლეგენდები მოიხსენიებენ. აჭარაში დღემდე შემორჩენილი მაჰმადიანური სასაფლაოები ჯერჯერობით შესწავლილი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონის შესასწავლად ისინი ძალზე ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ. განსაკუთრებით საინტერესო იქნება აჭარის მთიანეთში ჩატარებული მეცნიერული კვლევები. სახელდობრ იქ შემოინახა ადგილობრივი შეიხებისა და მაჰმადიანურ ,,წმინდანთა'' სამარხები.

აჭარის ქალაქებისა და სოფლების არქიტექტურა მთლიანად დამოკიდებულია ქართულ ტრადიციებთან. მათ პირველი შეხედვით ძნელად თუ გამოარჩევთ აჭარის მეზობელ გურიაში თუ სამეგრელოში არსებული ანალოგიური ნაგებობისაგან. XIX საუკუნის მეორე ნახევრის აჭარაში გავრცელებული იყო ორი ტიპის საცხოვრებელი სახლები. მდინარე ჭოროხის წელს ქვემოთ ორსართულიანი სახლები იყო აშენებული იყო ხისაგან ქვის საძირკველზე, აქვე არც თუ ცოტა იყო მხოლოდ ქვით აგებული სახლები. რაც შეეხება მთიანი აჭარის სოფლებს, აქაც მრავლად არის ორსართულიანი სახლები, სადაც პირველ სართულზე ინახავენ პირუტყვს, ხოლო მეორეზე თავად სახლის პატრონები ცხოვრობენ.

დამოუკიდებელ საქართველოში აჭარა ავტონომიური რესპუბლიკაა. მისი ხელისუფლება ატარებს სრული შემწყნარებლობის პოლიტიკას ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანებისადმი. ავტონომიის ხელმძღვანელის, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობის პერიოდში აიგო ახალი და განახლდა მრავალი ძველი რელიგიური ძეგლი ამ რესპუბლიკაში. ამ რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა, რომლებიც თავს ძალად მოხვეული მაჰმადიანური რელიგიის მიმდევარი იყვნენ, თანდათან უფრო ხშირად უბრუნდებიან თავიანთი წინაპრების რელიგიას, ანუ მართლმადიდებლობას. ეს ხშირად თავის, არც თუ ისე დადებით გავლენას ახდენს ძველ მაჰმადიანურ ძეგლებზე. მათ ძალზე ხშირად კარგად არა აქვთ გათვითცნობიერებული, თუ რამდენად საჭიროა მომავალი თაობისათვის ძველი, მაჰმადიანური ძეგლებისა და სასაფლაოების შემონახვა, რომლებსაც ისინი მხოლოდ თურქული მონობის დამადასტურებელ ნიშნებად მიიჩნევენ.

# საქართველო მამა ღმერთის ქვეყანა?

ვლადიმერ პანკოვი

ძველი ქართული ლეგენდის თანახმად, ღმერთმა სამყაროს შექმნისას მიწა სხვადასხვა ხალხებს გაუნაწილა, მაგრამ ქართველები გამორჩა. როდესაც ამ უკანასკნელთ თავი შეახსენეს, ძალიან შეწუხდა და თავისთვის შემონახული, რა თქმა უნდა, საუკეთესო მიწის ნაჭერი, მათ დაუთმო. ბევრი ქართველისათვის, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებს არ გასცილებიან, და ასეთები კი მათი უმრავლესობაა, ამ ლეგენდას ჯერაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

თუმცა, როგორც ჩანს, მხოლოდ თავად ქართველებისათვის როდია ეს ლეგენდა მისაღები. მრავალი პოლონელისათვის, განსაკუთრებით პოლონელი ქალისათვის, მას ნამდვილად აქვს მყარი საფუძველი. ჩემი თანამემამულეთა უმრავლესობა, რომლებსაც სოხუმი ან ბათუმი 70-იან წლებში აქვთ ნანახი, ღრმად ამოიოხრებს ხოლმე საქართველოს ხსენებაზე. მათი ამგვარი რეაქცია ჩემთვის სერიოზული ჩაფიქრების მიზეზი ხდება, მე ხომ სრულიად სხვა საქართველო ვნახე და გავიცანი. მისი აღწერა, რომელსაც ახლა შევეცდები, ნამდვილად არ არის ადვილი საქმე. ეს იქნება ერთგვარი ნარევი ტურისტის, ან არაპროფესიონალი ჟურნალისტის შთაბეჭდილებებისა სოციოლოგის დაკვირვებასთან, რომელიც ამასთან იძულებულია დაეყრდნოს ფრაგმენტულსა და ზოგჯერ შემთხვევით სტატისტიკურ მონაცემებს, რამეთუ სისტემატიზირებული მაჩვენებლები ამ ქვეყანაში უბრალოდ არ არსებობს.

## საიდან ვიცი ის, რაც ვიცი?

საქართველოს მიწაზე პირველად ფეხი 1996 წლის გაზაფხულზე დავადგი, როდესაც იქ ვარშავის საზოგადოებრივ-ეკონომიკური კვლევის ცენტრმა გამგზავნა. ეს მოხდა ლეშეკ ბალცეროვიჩის თბილისში ხანმოკლე ვიზიტის შემდეგ, რომლის დროსაც მან, როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა, საქართველოს ხელისუფლებასთან დააყენა საკითხი თბილისში საქმიანობის დაწყების თაობაზე. მაშინ საქართველოში 3 თვეზე მეტი დავყავი. ამ ხნის მანძილზე ქვეყნის დედაქალაქში, ასევე სხვა მსხვილ ქალაქებში – რუსთავში, ბორჯომში, გორსა და მცხეთაში შევისწავლეთ დაახლოებით 40 საწარმოს მუშაობა. მას შემდეგ კიდევ 10-ჯერ ვიმოგზაურე „მამა ღმერთის ქვეყანაში" და რამდენიმე ათეული „ფირმის" საქმიანობას გავეცანი. ეს იყო ობიექტები,

რომლებისთვისაც მხოლოდ პირობითად შეგვეძლო გვეწოდებინა საამაყო სახელი ,,ფირმა'', ანუ რომლებიც ოდესღაც მოქმედ, თუმცა, რა თქმა უნდა, საბჭოური ტიპის საწარმოებს წარმოადგენდნენ. დოქტორ ბარბარა გონჩაჟთან, სოციოლოგ-ეკონომისტთან ერთად ათობით ინტერვიუ ჩავატარე როგორც ამ საწარმოთა ხელმძღვანელებთან, ისე ადგილობრივ ექსპერტებთან, წავიკითხე მრავალი წერილი თუ სტატია მათი მუშაობის შესახებ. დაბოლოს, და ეს არის გამოცდილების შესწავლის მნიშვნელოვანი წყარო, - მოვისმინე ათობით სადღეგრძელო ქართულ სუფრაზე, რომლებსაც ზემოაღნიშნულ ქალაქებში მასპინძლები გვიწყობდნენ. ასევე გავეცანი და ვესაუბრე მრავალ უბრალო ადამიანს: ტაქსის მძღოლებს, ქუჩაში მოსიარულეთ, იმ სახლების ბინადართ, სადაც თბილისში ყოფნისას გვიხდებოდა ცხოვრება და სხვ. და სხვ.

აი, ასეთია ის ,,ინფორმაციული საფუძველი'', გარდა უბრალო ტურისტული დაკვირვებისა იმაზე, რაც ხდებოდა საქართველოს ქუჩებში, სამუშაო ადგილებზე, მაღაზიებში, ბაზრებსა და ა. შ., რომელიც გამოგვადგა წინამდებარე სტატიაზე მუშაობისას. მოხარული ვიქნებოდი, თუ მასში გადმოცემული ამბები გარკვეულ დაინტერესებას გამოიწვევდა პოლონელ, და იქნებ ქართველ, მკითხველშიც.

## საინტერესოა, აქ როგორ ცხოვრობენ

თხრობას დავიწყებ იმ უბრალო ფაქტიდან, რომელიც მე 1957 წელს საბჭოთა დასავლეთ უკრაინიდან გადასახლებულს, მეტად სიმპტომატურად მეჩვენება. მხოლოდ მაშინ, იმ შორეულ წარსულში, როდესაც მშობლიური სოფელი მივატოვე, მომიხდა ბოლო მღელვარებით აღსავსე ღამის გატარება ლამპის შუქზე. ჩემ სოფელში მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შემოყვანილი ელექტროობა, თუმცა ცნობილი გოელროს გეგმა, რომელიც, როგორც ამბობენ, ლენინის ხელმძღვანელობით იყო დამუშავებული, უკვე განხორციელებული იყო. მას შემდეგ გავიდა 39 წელი და მე მომიწია ასევე მღელვარე ღამე გამეთია და ამასთან, არა სოფელში, არამედ თითქმის ისეთსავე დიდ ქალაქში, როგორიც ვარშავაა. უშუქოდ მომიხდა ასევე გამეტარებინა ამ ქალაქში ბევრი სხვა ღამეც. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ახლა აქ, ,,იმპორტული'', მეზობელ ირანიდან შემოტანილი, ლამპებია; ეს პირველი, - თუმცა ცხადია, არა უკანასკნელი სიმპტომია იმისა, რაც ახლა მოდური ტერმინით – ,,გლობალიზაციით'' აღინიშნება. ამ პროცესის მეორე სიმპტომია თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელის პრივატიზაცია ამერიკელი ინვესტორების მონაწილეობით. თუმცა ამან საქმეს ვერ უშველა და თბილისის ელექტროენერგიით მომარაგების საქმეში რადიკალური ძვრები ჯერ არ ჩანს. ზაფხულშიც კი, თბილისში თითქმის ყოველ მეორე დღეს შუქი ითიშებოდა და ამგვარი მდგომარეობა 8-10 საათი გრძელდებოდა. სხვაგვარად შეიძლება ასევე

გამოითვალოს გლობალიზაციის ეფექტიც. თუმცა ამას უფრო დაწვრილებით შემდეგ გამოვიკვლევთ.

ამასთან, ცხოვრება დიდ, ჩაბნელებულ ქალაქში გაცილებით საფრთხილოა, საშიშიც კი, ვიდრე პატარა, მიყრუებულ სოფელში. მაგრამ ამგვარ პირობებში აღმოჩენილი ქართველები როგორღაც შეეგუენ მდგომარეობას და გარკვეული მეთოდებიც გამონახეს ცხოვრებისათვის. სახლები, ბინები მრავალსართულიან კორპუსებში რკინის კარებებით არის მოჭედილი და მრავალი საკეტით დაგმანული... ვინ იცის, იქნებ ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ ეს გამოცდილება ყოველივე იმის მხედველობაში მიღებით, რაც ხდება და რაც შეიძლება მოხდეს ჩვენს კორპუსებში?

დედაქალაქის მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში, სადაც მრავალი ბინა მართლაც თანამედროვე დონეზეა გაწყობილი, წყალიც ასევე არარეგულარულად მოდის. ამის მოწმე თბილისში ცხოვრებისას თითქმის ყოველ დღე ვხდებოდი. რაც შეეხება გათბობას, ამის შესახებ თბილისში ვგონებ უკვე აღარც ახსოვთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ წინააღმდეგ მრავალი პოლონელის შეხედულებისა საქართველოს კლიმატზე, ზამთრის პერიოდში აქაც საკმაოდ დიდი სიცივეები იცის და ტემპერატურა არც თუ ისე აღემატება პოლონეთში არსებულ ტემპერატურას. ამიტომ ნოემბრიდან მარტამდე აქაურებს არაფერი დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ თბილად ჩაიცვან და ბინები ზემოაღნიშნული მეთოდებით გაითბონ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გლობალიზაციისა და საქართველოს ბაზრების გახსნის კვალობაზე გათბობის ხარჯები განუწყვეტლივ მატულობს.

როგორც უკვე ზევითაც ვთქვით, იმ თბილისელთა, რომელთა სტუმრობის შესაძლებლობაც მე მომეცა და რომლებიც საშუალო კლასს მიეკუთვნებიან, საცხოვრებელი ბინების კომფორტი თითქმის ცენტრალური ევროპის ამავე კლასის წარმომადგენელთა ბინების კომფორტის დონეზეა და ბევრით არ ჩამოუვარდება იმ პარიზელთა საცხოვრებელ ბინებს, სადაც მე სტუმრად ვყოფილვარ 80-იან წლებსა და 90-იანი წლების დასაწყისში. ცხადია, ეს უკვე წარსულის მემკვიდრეობაა და რეალური სოციალიზმის პერიოდში ქართველთა გერგილიანობაზე მეტყველებს. მაშინ ქართველები საიდანაც კი შეეძლოთ სახლებში ეზიდებოდნენ ავეჯს, ელექტრონიკას, ბროლის ჭურჭელს. ლოგინის თეთრეულს, ტანსაცმელს... და რუსულ ენაზე გამოცემულ მსოფლიო ლიტერატურის კლასიკასაც. ქართველები იძენდნენ ასევე მშობლიურ, ქართულ კლასიკასაც, რომელიც, როგორც წესი, მაგარ ყდაში იყო ჩასმული. ყველაფერი ეს თვითეული ქართული ოჯახის სოლიდურ სტანდარტს შეადგენდა, რომლებიც ნომენკლატურულ ,,საშუალო კლასს'' მიეკუთვნებოდნენ. სამაგიეროდ, ბოლო ათი წლის მანძილზე, როგორც ჩანს, ამ ოჯახებს ბევრი არაფერი შეუძენიათ. უფრო მეტიც: საზოგადოების ამ ჯგუფში თავის გადარჩენისათვის მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ გამონაკლისს მხოლოდ მსუბუქი ავტომანქანები შეადგენენ; ბოლო ათ

წელიწადში ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა დასავლური ავტომანქანების რიცხოვნობა, თუმცა თბილისის ქუჩებში ჯერ კიდევ მრავლად მოძრაობენ საბჭოური ავტოებიც, რომლებიც ქუჩებში რაღაც მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ბოლის ბუღს აყენებენ. ცხელ დღეებში ასეთ ქუჩებში ნახევარ საათზე მეტის გაძლება ნამდვილად ძალზე ძნელი საქმეა, შემდეგ ადამიანი პირდაპირ იგუდება უჰაერობისაგან...

კომფორტი, ჰიგიენა, ესთეთიკა, სიმყუდროვე – ყველაფერი ეს იმ წუთასვე მთავრდება, როგორც კი ბინის კარებს გამოსცილდები. უკვე სადარბაზოშივე იგრძნობა ქაოსი და უპატრონობა – ჩამტვრეული შუშები, დაზიანებული, დაჩხაპნული ლიფტები, დომოფონები, რომლებიც საცხოვრებელ სახლებში ჯერ კიდევ საბჭოური ,,უძრაობის'' ხანაში იყო დამონტაჟებული და რომლებიც ახლა ყრუდ დუმან... ქალაქის თითქმის ყველა ქუჩა, გარდა ალბათ თბილისის მთავარი არტერიის, რუსთაველის პროსპექტისა, ასევე სრულიად უპატრონოდ არის მიტოვებული... ქუჩებში უსახურავოდ დარჩენილი ჭები მძღოლებს აიძულებენ უაღრესად დაძაბულად მართონ ავტომანქანა, გადავიდნენ საწინააღმდეგო ზოლზე და ა.შ. ძალზე ძნელი და მეტად საშიშია ასეთ ქუჩებში მოძრაობა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საჭესთან მჯდომი ჯიგიტი ქუჩაზე გადამსვლელთა დანახვაზე გაზის პედალს უფრო მეტად აჭერს ფეხს, ვიდრე მუხრუჭისას... ადამიანს, რომელიც პარიზის ქუჩებში სიარულს არის მიჩვეული, თბილისის ქუჩებში აღმოჩენილს უდიდესი განცვიფრება შეიპყრობდა, თუკი, რა თქმა უნდა, ეყოფოდა საამისოდ დრო...

## როგორ გამოიყურება ეს ქვეყანა

დედაქალაქის არქიტექტურა სრული ქაოსის შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ ერთგვარ გამონაკლისს ალბათ ,,ელიტის'', ანუ ,,სამთავრობო'' და ,,საუნივერსიტეტო'' უბნები წარმოადგენენ, სადაც შენარჩუინებულია ურბანიზაციულ-არქიტექტურული სტანდარტების რაღაც მინიმუმი. სხვა უბნებში ჭარბობს მეტ-ნაკლებად ,,თანამედროვე'' კორპუსები. აქა-იქ, მათ შორის, შემორჩენილია ტრადიციული არქიტექტურული ფორმები, მსუბუქი და ლამაზი, თუმცა უკვე ძალზე სამწუხარო მდგომარეობაში. ამ სახის ტრადიციული შენობები განსაკუთრებით მრავლადაა ,,მაიდანზე'', ანუ თბილისის უწინდელ ცენტრში. ეს შენობები უტყუარი მოწმეა იმისა, თუ როგორ ზეწოლას განიცდიდა ქართული კულტურა საბჭოური ,,თანამედროვე'' კულტურისაგან.

ეს გავლენა განსაკუთრებით ნათლად ჩანს ქალაქ რუსთავში, რომელიც თბილისიდან 20 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს და რომელიც ჩვენი ნოვა ხუტას ასაკის და ყაიდის ქალაქია (Nოწა ჩჰუტა -ახალი მეტალურგიული ქარხანა და მეტალურგთა ქალაქი, რომელიც, პოლონეთში მოარული ხმების თანახმად, პოლონელმა კომუნისტებმა საბჭოელი ძმების წაქეზებით იმიტომ

ააშენეს, რომ აქაური მუშათა კლასის სახით საიმედო დასაყრდენი გაეჩინათ მათთვის საძულველ კრაკოველ ოპოზიურ ინტელექტუალებთან წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში –ა.გ.).

ქალაქი სრულიად შიშველ მინდვრებზეა გაშენებული, დელიკატურად რომ ვთქვათ, ეკლეკტიკურ სტილში, უდიდეს მეტალურგიულ ქარხანასთან ერთად, რომელიც ახლაც ბოლავს თავისი ღუმელებით და უდიდესი ქიმიური ქარხნით ქალაქის ცენტრში. თუმცა ანალიზისათვის საჭირო და სათანადო მასალები არ გაგვაჩნია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თბილისის შენობათა მდგომარეობა გარკვეულ კავშირშია, როგორც ამ ორი უდიდესი სამრეწველო ობიექტის მუშაობასთან, ისე რამდენიმე ათეულ სხვა ობიექტთან. ამ ქალაქში ყოველი ჩასვლისას და ჩვენ კი იქ ოცდაათზე მეტჯერ ვიყავით, ძალუმად მიღებული უარყოფითი ემოციებისაგან თავის ტკივილს ვგრძნობდი – ირგვლივ მხოლოდ უფორმო საცხოვრებელი კორპუსები და ფაბრიკებია, საცხოვრებელი კორპუსები და ფაბრიკები, დაუმთავრებელი სამრეწველო ინვესტიციები და ათხრილ-დათხრილი გზები...

ჩვენი ცხონებული და კეთილად გასახსენებელი ინტელექტუალური გიდი ქართულ საწარმოებში, უფრო სწორედ იმ ობიექტებზე, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩნენ ქვეყნის მრეწველობას, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე, დოქტორი ემირ ჯუღელი, ერთობ ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანი, ხშირად იტყოდა ხოლმე ჩვენთან საუბრისას, რომ საქართველოში მხოლოდ ის არის კარგი და მშვენიერი, რის შექმნაშიც ქართველის ხელს მონაწილეობა არ მიუღიაო... ამას იგი, ხუმრობით დაუმატებდა ხოლმე, - ეს სხვათაშორის, ქართველ ბავშვებსაც ეხებაო...

ამ ქვეყნის თანამედროვე საცხოვრებელი მრავალსართულიანი სახლების, განსაკუთრებით საზოგადოებრივი ხასიათის შენობების, მით უფრო სამრეწველო ხასიათის ნაგებობების დათვალიერების შედეგად ნამდვილად ვრწმუნდებით ამ შეხედულების სისწორეში, ოღონდ ერთი შესწორებით: ეს მხოლოდ „საბჭოთა ქართველის" მიმართ არის სწორედ შენიშნული, რომელიც ახალ ცხოვრებას, მის ირგვლივ არსებულ რეალურ სინამდვილეს საბჭოური კონცეფციის თანახმად, ანუ რუსი ექსპერტების კარნახით, ჰქმნიდა. როგორც ზევითაც აღვნიშნე, საქართველოში მრავალი ძველი საცხოვრებელი სახლი, ასევე ღვინისა თუ კონიაკის ძველი ქარხანა მაქვს დათვალიერებული, რომლებიც რევოლუციამდე და ქვეყანაში ბოლშევიკების შემოსევამდეა აშენებული. ეს მშვენიერი და სოლიდური ნაგებობები საკმაოდ ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა მაღალ დონეზე იდგა ძველი ქართული არქიტექტურა. იგივეს თქმა შეიძლება ქართველის ხელით შექმნილი თუნდაც საბჭოური ან პოსტსაბჭოური პერიოდის სხვა სახის ქმნილებების მიმართაც - ჭედურობა იქნება ეს, მოზაიკა, მხატვრობა, ავეჯი თუ სხვ.

**როგორ მუშაობენ აქ?**

სამაგიეროდ მეტად საინტერესო შთაბეჭდილებას ტოვებს და იგი დღემდე მაქვს გამოყოლილი, ის ყველაფერი, რაც ჩვენ ვნახეთ საწარმოებად წოდებულ ობიექტებზე ყოფნისას. უკვე ზემოთ ნახსენებმა ემირ ჯუღელმა მოგვიხერხა ასეთი ობიექტების სტუმრობა – თბილისში, რუსთავში, ბორჯომსა თუ ქუთაისში, მოკლედ, ყველა იმ ქალაქებში და იმ ობიექტებზე, სადაც ჯერაც კი ,,რაღაც ტოკავდა'', ანუ ფირმებში, რომლებიც მეტ-ნაკლებად კარგ მდგომარეობაში იყვნენ. თუმცა აქ ყველგან ჩვენ ვხედავდით დიდ საამქროებს, რომლებიც სავსე იყო ,,მკვდარი'' მანქანა-დანადგარებით, კაბინეტებს უშუქოდ, გათბობისა და წყლის გარეშე, აყრილი იატაკითა და დამტვრეული ავეჯით, დერეფნებში მერცხლის ბუდეებით, უსაშველოდ მომრავლებული მშიერი ძაღლებით შენობებსა და ეზოებში და ა.შ.

განსაკუთრებით შემზარავი იყო ზოგიერთ იმ საწარმოში ყოფნა, რომლებიც ადრე და ნაწილობრივ ახლაც დაკავებული იყვნენ ხორცისა ან ტყავის გადამუშავებით. ცხადია, ასეთი საწარმოები ვერც პოლონეთში დაიტრაბახებენ ჰიგიენითა და იქ გაბატონებული სასიამოვნო სუნით, მაგრამ თუ ასეთი საწარმოს საქმიანობა რაღაც მიზეზების გამო შეჩერდება და მისი ხელმძღვანელობა არ გაატარებს რაიმე ჰიგიენურ ღონისძიებებს, მით უმეტეს, თუ ტექნოლოგიური პროცესების ასეთი იძულებითი შეწყვეტა თვეობით ან იქნებ წლობითაც გაგრძელდა, მაშინ ასეთ ობიექტებთან მიახლოებაც კი ძალიან ძნელი იქნება აირწინაღების გარეშე. მაგრამ ზოგჯერ აღმოჩნდება ხოლმე, რომ მიუხედავად ამისა, ასეთი ობიექტის რომელიღაც კუთხეში ადამიანები დაკავებულები არიან რაღაც-რაღაც ძეხვების წარმოებით ან ნიკოლოზის დროინდელი ტყავის გამოყვანით...

მრავალ ასეთ საწარმოში ჩვენ ვხედავდით ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც ყოველთვის ერთად იდგნენ და რაღაც შიშითა თუ იმედით შეჰყურებდნენ მათ საამქროებსა თუ ადმინისტრაციულ შენობაში მისულ ყოველ სტუმარს. ამ შენობაში ჩვენ გვხვდებოდნენ დირექციის წევრები, სტუმართმოყვარედ, თუმცა ცოტა დაბნეულები, ზოგჯერ გაბოროტებულნიც, სასოწარკვეთილნი თავიანთი ობიექტის ასეთი მდგომარეობით, ობიექტებისა, რომლებიც თითქმის ყველა მათგანის აზრით, ოდესაღაც სანაქებო საწარმოს წარმოადგენდა და რომელშიც ასეთივე სანიმუშო კოლექტივი მუშაობდა.

რამდენიმე კვირის განმავლობაში მრავალი ასეთი ობიექტის გაცნობა შევძელით. ამ ობიექტებზე ყოფნისას ჩემთვის და განსაკუთრებით, ჩემი თანმხლები ქალბატონისათვის, ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა აუცილებელი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. აღნიშნულ საწარმოებში ის ობიექტები, ,,სადაც მეფენიც კი ფეხით დადიან'' უაღრესად საშინელ სანახაობად გვევლინებოდა, თუმცა ჩვენ დირექტორთათვის განკუთვნილი ,,ტუალეტებით'' ვსარგებლობდით. ძნელი

წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა სახე ექნებოდა უბრალო მუშაკთათვის განკუთვნილ ანალოგიურ ობიექტებს...

იგივე პრობლემა გვაწუხებდა, როდესაც ვსტუმრობდით გასტრონომიულ ობიექტებს, რომლებიც 1996-97 წლებში აქ ჯერ კიდევ ძალზე ცოტა იყო. თუმცა ასეთ ობიექტებში ყოფნისას აღნიშნული პრობლემის შედეგები გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება დადებითიც კი აღმოჩენილიყო: ვკარგავდით მადას საკმაოდ გემრიელ, თუმცა უბრალო და ამასთან, კალორიული ქართული კერძების მიმართ. ამასთან, აქვე მინდა შევნიშნო, რომ ამ სფეროში სიტუაციამ გაცილებით სწრაფად დაიწყო გამოსწორება. უკვე 1998 წელს ქვეყანაში მრავალი ამ პროფილის დაწესებულება გაჩნდა, სადაც საკმაოდ მისაღებ ჰიგიენურ პირობებში გემრიელი საჭმელის მირთმევა შეიძლებოდა.

მაგრამ მოდით, ისევ ,,ჩვენს ცხვრებს'' დავუბრუნდეთ. როდესაც ჩვენი კვლევითი ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ადრე საწარმოს ბუღალტრად ნამუშევარმა, შეაჯამა იმ 33 საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგები, სადაც რაღაც ელემენტარული ბუღალტერიის ნორმები იყო დაცული, აღმოჩნდა, რომ საწარმოს მიერ ოფიციალურად წარმოებული პროდუქციის მოცულობა 1995 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 2.6 პროცენტს შეადგენდა, ხოლო დასაქმება კი, უფრო ფორმალური, ვიდრე რეალური, ანალოგიური პერიოდის შესაბამის მაჩვენებლის 12-14 პროცენტს არ აღემატებოდა.

აქვე მინდა შეგახსენოთ, ჩვენ მხოლოდ იმ საწარმეობის საქმიანობას ვსწავლობდით, რომლებიც შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული. თუნდაც რომ ეს ოფიციალური ციფრები ოთხჯერ-ექვსჯერ გავზარდოთ, მაშინ 1995 წელს ჩვენ მივიღებდით მაჩვენებელს, რომელიც 10-15%-ზე მეტს არ შეადგენდა იმ მაჩვენებელთან შედარებით, რომელსაც ეს საწარმოები აღწევდნენ საბჭოთა იმპერიის დანგრევამდე. არა მგონია, რომ ანალოგიური ოპერაციის განხორციელება გამართლებული იყოს დასაქმების მაჩვენებლის მიმართაც. თუმცა ამ საწარმოთა მუშაკები კვლავ მიდიან თავიანთ საწარმოში, უწინდელი ჩვეულებისამებრ, თუ რაღაც იმედით, რომ იგი კვლავ ამუშავდება; ისინი აქ დადიან ასევე კოლეგებთან სასაუბროდ და იმის გასაგებად, თუ სად შეიძლება კაცმა ,,ორიოდე ლარი'' იშოვოს. ამასთან, 1991 წელს ქვეყანაში არსებული 1200 საწარმოს მუშაკთა უმრავლესობა ქუჩაში გავიდა, მათ ნაწილმა ვაჭრობა დაიწყო ქალაქის ბაზარზე, რომელიც თბილისის რამდენიმე ათეულ ჰექტარს იკავებს, ანდა სოფელში დაბრუნდა.

ვის არ შეხვდებით ქალაქის ბაზრებზე: მუშებსა და გლეხებს, მოხელეებსა და მასწავლებლებს, ექიმებსა და იმ ყოფილ მეცნიერ-მუშაკებს, რომლებიც ოდესღაც თბილისის მრავალ სამეცნიერო ინსტიტუტში, უმაღლეს სკოლებსა და კვლევით ცენტრებში მუშაობდნენ. ისინი ვაჭრობენ ყველაფრით, რაზედაც კი შეიძლება მოთხოვნილება იყოს, ისინი ბაზრებზე არიან თითქმის მთელი დღის მანძილზე, შეიძლება ითქვას, რომ ბაზარზე ცხოვრობენ. ამის გამო ეს უდიდესი ბაზარი, ისევე როგორც სხვა შედარებით პატარა ბაზრები და ასევე

აუარება წვრილ-წვრილი მაღაზიები ამ ქალაქში მუშაობენ შეუსვენებლივ, ალიონიდან დაღამებამდე. ამასთან, სიტყვა ,,მუშაობენ'' ცოტა არ იყოს გადაჭარბებულია. უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ისინი უბრალოდ სულ ღიაა, თუმცა აქ ნამდვილ კლიენტს იშვიათად თუ შეხვდებით.ნაღდი კლიენტი მით უფრო იშვიათობაა მაღაზიებში, რომლებიც ფუფუნების საგნებით ვაჭრობენ. ეგრეთწოდებულ საშუალო ქართველის მსყიდველობითი უნარი ჯერ კიდევ ძალზე დაბალია, რადგან იგი თვეში საშუალოდ ორიოდე ათეულ დოლარს გამოიმუშავებს.

იყო დრო, განსაკუთრებით ომის დასრულების პირველ წლებში (ავტორი თბილისში მომხდარ სამოქალაქო ომს გულისხმობს –ა.გ.), როდესაც რაღაც ეფექტურ მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე, მით უფრო ელეგანტურ მაღაზიებსა და გასტრონომიულ დაწესებულებებში, ძირითადად ადგილი ჰქონდა საქართველოს დედაქალაქში აგრერიგად მომრავლებული ფონდების და არასამთავრობო სტრუქტურების მუშაკთა მხრიდან. მალე მათ დაემატა ადგილობრივი წვრილ და საშუალო ქართველ ბიზნესმენთა თხელი, თუმცა მზარდი ფენა. ამ უკანასკნელთა გამოცნობა არც თუ ისე ძნელია: ისინი თანამედროვე ავტომობილებით დადიან, იცვამენ ძვირფას ტანსაცმელს, ხელში მობილური ტელეფონები უკავიათ, თავისუფალი არიან ქცევაში და ა. შ. ისინი ასევე ჯგუფ-ჯგუფად დადიან – პარტნიორებთან, კლიენტებთან და ა.შ. ერთად. საზოგადოების ყოველი წრის წარმომადგენელი ქართველი ძალზე საინტერესო ნაზავია ინდივიდუალიზმისა კლანურობასთან; სახელდობრ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ საქართველოში თითქმის იშვიათად შეხვდებით საზოგადოებიდან თითქმის სრულიად გარიყულ ადამიანებს...

## სად არის საძიებელი კატასტროფის სათავე?

ზემოთ წარმოდგენილი სურათები, რომლებიც ძალზე დაშორებულია ,,მამა ღმერთის მიწის'' შესახებ წარმოშობილი იდეალისაგან, უცხოსათვის შეიძლება გარკვეულ ეგზოტიკას წარმოადგენდეს, თუმცა ამასთან, ყოველივე ამან შესაძლოა გამოიწვიოს მისი ერთგვარი გაოცება და ღრმად ჩააფიქროს კიდეც იგი. ძალიან ბევრი ქართველისათვის, იქნებ მათი უმრავლესობისათვისაც კი, რომლებსაც ადრე მიაჩნდათ, რომ ისინი ცხოვრობენ მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფოს უმშვენიერეს რესპუბლიკაში – ამჟამინდელი სიტუაცია დიდი და დაუმსახურებელი კატასტროფაა. სხვა რაღა გზა დარჩენოდათ, ქართველები მიეჩვივნენ ყოველივე ამას და ისწავლეს, თუ როგორ შეგუებოდნენ ამგვარ მდგომარეობას. ბევრი მათგანი საბჭოურ პერიოდს, როგორც ,,დაკარგულ სამოთხეს'', ისე იხსენებს. თუმცა აქ რუსი არ უყვართ, მაგრამ მაინც თავი საბჭოთა კავშირის ,,დაშლის'' თუ ,,დანგრევის'' მსხვერპლად მიაჩნიათ. ქართველების აზრით, სახელდობრ აქედან დაიწყო მათი ყველა უბედურება, სამოქალაქო ომი

თუ ომი აფხაზეთსა და ჩეჩნეთში, რის შედეგადაც ქართულ საქონელს გზა გადაეკეტა ყოფილი საბჭოთა კავშირის, განსაკუთრებით რუსეთის ბაზრებისაკენ, მას შემდეგ მოზღვავდა ქართულ ბაზარზე დასავლური პროდუქცია, რომელთანაც არის დაკავშირებული ქართული მრეწველობის ჩაკვლა; ამ ადამიანების აზრით, სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაიზარდა უჩვეულოდ სახელმწიფო ჩინოვნიკთა კორუმპირებულობის დონე, რაც ერთის მხრივ, უდიდეს ტვირთად დააწვა ქვეყნის სამეწარმეო სფეროს, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფომ სრულიად მოიშორა თავიდან ვალდებულებები ქვეყნის საბიუჯეტო სფეროს მიმართ – ჯანმრთელობის დაცვა იქნება ეს, განათლება, ინფრასტრუქტურის განვითარება თუ სხვა რამ.

ამ მოვლენების გარედან მაყურებელს შეუძლია გააკეთოს დასკვნა, რომ საქართველო არის გლობალიზაციის მსხვერპლი. თავდაპირველად ,,საბჭოთა ტიპის გლობალიზაციისა'', ვინაიდან ყველა ის 1200 საწარმო, რომელიც ზემოთ ვახსენეთ და რომელთა ნახევარიც მძიმე მრეწველობას მიეკუთვნებოდა, აშენებული იყო საბჭოთა კავშირის ან უფრო მეტიც, სოციალისტური სისტემის ,,გლობალური'' ზრდისათვის. ხუმრობით შეიძლება ითქვას, ცოდოა ამდენი უბედურებისათვის ეს პატარა და მშვენიერი ქვეყანა. საბჭოთა კავშირის დაშლამ, ომებმა და სხვა უარყოფითმა გარემოებებმა ქართულ საწარმოთა უმრავლესობას საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის საშუალება მოუსპეს. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ასევე საკუთარი ენერგორესურსების შეზღუდული მარაგი და ამ იმპორტირებული რესურსების ფასების მკვეთრი გაზრდა.

გამოცარიელებულსა და ყოვლად დაუცველ ქართულ ბაზარს მასიურად მიაწყდა უცხოური, თუმცა დაბალი ხარისხის, მაგრამ სამაგიეროდ ასევე დაბალფასიანი საქონელი. ეს საქონელი აქ შემოდიოდა და შემოდის თურქეთიდან, საბერძნეთიდან, ირანიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, უკრაინიდან და ა. შ. ქართულ ფირმებს, რომელთაც არც ამგვარი საქონლის ასე იაფად წარმოება შეუძლიათ და არც მისი ასეთ დონეზე რეკლამირება, სხვა არაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ გაკოტრებულიყვნენ, და ისინი ეცემოდნენ, როგორც ბუზები, როდესაც მათ მომწამლავ შხამებს ასხურებენ.

როდესაც ქალბატონ ბარბარა გაციაჟთან და ჩვენს ქართველ თანამშრომლებთან ამ ქვეყნის მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ 90-იანი წლების შუა პერიოდში მოხსენება მოვამზადე, გამახსენდა ოდესღაც ნანახი ფილმი - ,,ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ''.

მართლაც, ქართული საწარმოები და მათი კოლექტივები, რომელთაც აღარც ფინანსური სახსრები ჰქონდათ შემორჩენილი და აღარც ნედლეულის მარაგები, მაგრამ სამაგიეროდ ჰქონდათ აბსურდულად ვეებერთელა და ამასთან, ყოვლად გამოუყენებელი შენობა-ნაგებობები, ერთიმეორის მიყოლებით კარგავდნენ ნიშას ბაზარზე და უკან და უკან იხევდნენ. არ გააჩნდათ რა არავითარი ინფორმაცია მოწინააღმდეგის, უფრო სწორად,

კონკურენტის შესახებ, მოკლებულნი მომზადებულსა და გამოცდილ ხელმძღვანელობას, ისინი ეცემოდნენ უცხოური მდარე და იაფი საქონლის კონკურენციისა და შედეგიანი, რაფინირებული რეკლამის ქვეშ. მკვდარ ფაბრიკებში რჩებოდნენ მხოლოდ დირექტორები და მათი ადმინისტრაცია, რომელთაც გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ მიიღებდნენ მარაგების ,,შევსებას'' და ასევე შეკვეთებს პროდუქციის წარმოებაზე, შეკვეთას, რომელიც სინამდვილეში უკვე აღარასოდეს აღარ მოვიდოდა.

საქართველო, ისევე როგორც ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების უმრავლესობა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, უცხოური საქონლის გასაღების ბაზარი გახდა. ქვეყანა იქცა როგორც ცნობილი საზღვარგარეთული კონცერნების, ისე საეჭვო რეპუტაციის ფირმების მიერ წარმოებული საქონლის გასაღების ბაზრად, რომლებიც საქართველოს მოაწყდნენ მაქსიმალური მოგების მისაღებად.

ქართული მრეწველობის თითქმის აბსოლუტური დაუცველობა უცხოური ფირმების აგრესიის წინააღმდეგ მხოლოდ საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი და ქართული ბაზრის სრული დაუცველობით როდია განპირობებული. საბჭოთა კავშირის შიდა და გარე საზღვრებზე მდგარი მებაჟეები ერთ-ერთ ყველაზე მეტად კორუმპირებულ ფენას წარმოადგენდნენ, რომელთაც არც მთავრობების ეშინოდათ და არც კანონების. ამიტომ მათაც მცირე წვლილი როდი მიუძღვით ქვეყნის დაქცევაში.

ქართველს ცუდი სამსახური გაუწია მემკვიდრეობით მიღებულმა მენტალიტეტმაც, რომელიც მის გონებაში კიდევ უფრო განმტკიცდა სამოქალაქო ომის ფსიქოლოგიური შედეგებით. უდიდესი ქართული სახელმწიფო საწარმოების დირექტორები და მუშაკები დარწმუნებული იყვნენ, რომ წარმოადგენდნენ უახლესი ტექნოლოგიების მფლობელებს, რომ მათი კვალიფიკაცია იყო ძალზე მაღალი და რომ შეუძლიათ ისეთი პროდუქციის წარმოება, რომელიც კონკურენტული იქნება დასავლეთის ნებისმიერ ბაზარზე. ამის ახსნა იმ ფაქტით შეიძლება, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის უდიდესი ბაზარი შთანთქავდა ყოველივეს, რასაც კი საქართველოს მრეწველობა აწარმოებდა. საბჭოთა იმპერიის დაშლამდე ქართველები საზღვარგარეთთან მოსკოვში არსებული საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საშუალებით ვაჭრობდნენ. გარკვეულწილად ამის გამოც აქვთ ასეთი მცდარი შეხედულება არამხოლოდ ქართული პროდუქციის კონკურენტულობის, არამედ მისი რეალიზაციის ხელოვნების შესახებაც. ყოველივე ამის სწავლა კი დაიწყო გვიან და სათანადო ფორმასა და ტემპებს მხოლოდ ბოლო წლებში ღებულობდა.

პოსტკომუნისტური საწარმოების დირექტორთა მენტალობა და ასევე შიშის ატმოსფერო, რომელიც ქვეყანაში სამოქალაქო ომის შედეგად იყო გამეფებული, საშუალებას არ აძლევდა ადგილობრივ კაპიტალს ,,ფრთები გაეშალა'', სამეურნეო, მით უფრო ლეგალურ სამეურნეო ბრუნვაში გასულიყო. საწარმოების დირექტორებს და მუშაკებს, რომელთაც შეძლეს ომის დროს

ქარხნის ქონება გაძარცვისაგან ეხსნათ, შემდეგ წლებშიც გადაემალათ იგი და იმის წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რომ შეიძლებოდა, უფრო მეტიც, აუცილებელი იყო, რაც შეიძლება მოკლე დროში მისი თავიდან მოშორება, რადგან იგი ყოვლად ზედმეტ და გამოუყენებელ ტვირთად ექცათ. თუმცა ისიც მართალია, რომ ჯერ ქვეყანაში არ არის შექმნილი ისეთი ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც მათ ამის საშუალებას მისცემდა.

აბსურდულად მაღალი საპროცენტო განაკვეთი შედარებით დაბალი ინფლაციის პირობებში საწარმოებს ხელ-ფეხს უბორკავს კრედიტის მიღების სფეროში, რაც საწარმოს განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად უნდა იქცეს. მეორეს მხრივ, ქვეყანაში, სადაც უდიდეს როლს თამაშობს ადამიანთა შორის პირადი კონტაქტები, თავდაპირველად ძალზე მრავალრიცხოვანი და უაღრესად მცირე ბანკების მიერ მოზიდული ფინანსური სახსრები გაურკვეველი მიმართულებით უჩინარდებოდნენ, ისევე, როგორც ჩვენთან 90-იანი წლების დასაწყისში და არა იმდენად მეწარმეების, რამდენადაც სპეკულანტების ინტერესებს ემსახურებოდნენ.

იმ სიცარიელით, რომელიც წარმოსდგა ქართული სახელმწიფო საწარმოების უმოქმედობითა და კერძო ფირმების განუვითარებლობით, მხოლოდ უცხოური იაფი პროდუქციის მწარმოებელთ როდი იხეირეს, თუმცა მათი აქტიურობა 90-იანი წლების შუა ხანებში გასაოცრად თვალსაჩინო იყო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საქართველოში ანუ ყურძნისა და ღვინის ქვეყანაში, საოცრად უხეირო ღვინო შემოჰქონდათ და ყიდნენ ბერძენ თუ ბალკანეთის ქვეყნების ათასი ჯურის იმპორტიორებს. ალბათ ძნელი წარმოსადგენია მსგავსი რამ მოხდეს უაღრესად ლიბერალურ ფრანგულ ბაზარზე.

უცხოური პროდუქციის მოძალების პარალელურად ქვეყანაში გაგრძელდა მოხმარების ,,ნატურალიზაცია'', რაც გამოიხატებოდა დაბალ დონეზე გადამუშავებულ ან საერთოდ გადაუმუშავებელი სურსათის მოხმარებასა და ასევე საოჯახო მეურნეობების თვითუზრუნველყოფაში. ქართული საშუალო ფენის მრავალი წარმომადგენელი ჩვენთან საუბარში ამბობდა, რომ თითქმის ყველაფერი, რაც მის ოჯახს სჭირდება იმისათვის, რომ ,,выпить и закусить" (ეს სიტყვები დედანშიც რუსულად წერია – ა.გ.) სწორედ მისი ბაღ-ბოსტნიდანაა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს. იმ კატასტროფამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქვეყნის მრეწველობაში გამოიწვია ადამიანების დროებით თუ სამუდამოდ უკან, სოფლად მიბრუნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება თამამად ითქვას, რომ 90-იანი წლების საქართველოში ადგილი ჰქონდა ეკონომიკისა და საზოგადოების დეინდუსტრიალიზაციის პროცესებს. ეს, გარკვეული თვალსაზრისით, ქვეყნის ხელახალ აგრარიზაციას მოასწავებს. ასეთ სიტუაციაში პარადოქსალურად გვეჩვენება საბიუჯეტო დარგების, ანუ

მეცნიერების სფეროს, ჯანმრთელობის, განათლების, ადმინისტრაციის წარმოუდგენელი გაბერვა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც აქ არ დაბეჭდილა ახალი სახელმძღვანელო, ხოლო ძველებმა, ყველა გაგებით, ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობები. საბიუჯეტო სფეროს მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე ალბათ, უკეთესი იქნება თუ საერთოდ არ ვისაუბრებთ, რადგან იგი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თვეში საშუალოდ ორიოდე ათეულ დოლარს არ აღემატება და ამასაც იშვიათად თუ ღებულობენ თავის დროზე. ფასები კი თითქმის ისეთია, როგორც ჩვენთან. მიმდინარე წლის ივლისში უკვე მერამდენედ გამოაცხადა მთავრობამ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სეკვესტრი, რადგან დასავლეთს უკვე აღარ სურს ქართული სახელმწიფოს შევსება. ისინი თანამშრომლობის შეწყვეტის მიზეზად ყოვლისმომცველ კორუფციას ასახელებენ.

## რა იქნება შემდგომ?

როგორც ჩანს, გაცილებით ადვილია წინასწარმეტყველი სხვა ქვეყანაში იყო, ვიდრე საკუთარში – გარკვეული მოვლენები შორიდან უფრო კარგად ჩანს – ამიტომ თავს უფლებას მივცემ საქართველოს მომავალთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება გამოვთქვა.

დღეს საქართველოში გლობალიზაციის ზოგიერთი დადებითი გამოვლინებები იკვეთება. გარდა უცხოური საქონლის მოზღვავებისა, ქვეყანაში შემოდის უცხოური კაპიტალი, რომელსაც ასევე თანა სდევს საზღვარგარეთული ,,კნოწ-ჰოწ''. ყოველივე ამან, რამდენიმე ათეულ სახელმწიფო საწარმოს საშუალება მისცა საგრძნობი პოზიციები დაეკავა ადგილობრივ ბაზარზე. ერთ-ერთმა ასეთმა ქარხანამ ფრანგული კაპიტალის დახმარებით ლუდის ბაზარი დაიპყრო, სადაც შეცვალა ანალოგიური ბულგარული, რუსული, ბერძნული თუ თურქული საქონელი.

ვფიქრობ, მომავალში ქვეყანაში ნავთობსადენებისა და გაზსადენების გაყვანის შემდეგ საერთო ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება. ქართველთა იმედებიც თავიანთი უფრო უზრუნველყოფილი და მშვიდობიანი ცხოვრების თაობაზე სწორედ ამ ,,ტრუბებზეა'' დამყარებული. ნატოს ევრაზიული ქვეყნები და აშშ, რომლებიც დაინტერესებული არიან მათი საშუალებით მათთვის გაგზავნილი ნედლეულის მშვიდობიანი ტრანსპორტირებით, შეიძლება საქართველოს უშიშროების გარანტად მოგვევლინონ, განსხვავებით აფხაზეთში დაბანაკებული რუსული ,,სამშვიდობო ძალებისა'', და ასევე საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შემორჩენილი მათი სამხედრო ბაზებისაგან. ამასთან, ამ ქვეყნის სტრატეგიული მდგომარეობა ჯერ კიდევ ძალზე რთულადაა, რის გამოც ქართველები, რომლებსაც, თუმცა რუსები გულზე არ

ეხატებათ, ჩვენთან საუბარში ამბობდნენ: დათვი რომ მოგერევა, ბაბა უნდა დაუძახოო.

სრულიადაც არა მაქვს სურვილი ვიყო ცუდი წინასწარმეტყველი, მაგრამ მეჩვენება, რომ არსებობს გარკვეული საშიშროება, რომელიც ხელს შეუშლის საქართველოში ვითარების სტაბილიზაციას. ამგვარი საშიშროება განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი ხელს უშლის

ნაწილობრივ უკვე ჩამოყალიბებულ, მუდმივად მზარდ, თუმცა ჯერაც ,,თხელი'' საშუალო ფენის შემდგომ განვითარებას. ამ ბრძოლაში სახელმწიფო მოხელეთა წინააღმდეგ საშუალო ფენის თანამძრახველია ასევე ათასობით უმუშევრად დარჩენილი და გაღატაკებული მოსახლეობაც. ყოველივე ამის გათვალისწინებით ქვეყანაში გამორიცხული არ არის რევოლუცია თუ სერიოზული გამოსვლები. თავის მხრივ, სახელმწიფო აპარატი, თუმცა თანამედროვე პირობების ადექვატური საგადასახადო სისტემის შექმნა არ შეუძლია, ძალზე დახვეწილია ქართველ მეწარმეთა ჯიბეებში ხელების ფათურში. რაც შეეხება მის მიერ იქიდან ამოღებულ ფულს, იგი მიდის ამავე მოხელეთა ჯიბეებში და ხმარდება მათივე უზომოდ გაბერილი ხარჯების გასტუმრებას. შექმნილ ვითარებაში გამორიცხული არ არის, რომ საშუალო კლასმა პარაზიტი მოხელეების წინააღმდეგ მიმართულ თავის ბრძოლაში დასაყრდენი ჰპოვოს ბაზრებსა თუ ქუჩაში, რომელიც ამ ქვეყანაში ცარიელი არასოდეს არ არის. კარგად ვიცი რა ქართველთა ტემპერამენტი, პირდაპირ შიშის ჟრუანტელი მივლის იმის გაფიქრებისას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს მოვლენების სახელდობრ ასე განვითარებას.

იქნებ ჩვენი გამოჩენილი რეფორმატორის, პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩის, რომელსაც თავისი საქმიანობის პრიორიტეტად ნებისმიერ ქვეყანაში საგადასახადო სფეროს დახვეწა მიაჩნია, რეკომენდაციის გათვალისწინებამ აარიდოს საქართველოს ამგვარი საშიშროება? ბალცეროვიჩს აქ მრავალი, ნობელის პრემიის დარი ამოცანის გადაჭრა მოუწევს და ამასთან არა მხოლოდ ეკონომიკის სფეროდან.

## მთარგმნელის მცირე ბოლოსიტყვაობა

რა შეიძლება ორიოდე სიტყვით ითქვას ამ წერილისა და მისი ავტორის შესახებ? ვლადიმერ პანკოვს, უფრო სწორედ მის შემოქმედებას, ადრეც ვიცნობდი. კერძოდ, მის მიერ ბარბარა გონჩაჟთან და გელა გრიგოლაშვილთან ერთად 1996 წლის დეკემბერში ვარშავაში გამოცემული წიგნით სათაურად ,,სახელმწიფო საწარმოების ტრანსფორმაცია'' ვისარგებლე ჩემი წიგნის ,,გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები – პრობლემები, პერსპექტივების'' წერისას, რომელიც 1998 წელს დაიბეჭდა. ამავე ნაშრომის ქართველ მეწარმეთათვის საინტერესო ძირითადი ადგილები ჩვენ ვთარგმნეთ და გამოვაქვეყნეთ გაზეთ

„მოქალაქეში” 1997 წელს. ხსენებულ წიგნში სათანადო მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე მრავალი მართლაც მნიშვნელოვანი დასკვნებია გაკეთებული. მინდა იქიდან ერთი პატარა ადგილი მოვიტანო, რომელიც ვფიქრობ, ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს.

წიგნის ავტორები ქართული საწარმოების ასეთი სავალალო მდგომარეობის ძირითად მიზეზებად შემდეგს ასახელებენ:

1. ზედმეტი (არასაჭირო) ქონების, ძირითადად ფონდების შენარჩუნების სინდრომი;
2. „უკეთესი” დროის სინდრომი ანუ უსაქმურობის სტრატეგია;
3. დასაქმების არსებული მდგომარეობის შენარჩუნების სინდრომი
4. „რუსოციზმის” სინდრომი ანუ ერთ ბაზარზე მიჯაჭვის სტრატეგია;
5. „პროტექციონიზმის” სინდრომი ანუ ოცნება ქართული ბაზრის დაცვის თაობაზე;
6. „უცხოური კაპიტალის ლოდინის” სინდრომი ანუ საწარმოს განვითარების სტრატეგია გარე რესურსების საფუძველზე.

ვფიქრობთ, ამ წერილშიც დაახლოებით ეს დასკვნებია გაკეთებული, ოღონდ მათ უფრო ბელეტრისტული ფორმა აქვთ ავტორის მიერ მიცემული.

და კიდევ, წინამდებარე წერილი 2002 წელს პოლონეთში ყოფნისას გადმომცა ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა დავით ყოლბაიამ. ბატონი დავითი აღშფოთებული იყო წერილის შინაარსით.

იქნებ ერთობ ტენდენციური ვარ, მაგრამ არ შემხვედრია პოლონელი, რომელსაც ცუდი ეთქვას ან დაეწეროს საქართველოს შესახებ. ამ ორი ქვეყნის მოსახლეობაში შემორჩენილია ურთიერთსიმპატიები და კეთილგანწყობა, რასაც დიდი ტრადიციები აქვს.

ვფიქრობ, ვლ. პანკოვის პუბლიკაციაც ქართველებისა და საქართველოს მიმართ კეთილგანწყობით არის ნაკარნახევი. წერილში უფრო ისაა, დიდი ილია რომ იტყოდა, „ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია”. რა ვუყოთ, რომ ჩვენთან არსებული სინამდვილე ქაღალდზე ადექვატურად არის გადმოცემული? წაკითხვის შემდეგ სიბრაზისა და გულში ბოღმის ჩადებას, ალბათ, სჯობს, უფრო კრიტიკულად შევხედოთ ჩვენს გარემომცველ სინამდვილეს, სათანადოდ შევაფასოთ და უკეთესობისაკენ გარდავქმნათ იგი.

**დაიბეჭდა ჟურნალ „მაკრო-მიკრო ეკონომიკის” 2003 წლის მარტი-აპრილის ნომრებში**

## საბაზრო ეკონომიკა ქართულად

ქართულად ითარგმნა (პოლონურიდან) და გამოიცა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორის, ნობელის პრემიის ლაურეატის რობერტ ლუკასის ,,საბაზრო ეკონომიკა". წიგნში საინტერესოდ და გასაგები ენითაა გადმოცემული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრობლემები, გაშუქებულია კაპიტალისტური მეურნეობის მართვის უმთავრესი ბერკეტები და მექანიზმები. ამ თემაზე დაწერილი წიგნებისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ ადვილად იკითხება, ავტორი შორსაა ჭკუის დამრიგებლური პათოსისაგან და არც საბაზრო ეკონომიკის იაფფასიან პროპაგანდას ეწევა, რაც ასე შესამჩნევია დღეს ჩვენში არსებული ღვარჭნილი და ბუნდოვანი ეკონომიკური ლიტერატურის ფონზე.

ბევრი ცნობილი დასავლეთევროპელი მეცნიერის მსგავსად ლუკასი ე.წ. კაპიტალისტურ საზოგადოებას განიხილავს, როგორც ყველაზე ოპტიმალურს დღემდე არსებულ ფორმაციებს შორის, რაც წარმოებისა და განაწილების შედარებით მოხერხებულ ჰარმონიზაციას გულისხმობს, თუმცა ავტორს არც ის გარემოება დარჩენია შეუმჩნეველი, რომ კაპიტალისტური წარმოების ფართოდ რეკლამირებული საგანი, ყოველდღიური მოხმარების საქონელი ადამიანს ბედნიერებას არ ანიჭებს.

ერთი სიტყვით, ესაა ცხოვრებითა და პრაქტიკით გამოცდილი კაცის მიერ დაწერილი წიგნი, კაცისა, ვინც ჭეშმარიტი ფასეულობის ყადრიც იცის და ეკონომიკურ თეორიას პრაქტიკისაგან მოწყვეტით არ განიხილავს.

წიგნი განკუთვნილია როგორც სტუდენტებისათვის, ისე ბიზნესმენებისა და ეკონომიკით დაინტერესებული მკითხველისათვის.

,,საბაზრო ეკონომიკა" გამოსცა ფინანსთა სამინისტროს გამომცემლობამ. თარგმანი ეკუთვნის ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ მთარგმნელსა და ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ამბროსი გრიშიკაშვილს.

**ზურაბ ლავრელაშვილი**

**დაიბეჭდა გაზეთ „ფინანსებში", 1998 წლის 16 აპრილს.**

## ლეშეკ ბალცეროვიჩის წიგნის ქართული თარგმნისათვის

საზოგადოების კეთილდღეობა მხოლოდ თავისუფლების, კერძო საკუთრების, სოციალურად ორიენტირებული ბაზრის, და მოქმედი კანონების პირობებშია შესაძლებელი. ამიტომ განუზომელია საქართველოსთვის იმ რეფორმების მნიშვნელობა, რომლებიც ქვეყანაში 1990 წლის შემდეგ ხორციელდება. იმისათვის, რომ საქართველომ შეასრულოს სტრატეგიული

მიზანი და ოცდამეერთე საუკუნეში მტკიცედ დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი მსოფლიოში, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, სხვათა წარმატება-წარუმატებლობის გარკვევა და საკუთარ შეცდომათა თავიდან აცილება.

ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარება, მათ შორის ეკონომიკისაც, უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან. სახელმწიფო და ეკონომიკა მუდმივად ურთიერთმოქმედებენ, მაგრამ როგორც მსოფლიოში ვერ ვნახავთ ორ ერთნაირ სახელმწიფოს, ისე არ არსებობს ასეთი ურთიერთმოქმედების ხასიათისა და შინაარსის ერთნაირი მაგალითები. ისტორიაში ყოფილა, ერთის მხრივ, ეკონომიკის თითქმის სრული გასახელმწიფოების მაგალითები. მეორეს მხრივ, არის ქვეყნები, სადაც სახელმწიფოს ჩარევა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მინიმალურია. მეოცე საუკუნის საერთო ტენდენცია კი სახელმწიფოს როლის ზრდა იყო. თუ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ პოსტსოციალისტური გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს საქმიანობის შესახებ არცთუ დიდი მოცულობის პოზიტიური გამოცდილებაა დაგროვილი, ცხადი გახდება, რაოდენ ღირებულია ასეთ თემებზე შექმნილი განმაზოგადოებელი ნაშრომები.

სწორედ ამ საქმეში მეტი სიცხადის შეტანისათვის ფასეული როლის შესრულება შეუძლია მსოფლიოში აღიარებული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პოლონეთის ეკონომიკური რეფორმების მთავარი ავტორის ლეშეკ ბალცეროვიჩის ორიგინალურ გამოკვლევას - ,,სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში''.

აღნიშნული ნაშრომის საფუძვლიანი შესწავლა წარმოაჩენს მის ფუნდამენტურ ღირსებებს. რაც პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ - ის არის, რომ პროფესორ ბალცეროვიჩს ახასიათებს ნებისმიერი მკითხველისათვის მასალის გასაგებად მიწოდების, ნათლად წერის სტილი. მაგალითად, როგორც კი ახსენებს ტერმინს ,,სტრატეგია'', უმალ განმარტავს ამ ცნების შინაარსს. ასევე არკვევს იგი ,,სახელმწიფოს'', ,,დემოკრატიის'' და ა.შ. ცნებების არსს. მთელს წიგნში ცხადად იგრძნობა, რომ მის ავტორს პრაქტიკულად აქვს განხორციელებული ის დებულებანი, რომლებსაც წიგნში განიხილავს. იგი თვითონ არის ავტორი და შემოქმედი პოლონური ,,შოკური თერაპიისა''. პოლონეთს და საქართველოს კი, თუ წინათ სოციალიზმის მშენებლობის იდეალები აერთიანებდათ, ახლა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საერთო პრობლემები აერთიანებთ. ამ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ცენტრალურია სახელმწიფოს როლის გარკვევა გარდამავალ პერიოდში.ცხადია, რომ ლეშეკ ბალცეროვიჩის წიგნს მართლაც ბევრის მოცემა შეუძლია, რადგან პოლონეთის მიერ გაკვალული გზა, რომელსაც ახლა ჩვენც გავდივართ, გონივრული მიდგომით მრავალ სირთულეს აგვაცილებს თავიდან. ავტორის პრაქტიკული რეკომენდაციები იმის საშუალებას იძლევა, რომ საქართველოს სინამდვილეში

ფართოდ გავიაზროთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბები და მისი მოსალოდნელი შედეგები. წიგნში ავტორი ასაბუთებს პოსტსოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში ისეთი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას, რაც ადამიანთა ცხოვრების დონის სწრაფ და სისტემატურ ამაღლებას გამოიწვევს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის ნაშრომში გადმოცემული მრავალმხრივი გამოცდილება იმისა , თუ როგორ ხორციელდება პოლონეთში ,,სახელმწიფო ფინანსების საშუალოვადიანი სტრატეგიის შესახებ" ავტორისეული სტრატეგია, როგორ ახერხებს პოლონეთი საგარეო ვალების მნიშვნელოვანი ნაწილის გასტუმრებას, რა როლს ასრულებს ეკონომიკურ გარდაქმნებში პროფესიონალიზმი, კარგი სამეურნეო ინიციატივები და ადგილობრივ პირობებზე ზუსტად მორგებული რეფორმების პაკეტი. ნაშრომში გაანალიზებულია, თუ რა როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ გარდამავალ პერიოდში ზოგიერთი საქონლის და მომსახურების წარმოების საქმეში. საინტერესოდაა წარმოდგენილი ავტორისეული ხედვა და პოზიციები იმის შესახებ, რომ გადასახადები სახელიმწიფოში გარკვეულ ზღვარს არ უნდა გასცდეს, ხოლო ყველა გადამხდელი თანაბარ კონურენტულ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რადგან გადასახადის ცალკეულ გადამხდელთათვის შეღავათების დაწესება დამღუპველი და მიუღებელია. ავტორი ეკონომიკის რეგულირებისათვის სახელმწიფოს ჩარევის საქმეში უმთავრესად ამ ჩარევის ეფექტიანობას მიიჩნევს.

გვინდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ამ შესანიშნავი წიგნის სამეცნიერო რედაქტორია ცნობილი ქართველი ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი ბატონი ავთანდილ სილაგაძე. წიგნს დართული აქვს ასევე ცნობილი მეცნიერისა და მოღვაწის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი ბატონი ვლადიმერ პაპავას მაღალპროფესიული ბოლოსიტყვაობა.

თავს ვალდებულად მივიჩნევთ აღვნიშნოთ შემდეგიც: გაუმართლებელი იქნებოდა აქვე გულწრფელი მადლობა არ მიგვეძღვნა იმ პიროვნებისათვის, ვისი წყალობითაც საშუალება მოგვეცა პროფესორ ლეშეკ ბალცეროვიჩის ნაშრომს მშობლიურ ენაზე გავცნობოდით. ქართველ მეცნიერ-ეკონომისტს და პუბლიცისტს, პოლონეთის კულტურის დამსახურებულ მოღვაწეს, ბატონ ამბროსი გრიშიკაშვილს მართლაც დიდი საქმე გაუკეთებია. მის მიერ პოლონურიდან ქართულ ენაზე უბადლოდ ნათარგმნი ლეშეკ ბალცეროვიჩის - ,,სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში" ორიგინალურ ადგილს დაიკავებს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების გზამკვლევ გამოცდილების ნააზრევთა საგანძურში.

**შოთა ვეშაპიძე, პროფესორი**
**უშანგი სამადაშვილი, პროფესორი**

**მცირე სახესხვაობით დაიბეჭდა**
**ჟურნალ „ბანკის" 2001 წლის 1-2 ნომერში**

# პოლონელი ისტორიკოსისა და მოგზაურის იან პოტოცკის ცნობები საქართველოზე

XVIII საუკუნის პოლონელმა ისტორიკოსმა და მოგზაურმა იან პოტოცკიმ მრავალ ქვეყანაში იმოგზაურა და ამ მოგზაურობათა შესახებ ცნობებს დღიურების სახე მისცა. მან შემოიარა თურქეთი, ეგვიპტე, მაროკო, რუსეთი, მონღოლეთი და სხვ. თუმცა პოტოცკი საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ XVIII საუკუნის მიწურულს (1797 წელს და 1798 წლის პირველ ნახევარში) იგი ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა და მრავალი საინტერესო ცნობა ჩაიწერა საქართველოს შესახებაც.

ვფიქრობთ, ი. პოტოცკის დღიურების ფრაგმენტებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ეხება, ინტერესით გაეცნობა მკითხველი. ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას ვუხდით პოლონეთის დესპანს საქართველოში პეტრე ბორავსკის, რომელმაც გადმოგვცა ვარშავაში 1959 წელს გამოქვეყნებული ეს წიგნი სახელწოდებით "მოგზაურობა".

## **თავი III**

ასტრახანში ჩასვლა

(დღიურში ეს ჩანაწერი დათარიღებული არა არის. იგი განთავსებულია 1797 წლის 9 ივნისისა და 13 სექტემბრის ჩანაწერებს შორის).

ამჟამად ასტრახანში იმყოფება ავღანელი თავადი - საქართველოს მეფის ერეკლეს მიერ დატყვევებული ასსად-ხანის ვაჟი, რომელმაც მთელი სიცოცხლე სპარსეთში გაატარა და სრულიადაც არ იცნობს საკუთარ სამშობლოს....

4 ოქტომბერი (1797 წ.)

ავართა ტომის ბელადის უმა-ხანის წერილი ჩემი მასპინძლისადმი (აბას-ხანი) დაწერილი იყო ქართულად მისი ერთ-ერთი ცოლის - ქართველი თავადის ასულის მიერ, რომელიც მასთან აღიზარდა.

9 ოქტომბერი (1797 წ.)

დღევანდელი დღე ჩემს დღიურში ყველაზე ლამაზ დღედ შეიძლება ჩაითვალოს: თითქმის უკვე სრულიად დავრწმუნდი, რომ ალანები არსებობენ თავიანთი ენით, დასახელებით, და, შესაძლოა, წეს-ჩვეულებებითაც. ამ კეთილ ცნობას უნდა ვუმადლოდე  დავითს, რომელიც არის ერისთავი (ანუ თავადი) იმერეთში. იგი თავისმა მეფემ წარგზავნა ელჩად საქართველოს მეფესთან და ოსებმა მოიტაცეს. ოსებს დავითი დატყვევებული ჰყავდათ სამი წლის განმავლობაში შემდეგ კი რუსეთში ჩამოვიდა. იმერეთის მეფეს სოლომონი ჰქვია. წინამორბედი მეფე, ასევე სოლომონი, რომელსაც ხშირად ახსენებენ ევროპაში, თოთხმეტი წლით ადრე გარდაიცვალა. მას ტახტის მემკვიდრედ დარჩა ძმის შვილი-მეფე დავითი, რომლის მემკვიდრესაც ასევე სოლომონი ჰქვია, მათი ქვეყნის დედაქალაქი უწინდებურად ქუთაისია, ხოლო მეფის, ანუ ხელმწიფის, გვირგვინი ინახება გელათის მონასტერში.

სამეგრელოს უწინდებურად მართავს ერისთავი. მეგრული ენა განსხვავდება ქართულისაგან. ერისთავი არის ტიტული და არა გვარი.

13 ოქტომბერი (1797 წ.)

მესტუმრა ქართველი მღვდელი, რომელსაც განზრახული აქვს, აღადგინოს სპარსელების მიერ დანგრეული თავისი ეკლესია. ჩემგან მოწყალების მიღების შემდეგ, ხელები ცისკენ აღაპყრო და იწყო ჩემი, ჩემი ოჯახისა და ჩემი შთამომავლობის დალოცვა.  ლოცვისას მას ცრემლები წამოსცვივდა, მისი სიტყვები თითქოს გულის სიღრმიდან მოდიოდა. მღვდლის საქციელი ისე შეეფერებოდა მის ღირსეულსა და პატრიარქულ გარეგნობას, რომ შემიძლია ვთქვა, აქამდე არასოდეს გავმხდარვარ მოწმე ასეთი შთამბეჭდავი სურათისა. ეს მოხუცი მოძღვარი ადრე, დედოფალ ეკატერინეს ხელმწიფობის დროს, რუსეთში ყოფილა მეფე ერეკლეს ამალაში.

14 ოქტომბერი (1797 წ.)

ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის წინათ ავართა ხანი, რომელმაც კავშირი დაამყარა ჭარის რესპუბლიკასთან, შეეცადა შეჭრილიყო კახეთში, მაგრამ ქართველებმა მოიგერიეს თავდასხმა და წაართვა. ჭარის რესპუბლიკის მოსახლეობას ათასამდე კამეჩი. სპარსეთში ბაბა-ხანი ცდილობს, მოიპოვოს

უმაღლესი ხელისუფლება, მაგრამ მას  ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავს სადიყ-ხანის სახით.

26 ოქტომბერი (1797 წ.)

კავკასიიდან მოვიდა ახალი ამბავი, რომ ავარიის ხანი ჭარში იმყოფება ოთხათასიან არმიასთან ერთად და განზრახული აქვს საქართველოში შეჭრა, მაგრამ ქართველები ფხიზლობენ და თავდასხმის აღსაკვეთად მზად არიან.

1 ნოემბერი (1797 წ.)

ვესაუბრე სომეხს, რომელიც ჭარიდან მოვიდა, სადაც მას უნახავს ავართა ჯარი. მისი გადმოცემით, ავართა რაზმებში სანიმუშო წესრიგია. ძალზე არასასიამოვნოა ის ახალი ამბები, რომლებიც მან სომხეთიდან ჩამოიტანა: ჯავათ-ხანს განჯაში დაბრუნებისთანავე ბრძანება გაუცია, თვალები დაეთხარათ და ხელები მოეკვეთათ მათთვის, ვისაც რუსებთან კარგ დამოკიდებულებაში ამხელდა. მას აგრეთვე, განუზრახავს, საქართველოში აღა-მაჰმად-ხანის მსგავსად შეჭრა.

5 ნოემბერი (1797 წ.)

თბილისიდან მოგზაური ჩამოვიდა და მითხრა, რომ ავარები იტაცებენ ადამიანებსა და საქონელს იმ სოფლებიდანაც კი, რომლებიც აღნიშნული ქალაქიდან მხოლოდ სამი ვერსტის (1067 მეტრი - მთარგ.) დაშორებით მდებარეობს. ამ თავდასხმების მიზეზია, რომ ქართველთა მეფე უკვე რამდენიმე წელიწადია უწინდებურად აღარ უგზავნის ხარკს ავართა ხანებს. კავკასიელ პოლიტიკოსთა აზრით, საქართველოს სამეფო თავიდან ვერ აიცილებს უახლოეს ხანებში დაღუპვას, ან თურქთა მფარველობის ქვეშ მოექცევა, თუმცა ასეთი წამალი ავადმყოფობაზე უარესი იქნება. სამეფო ოჯახის რამდენიმე წევრი, როგორც ჩანს, მზად არის, მიიღოს მაჰმადიანობა. მათგან ერთ-ერთმა დაიპყრო ქალაქი ერევანი და გამორიცხული არ არის, რომ იგი ახალ დინასტიას დააფუძნებს.

## XI განყოფილება

მოზდოკში
19 ნოემბერი (1797 წ.)

ვესტუმრე მოზდოკისა და მაჯარის ეპარქიის ეპისკოპოსს, დიდგვაროვან ქართველს. მან მითხრა, რომ ალანები ასევე ცხოვრობენ კავკასიის ერთ-ერთ ხეობაში, სვანების მეზობლად, მაგრამ ისინი თავად არ უნახავს და არც იცის, როგორ შეიძლება მათთან მიღწევა. შემდეგ ჩვენ ვისაუბრეთ ეკლესიის ისტორიაზე, რისი საუკეთესო მცოდნეც იგი აღმოჩნდა. მისი თქმით, აბხაზთა და სვანთა რელიგია ეკლესიათა მიმართ ამ ტომების უდიდესი მოკრძალების გრძნობაზეა დაფუძნებული და უკვე რამდენიმე საუკუნეა, ვერავის გაუბედავს მასთან მიახლოება ოცდაათ ნაბიჯზეც კი. მათ აქვთ, აგრეთვე, რამდენიმე ბერძნული ლოცვანი, რომელთა გადაშლა ასევე ვერავის გაუბედავს, მაგრამ მასზე ფიცსა სდებენ. ასეთნაირად იქცევიან ბალყარებიც, რომლებიც თურქული ტომებია. ისინი ოსების დასავლეთით და იმერეთის ჩრდილოეთით ცხოვრობენ. მდინარე ჩეხეს ნაპირებზე მცხოვრებმა ბალყართა ერთ-ერთმა ტომმა სახელად ჩეხოვი მიიღო.

23 ნოემბერი (1797 წ.)

ეპისკოპოსის ბიბლიოთეკაში მაჩვენეს სამოცდაათი წლის ქართული ხელნაწერი - ეს არის პერგამენტზე დაწერილი წმინდა იოანეს სახარების ქადაგება. დამწერლობა მიაგავს სომხურს, ხოლო ენა, ეპისკოპოსის სიტყვებით, არ განსხვავდება ქართველთა სალაპარაკო ენისაგან.

## XII განყოფილება

მოგზაურობა მოზდოკიდან გეორგიევსკისაკენ

1 დეკემბერი (1797 წ.) ეკატერინოგრადში

აქ მე საქართველოს მეფის ძის, უფლისწულ მირიანის სტუმარი ვარ, რომელიც რუსეთის არმიაში გენერალ-მაიორის ჩინით მსახურობს. ახალგაზრდა ბატონმა მშვენივრად იცის რამდენიმე ენა და აზიის ისტორია.

9 დეკემბერი (1797 წელი)

უფლისწულმა დღეს სიამოვნებით გადამითარგმნა რამდენიმე ფრაგმენტი “ქართლის ცხოვრებიდან” (ანუ საქართველოს ისტორიიდან), რომელიც დაწერილია ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში უფლისწულ ვახუშტის მიერ. ამ გზით მე შევიტყვე იმ ხალხის არსებობა, რომელთაც აისორები ჰქვია და რომლებიც ცხოვრობენ

არმენიის ჩრდილოეთით. მათი რელიგიის შესახებ მონაყოლით ვვარაუდობ, რომ ისინი მანიქეველობის მიმდევართა შთამომავლები არიან. ეს ხალხები თაყვანს სცემენ ეშმაკის მსგავსი გარეგნობის კულტს, იმგვარად, თითქოს ეს-ესაა შემოსწყრნენ უფალს და ყოველ წუთს შეიძლება მიუბრუნდნენ მის წყალობას. ამ პატარა ამბის გაგებამ დიდი სიამოვნება მომგვარა.

## XIII განყოფილება

მაჯარისაკენ გამგზავრება

17 მარტი (1798 წ.)

დავასრულეთ რაინექსის კითხვა და აი, ჩვენი კრიტიკოსთა კომისიის მსჯავრი: რაინექსმა საკმაოდ ზუსტად აღწერა ის ქვეყნები, რომლებიც მოინახულა, ანუ საქართველო, სომხეთი, დაღესტანი და შირვანი, მაგრამ ქვეყნების აღწერაში, რომლებიც მთების ჩრდილოეთით, მისი მწვერვალებიდან თითქმის თერგისა და ყუბანის ნაპირებამდე მდებარეობს, იმდენივე შეცდომაა, რამდენიც წინადადება. ეს შეცდომები უმეტესად ინტენდანტის, ვინმე სტადორისგან მომდინარეობს, რომელსაც მეტწილად ეყრდნობოდა რაინექსი. ამ მრავალი შეცდომის მიზეზი იყო მაშინდელი ყალბი რუკებიც; ვჩქარობ, ამის შესახებ გაგაფრთხილოთ, ვინაიდან მეცნიერების სამყაროში ხშირად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც მომსწრენი არიან სამყაროს შექმნისა და მოგზაურთა ჩანაწერებში ეძებენ მხოლოდ დაკვირვებებს, რომლებიც ეთანხმებიან მათ მიერ მოპოვებულ ცნობებს.

## განყოფილება XV

გეორგიევსკიდან ეკატერინოდარისაკენ გამგზავრება

ვოროვსკი ლესის დასახლება

9 აპრილი (1798 წ.)

დაუფარავი სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ კუმის ზევით ცხოვრობს ყივჩაყთა ცნობილი ტომი - ერთ-ერთი იმ ტომთაგან, რომლებიც შედიოდნენ

კუმანთა ხალხების შემადგენლობაში. ამ ტომმა თითქმის სრულიად მიატოვა მომთაბარე ცხოვრება.

მართალია მათი სახლების გადატანა შეიძლება ერთი ადგილიდან მეორეზე, მაგრამ მათ ირგვლივ ყივჩაყები აშენებენ თავლებსა და სხვა სამეურნეო ნაგებობებს და უფრო ხშირად ასეთი სოფლები მუდმივად ერთ ადგილას რჩება. შემდეგ კუმის მთისკენ გავცურეთ და სამ საათში მივადექით მშვენიერ ხეობას, სადაც აბხაზთა ტომი ცხოვრობს. ჩვენ მიგვიყვანეს მოგზაურთათვის განკუთვნილ სახლში, სადაც მაშინვე გარს შემოგვეხვია მთიელთა ბრბო. აზნაურები ჯავშნით იყვნენ შეკაზმულნი და თან ატარებდნენ მშვილდ-ისარს. ყველა დანარჩენი მამაკაცი ლითონის სარტყლიანი ჯოხით მოვიდა. ისინი ამ ჯოხებს ეყრდნობოდნენ და გოროზი სახეებით შემოგვცქეროდნენ. მიუხედავად მებრძოლი იერისა, აბხაზებს უჩვეულოდ ეშინიათ ყაბარდოელი ბატონებისა და ხმამაღლა მოითხოვენ სხვა ქვეყანაში გადასახლებას, სადაც ისინი თავიდან აიცილებდნენ მათ თავდასხმებს. ყაბარდოელი თავადების მიმართ შიშს განაპირობებს მათი შურისმაძიებლური ხასიათი. მაგალითად, ოცდაათიოდე წლის წინათ, თავისდა საუბედუროდ, ოსებს შემოაკვდათ ერთ-ერთი ყაბარდოელი თავადიშვილი. ამ დროიდან მოყოლებული, ყაბარდოელები ყოველწლიურად აწყობენ ოსების სოფლებზე თავდასხმას და მრავალ მათგანს ხოცავენ. აბხაზები ლაპარაკობენ იმ ენაზე, რომელშიც ბევრი სიტყვა ჩერქეზულს ჰგავს, მაგრამ არ არის მონოსილაბური. აბხაზების ისტორიის შესწავლამ ჩვენ მთელი დღე დაგვაკარგვინა და გზას მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ გავუდექით.

მხოლოდ გვიან ღამით მივედით ვოროვსკი ლესში. თუმცა ასეთი სახელი ამ ქვეყნის ყოველ ტყეს მიესადაგება. აქაურები ჩვენ მიერ გაცნობილ ტომებს შორის ყველაზე ჯანმრთელნი არიან. რუსებს აქ აქვთ ციხე, კაზაკებს - სტანიცა.

**დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს", 1998 წლის 4-10 აგვისტოს ნომერში**

## ოქტომბერი ვარშავაში

ამბროსი გრიშიკაშვილი

ოქტომბერი პოლონეთის ეროვნული ბანკის მიწვევით (თავმჯდომარე - საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში, პროფესორი ლეშეკ ბალცეროვიჩი) ვარშავაში გავატარე (დიდი მადლობა პირადად ბატონ ლეშეკსა და პოლონეთის ბანკის თანამშრომლებს ჩვენი მიწვევისათვის).

ცხადია, ბატონ პროფესორს შევეკითხეთ, თუ რატომ აღარ ჩამოსულა იგი საქართველოში ასე დიდი ხნის მანძილზე. ამაზე მასპინძელმა დაუფარავად

გვიპასუხა, რომ თქვენთან ჩემს რეკომენდაციებს არ ითვალისწინებენ და ასეთ პირობებში რა ფასი აქვს ჩემს ჩამოსვლასო.

ვარშავაში ყოფნისას დამიგროვდა გარკვეული შთაბეჭდილებები, რომელთა გაცნობაც, ვფიქრობ, დააინტერესებს მკითხველს.

*
* *

ამჟამად პოლონეთის საზოგადოების წინაშე რამდენიმე ისტორიულად მნიშვნელოვანი პრობლემა დგას, რომელთა გადაჭრაზეც დიდად იქნება დამოკიდებული ამ ქვეყნის აწყმო და მომავალი. ერთ-ერთია ქვეყნის გაწევრიანება ჯერ ევროკავშირში (მოსალოდნელია 2004 წლის დასაწყისში), ხოლო შემდეგ ევროსავალუტო ზონაში (2006 წელს).

ძნელი სათქმელია, თითქოს ევროკავშირში შესვლა ამ ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის საოცნებო იყოს. უფრო მეტიც, როგორც ამ ქვეყანაში, ისე ევროკავშირის სახელმწიფოებში პოლონეთის გაწევრიანების თაობაზე ბევრს კამათობენ. ეს გასაგებიც არის. ამჟამად პოლონეთს აწუხებს ისეთი პრობლემები, რომლებიც სიმძიმით გადაწონის დანარჩენ პრეტენდენტ ქვეყნებში არსებულ სირთულეებს. განსაკუთრებით დიდ ხარჯებს მოითხოვს ამ ქვეყნის ზოგიერთი დარგის მოსალოდნელი რესტრუქტურიზაცია. ასეთი დარგებია, უპირველეს ყოვლისა, მეტალურგია, ქვანახშირის მოპოვება და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა. ამ უკანასკნელ დარგში პოლონეთში დასაქმებულია იმდენი ადამიანი, რამდენიც ყველა ზემოთ აღნიშნულ პრეტენდენტ ქვეყნების სოფლის მეურნეობაში ერთად აღებული.

ამასთან, თუ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აწუხებთ ის გარემოებაც, რომ პოლონეთის ეროვნული მეურნეობის ზოგიერთი დარგის რეკონსტრუქციისათვის საჭირო იქნება დიდი მოცულობის ფინანსური სახსრები, პოლონელ ოპოზიციონერთა აზრით, ქვეყნის ევროკავშირში გაერთიანება საშუალებას არ მისცემს თუნდაც ამ დარგს გაუძლოს კონკურენციას კავშირის ქვეყნების სოფლის მეურნეობის დარგების მხრიდან. ამ კუთხით განსაკუთრებით აქტიურობს ,,სამოობორონა'' და ,,პარტია პოლსკიხ როძინ'' (პოლონური ოჯახების ინტერესების დაცვის პარტია). ამ პარტიების ლიდერებმა წერილობით მიმართეს ევროკავშირის ქვეყნებს, რათა რეფერენდუმზე მხარი არ დაეჭირათ პოლონეთის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის. უკვე ამჟამად ადგილობრივ ბაზარზეც კი ზოგიერთი პოლონური პროდუქცია ვერ უძლებს კონკურენციას დასავლური პროდუქციის მხრიდან და რეალიზაციის გარეშე რჩება. ასეთი პროდუქტებია თუნდაც ხორბალი, შაქარი, ხორცი და სხვ. პოლონელებს განსაკუთრებით ის გარემოება აწუხებთ, რომ ევროკავშირში მათი ქვეყნის შესვლის შემდეგ ისინი ვეღარ დაიცავენ მიწასაც, რომელსაც ხელში ჩაიგდებენ ევროპელები. ამ მხრივ განსაკუთრებით თავიანთი ძველი მტერ-მოყვარის, გერმანელების ეშინიათ და

ამის გამოა, რომ ევროკრიტიკოსთა დემონსტრაციებზე ძალზე ხშირად ნახავთ მოთხოვნას პოლონური მიწების გაყიდვის წინააღმდეგ.

*
* *

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ევროკავშირი მართლაც არ არის ყველაფრის პანაცეა. ამის დამადასტურებლად გამოდგება თუნდაც საბერძნეთისა და ესპანეთის მაგალითი. კერძოდ, თუ ევროკავშირში შესვლის შემდეგ ეკონომიკური ზრდა ესპანეთში მთავრობის გონივრული ეკონომიკური პოლიტიკისა და ესპანელთა რაციონალიზმის შედეგად კიდევ უფრო დაჩქარდა, საბერძნეთში პირიქით, ზრდის ნაცვლად მკვეთრად იკლო. ამის გამომწვევ ერთ-ერთ მაგალითად უნდა დასახელდეს ის, რომ კავშირში შესვლის შემდეგ ბერძნები ფულს უფრო მოხმარების საგნებში (ტელევიზორები, ავტომანქანები, მაცივრები და ა. შ.). აბანდებდნენ, ვიდრე ახალ ტექნოლოგიებში. შედეგმაც არ დააყოვნა და ქვეყანაში იკლო წარმოების ტემპებმა. ყოველივე ეს მხედველობაში უნდა გვქონდეს ჩვენც, ქართველებს, რადგან ალბათ შორს აღარ არის ის დღე, როდესაც ჩვენი ქვეყანაც ამ კავშირის წევრი გახდება.

*
* *

ევროკავშირის თემას შევეხეთ, და ისიც მინდა ავღნიშნო, რომ ევროსკეპტიკოსების განცხადებით, ევროკავშირი ეს არის, არც მეტი და არც ნაკლები, ევროპის სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი (აქ, როგორც ჩანს, ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ამჟამად ევროკავშირის 15 ქვეყნიდან 13-ში სახელისუფლებო პარტიას მემარცხენე პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ).

ევროსკეპტიკოსები ევროკავშირს ადარებენ ასევე მესამე რეიხს და აცხადებენ, რომ დროშაზე ვარსკვლავების ნაცვლად სვასტიკა უნდა იყოს გამოსახულიო.

ევროსკეპტიკოსები თავად ტერმინ „ევროპელსაც" დამცინავ ჟღერადობას აძლევენ. მათი აზრით, ევროპელი, ესაა ავტანეზიის, ჰომოსექსუალური ცოლ-ქმრობის (ინტერნეტში შესაბამის ფორუმებზე ნახავთ პოპულარულ ცინიკურ ლოზუნგსაც: „ჟა ტატა, I ტატა წ უნიი ზა დწა ლატა" ( მე, მამიკო და მამიკო, ევროკავშირში შევალთ ორ წელში) ნარკოტიკების მოხმარების, სექსუალური აღვირახსნილობის, გენეტიკური მანიპულაციების და სხვ. და სხვ. სიმბოლო.

ვნახოთ, როგორ წავა პოლონეთის საქმე ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ქვეყანაში ამ პრობლემის გადასაჭრელად რეფერენდუმი 2003 წელს, მაისში გაიმართება.

*

* *

პოლონური საზოგადოების დიდ უკმაყოფილებას იწვევს ქვეყანაში მიმდინარე დაჩქარებული პრივატიზაცია და პრივატიზებული ობიექტების დაბალი ეფექტურობა. ამის შედეგად პოლონური ფაბრიკა-ქარხნები უცხოელ კაპიტალისტთა ხელში აღმოჩნდა (როგორც ცნობილია, სწორედ ამ ქვეყანაში წარმოიშვა ტერმინი ,,შოკური თერაპია", რაც დაჩქარებულ პრივატიზაციასაც გულისხმობს. ამ თეორიის ერთ-ერთი ავტორი და მისი ცხოვრებაში განმახორციელებელი იყო იმ ხანად ფინანსთა მინისტრი ლეშეკ ბალცეროვიჩი).

ცნობისათვის, უკვე ამჟამად ქვეყნის საბანკო სექტორის 80%-ზე მეტი უცხოელ ინვესტორთა ხელშია; ასევე უცხოელები დაეპატრონენ პოლონეთის სოფლის მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგსაც, როგორიცაა შაქრის წარმოება (პოლონეთში დიდი რაოდენობით აწარმოებენ შაქრის ჭარხალს. საზოგადოებას აწუხებს ამ ქარხნების ბედი და საერთოდ, ეროვნული მეურნეობის ამ მსხვილი დარგის მომავალი. შაქრის ფასი ხომ მთელ მსოფლიოში იაფდება, მცირდება მისი წარმოების მასშტაბები, იხურება ქარხნები (ამის მაგალითად გამოდგება კუბაც, სადაც მრავალი შაქრის ქარხანა დაიხურა და დიდ-ძალი მოსახლეობა უმუშევარი დარჩა). როგორც ჩანს, დარგის რესტრუქტურიზაციის პროცესებს ვერც პოლონეთი აიცდენს თავიდან, სადაც ასევე მრავალი მუშაკი დაკარგავს სამუშაოს, როგორც შაქრის ჭარხლის წარმოების, ისე მისი გადამუშავების სფეროებში.

პრივატიზაციის სფეროში განხორციელებული პროცესების შედეგად ამ ქვეყანაში ეროვნული პროდუქტის 75%-ზე მეტს კერძო დარგები აწარმოებენ. შედარებისათვის: ანალოგიური მაჩვენებელი ჩეხეთში შეადგენს 80%-ს, უნგრეთში ამდენივეს, რუსეთში – 70-ს, უკრაინაში – 60-ს, ბელორუსში – 20-ს და ა. შ. უნდა ითქვას, რომ ეს მაჩვენებელი საქართველოში დაახლოებით პოლონეთის დონეზეა.

რაც შეეხება პოლონეთის მთავრობას, იგი პირიქით, ცდილობს მაქსიმალური ტემპებითა და მასშტაბებით განახორციელოს პრივატიზაცია, რათა შეამციროს ბიუჯეტის დეფიციტი და ასევე საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი სალდო (ამ ბოლო დროს მან თითქმის 100 მილიარდ ზლოტს, ანუ დაახლოებით 25 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც ქვეყნისათვის ძალზე საშიშ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს). ამას წინათ ამ ქვეყნის პრივატიზაციის მინისტრი (ასე ეძახის ხალხი სახელმწიფო ქონების მინისტრს) წერდა, მე უკანასკნელი პრივატიზაციის მინისტრი ვიქნებიო. იგი გულისხმობდა იმას, რომ მისი მინისტრობის დროს ქვეყანაში, რაც გასაყიდი იყო, გაიყიდებოდა. თუმცა არა მგონია რეალური იყოს მინისტრის ეს განცხადება. საქმე ის არის, რომ ამჟამად მთელ მსოფლიოში შეინიშნება ძალზე დაბალი კონიუნქტურა,

რის გამოც აქ რაიმე ღირებულის შესყიდვის მსურველები იშვიათად მოიძებნება.

*
* *

ისე, არც არის გასაკვირი საგადამხდელო ბალანსის უარყოფითი დეფიციტის ასეთი ზრდა. არც ის არის გამორიცხული, რომ იგი მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს. ჩვენი არ იყოს, იმპორტულ მაღალხარისხოვან საქონელს დახარბებული პოლონელები საკუთარი ფინანსური სახსრებითა თუ სამომხმარებლო კრედიტებით ყველაფერს ყიდულობენ, სჭირდებათ თუ არ სჭირდებათ. ამას წინათ ერთი პოლონელი ექსპერტი შეშფოთებით წერდა, ჩემი თანამემამულეები ყვავილების მიწასაც კი უცხოურს ყიდულობენო...

*
* *

ჩემი პოლონეთში ყოფნისას საპარლამენტო კრიზისი გამოიწვია ამ ქალაქის ელექტრო-გამანაწილებელი ქსელის ,,სტოენის'' (დაახლოებით ისეთის, როგორიც ჩვენი ,,თელასია'') პრივატიზაციამ. ამ ობიექტს ყიდულობენ გერმანელები და ჩანს, საკამოდ კარგ ფასადაც, როგორც ამის შესახებ დამოუკიდებელი ექსპერტებიც წერენ (375მილიონ აშშ დოლარად).

ერთ-ერთ საპარლამენტო სესიაზე, დილით, როდესაც ,,სტოენის'' გაყიდვის საკითხის განხილვა უნდა დაწყებულიყო, ტრიბუნასთან მივიდა ,,პარტია პოლსკიხ რობინ''-ის წარმომადგენელი, დეპუტატი გაბრიელ იანკოვსკი და მკაცრად გააკრიტიკა აღნიშნული პროექტი. მან განსაკუთრებით იმას გაუსვა ხაზი, რომ ,,სტოენის'' და მსგავსი მნიშვნელოვანი ობიექტების გაყიდვით საფრთხე ექმნება ქვეყნის უშიშროებას და პოლონეთი მალე გერმანელ კაპიტალისტებზე დამოკიდებული გახდებაო.

პარლამენტის თავმჯდომარემ, მარეკ ბოროვსკიმ მას მიკროფონი გამოურთო. დეპუტატი მაინც არ ჩამოსულა ტრიბუნიდან და მთელი დღე და ღამე იქ გაატარა. ტელევიზიით გვიჩვენებდნენ, თუ როგორ იჯდა იგი ტრიბუნასთან და როგორ შეექცეოდა მისთვის მირთმეულ სადილსა თუ ვახშამს.

პარლამენტმა სხდომები შეწყვიტა. დილის ოთხი საათისათვის იანოვსკი ძალით გაიყვანეს პოლიციელებმა სხდომათა დარბაზიდან. საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა მთელი კვირის მანძილზე არ განახლებულა, რადგან პარლამენტარები ამ ინცენდენტს დამდეგ კვირას ჩასატარებელ ადგილობრივი ორგანოების არჩევნებს უკავშირებდნენ (ოქტომბრის ბოლო კვირას პოლონეთში ჩატარდა ქალაქების (მათ შორის, ვარშავის), სავოევოდოების და გმინების მართველობის არჩევნები). იქნებ ეს მართლაც ასე იყო, რადგან ერთი კვირის შემდეგ, ორშაბათს გაგრძელებულ საპარლამენტო სხდომაზე, რომელიც

ასევე ,,სტოენის'' პრივატიზაციას მიეძღვნა, მსგავს ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

რადგან საპარლამენტო თემას შევეხეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლონეთს საპარლამენტო მუშაობის უდიდესი გამოცდილება აქვს. 1793 წელს აქ ევროპაში პირველად და მსოფლიოში მეორედ (აშშ-ს შემდეგ) მიიღეს კონსტიტუცია. მას ,,სამი მაისის'' კონსტიტუცია ეწოდა და ეს თარიღი ზეიმით აღინიშნება ამ ქვეყანაში.

*

* *

პოლონეთისათვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობა, რომელმაც განსაკუთრებით ბოლო ორ წელს შეიძინა მასშტაბური ხასიათი. უმუშევრობას აქ აქვს როგორც ბუნებრივი (ანუ როდესაც ქვეყანაში საერთოდ არ არსებობს სამუშაო ადგილები), ისე ფრიქციული (როდესაც არ არსებობს გარკვეულ სპეციალობათა მქონე ადამიანების დასაქმების საშუალება), და რეგიონალური (როდესაც ამა თუ იმ რეგიონში მძაფრად იგრძნობა უმუშევრობა, მაშინ, როცა სხვა რეგიონში მოთხოვნილებაა სამუშაო ადგილებზე) უმუშევრობა. ოფიციალური მონაცემებით დღეისათვის პოლონეთში უმუშევრობის მაჩვენებელი 18-19 პროცენტს შეადგენს. ეს მაჩვენებელი გამოყვანილია იმ ადამიანთა მხედველობაში მიუღებლად, რომელთაც მართალია დაკარგეს სამუშაო, მაგრამ აქტიურად არ ეძებენ მას, არ აკითხავენ შრომითი მოწყობისა და დასაქმების დაწესებულებებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უმუშევრობა ქვეყანაში რეალურად გაცილებით მაღალია. არის დარგები და რეგიონები, სადაც უმუშევრობამ კატასტროფული ხასიათი მიიღო. ზოგან რეგიონალური და დარგობრივი უმუშევრობა ერთმანეთს ემთხვევა, რაც ფრიად ძაბავს სიტუაციას. ამის კარგი მაგალითია სილეზია. როგორც ცნობილია, ეს რეგიონი ქვანახშირის მოპოვების ტრადიციული რეგიონია. ამჟამად აქ მოპოვებული ქვანახშირი ძვირი ჯდება და ვერ უძლებს საერთაშორისო კონკურენციას, თანაც, დღეს უკვე აღარც არის დიდი მოთხოვნილება ამ პროდუქციაზე. ამიტომ სილეზიაში მაღარო-მაღაროზე კოტრდება და უმუშევართა მთელი არმიები წარმოიშვა. მაღაროელები პროფკავშირი ,,სოლიდარობის'' ხელმძღვანელობით აწყობენ გაფიცვებს, დემონსტრაციებს და გამოდიან მაღაროთა მასობრივი დახურვის წინააღმდეგ. მათ მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ ასეთ მასშტაბურ დემონტრაციას ვარშავაში ადგილი ჰქონდა სწორედ მაშინ, როდესაც ამ ქალაქში პოლონეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიწვევით სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული უკრაინის პოლიტიკურ პარტიათა მთელი სპექტრი – როგორც პოზიცია, ისე ოპოზიცია, პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას ჩათვლით, იმყოფებოდა. მემაღაროელთა დემონტრაცია დასრულდა

უმუშევართა და პოლიციელთა შეტაკებით, რომლიც დროსაც მრავალი ადამიანი სერიოზულად დაშავდა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

ამ თემაზე საუბრის დასასრულს გვინდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა პოლონეთის მეზობელ ქვეყნებში. კერძოდ, უმუშევრობა ჩეხეთში შეადგენს 9 პროცენტს, გერმანიაში – 8.3, ხოლო უნგრეთში იგი 6 პროცენტს უტოლდება (ცნობისათვის, უმუშევრობა ჰოლანდიაში 2.8%-ია, ირლანდიაში – 4.5, პორტუგალიაში – 4.6, შვედეთში – 4.8, დიდ ბრიტანეთში – 5.2, საფრანგეთში – 8.9, იტალიაში – 9 პროცენტი. ამ თემაზე საუბრისას მონტესკიე გვახსენდება: ,,მე არ ვიცი, რატომ არის ბიბლიის მიხედვით უქმად ყოფნა სამოთხეში მოხვედრილთა ხვედრი, მაშინ, როდესაც ეს ნამდვილი ჯოჯოხეთიაო”).

მოსალოდნელია, რომ ევროსკეპტიკოსთა ვარაუდები გამართლდეს და ევროკავშირში შესვლის პირველ წლებში პოლონეთში უმუშევრობა კიდევ უფრო გაიზარდოს. ამას გამოიწვევს ის, რომ მრავალი პოლონური ფირმა ვერ გაუძლებს კონკურენციას და გაკოტრდება. აქ არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო გააუარესებს ის გარემოება, რომ პოლონეთს დასავლეთ ევროპიდან მოაწყდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი ტალღა, რაც ამ ქვეყნის სოფლებში დიდი რაოდენობის ფარულ უმუშევრობას წარმოქმნის.

*
* *

უმუშევართა დასაქმების პრობლემის გადაჭრას ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაც აფერხებს. თითქმის მთელ მსოფლიოში მიმდინარე რეცესიულმა პროცესებმა და განსაკუთრებით სტაგნაციამ გერმანიაში (რომელიც პოლონეთის ერთ-ერთი უმთავრესი სამეურნეო პარტნიორია) პოლონეთშიც ეკონომიკური განვითარების შესუსტება გამოიწვია. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური უკუსვლა პოლონეთში ბოლო ორი-სამი წელიწადია, რაც დაიწყო, თორემ მანამდე, ანუ 1992-98 წლებში აქ ადგილი ჰქონდა არნახულ სამეურნეო აღმავლობას. ქვეყანას ცენტრალური ევროპის ,,ვეფხვსაც” კი უწოდებდნენ ექსპერტები.

სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სტაგნაციის პროცესები პოლონეთში მომავალ წელსაც გაგრძელდეს. თუმცა ბიუჯეტით 2003 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 3.5 პროცენტით არის განსაზღვრული, მაგრამ როგორც დამოუკიდებელი ადგილობრივი, ისე უცხოელი ექსპერტების განცხადებით ეს პოლონეთისათვის ძალზე მაღალი მაჩვენებელია. ისინი 2 პროცენტზე მეტ ზრდას არ ვარაუდობენ. ამავე აზრს იზიარებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), რაზეც პოლონეთის ფინანსთა მინისტრმა, კოლოდკომ განაცხადა - ,,სავალუტო ფონდი რომის პაპი როდიაო”.

*
* *

ზემოთ პოლონეთის ევროკავშირში გაერთიანების შესახებ ვსაუბრობდით. ახლა საინტერესოა ვნახოთ, თუ ამ სასტარტო ეტაპზე რა განსხვავებაა ევროკავშირის ქვეყნებსა და პოლონეთს შორის ზოგიერთი მთავარი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით.

დავიწყოთ ხელფასებით, რადგან შრომის ანაზღაურება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომოკური კატეგორიაა, რომელიც ნათლად აჩვენებს საზოგადოების განვითარების დონეს. ამჟამად პოლონეთში მინიმალური ხელფასი შეადგენს 190 აშშ დოლარს, მაშინ, როდესაც ლუქსემბურგში იგივე მაჩვენებელი 1290 დოლარია, ჰოლანდიაში 1207, ბელგიაში – 1163, საფრანგეთში – 1126, დიდ ბრიტანეთში – 1124, ირლანდიაში – 1009, ესპანეთში – 516, საბერძნეთში – 473, პორტუგალიაში – 406 და ა. შ.

*
* *

აქვე გვსურს ზოგიერთ სხვა მაჩვენებელზეც გავამახვილოთ ყურადღება, რომლებიც ახასიათებენ ცხოვრების დონეს პოლონეთსა და ევროკავშირის ქვეყნებში.

1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით პოლონეთზე მოდის 294 ტელეფონი, ევროკავშირში – 643-ი. ავტოსტრადების საერთო სიგრძე პოლონეთში შეადგენს 337 კილომეტრს, ევროკავშირში –49232კმ-ს, ფიჭური ტელეფონების რიცხვი 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით პოლონეთში შეადგენს 294-ს, ევროკავშირში – 727-ს; ამდენივე მოსახლეზე გაანგარიშებით მსუბუქი ავტომანქანების რიცხვი პოლონეთში შეადგენს 272-ს, ევროკავშირში – 460 - ს და ა.შ.

*
* *

ერთ-ერთ მნიშვნელოვანსა და საკამათო პრობლემას ქვეყანაში გადასახადები წარმოადგენს. იგი მეტად მძიმე ტვირთად აწევს პოლონელ მეწარმეს, რომელიც  წარმოებული პროდუქციის თითქმის ნახევარს (46%-ზე მეტს) სახელმწიფოს უხდის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინმე კოვალსკი ნახევარ წელს სახელმწიფოსათვის მუშაობს, ხოლო მეორე ნახევარ წელს - თავისთვის.

*
* *

კაპიტალიზმის ბუნების გაუცნობიერებლობით გამოწვეული ერთ-ერთი პირველი დარტყმა პოლონეთში მსახიობებმა მიიღეს. 2002 წლის იანვარ-მარტში პოლონეთის სცენის ოსტატთა კავშირმა შჩეცინის პორტის ფასიანი ქაღალდები შეიძინა. მალე პორტი გაკოტრდა და კავშირმაც 9 მილიონი ზლოტი დაკარგა. თავდაპირველად ამის შესახებ არავინ იცოდა და ეს ამბავი მხოლოდ სექტემბერში გახმაურდა. ჟურნალისტებისათვის საგანგებოდ გამართულ პრეს - კონფერენციაზე კავშირის თავმჯდომარე ოლგირდ ლუკაშევიჩმა განაცხადა:"მსახიობები ვართ, ფულის კეთების არაფერი გაგვეგებაო".

კავშირის ადრინდელი თავმჯდომარის კაზიმეჟ კაჩორის თქმით (პრესკონფერენციაზე იგი აქციასა და ობლიგაციას ერთმანეთში ურევდა), პორტის ფასიანი ქაღალდები კავშირს რამდენიმე წელიწადია, რაც შეძენილი აქვს და ადრე ამის წყალობით საგრძნობ მოგებასაც ნახულობდა. მსახიობები მთელ თავის უბედურებას ING ბანკს აბრალებენ, რომლის რეკომენდაციითაც მათ აღნიშნული საწარმოს ობლიგაციები შეიძინეს, და არ უნდათ შეეგუონ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ წაგება და მოგება ძმები არიან.

*

* *

ჩემთვის პოლონეთში ყოფნისას განსაკუთრებით დასამახსოვრებელი და საამაყო იყო ერთი დღე. წიგნში, რომელიც თითქმის უკვე დასრულებული მაქვს და რომლის სათაურიც არის „ქართველები პოლონეთში", ერთი თავი დიდ მეცნიერსა (თეოლოგი) და საქართველოსა და პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიების წმიდანს გრიგოლ ფერაძეს ეხება. გრიგოლ ფერაძის შესახებ ყველაზე მდიდარი მასალები მოიპოვება პოლონეთში, რადგან იგი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ვარშავის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების კათედრას ხელმძღვანელობდა და აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობასაც ეწეოდა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში. სწორედ აქ, ოსვენციმში დახვრიტეს იგი 1942 წლის 5 ოქტომბერს (აქვე უნდა ითქვას, რომ 2002 წლის 4 დეკემბერს ვარშავის უნივერსიტეტში ამ ადამიანისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა, რომლის ორგანიზებაც ამ უნივერსიტეტის პროფესორის, აქ გამომავალი ჟურნალის „პრო გეორგიას" რედაქტორის დავით ყოლბაიას დამსახურებაცაა).

გრიგოლ ფერაძის ერთ-ერთი მკვლევარი და ბიოგრაფი პოლონელი მღვდელი მამა ჰენრიკ პოპროცკია.

ერთ-ერთ საღამოს დავურეკე მამა ჰენრიკს და შეხვედრა ვთხოვე. ხვალ წირვა მაქვს და ეკლესიაში ვისაუბროთო – მითხრა.

მართლაც, მეორე დღეს, დილით, წმინდა მარიამ მაგდალინელის სახელობის ეკლესიაში ვიყავი, რომელიც ვისლის სიახლოვეს, ვარშავის ერთ-

ერთ ძველ რაიონში, პრაღაში მდებარეობს. ეკლესია სავსე იყო ხალხით (პოლონელები ერთ-ერთი ყველაზე მორწმუნე ხალხია მსოფლიოში). წირვის დასრულების შემდეგ, ქსენძი საკურთხეველში შებრუნდა. მის ლოდინში ვათვალიერებ ეკლესიის ფრესკებს. მოულოდნელად ჩემი ყურადღება იქვე, კარებთან ახლოს მოხატულმა ფრესკამ მიიპყრო. კედლიდან შავგვრემანი სახე შემომცქეროდა, დავაკვირდი და ამოვიკითხე: ,,შწ. გრიგოლ ფერადზე'' (წმინდა გრიგოლ ფერაძე). კი, ადრეც ვიცოდი, რომ მამა გრიგოლი პოლონეთში წმინდანად იყო შერაცხული, მაგრამ მოულოდნელი იყო ამ ფრესკის ნახვა ჩემთვის და იმ წუთებში ენით აღუწერელი გაოცება და სიამაყე ვიგრძენი ერთსა და იმავე დროს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პოლონეთში არსებობს წმინდა მამა გრიგოლ ფერაძის ძმობა. მომავალში მას განზრახული აქვს გრიგოლ ფერაძის სახელობის ტაძრის აგება.

*
* *

ვარშავაში ყოფნისას, სხვა დროს კიდევ ერთხელ ვიგრძენი სიამაყე, როგორც ქართველმა. ცნობილმა პოლონელმა ისტორიკოსმა და მწერალმა, ქალბატონმა იადვიგა დაცკევიჩმა, განსაკუთრებით ნაპოლეონის თემაზე შექმნილი ,,ნაპოლეონის ბუდე'', ,,ნაპოლეონის ვაჟიშვილი'' და ა. შ. წიგნების ავტორმა, რომლის ეს უკანასკნელი წიგნიც მე ვთარგმნე და გამოვეცი 2000 წელს, სადილზე მიმიპატიჟა. უკვე ასაკში შესული ქალბატონი აბსოლუტურად მარტოსული აღმოჩნდა. იგი ვარშავის ცენტრში, სოლიბორჟში, სოლესის ქუჩაზე ცხოვრობს. ქუჩის სახელწოდება მარილისაგან წარმოსდგება ( შუა საუკუნეებში აქ, ვისლას ნაპირას, მარილის საწყობები იყო). სახელიც აქედან მომდინარეობს. წიგნებით გადატენილ ბინაში ქალბატონ იადვიგას მოეპატიჟა ასევე თავისი მეგობარი ქალი, პოლონეთში ცნობილი ინგლისურის სპეციალისტი. სადილის მსვლელობისას ეს უკანასკნელი დაინტერესდა, თუ იცნობთ ქართველ მთარგმნელს ვენერა ურუშაძესო? არა მეთქი, - ვუპასუხე.

- ამ რამდენიმე წლის წინ ხელში ჩამივარდა მის მიერ ინგლისურ ენაზე ნათარგმნი ,,ვეფხვისტყაოსანი''. ისე კარგად არის ნათარგმნი, კითხვისას განცვიფრებას ვერ ვმალავდი, ქართველმა ქალმა ასე კარგად სად ისწავლა ინგლისური -მეთქი?! - მითხრა ამ ქალბატონმა.

*
* *

სიყვარულის ღმერთ ამურთან პოლონელების განსაკუთრებული დამოკიდებულება საქვეყნოდ ცნობილია. ეს მათ ჩემი ვარშავაში ყოფნისასაც გამოამჟღავნეს. ადგილობრივი ტელევიზიით რამდენჯერმე აჩვენეს სასამართლო პროცესი, რომელმაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა 35 წლის პედაგოგ ქალბატონს. ამ ქალმა ქიმიის ლაბორატორიაში ძალით შეათრია და დანით, რამდენიმე ჭრილობის მიყენების შედეგად, მოკლა სკოლის მოსწავლე, ასე 12-13 წლის ბიჭი. ქალის გაშმაგების მიზეზი ის იყო, რომ ბიჭის მამამ, რომელიც ამ ქალბატონის საყვარელი ყოფილა, მიატოვა იგი და ქალმაც შური იძია.

ტელევიზორითვე შევიტყვე სხვა, არანაკლებ ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. ციხიდან დაბრუნებულ ქმარს მეზობლები ახვედრებენ ამბავს, რომ მისი ცოლი გაბოზდა. კაცი დათვრება და სანადირო თოფით სასიკვდილოდ დაჭრის თავის მოღალატე მეუღლეს.

*
* *

საკმაოდ პარადოქსალური ბედი ერგო ვარშავის ცენტრში მდგარ კულტურის სასახლეს. შენობა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ საჩუქრად აუშენა "მოძმე" პოლონელ ხალხს, თავის დროზე ძალზე ცუდად აღიქვეს პოლონელებმა. დაახლოებით ისე, როგორც ეიფელის კოშკი - ფრანგებმა. როგორც ახლა ჩანს, ბოლო დროს ამ შენობამ სერიოზული მეტამორფოზა განიცადა; აქ ჯერ განთავსებული იყო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, შემდეგ საფონდო ბირჟა (მოკლედ, თავისი ბუნებით სრულიად განსხვავებული დაწესებულებები), ახლა აქ იმართება ათასგვარი კულტურული ღონისძიებები – გამოფენები, წიგნების გამოფენა-ვაჭრობები, სხვადასხვა სახის ლექციები, შეხვედრები მწერლებთან და ა. შ.

*
* *

მემაღაროელების, გემთმშენებლების თუ მეტალურგების მსგავსად, რომლებიც სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ იხურება მათი მშობლიური სახელმწიფო საწარმოები და ისინი უმუშევარი რჩებიან, ამ ბოლო დროს პროტესტებით გამოდის ასევე პოლონელი ინტელიგენციაც.

მათმა მრავალმა წარმომადგენელმა უკვე სრულიად სხვაგვარად დაუწყო ყურება საბაზრო ეკონომიკას. ამის თვალსაჩინო მაგალითია თუნდაც გამოჩენილი პოლონელი კინემატოგრაფისტის, რეჟისორ ანჯეი ვაიდას (ფილმები „ადამიანი მარმარილოდან", „ადამიანი რკინიდან", „აღთქმული მიწა" და სხვ.) ბოლოდროინდელი განცხადებები. კერძოდ, თუ მთელ

მსოფლიოში ცნობილი ეს  რეჟისორი 12 წლის წინათ წერდა - ,,მოვესწარი იმ დროს, რომელ დროშიც მსურდა  მეცხოვრაო'', ახლა სრულიად სხვაგვარად მსჯელობს'' - ,,თუ ახლა სახელმწიფო გაკოტრებამდე მიიყვანს თავის მაღაროებსა  და გემსაშენებს, მაშინ ამის საზღაურს ყველა ჩვენთაგანი გაიღებსო''.

როგორც ჩანს, ვაიდა სახელმწიფოსაგან იმიტომ ითხოვს მაღაროების დაცვას, რომ კულტურაც დაიცვას. ვაიდას ამ განცხადებასთან უნისონშია კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ამ ბოლოდროინდელი პროტესტებიც, რომლებიც ხელისუფლებისაგან კულტურის უფრო აქტიურ დაცვას მოითხოვენ.

აი, კულტურის ზოგიერთი მოღვაწის განცხადება:  ქრიშტოფ ჩაიკა, რეჟისორი: ის, რაც პოლონეთის კულტურის სფეროში ხდება, გამაოგნებელია. ბოლო რამდენიმე წელია ერთი ფილმიც არ გადაღებულა საბიუჯეტო სახსრებით.

პოლონეთის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ამგვარ განცხადებებს კრიტიკოსიც მრავალი გამოუჩნდა. ეს უკანასკნელი ინტელიგენტთა ამგვარ განცხადებებს ,,პეგეერების'' (საბჭოთა მეურნეობების მსგავსი სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმო პოლონეთში) დამცველთა განცხადებებს ადარებენ. კრიტიკოსთა აზრით, ნამდვილი ხელოვანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში კიდევ უფრო კარგად გრძნობს თავს, ვიდრე ადრე და ასეთებია კრიშტოფ პანდერევსკი (კომპოზიტორი), ვიესლავ მიშლივსკი (მწერალი), ტადეუშ რუჟევიჩი (დრამატურგი) და სხვ.

*
*  *

რუსეთის ყოფილი პრემიერის ჩერნომირდინის გამონათქვამებიდან ერთ-ერთი ასეთი დამახასიათებელ გამონათქვამს გაიხსენებენ ხოლმე: გვინდოდა უკეთესი გაგვეკეთებინა,  მაგრამ გამოვიდა ისე, როგორც ყოველთვისო. ამ ბოლო დროს პოლონეთის პრემიერის ლეშეკ მილერის ამგვარი გამონათქვამი ტრიალებს პრესაში: მამაკაცი იმით კი არ იცნობა, თუ როგორ იწყებს, არამედ იმით, თუ როგორ ამთავრებსო.

*
*  *

მსოფლიოში ცნობილი პოლონელი ფანტასტი მწერალი სტანისლავ ლემი ,,ომეგასა'' და ,,ჩვენი მწერლობის'' მკითხველისათვის ამ ბოლო დროს მასთან  გამოქვეყნებული ინტერვიუთიც გახდა ცნობილი. ეს ინტერვიუ მწერლის 80 წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა.

2002 წლის ოქტომბერში ლემმა კიდევ ერთი ფაქტით მიიპყრო მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება. კერძოდ, ამ თვეს ამერიკელ მაყურებელს უჩვენეს ჰოლივუდში გადაღებული ფილმი: ,,სოლარისი'', რომლის სცენარიც მისი ნაწარმოების მიხედვით არის დაწერილი. მწერალმა სცენარში მილიონი დოლარის ოდენობის ჰონორარი მიიღო. ცხადია, ეს ფანტასტიური თანხაა, უფრო ადრე ამდენი მიიღო ამ ქვეყნის ყოფილმა პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ მისი ცხოვრების შესახებ ფილმის გადაღებაზე ნებართვისათვის.

,,სოლარისის'' რეჟისორია სტივენ სოდებერგი. ეს რეჟისორი ქართველი მაყურებლისათვის ცნობილია ფილმით ,,სექსი, სიცრუე და ვიდეოთეკა'', რომელმაც კანის ,,ოქროს პალმა'' მოიპოვა 1986 წელს.

როგორც ჩანს, სტ. ლემი მოკლე დროში კვლავ მიიღებს მილიონიან ჰონორარს. ცნობილი გახდა, რომ ჰოლივუდი მალე გადაიღებს ფილმს, რომლის საფუძველიც მისი ახალი ნაწარმოების - ,,გამოძიების'' მიხედვით შექმნილი სცენარი გახდება.

*
* *

ტრადიციულად პოლონელები დიდ პატივს მიაგებენ გარდაცვალებულებს. მათ მოკრძალებასა და სიყვარულს განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომში დაღუპულები იმსახურებენ. დადიხარ ვარშავის ქუჩებში და თითქმის ყოველ ნაბიჯზე შენს ყურადღებას იპყრობს ქანდაკება თუ ობელისკი, მემორიალური დაფა თუ უბრალო წარწერა კედელზე იმის შესახებ, რომ აქ სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული ადამიანი განისვენებს...

პოლონელთა ასეთი სათუთი მოპყრობა გარდაცვალებულებისადმი მით უფრო თვალშისაცემია მიცვალებულთა დღეებში ანუ ოქტომბრის ბოლო კვირას. ამ დროს პირდაპირ ყვავილებშია ჩაფლული მთელი ვარშავა, რადგან არც ერთი წმინდა ადგილი არა რჩება, რომ ყვავილებით არ იყოს შემკული და სანთლები არ ენთოს იქ... სასაფლაოზე ხომ... აქ ხალხისა და ყვავილების ტევა აღარ არის. სასაფლაოებზე ყოველივე ამასთან ერთად ჩემთვის ძალზე შთამბეჭდავი იყო ფირნიშებზე გაკეთებული წარწერები ,,ნუ მოსწევთ'' და ის, რომ აქ ამგვარ მოთხოვნას ყველა იცავდა...

*
* *

ალბათ, სწორედ ამიტომ აქვს შენიშნული ერთ პოლონელ მწერალს: ერთადერთი ევროპელი ერი ვართ, რომელიც უფრო მეტ პატივს მიაგებს გარდაცვალებულთ, ვიდრე ცოცხლებსო... და კიდევ მისივე ჩანაწერებიდან: როდესაც ევროპაში ყვაოდა ბარები და კაფეები, თეატრები და რესტორნები,

ჩვენთან – სასაფლაოები, რადგან ასეთია ბედისწერა პოლონეთისაო... და ალბათ, მართლაც სიმბოლურია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს და განსაკუთრებით ვარშავის აჯანყებისას, ეს ქალაქი თითქმის მთლიანად იყო აღგვილი პირისაგან მიწისა. მხოლოდ სასაფლაოები გადარჩა...

*
* *

ზემოთ პოლონელების თავისუფლებისმოყვარეობაზე ვისაუბრე. საერთოდ, როდესაც მცირე ერების (მათ შორის, ქართველების) ამგვარ მისწრაფებაზე ვფიქრობ, იმაზედაც ხშირად დავფიქრებულვარ, რომ გამუდმებით ამაზე ფიქრი ხომ არ აკომპლექსებს მეთქი ცალკეულ ადამიანსა თუ საერთოდ ერს? ხომ ძნელია იმის წარმოდგენაც კი, რომ გერმანელს, ინგლისელს, მით უფრო ამერიკელსა, ჩინელსა თუ რუსს, ამგვარი რამ აწუხებდეს და დღენიადაგ ის აწუხებდეს, თავისუფლება და დამოუკიდებლობა არავინ წაგვართვასო? ამგვარი ფიქრები და მისგან დამძიმებული ადამიანი გარკვეულად მეორეხარისხოვანი არსება ხომ არა ხდება?

*
* *

ომის ცეცხლსა და მახვილს გადარჩენილ სასაფლაოებზე შემორჩენილია ასევე ჩვენს ემიგრანტ თანამემამულეთა საფლავებიც. მეორე მსოფლიო ომამდე ხომ დიდი და მეტად საინტერესო ქართველთა კოლონია ცხოვრობდა პოლონეთში. ვინ არ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აქ – მეცნიერი და მეომარი, მწერალი და პოლიტიკოსი...

1992 წლის მაისში საქორთველო-პოლონეთის საზოგადოების ვარშავის განყოფილებამ მეტად კეთილშობილური საქმე წამოიწყო. კერძოდ, მან გადაწყვიტა მოეძებნა, შეესწავლა და ეპატრონა ამ საფლავებისათვის. ამ საქმის ორგანიზება თავს იდეს საზოგადოების წევრებმა – სერგო ყურულიშვილმა, ანჟეი ვოზნიაკმა, კ. ბრაუნმა, ი. გოძიაშვილმა, დ. ყოლბაიამ, ნ. მათიკაშვილმა და სხვ.

ვარშავაში ქართველთა ყველაზე ძველი საფლავებიაავოლას მართლმადიდებლურ სასაფლაოზე. აქ X1X საუკუნის 60-იან წლებში დაკრძალულია ვარშავის სამხედრო კომენდატი თავადი დავით ბებუთოვი (დაიბადა 1798 წელს თბილისში, გარდაიცვალა 1867 წელს ვარშავაში). საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ფორმები მოგვაგონებს, რომ აქ დაკრძალულია სამხედრო და რომ ის წარმოშობით კავკასიიდანაა (ხმალი, პისტოლეტი, გადაჯვარედინებული ხანჯლები, ფაფახის ქუდი). საფლავის ქვაზე

ამოკვეთილია ასევე მედალიონი დავით ბებუთოვის პორტრეტით, ხოლო საფლავის ქვის სვეტს ანგელოზი ამშვენებს.

გაცილებით უბრალოა და ამავე დროს უყურადღებოდ არის მიტოვებული სასაფლაოს ლიკვიდირებული ნაწილიდან სხვა ადგილას გადატანილი გენერალ აგათონ ვახვახოვის (ვახვახიშვილის, გარსევანის ვაჟისა) და მისი მეუღლის საფლავი.

აქვე მეუღლე მარიას (1894-1927 წწ.) და მისი ძმა იანის (1897-1961წწ.) გვერდით განისვენებს ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო მოღვაწე, ცნობილი ჟურნალისტი და პოეტი სერგო ყურულიშვილი (1894-1925წწ.).

ვარშავის პოვოზკის კომუნალური სასაფლაოს სამხედროებისათვის განკუთვნილ ნაწილში ჰპოვა თავისი სამუდამო განსასვენებელი პოლონეთის არმიის კონტრაქტის ოფიცერმა, გენერალმა იან (გიორგი) ყაზბეგმა.

აქვეა დაკრძალული პოლონეთის არმიის ოფიცერი, ქართული ემიგრაციის ცნობილი მოღვაწე, მეწარმე ალექსანდრე გოძიაშვილი (1897-1941წწ.).

ამავე სასაფლაოზე განისვენებს თამარა კობიაშვილი (გარდაიცვალა 1929 წ.), პოლონეთის არმიის კაპიტნის მეუღლე.

ამ სასაფლაოს სამოქალაქო პირთათვის განკუთვნილ ნაწილში, კრემინსკების საოჯახო სასაფლაოზე განისვენებს თავადი ნიკოლოზ ბაგრატიონი (1908-1940 წწ.). იგი ქართველთა კომიტეტის მდივანი იყო 30-იან წლებში, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი დაიწყებოდა.

საბჭოთა ჯარისკაცთა სასაფლაოზე აღმოჩნდა იმ ქართველ მეომართა საფლავები (ხშირად სახელის, დაბადების და გარდაცვალების თარიღების გარეშე), რომლებიც ვარშავის განსათავისუფლებლად იბრძოდნენ 1944 წელს. მათ შორის არიან: მაიორი ზ. გორტოშვილი, ლეიტენანტი გ. მიხულია, ორდენის კავალერი ქოქაძე და სხვები. მათი გვარების იდენტიფიკაციას საქართველო_პოლონეთის საზოგადოება აგრძელებს.

*

* *

პოვონსკის სასაფლაოზე ყველაზე გამორჩეული საფლავი ალბათ, მაინც ვლადისლავ სტ. რეიმონტისაა. იგი აქ, კატაკომბების გასწვრივ არის დაკრძალული. უფრო სწორედ, დაკრძალულია მისი სხეული, გულის გარეშე. მწერლის გული, ისევე, როგორც გული მეორე დიდი პოლონელის - შოპენისა, ვარშავის ცენტრალურ ქუჩაზე, კრაკოვსკიე პრედმესტიეზე, სამი ჯვრის ეკლესიაშია დასვენებული. სწორედ ამ მწერლის სასაფლაოზე ანთია ყველაზე მეტი სანთელი და სწორედ ეს საფლავია ყველაზე მეტად დაფარული ყვავილების თაიგულებით...

ქართველმა მკითხველმა ამ დიდი პოლონელი მწერლის, უზარმაზარი რომანის ,,გლეხების'' ავტორის შესახებ, რომლისთვისაც 1924 წელს ნობელის

პრემია მიენიჭა, ბევრი არაფერი იცის (გამონაკლისს ამ ორიოდე წლის წინათ გამომცემლობა ,,ინტელექტის'' მიერ დაბეჭდილი ჩემი თარგმნილი მწერლის წერილების მომცრო წიგნი წარმოადგენს).

ამავე სასაფლაოზეა დაკრძალული ცნობილი მწერალი მარია დომბროვსკაც, რომელიც 20-იან წლებში ასევე იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, მხოლოდ უშედეგოდ. სასაფლაოზე სხვა მრავალი მწერალი თუ ხელოვნების მსოფლიოში აღიარებული მოღვაწეც განისვენებს...

## თურქეთის საქართველო

### პეტრე ბორავსკი

ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობრის, 1997-2000 წლებში პოლონეთის დესპანის საქართველოში, ისტორიკოსის, საქართველოს შესახებ მრავალი სტატიის ავტორის ( როგორც ქართულ, ისე პოლონურ, რუსულ და თურქულ ენებზე) პეტრე ბორავსკის წინამდებარე სტატია, რომელიც პოპულარულ პოლონურ ჟურნალ ,,ლაპარაკობენ საუკუნენში'' დაიბეჭდა, მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი და საინტერესო.

სტატია ჯერ ერთი მნიშვნელოვანია იმით, რომ, როგორც ცნობილია, 2002 წელს რუსეთის საპატრიარქოს მიერ გამოცემულ ენციკლოპედიაში ტაო-კლარჯეთის არქიტექტორული ძეგლებიც, რომელთა შესახებ პეტრე ბორავსკის წერილშია საუბარი, და ზოგიერთი სხვა ქართული არქიტექტურული ძეგლიც, სომხურად არის გამოცხადებული და უცხოელი, ამ შემთხვევაში, პოლონელი ექსპერტის აზრი მათი ქართული წარმომავლობის შესახებ კიდევ ერთი სერიოზული არგუმენტი იქნება ურწმუნო თომათათვის.

სტატია მნიშვნელოვანია კიდევ იმიტომაც, რომ ასეთი დიდებული ძეგლები, როგორებსაც ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები წარმოადგენენ, თითქმის უყურადღებოდ არის მიტოვებული და თუ ასე გაგრძელდა, მალე არამხოლოდ საქართველო, საერთაშორისო საზოგადოებრიობა და კარგავს მათ. ამდენად, პეტრე ბორავსკის სტატია ერთგვარი განგაშის ზარების დარისხებას ჰგავს.

როგორც წერილის შინაარსიდან, ისე გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი (რომლებიც მე თავად მაქვს ნანახი ავტორის არქივში) ფოტომასალიდან ჩანს, ბატონმა ბორავსკიმ ფეხდაფეხ შემოიარა თითქმის მთელი ტაო-კლარჯეთი და მრავალი საინტერესო ჩანაწერი გააკეთა. მათ ნაწილს მკითხველი წინამდებარე სტატიაში გაეცნობა, დანარჩენი ნაწილიც მალე იხილავს დღის სინათლეს.

## ამბროსი გრიშიკაშვილი

თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებში დღესაც შეიძლება შეხვდეთ შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ძეგლებს – მონასტრებსა და ეკლესიებს, ციხეებსა და ძველი ქალაქების ნანგრევებს. ეს ყველაფერი ნაშთია ქართული სახელმწიფოსი, რომელსაც IX საუკუნის დასაწყისში ბაგრატიონების გვარის წარმომადგენელმა, აშოტმა ჩაუყარა საფუძველი. შავშეთში, კლარჯეთსა და ტაოში ხელისუფლება მას, როგორც ბიზანტიის იმპერატორის ქვეშევრდომს ეპყრა. ამ სახელმწიფოს, რომელსაც ისტორიოგრაფიაში ტაო-კლარჯეთი ეწოდება, დედაქალაქი არტანუჯი იყო.

ადრეულ შუასაუკუნეებში ტაო -კლარჯეთის სამთავრომ უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს სახელმწიფოს გაერთიანებისა და განმტკიცების საქმეში. ტაო -კლარჯეთის დამწერლობამ და ხელოვნებამ დიდი ბიძგი მისცა თამარ მეფის დროინდელ (1184-1213 წწ.) საერთო-ქართული კულტურის განვითარებას. ქართველი ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ტაო-კლარჯეთის მონასტრებში მიმდინარე შემოქმედებითმა მოღვაწეობამ უდიდესი როლი ითამაშა ქართული კულტურის განვითარებაში. ამიტომ თურქეთში არსებული ქართული ძეგლები საქართველოს სამეცნიერო ცენტრებისათვის უდიდესი მნიშვნელობისაა. მიუხედავად ამისა, ამ ძეგლების მთიან, ძნელად მისადგომ ადგილებში მდებარეობის გამო, შუასაუკუნეების მკვლევარი ისტორიკოსების მხოლოდ იშვიათ ნაწილს ხვდა წილად ბედნიერება ადგილზე შეესწავლა აღმოსავლეთ საქრისტიანოს ეს ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლები. თურქეთის ხელისუფლება, რომლის მოღვაწეობაც მიმართულია ეროვნული უმცირესობის ასიმილაციისაკენ, მაინც და მაინც ხელს როდი უწყობდა ძველი ტაო -კლარჯეთის მიწებზე დღეს მცხოვრები ქართველების ისტორიისა და კულტურის შესწავლას. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ ქართველი მეცნიერები აქაური ძეგლების გაცნობას მხოლოდ 1902, 1907 და 1917 წლებში რუსული ექსპედიციების მიერ მოკვლეული იკონოგრაფიული მასალების საფუძველზე ახერხებენ.

თუმცა ტაო -კლარჯეთის კულტურული მემკვიდრეობა გარკვეულად შემორჩენილი იყო ქართულ ტრადიციებში, მაინც ტაო-კლარჯეთის ძველი ქალაქების, ციხეებისა და ეკლესია-მონასტრების ნაშთების შესახებ პირველ ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენდა იმ მეცნიერთა დღიურები და ჩანაწერები, რომლებმაც ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლია ამ პერიოდში მოინახულეს.

1874 წელს პოლკოვნიკი ყაზბეგი, ქართველი, რომელიც მაშინ მეფის რუსეთის სამსახურში იმყოფებოდა, იმოგზაურა რა ტაო-კლარჯეთის ძველ სამთავროში, წერდა: ,,გეოგრაფიულ მეცნიერებას მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ თურქეთის საქართველოს ზოგიერთი ადგილის შესახებ ვიცით გაცილებით ნაკლები, ვიდრე აფრიკის შესახებ...”. ამ ოფიცერმა, რომლის

თურქეთში მოგზაურობის მიზანს სრულიად არ წარმოადგენდა ქართული არქიტექტურის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, დაგვიტოვა მრავალი საყურადღებო ჩანაწერი ტბეთის, ოპიზის და პარხალის ძველქართული სალოცავების შესახებ.

## ტაო-კლარჯეთის აღმოჩენა

პეტერბურგელი და თბილისელი მეცნიერების დაინტერესება ტაო-კლარჯეთის ქრისტიანული წარსულით განსაკუთრებით გაძლიერდა 1878 წლის შემდეგ, როდესაც ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე თურქებმა რუსეთს მთელი აჭარა დაუთმეს. თურქეთის ახლადშემოერთებული მიწების შემსწავლელი რუსეთის სამთავრობო კომისიის წევრ დიმიტრი ბაქრაძეს დავალებული ჰქონდა გასცნობოდა სათანადო ეთნოგრაფიულსა თუ ისტორიულ მასალებს ამ ადგილებში მცხოვრები ქართველების შესახებ. აქედან გამომდინარე, მან XIX საუკუნის 70-იან წლებში შემოიარა და შეისწავლა ტბეთის, ოპიზის, ანჩის და დოლისყანის ეკლესია-მონასტრები. დ. ბაქრაძემ აჭარის, ლაზეთისა და ასევე სომხეთის ძეგლების შესწავლის საფუძველზე დაწერა რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაშრომი. 1888 წელს ძველი ტაო -კლარჯეთის ზოგიერთი ძეგლი მოინახულა ასევე არქიტექტურის ისტორიის ცნობილმა სპეციალისტმა პავლინოვმა, რომელმაც ფოტოები გადაუღო და აღწერა მამაწმინდის, ოპიზის, ანჩისა და დოლისყანის ეკლესია-მონასტრები.

ტაო-კლარჯეთის კულტურისა და ხელოვნების ისტორიის კვლევას შეუფასებელი ამაგი დასდო ორმა ქართველმა მეცნიერმა – ისტორიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა და გამოჩენილმა ლინგვისტმა, არქეოლოგმა და ორიენტალისტმა ნიკო მარმა.

ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელიც 1902, 1907 და 1917 წლებში მაჰმადიანური საქართველოს ანუ თურქეთისათვის რუსეთის მიერ წართმეულ ქართულ მიწებზე ხელმძღვანელობდა სამეცნიერო ექსპედიციებს, უდიდესი არქეოლოგიური მასალა მოიძია ძველი ქართული არქიტექტურის შესახებ. იგი 1902 წელს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით იკვლევდა ასევე სამცხე-ჯავახეთისა და სომხებით დასახლებული ყარსის ოლქის არქიტექტორულ ძეგლებსაც. 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილი უკვე კოლაშია და აქ შეისწავლის ძველქართულ არქიტექტურას. შემდგომი ხანის ისტორიკოსთა შეფასებით, ამ ორივე ექსპედიციამ უაღრესად მდიდარი სამეცნიერო მასალები მისცა მკვლევართ. ,,თაყაიშვილმა, – წერდა 1981 წელს ვახტანგ ბერიძე, – გაცილებით სრულყოფილად, ვიდრე ადრინდელმა მეცნიერებმა, – ამოიკითხა და შეისწავლა ძეგლებზე გაკეთებული წარწერები. მან პირველად მოგვცა მანამდე სრულად უცნობი მრავალი ძეგლის აღწერილობა, რომელთა შორისაც ზოგიერთს განსაკუთრებული მნიშვნელობა

ჰქონდა. მრავალი ძეგლი აზომა კიდეც". ექვ. თაყაიშვილის პუბლიკაციებს, რომლებიც ძეგლების ადგილზე შესწავლის საფუძველზეა გაკეთებული, თანამედროვე ქართველი მეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ ძეგლთა ნაწილი უკვე აღგვილია პირისაგან მიწისა.

საქართველოს მაჰმადიანური პროვინციების ძველქართული არქიტექტურის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ექსპედიციას, რომელიც ასევე ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით 1917 წელს განხორციელდა. რამდენიმე წლის შემდეგ თავად მეცნიერი იხსენებდა:

,,პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის არმიის სამხრეთის ფრონტმა ანატოლიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა, რის შედეგადაც მდინარე ჭოროხის მთელი აუზი რუსეთის არმიის ზურგში მოექცა. ამ სიტუაციამ გაგვიადვილა 1917 წელს ტაოს, თორთუმის და ისპირის გამოსაკვლევად მესამე ექსპედიცია მოგვეწყო. აღნიშნული ღონისძიება დააფინანსა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ქართულმა საზოგადოებამ, რომელიც ჩემს მიერ შექმნილი და თავად მე ვხელმძღვანელობდი".

ამ ექსპედიციის დროს აღიწერა და აიზომა საქართველოს ისტორიისა და არქიტექტურის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორებიცაა ოშკის, ხახულის და იშხანის ეკლესიები, პარხალისა და ოთხთა ეკლესიების ბაზილიკები, ასევე ზოგიერთი სხვა ეკლესია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს აღწერები არ აკმაყოფილებენ XXI საუკუნის ისტორიული მეცნიერებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ვერც ერთი ნაშრომი, რომელსაც კი პრეტენზია ექნება სამეცნიერო პუბლიკაციაზე, ვერ დაიწერება ისე, თუ მასში გათვალისწინებული არ იქნა თაყაიშვილის ეს ამაგი. ეს მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს უძველეს კუთხე – ტაო-კლარჯეთში ამ სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობიდან მცირე ხნის შემდეგ ეს ადგილები კვლავ თურქეთის არმიამ დაიკავა. მომდევნო წლებში თურქებმა გაანადგურეს თითქმის ყველა ის ქრისტიანული ძეგლი, რომელიც კი მათი სახელმწიფოს საზღვრებში მოხვდა. ზოგიერთი ქართული ეკლესია-მონასტერი და ციხე კი მხოლოდ იმიტომ გადაურჩა მის მსახვრელ ხელს, რომ ისინი მთიან, ძნელად მისაწვდომ ადგილებში მდებარეობენ. ზოგიერთი ქართული ეკლესიაც მხოლოდ იმის წყალობით შემორჩა, რომ მეჩეთად გადააკეთეს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ადგილებში ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლთა უმრავლესობა აქაური მაჰმადიანური მოსახლეობის მიერ უფასო სამშენებლო მასალად არის მიჩნეული.

1920 წელს თაყაიშვილმა თბილისში შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურული ძეგლების გამოფენა მოაწყო. ამ გამოფენისადმი მიძღვნილი ვრცელი კატალოგი ათწლეულების მანძილზე ტაო-კლარჯეთის არქიტექტურის უცვლელ გზისმკვლევად იყო მიჩნეული. 1917 წლის ექსპედიციის დღიურების გამოქვეყნება მხოლოდ 1952 წელს მოხერხდა,

როდესაც საბჭოთა კავშირში დაიწყეს იმაზე ფიქრი, თუ როგორ წაერთმიათ თურქეთისათვის უძველესი ქართული მიწები. 1966 წელს პარიზის ემიგრაციის დროს ილია ზდანევიჩმა, თაყაიშვილის ბოლო ექსპედიციის მონაწილემ, გამოსცა ბროშურა, რომელშიც აღწერილი იყო ესპანელი დიპლომატის დე რუი გონსალეს დე კლავიას მოგზაურობა. ამ დიპლომატმა 1905 წელს მოინახულა სამხრეთ საქართველო. ბროშურის შესავალში ზდანევიჩი აღწერს თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამ შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის ძეგლების ტრაგიკულ ბედს. შესავალში ზდანევიჩი, სხვათაშორის, წერს, რომ ,,ძეგლები იღუპება არამხოლოდ ბუნების მოვლენების ზეგავლენით, არამედ იმიტომაც, რომ მათ არ იცავს კანონი, რის გამო ახლო-მახლო მცხოვრებთაგანაც ნადგურდება. მათი განადგურების უმთავრესი მიზეზია გათლილი ქვა (რომლებითაც ძეგლებია აგებული – პ.ბ.), რომელსაც ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა მშენებლობისათვის იყენებს... წარსულში არ ანგრევდნენ ეკლესიებს, თუკი ისინი მეჩეთებად იყო გადაკეთებული. ყველაზე ლამაზი და გაცილებით უკეთ შემონახული ეკლესიები ოშკში, ხახულში, იშხანსა და პარხალში მეჩეთებად არის ქცეული. მათი მიმდებარე სამრეკლოები თუ სხვა მცირე ზომის ნაგებობები უკვე განადგურებულია. ამასთან, მეჩეთად გადაკეთებაც ყოველთვის როდი იცავს ეკლესიას განადგურებისაგან”.

ზდანევიჩის დასკვნას ქართული საკრალური არქიტექტურის ძეგლების ტრაგიკული ბედის შესახებ ადასტურებენ ასევე XX საუკუნის სამოციანი და სამოცდაათიანი წლების სხვა დასავლეთელი ავტორებიც.

## განწირული ძეგლები

XX საუკუნის ბოლოსათვის ბევრი არაფერი შეცვლილა თურქეთის ხელისუფლებისა თუ საზოგადოების დამოკიდებულებაში ამ მშვენიერი ძეგლებისადმი. 1999-2000 წლებში ,,თურქეთის საქართველოში” მოგზაურობის დროს მოვინახულე რამდენიმე ადგილი, რომლებიც შუასაუკუნეებში ქართული კულტურის მნიშვნელოვან კერებს წარმოადგენდნენ. ჩემს მიერ შესრულებული ფოტოები ადასტურებენ იმ დიდ ზიანს, რომელსაც თურქეთის მოსახლეობა იშხანის, ხახულის, ოშკის, პარხალის, ტბეთის, ართვინის ძეგლებს აყენებდა და აყენებს.

სამწუხაროდ, აქაური თურქი და ქურთი ხალხი ქართული ეკლესია-მონასტრების ნანგრევებში უწინდებურად მხოლოდ სამშენებლო ქვებს ხედავს. ცუდად გაგებული რელიგიური ექსტაზის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა, ძეგლების კედლებზე შლის ფრესკებს, რომლებზედაც ქრისტიანული რელიგიური სცენებია გამოსახული. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ფხეკავენ წმინდანთა სახეებს და ხშირად ეკლესიების

კედლებთან ანთებენ კოცონს, რათა ერთბაშად მოსპონ და გაანადგურონ კედლების ფერწერის ყოველგვარი კვალი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტაო-კლარჯეთის ქართული ძეგლების შესწავლის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს ნ. მარის მეცნიერულმა ნაშრომებმა. ამ მეცნიერმა, რომელიც ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე", შუასაუკუნეების ქართული მწერლობის ერთ-ერთ უნიკალურ ნაწარმოებზე, მუშაობდა, 1904 წელს გადაწყვიტა მოენახულებინა ტაო-კლარჯეთის ის ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები, რომლებიც დაკავშირებული იყო ამ თხზულების წარმოქმნასთან. ნ. მარის ამ მოგზაურობის დღიური, რომელიც ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან" ერთად გამოიცა, ,,თურქეთის საქართველოს" ერთ-ერთ პირველხარისხოვანსა და დღემდე ნაკლებშესწავლილ წყაროს წარმოადგენს.

## ბერები ტაო-კლარჯეთიდან

ტაო-კლარჯეთის კულტურული ცხოვრება, ისევე, როგორც შუასაუკუნეების ევროპის ქრისტიანული ქვეყნებისა, უწინარეს ყოვლისა, მონასტრებში იყო კონცენტრირებული. ,,ძველი ქართული ლიტერატურის" ავტორი კორნელი კეკელიძე 1951 წელს წერდა: ,,ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული ლიტერატურის ისტორიაში... ძეგლების (დამწერლობის – პ.ბ.) უმრავლესობა, რომლებიც ჩვენ შემოგვენახა IX-X საუკუნეებიდან, ამ მონასტრებში წარმოიშვა. აქ არსებობდა თვითმყოფადი ლიტერატურული სკოლა, რომელიც ამოზრდილი იყო ეროვნული ნიადაგიდან და რომელმაც თავისებური ენა, გრამატიკა, კალიგრაფია შეიმუშავა...". ქართველ ბერთა საქმიანობა მხოლოდ ლიტერატურით როდი შემოიფარგლებოდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამონასტრო შემოქმედება ხელოვნების მრავალ სფეროს მოიცავდა. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ თუნდაც ზოგიერთი ფაქტი, რომელიც მოწმობს აქ გაბატონებულ შემოქმედებით ატმოსფეროზე, რომელიც სტიმულს აძლევდა ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვანი ლიტერატურული ქმნილებების და არქიტექტურული ძეგლების შექმნას.

ქართული კულტურა, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთში, ბიზანტიის მეშვეობით, მაქსიმალურად იყო ნაზიარები მსოფლიო ქრისტიანული ლიტერატურის საუნჯეს. ამ კუთხის ბერებს ინტენსიური კავშირები ჰქონდათ ქრისტიანული აღმოსავლეთის ყველა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრთან. ეს მათთვის ძნელი არ იყო, რადგან ქართული ეკლესია-მონასტრები არსებობდა პალესტინაში, სინას მთაზე, სირიაში, კვიპროსზე, ბულგარეთში და ა. შ.

X საუკუნის ქართველი ისტორიკოსის გიორგი მერჩულეს ცნობით, ტაო-კლარჯეთელი ბერები არამხოლოდ მარხვით, ლოცვითა და ეკლესია-

მონასტრების მშენებლობით იყვნენ დაკავებული, არამედ უაღრესად მჩქეფარე ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ: თხზავდნენ ჰიმნებსა და რელიგიურ ლექსებს, წერდნენ წმიდანთა ბიოგრაფიებს, თარგმნიდნენ უცხოურ ლიტერატურას, აარსებდნენ სამონასტრო სკოლებს  და ა. შ. ზუსტად ასეთ სკოლებში ხდებოდა რელიგიური თხზულებების გადაწერა და მათი მოხატვა, ისტორიული ქრონიკების შედგენა. მაგალითად, კალიგრაფმა მიხეილმა, შატბერდის მონასტრის შეკვეთით, 897 წელს გადაწერა შატბერდის განთქმული სახარება.

წმინდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ, კათოლიკოსმა არსენ საფარელმა IX საუკუნის მეორე ნახევარში „წმიდა აბო ნეკრესელის ცხოვრება და მოწამეობა" დაწერა. 914-918 წლებში ტბეთის ეპისკოპოსმა სტეფან მტბევარმა უფლისწულის აშოტ კუხის შეკვეთით დაწერა „წმიდა გობრონის წამება". ეს წიგნი ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენს საქართველოსა და სომხეთზე აბუ-ყასიმის მეთაურობით არაბთა შემოსევის თაობაზე. X საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთში შეიქმნა მისი რამდენიმე ასლი მოჭედილი იშვიათი სილამაზის მინიატურებით.

951 წელს ხანძთის მონასტერში უკვე ნახსენებმა გიორგი მერჩულემ „წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" დაწერა. ეს ნაწარმოები VII და IX საუკუნეების ტაო-კლარჯეთის ისტორიის უძვირფასეს წყაროდ იქცა. ვახტანგ ბერიძის განცხადებით, ეს ბიოგრაფია ნათლად მოწმობს, თუ კულტურულად და რელიგიურად როგორ აღეშენებოდა საქართველო.

ტაო-კლარჯეთში დაყუდებული მრავალი ბერი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყო. ეს კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა საქართველოს კუთხეების კულტურულ აღორძინებაზე. ტაო-კლარჯეთიდან თავიანთ კუთხეებში დაბრუნებულ ბერებს ჩაჰქონდათ  კალიგრაფიული ხელოვნების თუ ხატების მოჭედვის მდიდარი ცოდნა. სახელდობრ ტაო -კლარჯეთიდან გამოსულმა ბერებმა ჩაუყარეს საფუძველი ქართლისა თუ აფხაზეთის მრავალ მონასტერს. გრიგოლ ხანძთელის მრავალმა მოწაფემ ეპისკოპოსისა თუ კათოლიკოსის მაღალი ჩინი მიიღო. წმიდა გრიგოლ  ხანძთელის მოწაფე მაკარ ლეტეტელმა 864 წელს იერუსალიმში სხვადასხვა ავტორების თხზულებები შეკრიბა და ქართულად თარგმნა. X საუკუნეში ნიკოლოზ ოპიზელმა აფხაზეთის სამეფოში, მარტვილის ტაძარში კარიბჭე ააგო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტაო-კლარჯეთის სკოლის მხატვრებმა XI საუკუნის პირველ ნახევარში ფრესკებით გაამდიდრეს კუმაროს (ჯავახეთი) და მანგლისის (ქართლი) ეკლესიები. X საუკუნის ოთხმოციან წლებში იოანემ და ექვთიმემ, ოთხთა ეკლესიის ორმა ბერმა, ათონში ქართული მონასტერი დააარსა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების ტრადიციების მატარებელი იყო. მრავალი საუკუნის მანძილზე ეს მონასტერი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერათა რიცხვს მიეკუთვნებოდა.

ქართველებს, როგორც მრავალი მშვენიერი საკრალური არქიტექტურული ძეგლის ამგებ ხალხს, შეუძლიათ იამაყონ ამ სფეროში თავიანთი მიღწევებით. მათ შეიმუშავეს შუასაუკუნეების ეკლესია-მონასტრების მშენებლობის საკუთარი, ორიგინალური ფორმები. ტაო-კლარჯეთის მიწაზე წარმოიშვა ასევე როტონდის ახალი ფორმები,

რომლის მშვენიერ მაგალითსაც თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ბანას ეკლესია წარმოადგენს. ამის შესახებ დავით მარშალ ლანგი წერს: ,,ბანა, რომელსაც გარედან ციხე-გალავანი არტყია, აგებულია ოთხი ხის ფოთლის ფორმით და გამოირჩევა მონუმენტალური პროპორციებით. მისი დიაგონალი 38 მეტრის, ხოლო სიმაღლე 30 მეტრისაა. მეცნიერები ამ ეკლესიას VII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ. ბანა XX საუკუნემდე შემოინახა, ვიდრე რუსეთ-თურქეთის ომის დროს იგი დამცავ (ფორტიფიკაციულ) ნაგებობად გადააკეთეს და სროლების შედეგად გაანადგურეს.

ხელოვნების ისტორიკოსები ერთხმად უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართულმა რელიგიურმა არქიტექტურამ თავის აპოგეას ტაო-კლარჯეთში ბაგრატიონების ეპოქაში მიაღწია (იხ. ,,წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება''). სახელდობრ, ამ ეპოქაში დაიწყო საქართველოს არაბთაგან განადგურებულ სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში რელიგიური ცხოვრების აღორძინება. წმიდა გრიგოლ ხანძთელის შუასაუკუნეების ბიოგრაფი წერს, რომ მან ხუთი ახალი მონასტერი ააგო და მაჰმადიანების მიერ განადგურებული რამდენიმე მონასტრული ცხოვრების კერა აღადგინა. ნიკო მარმა სათანადოდ შეაფასა მონასტრების როლი ტაო-კლარჯეთის ცხოვრებაში, უწოდა რა ამ კუთხეს ,,ბერების რესპუბლიკა''. ძნელია არ დაეთანხმო მეცნიერის ამ შეფასებას, რამეთუ მაშინ სწორედ მონასტრებში იყო კონცენტრირებული ხელისუფლება, ცოდნისა და კულტურის მიღწევები. მონასტრებში, რომლებსაც მატერიალურად თუ პოლიტიკურად ზურგს უმაგრებდნენ ძლიერნი იმდროინდელი ტაო-კლარჯეთისანი, თავმოყრილი იყო მთელი ქართული კულტურული ელიტა. საუკუნეების მანძილზე ეს მონასტრები შუამავლის როლს თამაშობდნენ ქრისტიანული ამიერკავკასიისა და ბიზანტიის კულტურულ წრეებს შორის. მაშინ ბიზანტიიდან საქართველოში არა მხოლოდ მონასტრული ცხოვრების ტრადიციები შემოდიოდა, არამედ ხელოვნებისა და კულტურის ახალი ფორმები. ქართული მონასტრები სწორედ ისეთ კულტურულ ცენტრებად გადაიქცა, სადაც საზღვარგარეთიდან შემოსული კულტურული სიახლეების ქართული ტრადიციებისათვის მისადაგება ხდებოდა. დ. მ. ლანგის აზრით, სწორედ ტაო -კლარჯეთის მონასტრებში დაიბადა რელიგიური არქიტექტურული ნაგებობების ქართული ეროვნული სტილი.

თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციებში ყველაზე კარგად შემონახულ და ქართული არქიტექტურის ყველაზე ცნობილ ძეგლებს მიეკუთვნება იშხანის, ოშკისა და ხახულის ეკლესია-მონასტრები.

# ქართული ეკლესიები

ერთ-ერთ ყველაზე ძველ ძეგლს ტაო-კლარჯეთში, რომელიც ჩვენს დღეებამდე შემოინახა, წარმოადგენს ეკლესია იშხანში, აგებული 642 წელს სომეხი ეპისკოპოსის ნერსესის მიერ. ეს ეკლესია, რომელიც არაბების შემოსევის დროს, დაახლოებით IX საუკუნის ოცდაათიან წლებში გაანადგურეს, აღადგინა გრიგოლ ხანძთელის მოწაფე სავამ. სავა იშხანის პირველი ქართველი ეპისკოპოსი გახდა. მის დაქვემდებარებაში იყო ისპირის, თორთუმის და ბაიბურდის ოლქები, ანუ თითქმის მთელი ტრაპეზუნდის ტერიტორია. ეპისკოპოსმა სავამ იშხანში მონასტერიც ააგო. ამ ეპისკოპოსის მიერ აშენებული ეკლესია-მონასტრები აქ XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე არსებობდა, ანუ იმ დრომდე, ვიდრე თურქეთის ხელისუფლებამ ძალად არ გაამაჰმადიანა ადგილობრივი ქართული მოსახლეობა.

დღეს იშხანის ეკლესია-მონასტრის ნანგრევები გათურქებული ქართველებით დასახლებულ სოფელ იშხანში მდებარეობს. ექვთიმე თაყაიშვილის გადმოცემით, რომელიც აქ 1917 წელს იმყოფებოდა, აღნიშნულ ადგილებში გამაჰმადიანებული ქართველი მესხები ცხოვრობდნენ. მათ უკვე მაშინ ძლივს ესმოდათ ქართული ენა. დღეს აქ აღარავინ ლაპარაკობს ქართულად, აღარავის სურს თავისი წარმომავლობის გახსენებაც. იშხანის ტაძრის კედლები ძველქართული ფრესკებით არის დამშვენებული, რომლებიც ნათლად ასახავენ ტაო-კლარჯეთის რელიგიურ ცხოვრებას. მათი დახმარებით ჩვენ შეგვიძლია გავეცნოთ იშხანის ბერთა ცხოვრებას და იმ პოლიტიკურ მოვლენებსაც, რომლებიც ქართულ საეკლესიო პრობლემებს უკავშირდება. ამ ფრესკების შესწავლით შეგვიძლია დავადგინოთ არამხოლოდ იშხნელი ეპისკოპოსების სრული სია, არამედ აღვადგინოთ ზოგიერთი მოვლენა ტაო-კლარჯეთის ისტორიიდან.

პატარა სოფელ ოშკში, რომელიც მდინარე თორთუმის ხეობაში მდებარეობს, უზარმაზარი ეკლესია აიგო 965 წელს. იგი აშენებულია ადარნასე III კურაპალატის ვაჟების, ბაგრატისა და დავითის ბრძანებით. ეკლესია მდებარეობს მთელ ტაო-კლარჯეთში უდიდესი მონასტრის ტერიტორიაზე. მისი სიმაღლე 40 მეტრს, სიგრძე 38-ს, ხოლო სიგანე 36 მეტრს შეადგენს. ეკლესიის თაღებს ოთხი უზარმაზარი სვეტი იკავებს.

გრიგოლ ოშკელის მიერ აგებულმა ეკლესიამ საქართველოს მრავალ კუთხეში ჰპოვა მიმბაძველები. მალევე, ოშკში ეკლესიის აგების შემდეგ, საქართველოში აშენებული სამი ეკლესიიდან ორი ზუსტად იმეორებს მის კომპოზიციას. ეს ეკლესიებია – ალავერდი კახეთში და ბაგრატის ტაძარი ქუთაისში.

ხსენებული ეკლესიები ამ სახის ნაგებობებში მთელ თანამედროვე საქართველოში უმაღლეს ნაგებობებად ითვლება. ,,ოშკის გენიალურმა

არქიტექტორმა, – წერს თანამედროვე ისტორიკოსი პარმენ ზაქარაია,– პირველმა შექმნა კომპოზიცია, რომელიც საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ყველა ამ სახის ნაგებობებისათვის ნიმუშს წარმოადგენდა. ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ოშკის აშენებამდე და ალავერდის აგების შემდეგ საქართველოში მასშტაბებით მათზე აღმატებული არაფერი აგებულა".

ჭოროხის ხეობა, რომელიც ძველი ტაო-კლარჯეთის პროვინციაში მდებარეობს, ძალზე მდიდარია შუა საუკუნეების არქიტექტურის ძეგლებით. მათგან მაინც ხახულის მონასტერი გამოირჩევა არამხოლოდ შედარებით კარგი მდგომარეობით, არამედ განსაკუთრებით იმ მნიშვნელოვანი ადგილით, რომელსაც იგი იკავებს ქართველი ერის ისტორიაში. სახელდობრ ამ ადგილას დაიბადა შუა საუკუნეების საიუველირეო ხელოვნების ნიმუში, ხახულის ღმრთისმშობლის ხატი. მიჩნეულია, რომ ქართველთა ეროვნული სიწმინდე თურქ-სელჯუკების შემოსევის დროს გადამალეს, ხოლო შემდეგ გადაიტანეს გელათის მონასტერში, ქუთაისის ახლოს.

ხახულის მონასტერი მდებარეობს მომცრო მდინარე ხახულისწყლის პატარა ხეობაში; ხახულისწყალი უერთდება მდინარე თორთუმს, რომელიც შემდეგ ჭოროხში ჩაედინება. ეს ხეობა, რომელიც უაღრესად ნაყოფიერი ხეებით არის დახუნძლული, უზარმაზარ ბაღს მოგვაგონებს. ვეება ხეები ფარავენ როგორც ნაწილობრივ განადგურებული მონასტრის შენობას, ისე მცირე ზომის სოფელს. ამ სოფლის მცხოვრებნი გამაჰმადიანებული და გათურქებული ქართველები არიან.

ქართველ ისტორიკოსთა ცნობით, ხახულის მონასტერი X საუკუნის შუა ხანებშია აგებული დავით კუროპალატის დავალებით. საუკუნეთა განმავლობაში იგი ქართული კულტურისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა. ხახულის არქიტექტურაში, განსხვავებით ოშკის მონასტრისაგან, დეკორატიული ელემენტები აუცილებელ მინიმუმადეა დაყვანილი. ნაგებობა გამოირჩევა სრულყოფილი პროპორციებითა და მონუმენტალური ფორმებით. დ. მ. ლანგის აზრით, ხახულის ეკლესიაზე შემოინახა რამდენიმე ძველი საყურადღებო ფრესკა, რომელთა შორის აღსანიშნავია ლომი, ხარს რომ ესხმის თავს, მგლები, მამალი და სხვ.

როდესაც ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილ ძეგლებს ათვალიერებ, შენდაუნებურად გებადება აზრი იმის შესახებ, რომ მეცნიერებამ დღემდე ვერ შეაფასა ქართველთა წვლილი მსოფლიო არქიტექტურის განვითარებაში. ხელოვნების ევროპელი ისტორიკოსები დიდხანს ვერ ანსხვავებდნენ შუასაუკუნეების ქართულ ნაგებობებს სომხურისაგან, მათ ასევე არ ძალუძდათ განესაზღვრათ ის გავლენა, რომელიც მოახდინა საქართველომ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში რომანული სტილის განვითარებაზე. შუასაუკუნეების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შეუფასებლობაში დანაშაული მიუძღვით ამიერკავკასიის რეალობისაგან მოწყვეტილი თეორიის შემქმნელებს, რომელთაც ხელოვნების სფეროში

ქართველთა მიღწევები სომხებს მიაწერეს. ,,ქართული საეკლესიო არქიტექტურის გარკვეული უგულვებელყოფა, – წერდა XX საუკუნის სამოციან წლებში დ. მ. ლანგი, – გამომდინარეობს ასევე ხელოვნების ისტორიის ვენელი სპეციალისტის სტჟიგოვსკის სუბიექტური, საკმაოდ ფანტასტიკური თეორიიდან, რომლის თანახმადაც მთელი ქრისტიანული არქიტექტურა კონსტანტინეპოლის, ბალკანეთისა და რომანული ევროპის არქიტექტურის ჩათვლით, გამომდინარეობს ანტიკური, უკვე მოსპობილი სომხური არქიტექტურული ნიმუშებიდან. ქართველები ვერ ჯდებოდნენ ამ სქემაში, რის გამოც სტჟიგოვსკიმ ისინი სრულად უგულვებელყო. საბედნიეროდ უკანასკნელ ხანებში, ქართველ და დასავლეთ ევროპელ მეცნიერთა გამოკვლევების წყალობით, ქართული ხელოვნება თანდათან იბრუნებს საკადრის ადგილსა და პატივისცემას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თურქეთში არსებული ქართული ძეგლების განადგურებასაც წერტილი დაესმება და ტაო-კლარჯეთის ზოგიერთი ეკლესია-მონასტერი მაინც გახდება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი.

**დაიბეჭდა გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" 2002 წლის სექტემბრის ნომერში**

## ზღაპარი მოზრდილთათვის

*მეტეხის თეატრ-სტუდიამ ვარშავის „თეატრ ნა ტორგოვკუს" სცენაზე წარმოადგინა გიგა ნახუცრიშვილის სპექტაკლი „ჭინჭრაქა", რომელიც მაყურებელმა ძალზე გულთბილად მიიღო.*

*სპექტაკლზე რეცენზია დაიბეჭდა გაზეთ „ტრიბუნა ლუდუში" 1984 წლის 4 აგვისტოს.*

,,თეატრ ნა ტორგოვკუმ" რამდენიმე პოეტური სპექტაკლი მოამზადა. მათ წარმოადგინეს პოეტების - ბალინსკის, კონოპნიცკის, მაიაკოვსკის, ნერუდას შემოქმედება. დადგეს ასევე მრავალი ავტორის პიესა, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გიგა ნახუცრიშვილის მშვენიერ ქმნილებას ,,ჭინჭრაქას" (ზღაპარი მოზრდილათათვის, ანუ გართობა სახრჩობელას ქვეშ). ეს არის თანამედროვე მორალიტეტი, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ჭიდილს სიკეთესა და ბოროტებას შორის. პიესა ნაწილობრივ ეფუძვნება ძველ ლეგენდებს. მასში ასევე გამოყენებულია ფრაგმენტები შექსპირის პიესიდან და ანუის ,,ტოროლადან".

ბოროტება ,,ჭინჭრაქაში" სათავეს იღებს ადამიანის ხასიათის სისუსტეებისაგან და მისი განკურნების პროცესი უაღრესად ხანგრძლივი და რთულია. იმის მიუხედავად, რომ ,,ჭინჭრაქა" ზღაპარი გახლავთ და ამიტომ, ბუნებრივია, ბედნიერ დასასრულს უნდა ელოდე, იგი ძალზე ძნელად

მიიღწევა. მართალია, ტირანი დაემხობა, მაგრამ სამწუხაროდ, არც მისი მემკვიდრე გამოდგება უკეთესი. სცენურად ზღაპარი ჟღერს როგორც მაყურებლისადმი მიმართული გაფრთხილება, მისი მიზანია ადამიანური სისუსტეების წარმოჩენა და ადამიანთა ყურადღების გამახვილება ამ სისუსტეებზე.

იმ ახალგაზრდობამ, რომელიც ,,ჭინჭრაქას" პრემიერას ესწრებოდა და რომელთაგან უმრავლესობა დაახლოებით სკოლის მოსწავლეთა ასაკისა იყო, მსახიობებს არაჩვეულებრივად გულთბილი შეხვედრა გაუმართა. ეს კი, შეიძლება ითქვას, საუკეთესო დადასტურებაა სპექტაკლის მაღალი დონისა.

წარმოდგენა მოამზადა სტუმართა სამეულმა - თბილისის მეტეხის ქართული თეატრიდან: რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა, სცენოგრაფმა მიხეილ ჭავჭავაძემ, და კომპოზიტორმა მიხეილ ოძელმა. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ორ თეატრს შორის თანამშრომლობის დასაწყისი გახლდათ.

**იეჟი კვიატეკი**

**დაიბეჭდა გაზეთ „თბილისის", 1984 წლის 4 აგვისტოს ნომერში**

## ეს განსაცვიფრებელი ქართველები

*წერილი გამოქვეყნდა 1983 წლის 2 ოქტომბერს პოლონურ გაზეთ „ტრიბუნა ლუდუში". მისი ავტორია რიშარდ კოსინსკი.*

საერთაშორისო თეატრალური შეხვედრები ვარშავაში დასასრულს უახლოვდება. ჩვენი დედაქალაქი კვლავ იქცა თეატრების მნიშვნელოვანი კონფრონტაციის ადგილად. ვნახეთ მრავალი თეატრალური დასი: ტენკეი გეკიიო – ტოკიოდან, პეტერ სტეინის თეატრი დასავლეთ ბერლინიდან, ბუდაპეშტის სახალხო თეატრი, დრამატული თეატრი ბელგრადიდან და აი, ახლა ვხვდებით თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრის დასს, რომელმაც ჩვენთან ჩამოიტანა ბ. ბრეხტის ,,კავკასიური ცარცის წრე" და უ. შექსპირის ,,რიჩარდ მესამე".

მათი პირველი სპექტაკლი დიდებული ,,კავკასიური ცარცის წრე" იყო რობერტ სტურუას რეჟისორობით. თეატრი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა თანამედროვე თეატრებისაგან. ეს განსაკუთრებით იმაში გამოიხატება, რომ მის რეჟისორს აქვს ინდივიდუალური ხელწერა და იშვიათი წარმატებით იყენებს მას.

,,კავკასიური ცარცის წრე" ეგზოტიკური ზღაპრების სფეროში გადატანილი სენტენციაა, ხერხი, ასე ხშირად რომ მიმართავდა ბრეხტი. დრამატურგი ამაში ხედავდა საზოგადოების მდიდარი გამოცდილების გამოსახვის საუკეთესო საშუალებას და ამგვარად ეს დინჯი, ეპიკური ნაამბობი

ბოროტებისა და სიკეთის ბრძოლის, გალაღებული, გულცივი მდიდრებისა და ჭკუამახვილი პლებეების შესახებ, ქართველ მსახიობთა შესრულებით ჯადოსნურ ფერწერულ თეატრალურ ტილოდ გადაიქცა.

არის ამ სპექტაკლში მდიდარი ჩანაფიქრით ხორცშესხმული ბალაგანური ოპერის, ცირკის, კაბარეტის ხშირი მონაცვლეობა; არის დიდებული არტისტული ტექნიკა, ჟესტი, მუსიკალობა და მიმიკა.

ისიც უნდა ითქვას, რომ რუსთაველები ავითარებენ სტიქიური თეატრის ტრადიციებს და აქ ბობოქრობს ქართული ტემპერამენტი. ოღონდაც, ეს კია, რომ ყოველივე სრულად ემორჩილება რ. სტურუას ნებას, გადატანილია დახვეწილი სცენური ხერხებისა და მსახიობთა უშეცდომო თამაშის ენაზე. შედეგად მიღებულია ბრეხტური ეპიკურობა მრავალფეროვანი ემოციური ფერისცვალებით, სადაც გათამაშებულია ყოველგვარი განწყობილება სულისა: ლირიზმი და მრისხანება, სიმდაბლე და ამაღლებულობა, ალალმართლობა და ეგოიზმი, სიყვარული და სიმხეცე... და ვჭვრეტთ ოპერა ბუფისა და ტრაგედიის, კაბარეტული გართობისა და ცირკული აკრობატიკის ურთიერთგადაჭდობას; დასი ხომ გამუდმებულ ცვლილებასა და მოძრაობაშია.

რობერტ სტურუას უდიდესი პარტნიორია გია ყანჩელი, მუსიკის ავტორი. მუსიკა? ეს ხომ ერთობ მცირეა. ეს არის ის მუსიკა, რომელიც ქმნის ამაღლებულ სანახაობას რეჟისურასთან ერთად.

ახლა მსახიობები? შესანიშნავი დასია და მათ შორის, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეიძლება ითქვას, უდიდესი მსახიობია რამაზ ჩხიკვაძე აზდაკის როლში. იგი ტრაგიკულია თავის ამაღლებულობაში.

ბრწყინვალეა ჟანრი ლოლაშვილი – მთხრობელი. მომხიბლველია გრუშეს როლში იზა გიგოშვილი, მსახიობური ოსტატობის სიმდიდრით შთამაგონებელია გურამ საღარაძე, უმშვენიერესია დუეტი მეუღლეთა, რომელნიც გაყრას ესწრაფვიან (კ. საკანდელიძე, ლ. ბურბუთაშვილი)... ყველას დასახელებაა საჭირო, რადგანაც წარმოდგენა თანაბრად შექმნა მთელმა დასმა, როგორც დამოუკიდებელი როლებით, ასევე მასობრივი სცენებით...

ხვალ კი შექსპირის „რიჩარდ მესამეა"...

**დაიბეჭდა გაზეთ „თბილისის", 1983 წლის 15 ოქტომბრის ნომერში**

## რიჩარდ მესამე საქართველოდან

*მესამე საერთაშორისო თეატრალური შეხვედრები დაიხურა უ. შექსპირის „რიჩარდ მესამით", რომელიც წარმოადგინა თბილისის შ. რუსთაველის სახელობის დრამატულმა თეატრმა. ეს იყო ამ დასის მეორე სპექტაკლი. ორი დღით ადრე ქართველმა სტუმრებმა გვიჩვენეს ბერტოლდ ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე" , რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვიუწყებოდით.*

შემთხვევით არ გაგვიხსენებია ბრეხტი. გავიხსენეთ იგი იმიტომ, რომ ,,რიჩარდ მესამეში'' შევამჩნიეთ არა მხოლოდ უბრალო მსგავსება ან ნათესაობა ამ სპექტაკლების საერთო სტილისა და ძირეულ ფილოსოფიას შორის, არამედ – მტკიცე კავშირი გუშინწინდელ სპექტაკლსა და შექსპირის ბრეხტისეულ ინსცენირებას შორის. რობერტ სტურუას რეჟისურით წარმოდგენილი ,,რიჩარდ მესამე'' მოკლებულია ტრაგიკულ დაძაბულობას, რომელსაც ისტორიკოსები ,,ხელმწიფურ ბოროტმოქმედებას'' უწოდებენ და რომელიც უმეტესწილად ხდება სახელმწიფოსა და სასახლის კარის უმაღლესი ინტერესების დასაცავად. ,,რიჩარდ მესამე'' არამზადების სისხლიანი შეთქმულებაა, რომელსაც თავისი სიმდაბლით არ ძალუძს ჩრდილი მიაყენოს სიკეთეს. ეს იმიტომ, რომ – გვეუბნებიან ჩვენი სტუმრები, - ასეთია არსი ყოველი მზაკვრული უკანონობისა, როგორი წარმოშობისაც უნდა იყოს იგი – პლებეური თუ ხელმწიფური, იმიტომ, რომ ბოროტი ბოროტის მსგავსია და მზაკვრობა – მზაკვრობისა, იმის მიუხედავად, თუ სად გამოიჩეკება და ვითარდება იგი.

ეს გვიკარნახა განსახილველი სპექტაკლის ინსცენირებამ, რომელმაც არავითარი ეჭვი არ დაგვიტოვა იმისა, რომ ბოროტების არსება მოკლეა.ქართველმა მსახიობებმა შეირჩიეს XIX საუკუნის განსაკუთრებული კოსტიუმები. თუმცა გრძელი ფარაჯების ქვეშ ადვილად შესამჩნევი ზოგიერთი ნიშნის მიხედვით მიხვდებით, რომ სპექტაკლში წარმოდგენილი ამბები უკავშირდება შექსპირის დროსა და ეპოქას. სახელდახელოდ მოწყობილ მწირ სცენაზე განვითარებულია ორი კომპოზიცია: მაღალი პლატფორმა, რომელზეც მოთავსებულია ეშაფოტი და დაბალი ხელმწიფური სავარძელი, რომლის ზურგს უკან პირქუშად იმზირება სახრჩობელა. იქვეა გაცვეთილ-გაბინძურებული სახელმწიფო ალამი, რომელიც მიეკუთვნება საზიზღარ, დაუნდობელ მტარვალთა ჯგუფს. სცენაზე მიმდინარე მოქმედება გაგვახსენებს ,,სამგროშიანი ოპერის'' ამბებს და აგრეთვე ნაღვლიან კაბარეტს, რომლის მთავარი მონაწილენი სნეული მოხუცები არიან. სცენაზე მოჩანან აგრეთვე უმშვენიერესი ქალები – სასახლის სტატისტები, ჩვენი საუკუნის დასაწყისის კინოქრონიკების გმირებს, ფელინის ფილმების ზოგიერთ პერსონაჟს რომ ჩამოჰგვანან და ამ კაბარეტულ ტონალობაში ჟამი-ჟამ იჭრება ალექსანდრიული თეატრის ექო, რომლის პაროდიული ნოტა გადატანილია XIX საუკუნის პათეთიკურ თეატრალობაში. მსგავსი რამ ხშირად გვხვდებოდა ,,კავკასიური ცარცის წრეშიც''. სპექტაკლში განსაცვიფრებელი სიძლიერით არის გადაწყვეტილი შეთქმულების ამბავი, ჩვენს აღტაცებას რომ იწვევს, მუსიკა, მისი მშვენიერი მონტაჟი.

,,რიჩარდ მესამის'' მთელი მსვლელობა უწინარესად დასის უპირველესი მსახიობის რამაზ ჩხიკვაძის თამაშის განსაკუთრებული მანერის შესაბამისია. მისი რიჩარდი არსებითად განსხვავდება ბრწყინვალე ინგლისელი მსახიობის

ლოურენს ოლივიეს მიერ შექმნილი მაცდუნებელი დეგენერატის ტიპისაგან. ჩხიკვაძის რიჩარდი ძლიერ ვერაგი და საშიში მოხუცია, ჯერაც გულისთქმას აყოლილი, ოღონდ უკვე ერთი ფეხით საიქიოში გადაბიჯებული მოხუცი. და თუმცა ყოველივეს მსახიობი ასრულებს თავისი ბრწყინვალე ტალანტის შესაფერისად, მაგრამ მე ვისურვებდი, რომ ამ როლში იგი უფრო ახალგაზრდული მეხილა. მაშინ, ალბათ, ეს საშინელი შეთქმულება უფრო მეტ დამაჯერებლობას შეიძენდა.

## პოლონური ჟურნალის ფურცლებზე
## ჯემალ ჭელიძე

,,ყოველი შემოდგომის პირველ თვეს ქალაქი ვარშავა პოეზიის დედაქალაქად იქცევა ხოლმე. მართალია, ეს სულ ერთ კვირას გრძელდება , მაგრამ პოეზია ხომ დღესასწაულია, დღესასწაული კი არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. რით განსხვავდება წლევანდელი შემოდგომა წარსულისაგან? შეიძლება ითქვას, რომ კიდეც განსხვავდება და კიდეც - არა. თუმცა ყოველი ღონისძიება თავისთავად განსხვავდება წინამორბედისაგან – თითოეულ შემოქმედებით ჯგუფს თავისი ინდივიდუალური თვისებები აქვს. წელსაც, რიგით მეთექვსმეტე ,,ვარშავული პოეტური შეოდგომა'' სრულიად განსხვავებული იყო სხვა დანარჩენისაგან. დაგვამახსოვრდა განუმეორებელი ინდივიდუალობა მზია ხეთაგურისა, როგორც მრავალმხრივი შემოქმედისა, - მოცეკვავის, მომღერლისა და, რაც მთავარია, შესანიშნავი ქართველი პოეტისა'', – წერს ვარშავის გაზეთ ,,კულტურას'' ფურცლებზე პოლონეთის მწერალთა კავშირის მდივანი, პოეტი ალექსანდრ ნავროცკი.

მზია ხეთაგური ასეთ დღესასწაულზე პოლონელებმა უკვე მეორედ მიიწვიეს. შარშანწინ მწერალ ბადრი ჭოხონელიძესთან ერთად იყო ზელიონა-გურაში გამართულ ტრადიციულ ლიტერატურის დღეებზე. ძალზე საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა პოეტი ქალის შეხვედრა პოლონელ მწერალ მიხაილ კაზიუვთან, რომლის ცხოვრების რთულმა გზამ ჩააფიქრა და შთააგონა ამბროსი გრიშიკაშვილთან ერთად ქართულად ეთარგმნა მისი წიგნი ,,თუ ჩემს თვალებს...'', რომელიც 1989 წელს გამომცემლობა ,,მერანში'' დაისტამბება (აღნიშნული წიგნი მართლაც გამოიცა – ა.გ.). მიხაილ კაზიუვმა ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკმა, სამამულო ომში დაკარგა მხედველობა და ორივე ხელი, მაგრამ ჰპოვა სულიერი ძალები და კეთილი ადამიანების დახმარებით არათუ ფიზიკურად გადარჩა, არამედ საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანადაც იქცა – დაამთავრა უნივერსიტეტი, დაიცვა ხარისხი და შექმნა ზემოთხსენებული ნაწარმოები, რომელსაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

,,მზია ხეთაგურს მაყურებელი სცენიდან არ უშვებდა ... მან შეასრულა შოპენის ნაწარმოებები, ქართული მელოდიები. ვოიცეხ შემიონის მიერ წაკითხულმა მზია ხეთაგურის ლექსმა (მთარგმნელი ანჯეი ბიენი) ყველა მონაწილე მოხიბლა. თუნდაც ამ ერთი ლექსისათვის ღირდა გაწეულიყო ის შრომა, რაც დღესასწაულის ორგანიზატორებმა გაიღეს'', - ამთავრებს წერილის ავტორი.

**,,ლიტერატურული საქართველო'' 1988 წლის 24 იანვარი.**

## ტრადიციების ბედი განსაცდელშია

### ჯემალ ჭელიძე, ამბროსი გრიშიკაშვილი

ალბათ, სხვა არაფერი ისე მტკიცედ არ აახლოებს ხალხებს, როგორც კულტურული და ეკონომიკური კავშირები. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ამაში თამაშობს ლიტერატურული კავშირები – ეს არის სხვადასხვა ხალხების კულტურის წამყვან წარმომადგენელთა პირდაპირი კავშირები. ეს ტრადიციები შეინარჩუნეს ქართული კულტურის მოღვაწეებმაც თავიანთ კავშირებში სხვადასხვა ერების წარმომადგენლებთან და მათ შორის, პოლონელ ლიტერატორებთანაც.

დოკუმენტებიდან ცხადი ხდება, რომ საქართველო-პოლონეთის კავშირები თავისი ფესვებით საუკუნეთა სიღრმიდან იღებენ სათავეს. ჯერ კიდევ 1495 წელს ეს ორი ხალხი ესწრაფოდა გაერთიანებულიყო საერთო მტრის – თურქეთის წინააღმდეგ. შემდგომშიც პოლონეთ-საქართველოს კავშირები განაგრძობდნენ დინამიურ განვითარებას, რაზედაც მეტყველებს მრავალრიცხოვანი ისტორიული წყაროები, მათ შორის, ცნობილი ისტორიკოსის და მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს ჩანაწერები.

მეთვრამეტე საუკუნეში საქართველოს ეკონომიკური და კულტურული კავშირები კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათის გახდა, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებთან. მათ შორის, მაშინდელ რეჩპოსპოლიტასთანაც. ამ კავშირებმა ერთგვარ პიკს მომდევნო საუკუნეში მიაღწია. რის საფუძველს რუსეთის თვითმპყრობელობასთან ბრძოლა წარმოადგენდა. ამ ხალხების საუკეთესო წარმომადგენლებს გადასახლებაში აგზავნიდნენ – ქართველებს – პოლონეთში, პოლონელებს – საქართველოში. იძენდნენ რა ამ გზით ახალ სამშობლოს, პატრიოტები აგრძელებდნენ შემოქმედებით მუშაობას, სწავლობდნენ ქვეყნის ისტორიას, თარგმნიდნენ მშობლიურ ენაზე ლიტერატურულ  და სხვ.

ამგვარი ტრადიციები დღესაც გრძელდება. პოლონური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნით დაკავებულია მთარგმნელთა მთელი პლეადა. ამ

საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის წარმოშობით პოლონელს, უცხო ენათა ინსტიტუტის დოცენტს, აწ გარდაცვლილ სტანისლავ რავიჩს. 1971 წელს დაწერილი თავისი საკანდიდატო დისერტაცია მან პოეტ ზაბლოცკის საქართველოში ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიუძღვნა.

ბევრი თარგმანები ეკუთვნის ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ჯემალ ჭელიძეს. მისი დისერტაცია მიძღვნილია XIX საუკუნის პოლონური და ქართული ლიტერატურის ურთიერთობებს. მის თარგმანთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მარიან ლიდის პიესა ,,შეუდარებელი'', რომელიც შემდგომში დაიდგა თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დიდი წარმატებით სარგებლობს პოლონელ ბოგდან გუსაკოვსკის მიერ დადგმული ტადეუშ რუჟევიჩის პიესა ,,კარტოტეკა''. ამას გარდა, მის კალამს ეკუთვნის ს. სტანისლავსკის რომანი ,,პიკის საათი'' , ს. ჟერომსკის ,,ერთგული მდინარე'', ბ. დროზდოვსკის ,,ამწე'' და ,,არმინ ლასკოვიჩის ვნებანი'' და სხვ. ჯ. ჭელიძემ ქართული ენციკლოპედიისათვის მოამზადა სტატია, რომელიც პოლონურ კულტურას ეხება.

მ. თუმანიშვილის სახელობის თეატრში დასადგმელად მზადდება ბრილის პიესა ,,სერობა'' და ს. მროჟეკის ,,ტანგო''.

საქართველოს ლიტერატურულ წრეებში კარგად ცნობილია მთარგმნელ ნათელა გავაშელის შრომებიც. მათი მხოლოდ ჩამოთვლაც კი დიდ ადგილს დაიკავებდა, ამიტომ დავასახელებთ მხოლოდ ნაწილს: ჰელენა ბეხლეროვას ,,სახლი ცაცხვებს ქვეშ'', იაროსლავ ივაშკევიჩის ,,არყის ტევრი'', ,,შეყვარებულები ვერონიდან'', ,,ქალიშვილები და ბატები'', ,,დაკარგული ღამე'', ,,ქება და ღირსება'' და სხვ. ჩესლავ იანგარსკის ,,ფუმფულა ბელი'' და ,,მწვანე მთების კოვბოი'', მარია კონოპნიცკის ,,გნომებისა და ობოლ მარისიას შესახებ'', თადეუშ რუჟევიჩის ,,ჩემი გოგო'' და სხვ.

ნათელა გავაშელის მრავალი პოლონური ნოველა და მოთხრობა გამოქვეყნებულია საქართველოს პერიოდულ პრესაშიც.

ნათელა გავაშელის სხვა ნაშრომები ელიან თავის დროსა და თავის გამომცემელს, და ეს დაკავშირებულია, პირველ რიგში, მათი გამოცემისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოძიებასთან.

მთარგმნელობითი მოღვაწეობის განსხვავებული თემათიკა მაქვს არჩეული, ამ პუბლიკაციის ერთ-ერთ ავტორს, ჟურნალისტსა და ეკონომისტს, ამბროსი გრიშიკაშვილს. ბოლო 20 წლის მანძილზე ვთარგმნე და გამოვაქვეყნე ბოგდან დროზდოვსკის ,,ამწე'' და ,,არმინ ლასკოვიჩის ვნებანი'', ა. კრავჩუკის ,,კლეოპატრა'', ს. ჟერომსკის ,,ერთგული მდინარე'', მ. კაზიუვის ,,თუ ჩემს თვალებს'', სტ. რეიმონტის ,,წერილები პანი ტოჩილოვსკის'' და სხვ.

გარდა ამისა, გამოვაქვეყნე ცნობილი პოლონელი რეფორმატორის ლეშეკ ბალცეროვიჩისა და სხვა პოლონელ ეკონომისტთა სტატიების ქართული

თარგმანები და ასევე ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, 1996 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, რიჩარდ ლუკასის წიგნი ,,საბაზრო ეკონომიკა''. გამოსაცემად მომზადებულია იადვიგა დაცკევიჩის ,,ნაპოლეონის ვაჟი'' და ,,ქვა ქვაზე'' ვიესლავ მიშლივსკისა (დღეისათვის ეს ნაწარმოებები უკვე გამოცემულია – ა.გ.).

პოლონურ პოეზიას თარგმნიან ცნობილი ქართველი პოეტები - შ. ნიშნიანიაძე, თ. ჩხენკელი, მ. ქვლივიძე, გ. ალხაზიშვილი და სხვები. ისინი აქვეყნებენ ა. მიცკევიჩის, კ. გალჩინსკის, თ. რუჟევიჩის, ზ. ჰერბერტის ლექსებს.

მ. ქვლივიძე არაერთხელ ყოფილა პოლონეთში, მონაწილეობა მიიღო პოლონური ლიტერატურის მთარგმნელთა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და ყრილობებზე, მას მიკუთვნებული აქვს პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ჩვენთვის ძნელია იმის თქმა, თუ რომელ საუკუნეში, XIX თუ XX –ში შესრულდა კლასიკური პოლონური ლიტერატურის უკეთესი თარგმანები, მაგრამ თარგმანთა რაოდენობით რომ მეოცე საუკუნემ უკან ჩამოიტოვა ყველა დანარჩენი, ეს, ვფიქრობთ, ეჭვს არ იწვევს.

და ეს მით უფრო საწყენია, რომ ჩვენი საუკუნის ბოლო ათწლეულში კულტურული ურთიერთობების ეს ფორმა ფაქტობრივად ნულამდე დავიდა. ბოლო წლების მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ პრაქტიკულად შეაჩერა საქართველოში მთარგმნელობითი მოღვაწეობა, ხოლო ფინანსური სახსრების, შუქისა და ქაღალდის დეფიციტმა საგაგომცემლო საქმიანობა ზარალიანი გახადა. საქართველოს მრავალ რაიონში წიგნების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მათი მაღაზიებში ტრანსპორტირებისათვის აუცილებელ სახსრებსაც კი ვერ ანაზღაურებს.

მაგალითად, ,,კლეოპატრა'' დაიბეჭდა ჟურნალ ,,საუნჯეში'' , რომელიც ... 300 ეგზემპლარის ოდენობით გამოდის, ხოლო ამ თარგმანთა ავტორები უკვე დიდი ხანია, რაც ანაზღაურებას ვეღარ იღებენ. მხოლოდ შიშველი ენთუზიაზმით მუშაობა კი ჩვენს არაჩვეულებრივად რთულ დროში ძალზე ძნელია.

**,,სვობოდნაია გრუზია'', 1996 წლის 21 დეკემბერი**

## ზიგმუნდ ვალიშევსკი – უკვდავებასთან წილნაყარი

ამბროსი გრიშიკაშვილი

1979 წელს ვარშავაში დამოცემულ წიგნში ,,Kaukaz'', რომელიც გრაჟინა და ანჟეი მილოშებს (ნობელის პრემიის ლაურეატის - ჩესლავ მილოშის ძმა და

რძალი) ეკუთვნის, ერთმანეთის გვერდით ორი მხატვარია წარმოდგენილი: ნიკო ფიროსმანი – სნეული და ჯანგატეხილი გენიოსი სასიკვდილო აგონიაში, თავის ღარიბულ ოთახში, მაგიდის გვერდით, იატაკზე დაცემულა და სულს ღაფავს. მის მიერვე შესრულებული ჟირაფი ვეებერთელა სევდიანი თვალებით კედლიდან დასცქერის შემოქმედს. ზეთით შესრულებული ეს სურათი ცნობილ პოლონელ მხატვარს (ფიროსმანის უპირველეს დამფასებელსა და აღმომჩენს) კირილე ზდანევიჩს ეკუთვნის.

იქვე მეორე მხატვრის ფოტოა, საიდანაც ახალგაზრდა, სიმპათიური მამაკაცი გვიმზერს, რომელსაც თეთრი პერანგი აცვია და შავი ბაბთა ამშვენებს. იგი ნამდვილი არისტოკრატის შთაბეჭდილებას ახდენს. ეს ფოტოც იმავე ზდანევიჩის საოჯახო ალბომიდან არის და ასევე საქართველოში მცხოვრები პოლონელი მხატვრის ზიგმუნდ ვალიშევსკის ფოტოა. როგორც შემდეგ ვიგებთ, მეგობრები – კირილე ზდანევიჩი, ლადო გუდიაშვილი და ზიგმუნდ ვალიშევსკი ერთად დადიოდნენ ფიროსმანის ნაკვალევზე და ყოდულობდნენ მის სურათებს. რომ არა ისინი, ძნელი სათქმელია, რა ბედი ეწეოდა ამ გენიალური მხატვრის შემოქმედებას.

როდესაც მილოშების ამ წიგნს ვკითხულობდი, არ ვიცოდი, რა დიდი მხატვარი იყო ზ. ვალიშევსკი და რაოდენ წააგავდა მისი ბედი, უფრო სწორედ, უბედო ცხოვრება ფიროსმანის წუთისოფელს.

თბილისში, ხელოვნების მუზეუმში, გამოფენილი იყო იმ პოლონელ მხატვართა ნამუშევრები, რომლებმაც საქართველო გაიხადეს თავიანთი შემოქმედების ერთ-ერთ თემად. მათ შორის, საპატიო ადგილს იკავებდა ზიგმუნდ ვალიშევსკიც. იგი 9 საუცხოო ტილოთი იყო წარმოდგენილი. არ ვიცი, უბრალო დამთხვევა იყო, თუ სხვა რამ – დასრულდა პოლონელ მხატვართა თბილისური გამოფენა და ვარშავაში, ასევე ხელოვნების მუზეუმში, 24 მაისს ზიგმუნდ ვალიშევსკის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ვერნისაჟი 1 სექტემბრამდე გასტანს. აქ ავტორის 130 პორტრეტი და 200 აკვარელია წარმოდგენილი.

პოლონური მასმედია დიდ ადგილს უთმობს ამ გენიალური მხატვრის შემოქმედებას. მოდით, ჩვენც თვალი გადავავლო მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგიერთ მომენტს.

ზ.ვალიშევსკი 1897 წელს დაიბადა სანკტ-პეტერბურგში. მისი მშობლები მაშინ გადმოსახლდნენ საქართველოში, როდესაც ბავშვი 6 წლის იყო. ვალიშევსკები ორი წელი ბათუმში ცხოვრობდნენ, ხოლო შემდეგ თბილისში დაიდეს ბინა.

უდიდესი ტალანტი ბავშვობიდან ეტყობოდა. იგი 11 წლისაც არ იყო, რომ ბათუმში მისი ნახატების პერსონალური გამოფენა გაიმართა. გამოფენას ერქვა „არაჩვეულებრივი ბავშვი". თბილისში მისი სოლიდური გამოფენა 1920 წელს გაიმართა.

1918 წელს ზ. ვალიშევსკი მოხალისედ წავიდა პირველ მსოფლიო ომში, სადაც სერიოზულად დაიჭრა და შინ დააბრუნეს. ჭრილობა შემდგომში გართულდა და ეს უმშვენიერესი ვაჟკაცი მისი ,,წყალობით" ხეიბრად იქცა – 30 წლისას მარჯვენა ფეხი მოკვეთეს. გავა კიდევ სამი წელიწადი და მარცხენა ფეხსაც მოკვეთენ. 37 წლისა პირველ ინფრაქტს გადაიტანს, 39 წლისა – მეორეს და სასიკვდილოს.

სხვა მხრივაც არ სწყალობდა ბედისწერა. 10 წლისა იყო, მამა რომ გარდაეცვალა და რუსეთში გადავიდა, ძმა ოჯახიდან გაიქცა და მხოლოდ 15 წლის შემდეგ გამოჩნდა.

მაგრამ, ფიროსმანისა არ იყოს, რაც ვერ მიიღო ცხოვრებისაგან, როგორც ადამიანმა, ვალიშევსკის, როგორც ხელოვანს ათასწილად დაუბრუნდა უკან. იქნებ ნამდვილად მართლები იყვნენ ძველი რომაელები, როდესაც ამბობდნენ: ,,ჯერ შენ იტირე, პოეტო, თუ გსურს, რომ ჩვენ გვატირო".

ზ. ვალიშევსკი უდიდესი პორტრეტისტი იყო. მას თავის პორტრეტებში შეეძლო ადამიანის შინაგანი ბუნების განჭვრეტა და გადმოცემა; ერთ-ერთი ასეთი ნამუშევარი იყო თავად მისივე ავტოპორტრეტი - ,,ავტოპორტრეტი წითელი ჩალმით", რომელიც 1923 წელს არის შესრულებული, თითქოს ავი რამ წინათგრძნობა იკითხება მისი ოდნავ შეჭმუხვნილი შუბლიდან და სევდიანი თვალებიდან. მხატვარი ხომ ამ ნახატის დასრულებიდან 7 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ზ. ვალიშევსკი უჩვეულოდ ნაყოფიერი მხატვარი იყო. მხოლოდ მისი საქართველოში ცხოვრების პერიოდიდან კერძო კოლექციონერებს 350 – მდე სურათი აქვთ შემონახული. იგი იყო პლაკატების კარგი შემსრულებელიც. მისი პლაკატები ,,სვანეთი", ,,ხარი", ,,არაბული ცხენი", ,,უშბა" და სხვები იშვიათი იმპროვიზაციით ხასიათდებიან. ღარიბული ცხოვრების და განუკურნებელი სენის მიუხედავად, ვალიშევსკის სურათებიდან უჩვეულო სითბო, სიხარული და ცხოვრებით ტკბობა იღვრება. ამასთან, მხატვარი ნამდვილად გრძნობდა თავის მოახლოებულ აღსასრულს - ,,თქვენ შეგიძლიათ არ იჩქაროთ, მაგრამ მე ამის უფლება არ მაქვს, რადგან დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია", – ეუბნებოდა იგი თავის მეგობარ კოლეგებს.

უაღრესად ნაყოფიერი იყო ზ. ვალიშევსკის საქართველოში ცხოვრების პერიოდი. მან აქ შექმნა უკვდავი ტილოები: ,,დედის პორტრეტი", თავისი მეგობარი მხატვრის ზდანევიჩის დედის პორტრეტი, ქართველი მანდილოსნების ოლია კონიაშვილის, მელიტა ჩოლოყაშვილის, უცნობი ქალის პორტრეტები და სხვ.

ვალიშევსკიმ 1921 წელს დატოვა საქართველო და სამშობლოში დაბრუნდა. პოლონეთში, კრაკოვში, მისი თაოსნობით დაარსდა პარიზის კომიტეტი – Komitet Pariski. მალე მხატვარი საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც 7 წლის მანძილზე კიდევ უფრო სრულყოფს ოსტატობას.

ერთი სევდიანი ფურცელი ვალიშევსკის ბიოგრაფიიდან: მიუხედავად იმისა, რომ პარიზიდან მხატვარი ფეხებმოჭრილი, ინვალიდის ეტლით დაბრუნდება, იგი შეუყვარდება ცნობილ პოლონელ პიანისტს ვანდა დრობოცკას. 1933 წელს ისინი ჯვარს დაიწერენ, თუმცა, ხანგრლივად ერთად ცხოვრება მათ არ ეწერათ. მხატვარი სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

პარიზში ვალიშევსკი გაეცნობა დელაკრუას (ამ ცნობილი ფრანგი მხატვრის პორტრეტი ვალიშევსკის მიერ აღმოსავლურ სტილში შესრულებული, წარმოდგენილი იყო თბილისის გამოფენაზე), ვერონეზეს, სეზანს, ვატოს და სხვა გენიოსი მხატვრების შემოქმედებას, თუმცა, მათ ტყვეობაში არ ექცევა. ცნობილი პოლონელი ხელოვნებათმცოდნე იოსებ ჩიპსკი წერდა: ,, მე არ ვიცი, თუ არსებობს მეორე ასეთი ხელოვანი, რომელიც უფრო მეტად ყოფილიყო გაჟღენთილი სამხატვრო ხელოვნებით და იმავდროულად ასე ნაკლებად იგრძნობოდეს მის შემოქმედებაში უცხო გავლენა''. ვალიშევსკი ყველაფერს საკუთარი ხელოვნების ბრძმედში ატარებდა. შედეგად კი ინდივიდუალური სტილი შექმნა, რომელიც ასე ატკბობს მის მნახველს, თბილისში იქნება ეს თუ ვარშავაში, კრაკოვსა თუ პარიზში.

**დაიბეჭდა ,,დილის გაზეთის'', 1999 წლის 10 ივლისის ნომერში**

## კონსტანტინე გამსახურდიას მშვენიერი რომანი

*პოლონელი მწერლის, ვარშავის ლიტერატურული გაზეთის რედაქტორის, - ელეჟტერის წიგნში თამოყრილ ეპისტოლეებს ვკითხულობდი ფელიციასადმი. ესაა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი 1947-1948 წლების პერიოდის წერილები. წიგნისადმი მიძღვნილი სტატიის ავტორის კაზიმეჟ კოჟნიევსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს წერილები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ხუთი წლის ყველაზე საინტერესო, მნიშვნელოვანი მორალურ-ლიტერატურული მანიფესტია.*

*თითოეული ეხება როგორც ცალკეულ მწერლებს, - სარტრს, ფედერიკო გარსია ლორკას, დიკენსს და სხვებს, ასევე ლიტერატურული ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიცაა პოლონური ლიტერატურული ტრადიციები, ომისშემდგომი პერიოდის პოლონური კრიტიკა, დასავლეთევროპული კულტურა და სხვ. გამომცემლებს ისინი პირობითად დაუსათაურებიათ. მეთერთმეტე წერილი სათაურით - ,,მცირეოდენი ეგზოტიკა'' კონსტანტინე გამსახურდიას ეხება.*

**ჩემო სიყვარულო!**

დიდ ბოდიშს გიხდი ჩემი დეპეშისა და იმის გამო, რომ მისი საშუალებით შემოდგომამდე „გადავდე" ჩვენი შეხვედრა ბელოვესკიეს ტევრში. ალბათ ოდესმე

მოგწერ, რატომ მოვიქეცი ასე. დღეს კი არ მცალია ასეთი გრძელი ახსნა-განმარტებისათვის, მით უმეტეს, რომ ძნელი ასახსნელია, ვფიქრობდი, მორალურად ძალაც არ მეყოფოდა ასეთი შეხვედრისათვის…

ხედავ, ხანდახან შიში მიპყრობს ზოგიერთი საქმის განხორციელებისას, მეტადრე, როდესაც ეს საქმე არაა ადვილად განსახორციელებელი.გესმის შენ ჩემი? ვიმედოვნებ, რომ ასეა.

იმ დღეს, რომელიც ერთად უნდა გაგვეტარებინა საუკუნოვან ხეთა ჩრდილებში, იმ ხეთა ჩრდილებში, რომლებიც აღვწერე კიდეც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ჩავიკეტე ჩემს დახუთულ ოთახში და დავიწყე ერთ-ერთი ქართული რომანის კითხვა, რომელიც აგერ უკვე თითქმის წელიწადია ძევს ჩემი წიგნების კარადაში და მოთმინებით ელის, როდის მოვიცლი მისთვის.

ხედავ, წიგნი ამიტომაა ასეთი ერთგული მეგობარი, რომ არაფერს გთხოვს, უაღრესად უბრალოა და ზღვა მოთმინებაც აქვს.

ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება რუსეთის მწერალთა კავშირისა ის არის, რომ სისტემატურად თარგმნის საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა ნაწარმოებებს. რუსული ენის შემწეობით შესაძლებელი გახდა გაგვეცნო ლიტერატურა, რომელთა შესახებაც უამისოდ წარმოდგენაც არ გვექნებოდა. თათარ, სომეხ, ყაზახ პოეტთა შემოქმედებას თარგმნიან ცნობილი რუსი ლიტერატორები და პოეტები, მათ გამოსცემენ უდიდესი გამომცემლობები, რომლებიც უშუალოდ მწერალთა კავშირს ექვემდებარებიან …

წამიკითხავს მრავალი მათგანი – და აი ახლა, ძლიერ დამაინტერესა ამ ქართულმა რომანმა. ეს არის უდიდესი ისტორიული ეპოპეა, საქართველოს ბრწყინვალე მეფის – დავით აღმაშენებლის ცხოვრების ქრონიკა. იგი მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ დაწერა.

საჭიროა ასევე დავუმატოთ, რომ მეფე დავით აღმაშენებლისადმი იმიტომ ვგრძნობ უდიდეს სიმპათიას, რომ ჩემთვის უსაყვარლეს მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში მეფობდა და ამდენად ზუსტად მეფე როგერ სიცილიელის თანამედროვე იყო. ჩანს, რაღაც ატმოსფერო სუფევდა იმ დროს, რომ დავითსაც და როგერსაც ურთიერთმსგავსი და უაღრესად თანამედროვე მრავალი თვისება ჰქონდათ. როგორც როგერ სიცილიელი, ასევე მეფე დავით აღმაშენებელიც, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩეოდა რელიგიური შემწყნარებლობითა და ხალხურობით, რამაც საშუალება მისცა შეექმნა კავკასიის მრავალეროვან ხალხთა უდიდესი იმპერია და განემტკიცებინა თავისი ტახტი, რომელიც ბაგრატიონთა გვარს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ემსახურა.

თავი რომ დავანებოთ აღმაშენებლის პიროვნების მეფურ ბუნებას და იმდროისათვის უჩვეულო სიბრძნეს – თავად რომანი გამსახურდიასი

მშვენიერია. განსაცვიფრებელია წერის მანერა ამ ეგზოტიკური რომანისა, სადაც ფერები, ხასიათები და სახეები უაღრესად ფართო მასშტაბითაა გადმოცემული, თითოეული სცენის შეუდარებელი კომპოზიცია სპარსულ მინიატურებს გვაგონებს და ამავე დროს, - ო, საოცრებავ! – თავად თხრობის ტექნიკა და მონარქის ცხოვრების აღწერა გვახსენებს რაღაცას, რაც არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ ტექნიკურადაც სრულიად საპირისპირო პოლუსზე დგას. ,,დავით აღმაშენებელი'' სახელდობრ მე მახსენებს ჩვენში ძალზე ნაკლებად ცნობილი დანიელი მწერლის იოჰანეს იანსენის (ვერ მიიღო ნობელის პრემია*) რომანს. როდესაც ამას წინათ იაროსლავ ივაშკევიჩმა თავის ,,სამეჯლისო'' სიტყვაში მისი სახელი ახსენა, ვერც სტენოგრაფისტმა და ვერც რომელიმე რეცენზენტმა ვერ გაიმეორეს იგი. არავინ იცოდა, ვინ იგულისხმებოდა. მისი ისტორიული რომანი ,,მეფის დამხობა'' კი, რომელიც აღწერს მეფე ქრისტიან მეორის ისტორიას, ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი რომანია სკანდინავურ ლიტერატურაში.

და ეს უეცარი გახსენება იანსენის უაღრესად დახვეწილი რომანისა გამსახურდიას მშვენიერი და ძლიერი რომანის კითხვისას ამტკიცებს მათ შორის რაღაც მსგავსებას, რაღაც ნათესაობას.

უდიდესი სიამოვნებაა აღმოჩენა ლიტერატურული სამყაროსი, რომელიც იტევს მოულოდნელსა და განუსაზღვრელი რაოდენობის საგანძურს; ადამიანი ხომ ყველგან ერთნაირია - ,,მოწყურებული სიყვარულს, სიხარულსა და მოგზაურობას'' და რა გიკვირს ახლა, რომ ვამჯობინებ აღმოვაჩინო უცნობი მხარე ეგზოტიკური რომანის სფეროში, ვიდრე დავუბრუნდე ძველ მოგონებებს? მით უფრო, რომ მოგონებები უსარგებლო ტვირთია, მარტო დროდადრო, ზაფხულის ღამეს, სწორედ ამგვარ მთვარიან ღამეს, ახლა რომ არის, მოგონებანი ცოცხლდება ადამიანში ისეთი ძალითა და მგზნებარებით, რომ მყისიერად შლის გუშინდელი დღის მრავალფეროვნებას.

ამჯერად კი ნახვამდის, გიკოცნი ხელებს და გთხოვ გამიხსენო ხოლმე ხანდახან.

**შენი ელეჟტერი**
17 აგვისტო 1947 წელი

* იანსენმა ნობელის პრემია მიიღო 1944 წელს, გარდაიცვალა 1950 წელს (იხილე ჟურნალი ,,საუნჯე'' 1986 წლის N5) ა.გ

**,,ლიტერატურული საქართველო'' 1984 წლის 24 აგვისტო.**

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ვარშავაში

ლილი სომხიშვილი,

2002 წლის 26 მაისს ვარშავაში გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. ეს ღონისძიება ორგანიზებული იყო პოლონეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების მიერ, რომლის თავმჯდომარეა დოქტორი დავით ყოლბაია. საღამოს ესწრებოდნენ პოლონეთში მოსწავლე სტუდენტები და მრავალრიცხოვანი საზოგადოება – ადამიანები, რომლებიც იცნობენ საქართველოს, ნამყოფი არიან იქ, უყვართ და აფასებენ ქართულ კულტურას. საღამოს მრავალი სტუმარი დამსწრეთ უყვებოდა თავიანთი შთაბეჭდილებების შესახებ საქართველოზე, ყოველ მათგანს სურდა ესაუბრა თავისი ქართველი მეგობრების შესახებ. გამომსვლელთა შორის განსაკუთრებით უნდა დასახელდეს ისტორიკოსი და მწერალი ვოიცეხ მატერსკი, ევროპაში ცნობილი ქართველოლოგი იან ბრაუნი და პოლონეთის ყოფილი დესპანი საქართველოში პეტრე ბორავსკი.

საღამო მაინც განსაკუთრებით დაამშვენეს პოლონეთის საგანმანათლებლო ცენტრის მოსწავლეებმა, რომლებიც ამ დროს ოტვოცკში იმყოფებოდნენ სამკურნალოდ. ყოველ მათგანს სურდა საღამოზე გამოსვლა: საქართველოში არსებული პოლონეთის საგანმანათლებლო ცენტრის ყოველი აღსაზრდელისათვის ხომ ისტორიული და ახლანდელი სამშობლო თანაბრად ძვირფასია. ბავშვები კითხულობდნენ პატრიოტულ ლექსებს ქართულ ენაზე, ზეიმის ნამდვილ მშვენებად კი საყოველთაოდ ცნობილი „სულიკო" იქცა, რომელსაც ყველა დამსწრე აყოლებდა ხმას, თვითოეული მშობლიურ ენაზე.

საღამო დასრულდა საქართველოს სადღეგრძელოთი და ქართული ცეკვების წარმოდგენით, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ ტელეეკრანზე, თუმცა იმედს არ ვკარგავთ, რომ უახლოეს მომავალში გვექნება საშუალება პოლონეთში ნამდვილი ანსამბლი ვიხილოთ.

ვარშავაში პოლონეთ-საქართველოს მთელი საზოგადოების სახელით მსურდა მადლობა გადამეხადა საღამოს ყველა მონაწილისა და დამსწრისათვის და მომეწვია ისინი ამ მშვენიერი ტრადიციის გაგრძელებაზე მომავალში.

ჟურნალი „KAUKASKA POLONIA, № 9.

## მოკვდა პოეტი, რომელიც უყვარდათ, რომლისაც სჯეროდათ

ზბიგნევ ჰერბერტი

„მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე შემდეგი
მორალური კრედოთი ვხემძღვანელობდი: თუ ორი
გზიდან ერთ-ერთს უნდა დაადგე, აირჩიე ის, რომელიც
შენთვის გაცილებით ძნელი გასავლელია".

ზბიგნევ ჰერბერტი, „პოლიტიკა”, 1972 წელი

28 აგვისტო, დილის 4 საათზე გარდაიცვალა საქვეყნოდ ცნობილი პოეტი, ესსეისტი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე ზბიგნევ ჰერბერტი. ეს სახელი და გვარი, როგორც წესი, მოიხსენიება ხოლმე ისეთი ცნობილი მწერლებისა და პოეტების გვერდით, როგორებიც არიან ჩესლავ მილოში - პოეტი, ესსეისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, თადეუშ რუჟევიჩი, ცნობილი პოლონელი დრამატურგი, ვისლავ შიმბორსკა - პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ანუ გვერდით იმ პოეტების და მწერლებისა, რომელთაც დიდად აფასებენ როგორც კრიტიკოსები, ასევე მკითხველებიც. ზბიგნევ ჰერბერტი პატივისცემისა და სიყვარულის შარავანდედით იყო გარემოსილი, როგორც თავის სამშობლოში, ასევე საზღვარგარეთ, იმ მრავალ ქვეყანაში, სადაც მისი ლექსები, პოემები თუ პროზაული ნაწარმოებები იყო თარგმნილი. აღსანიშნავია, რომ ზბიგნევ ჰერბერტი, რამდენიმეჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიის მოსაპოვებლად, თუმცა მას ეს დიდი ჯილდო ვერ ეღირსა.

საგულისხმოა, რომ ზბ. ჰერბერტი მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა პოლონეთის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. იგი თავის შეხედულებებს საკუთარი ცხოვრების წესითაც უმაგრებდა ზურგს. მაგალითად, მისი ხელწერა ამშვენებს 70-იანი წლების შუა ხანებში პოლონელ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საპროტესტო წერილს, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შესწორების წინააღმდეგ დაიწერა. ამის გამო, განრისხებულმა ხელისუფლებამ პოეტის ნაწერების გამოქვეყნება აკრძალა და ჰერბერტი იძულებული შეიქმნა თავისი ლექსები ემიგრაციულ თუ იატაკქვეშეთა გაზეთებში დაებეჭდა. ზბ. ჰერბერტი მორალურ ავტორიტეტს წარმოადგენდა მრავალი თაობის პოლონელთათვის, სიცოცხლის ბოლო წლებში კი იგი ლუსტრაციისა და დეკომუნიზაციის უაღრესად აქტიური მხარდამჭერი იყო.

ზბ. ჰერბერტის ბიოგრაფიაც ისეთივე საინტერესო და მიმზიდველია, როგორც მთელი მისი შემოქმედება. იგი დაიბადა 1924 წლის 29 ოქტომბერს ლვოვში (ეს ქალაქი მაშინ პოლონეთს ეკუთვნოდა და ამ ქვეყნის მეორე პოლიტიკურსა და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა ვარშავის შემდეგ). პოლონეთის არმია კრაიოვას რიგებში (ეს არმია საბჭოეთის მიერ პოლონეთის ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძოდა), დაამთავრა ოფიცერთა მოსამზადებელი იატაკქვეშა სკოლა. წითელი არმიის ლვოვში შესვლამდე ზბ. ჰერბერტი კრაკოვში გადასახლდა, სადაც იგი ხელოვნების აკადემიაში სწავლობდა. პარალელურად ჰერბერტი სამართლის მეცნიერებას ეუფლებოდა კრაკოვის იაგელოს სახელობის უნივერსიტეტში. შემდეგ ტორუნში გადასახლდა, რათა ფილოსოფია ესწავლა ჰენრიკ ელზენბერგის ხელმძღვანელობით. ზბ. ჰერბერტი მდიდარი არასოდეს ყოფილა და ცხოვრებას საკმაოდ ფილოსოფიურად უყურებდა. ამიტომ იქნებ გარკვეულწილად

ავტობიოგრაფიულიც არის ეს პატარა ნოველა, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ.

## მთარგმნელისაგან.

## სპინოზას საწოლი

ფრიად უცნაურია ის გარემოება, რომ ჩვენს მეხსიერებას ცნობილი ფილოსოფოსების ცხოვრების სწორედ ის მონაკვეთი შემორჩება ხოლმე, რომელიც მათი სიცოცხლის მიწურულს ასახავს. სოკრატე, რომელსაც საწამლავით სავსე ჭიქა ტუჩებთან მიაქვს, სენეკა, რომელსაც მონა სისხლძარღვს უხსნის (არის რუბენსის ასეთი სურათიც), დეკარტე, რომელიც მიდი-მოდის შვედეთის მეფის სასახლის ცივ პალატებში და გრძნობს, რომ მისი, როგორც შვედეთის მეფის მასწავლებლის როლი, ალბათ მისი ცხოვრების უკანასკნელი როლი იქნება, მოხუცი კანტი, რომელიც იყნოსავს დანაყულ პირშუშხას თავისი ყოველდღიური გასეირნების წინ (ჯოხი წინ "მიუძღვის" და თანდათან უფრო და უფრო ღრმად ეფლობა სილაში), სპინოზა, რომელსაც სიცოცხლე გაუმწარა ჭლექმა; იგი მოთმინებით აპრიალებს გამადიდებელ მინას, თუმცა უკვე ისეა დასუსტებული, რომ ალბათ ვეღარ დაასრულებს წამოწყებულ ტრაქტატს ,,ცისარტყელას" შესახებ...

ბიოგრაფების მიერ სპინოზა ძირითადად წარმოდგენილია, როგორც ბრძენის იდეალი, რომელიც მხოლოდ თავის თხზულებაზეა კონცენტრირებული და რომელიც სრულიად გულგრილია ცხოვრების მატერიალური მხარის მიმართ. მაგრამ შემონახულია მისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი, რომელსაც ბიოგრაფების ერთი ნაწილი დუმილით უვლის გვერდს, ხოლო მეორე ნაწილი კი მას ახალგაზრდობის გაუგებარ სიცელქედ მიიჩნევს.

1656 წელს გარდაიცვალა სპინოზას მამა. მაშინ ბარუხის შესახებ ოჯახში საკმაოდ უცნაური შეხედულება სუფევდა. ყველას ეგონა ეს არის ყმაწვილი, რომელიც საკმაოდ გულგრილია ცხოვრების მიმართ და, რომელიც სიცოცხლის ძვირფას დროს მხოლოდ გაუგებარი წიგნების კითხვაში კლავს.

ამ დროს საკმაოდ ეშმაკური ფანდით (რომელშიც მთავარ როლებს ბარუხის ღვიძლი და – რებეკა და მისი ქმარი, კასერი თამაშობდნენ), მას ჩამოართვეს ყოველგვარი უფლება მემკვიდრეობაზე. ბარუხის დასა და სიძეს იმედი ჰქონდათ, რომ უცნაური ყმაწვილი კაცი ამას ვერც კი შენიშნავდა.

მაგრამ ბარუხს ეს ამბავი არ გამოჰპარვია და სასამართლო პროცესი ისეთი ენერგიით წამოიწყო, რომ ყველა გააკვირვა: დაიქირავა ვექილები, მოიხმო მოწმეები და თავადაც ისე ალღოიანად მსჯელობდა და მოქმედებდა, რომ, ალბათ იშვიათ ვინმეს თუ შეეძლო სასამართლო საქმის ასე წარმართვა.

ბარუხმა – თითქოს ქაჯი ჩაუძვრაო სხეულსა და სულში – მიზანმიმართულად დაიწყო ბრძოლა თითოეული იმ ნივთისათვის, რომელიც

მამისეული სახლიდან წარმოსდგებოდა. თავდაპირველად ბრძოლა დაიწყო საწოლის გამო, რომელზედაც სული ყოვლისშემოქმედს მიაბარა დედამისმა დებორამ (ბარუხს ზეთისფერი გადასაფარებელიც კი არ დავიწყებია). მას შემდეგ იმ საგნების დაბრუნება მოინდომა, რომელთაც უკვე თითქმის აღარც კი ჰქონდა ფასი. ბარუხი ამას მათ მიმართ ემოციური შეჩვევით ხსნიდა. მოსამართლეებისათვისაც კი ეს პროცესი საკმაოდ მოსაწყენი გახდა; მათ ვერაფრით გაეგოთ, თუ საიდან გაუჩნდა ამ განდეგილ ახალგაზრდას ასეთი მომხვეჭელის ფსიქოლოგია. უჭირდათ იმის ახსნა, თუ რაში სჭირდებოდა მას უყურო კალის ქვაბი, ძალზე უბრალო სამზარეულოს მაგიდა, ძველი, გაფუჭებული საათი, რომელიც მთელი ბოლო დროის მანძილზე წინკარში იდგა და თაგვების თავშესაფრად იყო ქცეული ანდა სურათი, რომელიც ბუხრის ზემოთ ეკიდა და რომელზეც თითქმის უკვე აღარაფერი აღარ ჩანდა.

და ბარუხმა ეს პროცესი მოიგო. ახლა მას უკვე შეეძლო წამომჯდარიყო თავისი ალაფის პირამიდაზე და ამაყი მზერით გადაევლო თვალი მათთვის, ვისაც სურდათ კანონიერი მემკვიდრეობის გარეშე დაეტოვებინათ იგი. მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია. მან მხოლოდ დედის საწოლი დაიტოვა, ზეთისფერი გადასაფარებლებით, დანარჩენი კი უბრალოდ დაეთმო სასამართლო პროცესში მონაწილე თავის განაწყენებულ ნათესავებს.

ვერავის გაეგო, თუ რატომ მოიქცა ბარუხი ასე. სინამდვილეში კი ამ ყველაფერს, რაც გარეგნულადაც აშკარად ექსტრავაგანტურად გამოიყურებოდა, არსებითად ძალზე ღრმა მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთი მოქმედებით ბარუხს თითქოს სურდა ეთქვა, რომ ღირსება და პატიოსნება სრულიადაც არ არის სუსტების ნავსაყუდელი და რომ თავშეწირვა წარმოადგენს მათ გმირობას, რომლებიც (თუმცა არც თუ ისე სინანულისა და ყოყმანის გარეშე) თავს სწირავენ ბრწყინვალე და გაუგებარი საქმეების გულისათვის.

## 13.ლიტერატურული ნობელი პოლონელებისათვის

ამბროსი გრიშიკაშვილი

პოლონელებს, ამ შედარებით მცირე რიცხოვნობის ერს, ათამდე ნობელის პრემიის ლაურეატი ჰყავთ. მათ შორის ნობელიანტი მწერლებიც არიან - ჰენრიკ სენკევიჩი, სტანისლავ რეიმონტი, ჩესლავ მილოში, ვისლავა შიმბორსკა. ქვემოთ წარმოდგენილი წერილი იმ პერიპეტიებზე მოგვითხრობს, რაც ამ უმაღლესი ჯილდოს გადაცემას ახლავს ხოლმე თან.

### გზა ნობელისაკენ

ნობელის პრემიასთან დაკავშირებული დოკუმენტები სასამართლოს აქტებს ემსგავსება – ჯილდოს მინიჭების შემდეგ ხშირია შემთხვევა მათი არქივში ისე გადანახვის, რომ მთელი 50 წლის მანძილზე მზის სინათლეს ვერ იხილავენ. ეს გასაგებიც არის, მათში ასახულმა ზოგიერთმა ამბავმა შესაძლოა მეტად დაწყვიტოს გული მრავალ ადამიანს. და არა მხოლოდ იმ მწერლებსა და მათ გულშემატკივრებს, რომლებიც წარდგენილი იყვნენ ჯილდოზე, თუმცა ვერ მიიღეს იგი, არამედ მათაც, ვინც კონკურსში გაიმარჯვა და დაჯილდოვდა კიდეც.

ახლა ალბათ საინტერესო იქნება მოკლედ მიმოვიხილოთ პროცედურა, რომელიც წინ უძღვის  დაჯილდოების ცერემონიებს.

კანდიდატების პრემიაზე წარდგენის უფლება აქვთ შვედეთის აკადემიის წევრებს და ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების აკადემიკოსებს, ლიტერატურის ისტორიისა და ფილოლოგიის უნივერსიტეტების პროფესორებს, პენკლუბის თავმჯდომარეებს, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს, და ბოლოს, პრემიის ლაურეატებს. საბოლოო გადაწყვეტილებას თავად აკადემია იღებს სრული შემადგენლობით. კანდიდატების შერჩევის პროცედურა ახალი წლის დადგომისთანავე იწყება. ზაფხულში ამ სფეროში აკადემიკოსებისათვის უკვე გაცხარებული მუშაობაა გაჩაღებული. ისინი უნდა გაეცნონ კანდიდატთა შემოქმედებას, რადგან სექტემბერში მათი გადაწყვეტილება რომელიმე მათგანზე შეჩერდეს. ჟიურის განკარგულებაშია 80 ენაზე დაწერილი 200 ათასზე მეტი წიგნის მომცველი ბიბლიოთეკა, რომელსაც ყოველწლიურად 2000-2500  ახალი წიგნი ემატება. აქ არის როგორც ორიგინალები, ისე თარგმანები. აკადემიის სხდომა, რომელზედაც საბოლოოდ ამტკიცებენ მწერლის კანდიდატურას, შემოდგომით იმართება. სხდომის მდივანი ვერცხლის სინით ჩამოივლის მაგიდას, რომელზედაც აკადემიკოსები პატარა ბარათს დებენ, სადაც მწერლის გვარია მითითებული. აუცილებელია ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ 12 კაციან კვორუმში 9 ხმა. თუ პირველ ცდაზე ვერ მოხერხდა შეთანხმება, კენჭისყრა მეორდება. კანდიდატების შერჩევისა და დამტკიცების წესი საიდუმლოა, ოქმის ნახვა მხოლოდ 50 წლის შემდეგ შეიძლება.

აღსანიშნავია, რომ 1966 წლამდე მხოლოდ ხუთმა მწერალმა შეძლო პრემიის მიღება პირველი წარდგინებისთანავე. ამ მხრივ რეკორდსმენია დანიელი მწერალი იოჰანეს იენსენი, რომელიც 18 ჯერ იყო წარდგენილი ნობელზე, ანატოლი ფრანსი – 9 ჯერ, ბორის პასტერნაკი 12 წელს ელოდა ჯილდოს, შოლოხოვი – 18 წელს; პოლ ვალერი, რომელიც 14 ჯერ იყო ჯილდოზე წარდგენილი, ისე გარდაიცვალა, რომ მის მიღებას ვერ მოესწრო.

## ნობელი პოლონელთათვის

1904 წლის აპრილში ნობელის პრემიაზე ელზა ოჟეშკოვა წარადგინეს. ამ პერიოდში მწერალი ქალი, თავისი ერთგული შვედი მთარგმნელის ელენ ვესტერის წყალობით, უფრო პოპულარული იყო შვედეთში, ვიდრე ჰენრიკ სენკევიჩი, ამ წლის ნობელიანტი.

ცნობამ ამ ფაქტის შესახებ გროდნომდე (პოლონეთი), მწერალ ქალამდე ჩააღწია. აი, მწერლის დღიურში 22 მაისის ჩანაწერი: ,,მივიღე ვესტერის წერილი, სადაც იგი მატყობინებს, რომ წლის ბოლოს ეს ბედნიერება მე მხვდება წილად. ნუთუ ვიცოცხლებ მანამდე?'' და იქვე სხვა მინაწერია: ,,ღმერთის ნებაა ყველაფერი! დაე, მოხდეს ის და ისე, როგორც მას სურს''. მის იმედებს კრიტიკოსებიც უმაგრებენ ზურგს: ,,მთელი მსოფლიოს ლიტერატურაში არ არსებობს მეორე ასეთი ღირსეული მწერალი ქალი...''.

რაც შეეხება ნობელის მეორე კანდიდატს პოლონეთიდან, ჰენრიკ სენკევიჩს, პოლონური პრესა არც თუ ისე კეთილგანწყობილია მის მიმართ. იმდროინდელი ერთ-ერთი გაზეთი იუწყება:,,სენკევიჩის წინააღმდეგ მთელი შვედური პრესა ამხედრდა. მას ზედაპირულობას და ზოგადადამიანური იდეალებისადმი ზერელე დამოკიდებულებას საყვედურობენ. ცხადია, ყოველი ამის გამო იგი ვერ მიიღებს ნობელის პრემიას''.

ჰენრიკ სენკევიჩის წინააღმდეგ განსაკუთრებით პოლონელი ახალგაზრდობა იბრძვის:,,ბატონი სენკევიჩის შემოქმედება ჩვენს ბნელსა და გაუნათლებელ საზოგადოებაზე ნამდვილად ფატალურ გავლენას ახდენს... მან გამოაცოხლა ძირმომპალი არისტოკრატია, გამართლებას უძებნის ოპორტუნიზმს, მისი საერთშორისო პოპულარობა ჩვენი სირცხვილია...''. თავად მწერალი მდუმარედ ხვდება კრიტიკის ქარიშხალს. მის ნაცვლად მისი ნაწარმოებები ლაპარაკობენ, განსაკუთრებით ,,Qუო ვადის''. ეს ნაწარმოები მხოლოდ ევროპაში კი არა, ამერიკის კონტინენტზეც უაღრესად პოპულარული გახდა. შეერთებულ შტატებში მისი 400 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა. ძალზე აქტიურად მიდის მწერლის სხვა ნაწარმოებთა თარგმნა და გამოქვეყნებაც. მათ თამაშობენ სცენაზეც და არა მხოლოდ დრამატულ თეატრებში, პანტომიმის თეატრისა და ცირკისათვისაც კი ისინი ძალზე მისაღები და ახლობელი გამხდარან.

იმ დროისათვის ძალზე აქტუალური იყო კითხვა: რატომ სენკევიჩი და არა იბსენი, ზოლა ან სტაინბეკი? ლევ ტოლსტოი?

მაშინდელმა პრესამ მეტად საინტერესო შეხედულებები შემოინახა იმის შესახებ, თუ რატომ არ მიენიჭა ნობელის პრემია იმ დროის უაღრესად პოპულარულ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, აზრის ნამდვილ ბუმბერაზს – ლევ ტოლსტოის. აი, ერთ-ერთი ამონაწერი მაშინდელი გაზეთიდან:,,ჩვენ მოწმე ვართ ახალი ყალბი მასწავლებლის, გრაფი ლევ ტოლსტოის გამოჩენისა სამწერლო არენაზე. იგი თანაბარი აქტიურობით იბრძვის როგორც მამა ღმერთის, ისე ძე ღვთისას წინააღმდეგ'', - ამ ტირადის ავტორი მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდია. თუ შეიძლება იმდროინდელი

საზოგადოების ასეთ განწყობილებას გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა შვედეთის აკადემიის გადაწყვეტილებაზე?

როდესაც 1901 წელს 40 შვედმა ინტელექტუალმა ბოდიშის წერილით მიმართა ტოლსტოის, რომ ნობელის პრემია მას არ მიენიჭა, ამასთან დაკავშირებით აკადემიამ თავი ასე იმართლა:,,რანაირად შეგვეძლო ტოლსტოისათვის მიგვენიჭებინა პრემია, როდესაც არავის წარმოუდგენია მისი კანდიდატურაო?" თუმცა ეს ამაო თავის მართლება იყო, დიდ რუს მწერალს მაინც არავინ მიანიჭებდა პრემიას. ეს რომ ასეა, ამის დამამტკიცებელი საბუთები ნობელის კომიტეტის არქივშია დაცული. როდესაც ამ ორგანომ ტოლსტოის კანდიდატურის შესწავლა დაიწყო, პრესაში გაჟღერდა აზრი იმის შესახებ, რომ ,,ტოლსტოიმ დაარღვია ადამიანური კულტურის საზღვრები". ლიტერატურის კრიტიკოსებისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო ტოლსტოის პუბლიცისტიკა, სადაც მწერალი ,,ბუნების კანონების თანახმად ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა ადამიანებს", იცავდა მათი და ქვეყნის თავისუფლებას. კრიტიკოსები ტოლსტოის სახელმწიფოს მტრად წარმოაჩენდნენ. უფრო მეტიც: ,,ეს ანარქისტი ტოლსტოი თავად რელიგიის წინააღმდეგაც კი ილაშქრებდა და ბიბლიას საკუთარ ინტერპრეტაციას აძლევდა, ამასთან, რაღაც რაციონალურსა თუ მისტიკურ სულისკვეთებას სდებდა მასში". გარდა ამისა, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის გაუგებლად რჩებოდა: თუ ტოლსტოი ასეთი პროგრესული მოღვაწე იყო, რატომ თავად არ ანთავისუფლებდა საკუთარ გლეხებს იასნაია პოლიანაში?

ცხადია, ტოლსტოის მიმართ საზოგადოებაში გამეფებული ასეთი ატმოსფერო თავის უარყოფით გავლენას ახდენდა ნობელის კომიტეტის წევრებზე, სადაც სრულიად ნორმალური ადამიანები მუშაობდნენ და მსჯელობდნენ ამა თუ იმ კანდიდატის თაობაზე.

დამკვირვებელთა აზრით, თავისი სახელობის პრემიები თავად ნობელს რომ გაეცა, ტოლსტოი მას აუცილებლად მიიღებდა. ნობელს ჭეშმარიტად სწამდა ლიტერატურის მისიისა - ჩამდგარიყო ხალხის სამსახურში, შეეცვალა სამყარო. მაგრამ ნობელმა თავისი ანდერძის ,,ლიტერატურული" ნაწილის რეალიზაციის მიზნით ექსპერტთა 18 კაციანი კლუბი შექმნა...

მოდით, ცოტა გადავუხვიოთ მთავარი თემიდან: თავად აკადემიის წევრებიც განცვიფრდნენ იმით, რომ 1897 წელს ნობელის ანდერძის აღმასრულებელმა მიმართა მათ და ჟიურის შექმნა სთხოვა. სწორედ ამ ახალ ორგანოს უნდა გაეცა ლიტერატურული პრემიები. აკადემიკოსები სულაც არ მოჰკიდებიან დიდი ენთუზიაზმით ამ ახალ წამოწყებას: ,,გვაქვს კი იმის ძალა და საშუალება, რომ თვალი ვადევნოთ მთელ მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და მსჯავრი გამოვიტანოთ მათ შესახებ? და საერთოდ, ღირს კი ასეთი უმადური საქმე ავიკიდოთ ზურგზე, რაოდენი უკმაყოფილება მოჰყვება ჩვენს ყოველ გადაწყვეტილებას, ანდა რა კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ საქმეში? ნობელის ანდერძში

ამის შესახებ ხომ არც ისე ნათლად ეწერა? კერძოდ, იქ მხოლოდ ის იყო ნათქვამი, რომ ჯილდო ყოველწლიურად მინიჭებოდა თავის ნაწარმოებებში ,,იდეალისტური ტენდენციების'' წარმომჩენ შემოქმედს. მეტი არაფერი.

აკადემიკოსების ყოყმანი ამ უმაღლესი დაწესებულების მდივანმა კარლ დავიდ ვირსენმა შეწყვიტა:,,ბატონებო, წარმოგიდგენიათ, რა ხმაურს გამოიწვევს მთელ მსოფლიოში ის ამბავი, თუ ჩვენ ახლა ამ საკითხზე დადებით გადაწყვეტილებას არ მივიღებთ და არ დავეთანხმებით შემოთავაზებულ წინადადებას?!

ისე, საინტერესო კია, ვირსენს აკადემიის პრესტიჟი უფრო აწუხებდა, თუ საკუთარი ინტერესები და ამბიციები? როგორც შემდეგ გახდა ნათელი, ამ ადამიანში ორივე ეს მოთხოვნილება იდეალურად იყო შერწყმული. განა სახელდობრ ეს ადამიანი არ იყო ტონის მიმცემი მთელ მსოფლიოში ლიტერატურული პროცესებისათვის ვიდრე 1912 წლამდე, ანუ გარდაცვალებამდე?

1902 წელს ნობელის პრემიას გერმანელი თეოდორ მომზენი, მონუმენტური ნაშრომის - ,,რომის ისტორიის'' ავტორი იღებს.

როგორც დამკვირვებლებს მიაჩნდათ, რიგში ნერონის დროის ამსახველი რომანი და მისი ავტორი იდგნენ.

ეს წელიწადიც დადგა. სენკევიჩს 23 მწერალი ეცილება ამ მაღალ ჯილდოს. მათ შორის მაინც რედიარ კიპლინგი გამოირჩევა. ისე კი საინტერესოა, რით მოხიბლა ცივსისხლიანი შვედი აკადემიკოსები გაუვალი ჯუნგლების შესახებ ნაწარმოებების ავტორმა? კიპლინგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდაა (მაშინ მწერალი 40 წლისაც არ იყო), - საბოლოო ვერდიქტს იღებს კომიტეტი, მომავალი ჯერ კიდევ წინა აქვს. და იმ წელს კიპლინგს ჯილდოს არ მიანიჭებენ. თუმცა მწერალს მალე გაუღიმებს ბედი და ამ ჯილდოს ხუთი წლის შემდეგ მაინც მიიღებს.

1903 წელს ნობელის პრემიას დრამატურგი ბიორგსენი მიიღებს. იგი იბსენს მხოლოდ იმით აჯობებს, რომ, აკადემიკოსების აზრით, ,,გარეული იხვის'' ავტორი მძიმედაა ავად, საბოლოო დღეებს ითვლის და ამას კი გათვალისწინება აუცილებლად სჭირდება.

დადგა 1904 წელი. ამ წელს სენკევიჩის კონკურენტი შედარებით ნაკლები, მხოლოდ 18 კაცია, მაგრამ კომიტეტი ძველ კანდიდატს, ფრედერიკ მისტრალს ირჩევს, რომელმაც ეს პრემია ესპანელ დრამატურგს - ეისაგუერს უნდა გაუყოს. ბოლომდე რომ ობიექტური არ არის აღნიშნული პრემიების მინიჭება, იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ერთმა კომიტეტის წევრმა აკადემიკოსმა ერთი წლით ადრე თარგმნა მისტრალის ნაწარმოები და ძალიან იყო მოწადინებული, რათა ნობელის პრემია სწორედ ამ უკანასკნელს შეხვედროდა. თუმცა იმის შიშით, რომ მისტრალისათვის პრემიის მინიჭებას დიდი ხმაური არ გამოეწვია, იგი ორ კანდიდატს ერთად მიანიჭეს.

არადა, პრემიის გადაცემამდე ელზა ოჟეშკოვა თითქმის დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. მდგომარეობისათვის უფრო მეტი სიმყარის მისაცემად, მწერალი ქალი დახმარებისათვის პირველ პოლონელ ნობელიანტს, მარია სკლადოვსკა-კიურის მიმართავს. თუმცა უშედეგოდ. მწერალი ქალი სხვა სახის მცდელობასაც არ აკლებს: თავის საქმეს დაწვრილებით ბიოგრაფიას ურთავს, აქვეა საკუთარ ნაწარმოებთა და მათი თარგმანების ვრცელი სია, საპატიო დიპლომები, იმ საზოგადოებების ჩამონათვალი, რომელთა საპატიო წევრიც იგი ბრძანდებოდა და ა. შ. და ა. შ.

და რა ქაღალდებია ამ დროს შესული ნობელის კომიტეტში მეორე პოლონელი ნობელის პრემიის კანდიდატის ჰენრიკ სენკევიჩის მხარდასაჭერად – თითქმის არავითარი.

მიუხედავად ამისა, კომიტეტის წევრებს ძალზე გაუჭირდებათ მისი კანდიდატურისათვის გვერდის ავლა. არადა, ორი კანდიდატურა ერთი პატარა ქვეყნიდან? რა გამოსავალი შეიძლება მოინახოს? უხერხული იყო ამ წელსაც ჯილდო ორი კანდიდატისათვის გაყოფილიყო. თავად კომიტეტის წევრებისათვის, განსხვავებით პოლონური საზოგადოებისაგან, ცხადი იყო, რომ სენკევიჩი თავისი მოღვაწეობით გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე ოჟეშკოვა.

თუ რაოდენ მწვავე იყო კანდიდატ მწერალთა ნაწარმოებების აკადემიკოსების მიერ შეფასებები, ზემოთ ნახსენები აკადემიის მდივნის, იანსენის რეცენზიიდანაც კარგად ჩანს, რომელიც სენკევიჩის ,,Qუო ვადის''-ს ეხება. აღნიშნული რომანის შესახებ იანსენი წერს, რომ ფილოსოფიურად და ისტორიულად განათლებული მკითხველი ამ ნაწარმოებიდან უფრო მეტს მოელოდა, მაგრამ ამაოდ. და იქვე უმატებს: თუ ჩვენ გვინდა დავაჯილდოვოთ მწერალი, რომელიმე სლავური ქვეყნიდან, მაშინ ძნელი იქნება გვერდი აუაროთ შემოქმედს, რომელმაც ,,ომი და მშვიდობა'' და ,,ანა კარენინა'' დაწერაო.

მაგრამ აკადემიკოსები ჯიუტად იცავდნენ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას. მათთვის ახლა მხოლოდ ერთი დილემა იდგა: ოჟეშკოვა თუ სენკევიჩი? თუმცა სასწორი უკვე ამ უკანასკნელისაკენ იყო გადახრილი. სენკევიჩი ნამდვილი ხელოვანია, მაშინ, როდესაც ოჟეშკოვა საზოგადოებრივი მოღვაწეა, რომელიც თავის შემოქმედებას უფრო საზოგადოებრივი საქმეების განსახორციელებლად იყენებს, - აცხადებდნენ ისინი. ბოლოს სამი კაცის უმრავლესობით კომიტეტმა სასწორის ისარი სენკევიჩის სასარგებლოდ გადახარა და 1905 წლის 10 დეკემბერს მას გადასცეს კიდეც ეს ჯილდო.

აღნიშნული გადაწყვეტილება გაკვეული დროით საიდუმლოდ რჩებოდა. ან როგორ უნდა ეცნობებინათ იგი სენკევიჩისათვის, რუსეთსა და პოლონეთის სამეფოში ხომ რევოლუციური ხანძარი აგიზგიზდა?! ვარშავის ქუჩებში ადამიანები იხოცებოდნენ და, ზოგიერთი კრიტიკოსის განცხადებით, ამ დროს ,,სენკევიჩი თავის თანამემამულეებს მეფე სობიესის დროინდელი საზიზღარი

ბატონკაცური ზღაპრებით კვებავს". ეს კრიტიკა ძირითადად სენკევიჩის - ,,დიდების მინდორზე" ეხება, რომელიც თავად ავტორსაც არ მიაჩნია მაინც და მაინც წარმატებულ ნაწარმოებად. უნდა ითქვას, რომ სენკევიჩმა იგი თითქმის იძულებით დაწერა – მას ხომ კონტრაქტი ჰქონდა, რომლის მსგავსიც მანამდე პოლონურ ლიტერატურაში არ არსებობდა – 2 რუბლი ერთ სტრიქონში.

ბოლოს, შვედეთის აკადემიის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ მას აკადემიის მდივანი იენსენი ატყობინებს, რომელიც კრაკოვშია ჩამოსული. სენკევიჩი საიდუმლოდ, ვენაზე გავლით, სტოკჰოლმში ჩადის და იქ იღებს პრემიას.

ნობელის პრემიის ყველა ლაურეატი, როგორც წესი, სტოკჰოლმში სასტუმრო ,,გრანდ ოტელში" ბინავდება. იქვე სახლდება სენკევიჩიც, რომელიც ქალაქში ჩასვლისთანავე ჟურნალისტთა ყურადღების ქვეშ ექცევა. ,,აცვია გრძელი შავი ქურთუკი, მკაცრი და გამოცდილი მოხელის შთაბეჭდილებას ტოვებს. საუბრობს წყნარად და დაბალი ხმით, ამჯობინებს ფრანგულად ლაპარაკს", – წერს შვედი ჟურნალისტი. ხოლო მეორე უმატებს:,,მთელი იმ დღეების განმავლობაში, როდესაც მწერალი სტოკჰოლმში იმყოფებოდა, მისი სახე არ გაუნათებია არა თუ სიცილს, არამედ უბრალო ღიმილსაც კი".

სხვათაშორის, 10 დეკემბერს სენკევიჩის გვერდით ნობელის პრემია მიიღო რობერტ კოხმა, რომელსაც კაცობრიობა ჭლექის ჩხირების აღმომჩენას უმადლის.

,,შემოდის სამეფო ოჯახი, - იგონებდა შემდგომ ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიალს ლაურეატი – მეფე, თავადი კარლი და გუსტავ ადოლფი, მეფის შვილიშვილი, ანუ ვაჟი იქ არმყოფი ტახტის მემკვიდრისა ... ისინი პირველ რიგში სავარძელში სხდებიან, უკრავს მუსიკა...".

ჯილდოს გადაცემა ცერემონიალის ბოლოს ხდება, ,,ალბათ იმიტომ, რომ ხალხი დროზე ადრე არ დაიშალოს", – ხუმრობდა შემდეგ სენკევიჩი. ,,Quo vadis"-ის ავტორი აკადემიის მდივანმა წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას: ,,ყოველ საზოგადოებაში იბადება გენიოსი, რომელშიც გამოვლინდება ხოლმე ერის სული. სწორედ ისინი წარმოუდგენენ მთელ ქვეყნიერებას თავის სამშობლოს. მთელი არსებით ელოლიავებიან წარსულს და აცოცხლებენ მას, რათა თანამემალეებს იმედის სხივი ჩაუსახონ... ლიტერატურისა და ერის სულის სწორედ ასეთ წარმომადგენლად გვეგულება ადამიანი, რომელსაც დღეს შვედეთის აკადემია ნობელის პრემიას გადასცემს".

ჰონორარის აღებისთანავე სენკევიჩი პოლონური ლიტერატურის შვედურ ენაზე თარგმნისათვის სტიპენდიას დანიშნავს, 5 ათასი ფრანკის ოდენობით. პირველი სტიპენდია, ცხადია, ჩვენთვის უკვე ნაცნობ იენსენს ერგება.

რა ხასიათზე დადგა ელზა ოჟეშკოვა ნობელის კომიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების გაგებისას? მწერალ ქალს ამის შესახებ ბევრი არ დაუწერია, მაგრამ მის გუნება-განწყობილებას მაინც ელენე ვესტერისათვის 1906 წლის 9 იანვარს გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ. ,,ახლა ნობელის პრემიის მიღება

ჩემთვის ენით გამოუთქმელი ბედნიერება იქნებოდა და სწორედ ამიტომ ნაკლებ ველოდი მას. ბედნიერება საერთოდ, და მით უმეტეს, ასეთი დიდი და ბრწყინვალე ბედნიერება, ძნელი წარმოსადგენია მოხდეს ჩემს ცხოვრებაში".

ელენე ვესტერი ცდილობს გაამხნეოს ოჟეკოვა. აი, ნაწყვეტი მწერალი ქალისადმი მის მიერ მიწერილი წერილიდან:,,თქვენი გვარი ყოველთვის მოიხსენიება იმ სიაში, რომელიც ნობელის პრემიის წარსადგენად განიხილება". ჭორია ეს თუ სინამდვილე? მაგრამ ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს. ოჟეშკოვა მძიმედაა ავად და ამ უკანასკნელ იმედს, როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე ეჭიდება:,,მე მგონია, უკვე ახლოს ვარ ბედის გაღიმებასთან, მაგრამ იგი ჯერ არ არის ჩემს ხელთ, მდგომარეობა ჯერაც არ არის გარკვეული". თუმცა აკადემიისათვის უკვე ყველაფერი ნათელი იყო, ელზა ოჟეშკოვა 1910 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ნობელის პრემია არ ღირსებია.

## ჟერომსკი თუ რეიმონტი

1924 წელს სტოკჰოლმში პოლონეთის საელჩოში მცდარი ცნობა მიიღეს იმის შესახებ, თითქოს რეიმონტი მძიმედ ავად იყო და წუთი-წუთზე ელოდნენ მის გარდაცვალებას. ასეთ შემთხვევაში აზრი აღარ ჰქონდა მისთვის პრემიის მინიჭების ყოველ მცდელობას. ამ ეჭვების გასაქარწყლებლად რეიმონტი ალფრედ ვისოცკის, პოლონეთის ელჩს შვედეთში მისწერს:,,თქვენ ისე ცხოველად ამიწერთ ჩემს შესაძლო გამარჯვებას, რომ ლამისაა მართლა ვირწმუნო იგი...".

მცირე ხნის შემდეგ, უფრო სწორედ კი 1924 წლის 13 ნოემბერს შვედეთის მეცნიერებათა აკადემიიდან დარეკავენ პოლონეთის საელჩოში და ელჩს განუცხადებენ, რომ ნობელის პრემიის ლაურეატი რეიმონტი გახდა. ,,რა საშინელებაა, – ჩაწერს თავის დღიურში მწერალი, – ნობელის პრემია, ფული, საყოველთაო დიდება და ადამიანი, რომელსაც სხვისი დახმარების გარეშე ტანსაცმელის ჩაცმაც კი არ შეუძლია". მართლაც ამ დროს რეიმონტი ავადაა და სტოკჰოლმში ცერემონიალზე დასასწრებად ვერ ჩავა. თუმცა ინტენსიურ მუშაობას არ წყვეტს. მისი სამუშაო კაბინეტი დაწერილ თუ სუფთა ქაღალდების გროვებით არის დაფარული. ამის შესახებ კარგად წერს მწერლის ბიოგრაფი კორნელი მაკუშინსკი:,,ვცდილობ ფეხი ავუქციო ქაღალდებს, მაგრამ ვერ ვახერხებ. არადა, ყოველ მათგანზე ხომ ადამიანის ცხოვრების ფრაგმენტებია ასახული".

ახლა რაც შეეხება ამ წლის ნობელის პრემიის მეორე კონკურენტს – სტეფან ჟერომსკის. ეს უკანასკნელი გაცილებით პოპულარული მწერალი იყო თავის სამშობლოში, ვიდრე რომელიმე მისი კოლეგა. რამ შეუშალა ხელი პრემიის მიღებაში? მისმა გერმანოფობიურმა ნაწარმოებებმა ხომ არა? იქნებ მეტისმეტმა სოციალისტურმა თეორიებმა, რომლებიც დაუფარავად

გამოსჭვივიან მისი ნაწარმოებებიდან? ვგონებ ის აზრი, რომელიც სენკევიჩისა და ოჟეშკოვას შესახებ იყო გაბატონებული სტოკჰოლმის კომიტეტში და რომლის მიხედვითაც სენკევიჩი უფრო ხელოვანი იყო, ხოლო ოჟეშკოვა უფრო საზოგადო მოღვაწე, მიესადაგება ასევე რეიმონტისა და ჟერომსკის. რეიმონტი წმინდა წყლის ხელოვანი იყო, ხოლო ჟერომსკი უფრო პატრიოტი, საზოგადო მოღვაწე, რომლის ხელოვნებაც საბოლოოდ ყოველთვის პოლიტიკაში გადაიზრდებოდა ხოლმე, სოციალისტი (სწორედ ამიტომ უჭერდნენ ჟერომსკის მხარს სოციალისტები არა მხოლოდ პოლონეთში, არამედ შვედეთშიც. მაგრამ ამაოდ). ნობელის კომიტეტში ჟერომსკის თაობაზე სრულიად სხვა აზრის არიან:,,თუმცა მის ნაწარმოებებში გვხვდება ბრწყინვალე ფრაგმენტები, მაგრამ მთლიანობაში მისი სტილი დაძაბული, არათანაბარი და მომაბეზრებელია... მისი აზრები, რომლებიც მის სამშობლოში ღრმა აზრებად არის მიჩნეული, ჩვენ არასრულყოფილად ნათელ აზრებად მიგვაჩნია, რომლებიც უფრო ნაძალადევად გვეჩვენება, ვიდრე ღრმა აზროვნების ნაყოფად. ვგონებთ, ყოველივე ამის შედეგად ნამდვილად სწორი იყო გადაწყვეტილება ნობელის ლიტერატურული პრემიის რეიმონტისათვის მინიჭების შესახებ. ისე, ალბათ, იმასაც ჰქონდა ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა, რომ პოლონეთში მემარცხენე პრემიერ-მინისტრის, ვიტოსის კაბინეტის მემარჯვენე იდეოლოგიის მქონე ვლადისლავ გრაბსკის მოსვლისთანავე ასევე შეიცვალა შვედეთში პოლონეთის საელჩოს მთელი საკადრო შემადგენლობა. საელჩოს ახალი თანამშრომლები კი, განსხვავებით წინამორბედებისაგან, რეიმონტის კანდიდატურას მისი მშვენიერი რომანის ,,გლეხების'' გამო უჭერდნენ მხარს.

დადგა საბედისწერო 1939 წელი. კიდევ ერთი პოლონელი შემოქმედი წარადგინეს ნობელის პრემიაზე - მწერალი ქალი მარია დომბროვსკა, უძველესი კეთილშობილური გვარის გამოჩენილი წარმომადგენელი. მას შუამდგომლობას რომელიმე პოლონური დაწესებულება კი არა, სლავისტი უფსალიდან, პროფესორი ს. ლილიეგრინი უწევს. რეკომენდატორი მწერლის უმთავრეს ნომინაციად ,,ღამეებსა და დღეებს''-ს მიიჩნევს. ნობელის კომიტეტი თავის მუდმივ ექსპერტს სლავური ლიტერატურის სფეროში ალფრედ კალგრენს ავალებს მწერლის შემოქმედების შესწავლასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. ეს უკანასკნელი ცნობილი იყო როგორც არაობიექტური ექსპერტი.

კალგრენს ვერაფრით ვერ გაუგია, თუ რატომ ჰქვია ამ უდიდეს ნაწარმოებს (2250 გვ) ,,ღამეები და დღეები'', მასში ხომ არც ერთი მოქმედება არ ხდება ღამით?! მის კრიტიკას იწვევს ისიც, რომ რომანის გმირებს წვრილმეშჩანური მანერები ახასიათებთ, მეტისმეტად სუსტნი არიან საიმისოდ, რომ ღამეები დღეებად აქციონ, ანდა რაიმე უჩვეულო მოიმოქმედონ ღამით. თანაც რომანში მეტისმეტად მრავლადაა მოქმედი პირი, ისე მრავლად, რომ მათში გარკვევაც კი ძნელია. რეცენზენტის ცხარე კრიტიკას

განსაკუთრებით რომანის მთავარი პერსონაჟი ბოგუმილა იმსახურებს. მის შესახებ დასკვნას კრიტიკოსი ასე ამთავრებს:,,ასე არ უნდა გამოიყურებოდეს მრავალტომიანი რომანის მთავარი მოქმედი გმირი''. რომანი კარგი საკითხავია ,,უძილო ღამეებში'' ასკვნის რეცენზენტი. ცხადია, დომბროვსკი ვერ მიიღებს პრემიას, რომელიც მაშინ ერგო მეორე ასევე მცირე და დაპყრობილი ერის, ფინეთის წარმომადგენელს, რომანისტს ფრანს სილანჰაას.

## მაჰმადიანი მესხები – კავკასიის ეთნიკური პრობლემა

პ ე ტ რ ე ბ ო რ ა ვ ს კ ი

*სტატია დაიბეჭდა პოლონურ ჟურნალ ''პოლონეთის ეთნოგრაფიაში'' და ეკუთვნის ცნობილ პოლონელ ისტორიკოსსა და ეთნოგრაფს, პოლონეთის საგ. საქ. სამინისტროს თანამშრომელს, ამჟამად დესპანს საქართველოში – პეტრე ბორავსკის.*

*პ. ბორავსკი სამინისტროს დელეგაციის წევრის სტატუსით 1992 წელს იმყოფებოდა საქართველოში, როდესაც თბილისში ხელი მოეწერა პოლონეთ-საქართველოს მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. მისი, როგორც მეცნიერის დაინტერესების სფეროში ყოველთვის იყო ამიერკავკასია და განსაკუთრებით საქართველო. ბორავსკი კარგად იცნობს ჩვენს ქვეყანას, მის ისტორიას და პრობლემებს, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას.*

*წინამდებარე სტატია განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ ვიდრე მისი ავტორი საქართველოში ჩამოვიდოდა პოლიტიკური მისიით, იგი პოლონეთის საელჩოებში ყაზახეთსა და ყირგიზეთში მუშაობდა, სადაც საშუალება ჰქონდა კარგად შეესწავლა თურქი-მესხების საკითხი, პრობლემატიკის მთელი სპექტრი და გაეკეთებინა დასკვნები. თუ რაოდენ ობიექტურია ავტორი, ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდვია.*

მთარგმნელი

თურქი-მესხები მიეკუთვნებიან კავკასიურ ხალხებს, რომლებიც პოლიტიკური შეხედულებების გამო მრავალი ათწლეულების განმავლობაში მკვლევართა გაშუქებას იყვნენ მოკლებული. თურქი-მესხების ეთნოგენეზისი მესხეთიდან შუა აზიაში მათი დეპორტირების შემდგომ (1944 წ.) მეცნიერული პრობლემიდან პოლიტიკურ პრობლემად გარდაიქმნა.

საქართველო, ისევე როგორც მთელი ამიერკავკასია, წარმოადგენს სივრცეს, სადაც საუკუნეების მანძილზე ეჯახებოდა ერთმანეთს ქრისტიანული და მაჰმადიანური სარწმუნოება, რომლებიც გავლენის სფეროებისათვის იბრძოდნენ. აქ არსებული რელიგიური სპექტრი ყოველთვის იწვევდა

კონფლიქტებს ეთნიკურ საფუძველზე. ეს იქიდან გამომდინარეობდა, რომ მაჰმადიანურ თუ ქრისტიანულ სამყაროსათვის თავის მიკუთვნება გადამწყვეტი მომენტი ხდებოდა ჯერ ეთნიკური, ხოლო შემდეგ – ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებისათვის. თურქი-მესხები ამ მოვლენის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენენ.

თურქი-მესხების ისტორიის შესწავლას აფერხებდა საბჭოთა ხელისუფლების გულგრილი პოზიცია ამ "საბჭოთა კავშირის მტერი" ხალხისადმი. მათ შესწავლას ართულებდა აგრეთვე სპეციალური მონოგრაფიების სიმცირეც, რომლებიც მიძღვნილი იქნებოდა საქართველოს გამაჰმადიანებული ეთნოსისადმი.

თურქი-მესხების ეთნოგენეზისი უაღრესად აქტუალური პრობლემაა. დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებისათვის მათი რეპატრიაციის ერთ-ერთ პირობად რჩება მათ მიერ ქართული წარმოშობის აღიარება. მესხების მიერ საკუთარი თავის მიკუთვნება თურქებისადმი თუ ქართველებისადმი გადამწყვეტია არა მხოლოდ მათი ეროვნული კუთვნილების დადგენის, არამედ მათი დასახლების ადგილის განსაზღვრის საქმეშიც.

ამჟამად ამ ხალხის ეთნოგენეზისის განსასაზღვრად გამოიყენება ორი ჰიპოთეზა: 1. ისინი არიან ოსმალო კოლონისტების ჩამომავლები, რომლებიც XVII-XIX ს. ს. დასახლდნენ სამხრეთ საქართველოში; 2. თურქების ბატონობის შედეგად საუკუნეთა მანძილზე ადგილობრივი მოსახლეობა გათურქდა – შეითვისა დამპყრობთა რელიგია, ენა, ტრადიციები. ამ თეორიის მოწინააღმდეგენი მიუთითებენ აჭარლებზე, მაჰმადიან ქართველებზე, რომლებმაც მიუხედავად მაჰმადიანობის აღიარებისა, შეინარჩუნეს მშობლიური ენა, ქართული კულტურა და, რაც მთავარია, შეგნება იმისა, რომ ქართველები არიან.

ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, მესხეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ გამოიწვია , რომ თურქი მომთაბარეები აქ ჯერ კიდევ მაშინ სახლდებოდნენ, ვიდრე თურქების ინტენსიური ექსპანსია დაიწყებოდა. უკვე XIII-XV სს-ში ამ პროვინციის ხალხი აღრეული იყო ერთმანეთში. თურქული მოდგმის ხალხებმა არა მხოლოდ მიიღეს ქართული კულტურა, არამედ გავლენაც მოახდინეს მასზე.

XI ს. კავკასიაში უდიდესი ეთნიკური ცვლილებები გამოიწვიეს თურქ-სელჯუკებმა, რომელთაც ანატოლიაში დააარსეს საკუთარი სახელმწიფო. XI ს. მეორე ნახევარში მათ ექვემდებარებოდა სომხეთის ტერიტორიის უმეტესობა და ქართული ტერიტორიის ნაწილი. საქართველოს მეფე გიორგი II მათი ვასალი გახდა. ამიერიდან ამიერკავკასია თურქების ინტენსიური კოლონიზაციის ობიექტად იქცა. აქ დასახლებული სელჯუკები ადგილობრივ მოსახლეობას თავს ახვევდა საკუთარ ენას და რელიგიას. საქართველოსდა საბედნიეროდ, სელჯუკები უფრო აზერბაიჯანით დაინტერესდნენ, რადგან ამ ქვეყნის კლიმატი ხელს უწყობდა მომთაბარეობას. ჩანს, ამ პერიოდში

თურქებმა მხოლოდ მესხეთში შესძლეს დასახლება. აქ მოხდა ორი ცივილიზაციის – საქართველოს ქრისტიანული და სელჯუკების მაჰმადიანური, - შეჯახება. და მიუხედავად იმისა, რომ XII ს. დავით აღმაშენებელმა ქვეყანა გაანთავისუფლა სელჯუკების ბატონობისაგან, მაინც, ჩანს, მესხეთში დასახლებული თურქული ტომები დარჩნენ. ეჭვგარეშეა, სამხრეთ საქართველოში თურქულენოვანი მოსახლეობის არსებობამ გაუადვილა ოსმალოებს საქართველოს სამხრეთი რეგიონის ენობრივი და რელიგიური ასიმილაცია, XVI-XVIII საუკუნიდან მოყოლებული თურქეთის ინტენსიურ ექსპანსიამდე ეთნიკურად არაერთგვაროვანი იყო.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში მოხდა აღმოსავლეთის ორი დიდი მაჰმადიანური სახელმწიფოს – შიიტური სპარსეთისა და სუნიტური თურქეთის შეჯახება. ამ სახელმწიფოთა შორის ლავირებამ საშუალება მისცა საქართველოს შეენარჩუნებინა გარკვეული დამოუკიდებლობა თითქმის სამი საუკუნის მანძილზე, მაგრამ მაინც ოსმალოთა ხელქვეით აღმოჩნდა საქართველოს სამხრეთი და ნაწილობრივ დასავლეთი ტერიტორიები. ხშირად ბაგრატიონების წარმომადგენელნი, რათა შეენარჩუნებინათ ხელისუფლება, თანხმდებოდნენ წინაპართა რელიგიის უარყოფას. თადეუშ კრუშინსკი, პოლონელი იეზუიტი, რომელმაც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მოინახულა თბილისი მისიონერული მიზნებით, თავის ისტორიულ ნაშრომში ერთგვარი წყენით წერდა, რომ ქართველები "ადვილად იღებენ მაჰმადიანურ რწმენას, მით უმეტეს, როდესაც სპარსეთის კარზე ხვდებიან, მაგრამ საქართველოში მობრუნებისთანავე ხელმეორედ ინათლებიან და უბრუნდებიან ქრისტიანულ სარწმუნოებასო". არაიშვიათი იყო აგრეთვე ქრისტიანულ-მაჰმადიანური ქორწინებები ქართველ თავადებს შორის, რის შესახებაც იგონებს იგივე კრუშინსკი.

საქართველოს გამაჰმადიანებას ესწრაფოდნენ როგორც სპარსეთის შაჰები, ასევე თურქეთის სულთნები.

ქართული სამეფოების, ქართლის, კახეთის და იმერეთის მმართველები დაშინებული, როგორც სპარსელების, ისე თურქებისაგან, ხშირად გადადიოდნენ მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე. თუმცა დამპყრობნი ქრისტიანობას ითმენდნენ ამიერკავკასიის დაპყრობილ ქვეყნებში, მაგრამ მათ დიდად სიამოვნებდათ, როდესაც სამეფო ტახტზე მაჰმადიანს ხედავდნენ.

თუმცა თურქი-მესხების ეთნოგენეზისი კარგად არ არის გამოკვლეული და მათსა და შუასაუკუნეების მესხთა შორის კავშირი დაუდგენელია, ეჭვგარეშეა, რომ ეს ხალხი დიდხანს რჩებოდა ქართული ეთნოსის ნაწილად. 1829 წ. ოსმალეთის იმპერიამ ომში დამარცხების შემდეგ რუსეთს დაუთმო მესხეთ-ჯავახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს ადგილები დასახლებული იყო მაჰმადიანი ქართველებით, რომლებიც აღრეულნი იყვნენ თურქ კოლონიზატორებში. მეტისიზაციის პროპორციებს ალბათ ვერასოდეს

დავადგენთ, მაგრამ თურქი-მესხების ანთროპოლოგიურმა შესწავლამ შესაძლოა დაგვანახოს შედარებითი ქართულ-თურქული სუბსტრატები ამ ხალხის ეთნოგენეზში.

XIX ს. პირველ ნახევარში მესხეთში ცხოვრობდა ორენოვანი მოსახლეობა. ისინი თავისუფლად საუბრობდნენ თურქულად და ქართულად. თურქული ელემენტის შესუსტების მიზნით იმპერიის სამხრეთ საზღვრებთან რუსებმა გადაწყვიტეს კაზაკებისა და სტაროვერების ჩასახლება, მაგრამ უშედეგოდ. იმავდროულად, გენერალი პასკევიჩი ენერგიულად ასახლებდა აქ სომხებს თურქეთის იმპერიის შიდა პროვინციებიდან (ერზრუმიდან). მესხეთ-ჯავახეთში დასახლებულები თანაბრად ფლობდნენ როგორც სომხურ, ისე თურქულ ენებს. ისინი აქაურ მაჰმადიანებთან თურქულ ენაზე ლაპარაკობდნენ. ასე რომ, მათაც ერთგვარად შეუწყვეს ხელი სამხრეთ საქართველოს გათურქებას.

რუსი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების აზრით, მესხეთ-ჯავახეთის მკვიდრთა შორის ქართული თვითშეგნება იყო გაბატონებული. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში ჩატარებული მოსახლეობის აღრიცხვა ქართველებს ყოფს მართლმადიდებლებად, კათოლიკებად და მაჰმადიანებად. ეს უკანასკნელნი აჭარაში თავს უწოდებენ აჭარლებს, ხოლო მესხეთ-ჯავახეთში – მესხებს.

ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში მესხების ძირითადი ნაწილი თავს ქართველად თვლიდა. მათ შორის ძნელი იყო ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც ვერ ლაპარაკობდა ქართულად. მესხებისათვის ქართული ენა მშობლიური  იყო თითქმის ოქტომბრის რევოლუციამდე.

1919 წელს მესხეთში იფეთქა მაჰმადიანური მოსახლეობის აჯანყებამ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფალთა წინააღმდეგ. აქ სამოქალაქო ომი მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის პროვოცირებული იყო თურქეთის აგენტურის მიერ, რომელიც მესხეთის მკვიდრთ ჰპირდებოდა მაჰმადიანური სახელმწიფოს დაარსებას.

საქართველოს გასაბჭოებამ 1921 წელს გადამწყვეტი გავლენა მოახდინა მესხურ ეთნიკურ ჯგუფზე. ჩემი აზრით, სახელდობრ ოციან წლებში საბოლოოდ დასრულდა მესხების გათიშვის პროცესი საქართველოს ძირითადი მოსახლეობისაგან.

საბჭოთა კავშირის შემქმნელები, რომელთაც სურდათ მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა ქემალისტურ თურქეთთან, ამიერკავკასიის თურქულენოვანი მოსახლეობისათვის პრიორიტეტის მინიჭებას ცდილობდნენ. შედეგად, ქემალისტების სურვილით, მესხებმა მიიღეს კულტურული ავტონომია, რომელმაც საბოლოოდ დაასრულა ამ ეთნიკური ჯგუფის გათურქების პროცესი. ბოლშევიკებმა ქართველი მაჰმადიანების თურქულ ენაზე სწავლება დაიწყეს. მასწავლებლები მეზობელი აზერბაიჯანიდან ჩამოჰყავდათ, ისევე როგორც კომპარტიის მდივნები ან

სოლიდური დაწესებულებების დირექტორები. მესხებს შეუცვალეს სახელები და გვარები და, მიუხედავად მესხების გარკვეული ნაწილის პროტესტისა, რომლებსაც თავი ქართველად მიაჩნდათ, ბოლშევიკებმა მათ პასპორტში ეროვნებად თურქი ჩაუწერეს. საბჭოური სტატისტიკის თანახმად, 30-იანი წლების შუახანებში მესხეთში დასახლდა 28 ათასი აზერბაიჯანელი. სამაგიეროდ, უკვალოდ გაქრნენ ქართველი-სუნიტები. ანტიქართული კამპანია დასრულდა მხოლოდ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, 1936 წელს. მაგრამ ამ დროისათვის გაიზარდა მესხების ახალი თაობა, რომელთაც არა მარტო წერა, არამედ საყველპურო ქართულიც კი არ იცოდნენ. მხოლოდ 1939 წელს სსრკ-ს დამოკიდებულების შეცვლასთან ერთად თურქეთისადმი, შეიცვალა მესხეთის მკვიდრთადმი დამოკიდებულებაც. ხელისუფლებამ შეისმინა მესხი ხალხის თხოვნა და გახსნა ქართული სკოლები.

1939 წელს დაწყებული მესხების გაქართველების პროცესი შეწყდა 1944 წელს. ამ დროს იქნა მიღებული გადაწყვეტილება ჩრდილო კავკასიასა და ამიერკავკასიაში მცხოვრები ზოგიერთი მაჰმადიანი ხალხის შუა აზიაში გადასახლების თაობაზე . გადასახლებულთა შორის აღმოჩნდა 110 ათასი თურქი-მესხიც, რომლებიც "ანკარიდან თურქი იმპერიალისტების გავლენას განიცდიდნენ". მათი ძირითადი ნაწილი დაასახლეს უზბეკეთში, მცირე რაოდენობა – ყაზახეთსა და ყირგიზეთში.

მესხეთიდან დეპორტირებული თურქების სახლებში ჩასახლდა ქართული მოსახლეობა. თურქი-მესხების სოფლებს ქართული სახელები უწოდეს. სკკპ XX ყრილობის შემდეგ (1959 წ.) ყველა დეპორტირებულმა ხალხმა უფლება მიიღო დაბრუნებოდნენ მშობლიურ ადგილებს. ეს მხოლოდ ყირიმელ თათრებსა და თურქ-მესხებს აუკრძალეს .

როდესაც 60-იან წლებში გართულდა ურთიერთობა შუა აზიაში მცხოვრებ თურქ-მესხებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, მესხებმა იწყეს ჩრდილოეთ კავკასიაში და აზერბაიჯანში გადასახლება, რადგან ქართველებმა უარი თქვეს მათ მიღებაზე.

თურქი-მესხების რეპატრიაციის ძლიერი იმპულსი აღმოჩნდა უზბეკეთში, ფერღანის ველზე დატრიალებული ტრაგედია, როდესაც უზბეკებმა ააწიოკეს თურქი-მესხები და რამდენიმე დღის განმავლობაში 100 ათასი მაცხოვრებლიდან თითქმის არავინ აღარ დარჩა. მრავალი ადამიანი დაიღუპა ამ დარბევის დროს.

როდესაც 60-იან წლებში შუა აზიის რესპუბლიკათა ხელმძღვანელების კონტროლი თურქ-მესხებზე მოდუნდა, შედარებით ენერგიულმა თურქმა-მესხებმა დაიწყეს თანამემამულეთა ორგანიზება სამშობლოში დასაბრუნებლად. მათი პირველი ყრილობა კონსპირატიულად ჩატარდა 1962 წელს ტაშკენტის სიახლოვეს. მას შუა აზიაში მცხოვრები თურქი-მესხების ყველა წარმომადგენელი ესწრებოდა. ყრილობაზე განსახილველ მთავარ

პრობლემას სამშობლოში დაბრუნება წარმოადგენდა. მაშინ დაფუძნდა მოძრაობის ცენტრი თავისი ფილიალებით. მას ეწოდა თურქი-მესხების განთავისუფლების ორგანიზაციის დროებითი კომიტეტი.

1962-1989 წწ-ში ათამდე ყრილობა ჩატარდა. მათზე ყველაზე ცხარედ სამშობლოში დაბრუნების საკითხი განიხილებოდა. აირჩა აგრეთვე დელეგაცია, რომელიც არაერთხელ გაიგზავნა მოსკოვსა და თბილისში. მხოლოდ თბილისში თითქმის 200-ჯერ იყო დელეგაცია წარგზავნილი, თუმცა საქართველოს მთავრობისაგან რეპატრიაციაზე თანხმობა არ მიუღიათ.

თურქი-მესხები ამ მოძრაობის გამოცდილებიდან გამომდინარე დარწმუნდნენ, რომ საჭირო იყო სწორი ტაქტიკის შემუშავება, რომელიც მათ მიზნამდე მიიყვანდა. მაგალითად, საქართველოს მთავრობა უარყოფით გადაწყვეტილებას ასაბუთებდა იმით, რომ რესპუბლიკას არ ჰქონდა ეკონომიკური რესურსები, რათა 150 ათასი თურქი-მესხი დაესახლებინა. ამიტომ თურქმა-მესხებმა გადაწყვიტეს მოეთხოვათ ეტაპობრივად ჩასახლება საქართველოში. ამავე დროს ისინი საქართველოს მთავრობას ამ საქმისათვის სთხოვდენ მინიმალურ ფინანსურ სახსრებს. მაგრამ თურქი-მესხების დელეგაცია საქართველოს ხელისუფლებასთან შემდგომ შეხვედრებზე დარწმუნდა, რომ უარის მიზეზი სრულიად განსხვავებული იყო, ქართულმა მხარემ თურქ-მესხებს აგრძნობინა, რომ მათი უკან დაბრუნების პირობა იყო ქართული წარმომავლობის აღიარება და ქართული გვარების მიღება (საქართველოს მთავრობას განსაკუთრებით აშინებდა თურქ-მესხების მოთხოვნა "თურქ-მესხების რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის დაფუძნების შესახებ საქართველოს სსრ-ს საზღვრებში ცენტრით – ახალციხე").

საქმის ასეთმა შემობრუნებამ თურქი-მესხები აიძულა ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტათ თავიანთი ეროვნულობის საკითხი: 1988 წლის 28 ივლისს ყაბარდო-ბალყარეთში გამართულ ყრილობაზე სწორედ ეს საკითხი იქცა ცხარე კამათის საგნად. დელეგატთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა თავიანთ წარმომავლობას. ავტორებმა თეზისისა, რომ მესხები ქართველი მაჰმადიანები არიან, ყრილობაზე მარცხი განიცადეს. დელეგატების უმრავლესობამ აღიარა, რომ თურქი-მესხები უნდა დაბრუნდნენ საქართველოში, როგორც თურქული ეთნიკური ჯგუფი, რომლებიც განცალკევებულ პოზიციას დაიკავებდნენ ქართველების მიმართ. ყრილობაზე გადაწყდა, რომ თუ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება ხელს შეუშლიდა მათ მიზნის მიღწევაში, მაშინ ისინი დასახლდებოდნენ აზერბაიჯანში.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებამ დასაბამი მისცა თურქი-მესხების, როგორც ერთიანი ეთნიკური ჯგუფის დაშლის პროცესს. მესხების უმრავლესობამ განაცხადა თავისი თურქებისადმი მიკუთვნებულობის შესახებ, ხოლო უმცირესობამ აღიარა, რომ ისინი წარმოადგენენ მაჰმადიანური აღმსარებლობის ქართველებს.

თურქ-მესხების ხელმძღვანელობამ სპონტანური მიგრაციის შესაჩერებლად მიმართა ყაზახეთის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ლიდერებს, მიეღოთ ფერღანას ველიდან ოტებული თურქი-მესხები. მხოლოდ აზერბაიჯანის მთავრობა გამოეხმაურა მათ და დათანხმდა დაესახლებინა ლტოლვილები. მათ მუღანლოსა და ჯეთრანჩაისკის სტეპები გამოუყვეს.

1991 წლის მარტში სსრკ უმაღლესმა საბჭომ იძულებით დეპორტირებული ხალხების მიმართ მიიღო სამართლებრივი აქტები. ამავე წლის ივლისში მან მიმართა საქართველოს პრეზიდენტს თხოვნით, დაებრუნებინა თურქი-მესხები. იმ დროისათვის ქართველთა განწყობა

მესხების მიმართ, განსაკუთრებით ფერღანას ტრაგედიის შემდეგ, მათ სასიკეთოდ იყო შემობრუნებული. ქართულ პრესაში იბეჭდებოდა პრომესხური სტატიები და ქართული საზოგადოებრივი აზრი შემზადდა მათ დასაბრუნებლად. მაგრამ, როდესაც აღმოჩნდა, რომ ლტოლვილთა გადამწყვეტ უმრავლესობას არ სურდა ქართული წარმომავლობის აღიარება და თავი თურქად მიაჩნდა, საქართველომ უარი თქვა მათ რეპატრიაციაზე.

ფერღანის ტრაგედიის შემდეგ საბოლოოდ გამოვლინდა თურქი-მესხების მისწრაფება, თავი მიეკუთვნებინათ ანატოლიელი თურქებისათვის და გადასახლებულიყვნენ თურქეთში. ჩემი დაკვირვებით, 1994-1995 წლებში იმ თურქი-მესხების უმეტესობა, რომლებიც ყაზახეთსა და ყირგიზეთში ცხოვრობენ, მიისწრაფვის გადასახლდეს თურქეთში, რათა "იცხოვროს თანამემამულეთა შორის". თურქი-მესხების ყრილობაზე, რომელიც აზერბაიჯანში გაიმართა 1989 წლის 2 სექტემბერს, დელეგატთა 80-მა პროცენტმა სურვილი გამოთქვა თურქეთში გადასახლებაზე, თუკი საქართველოს მთავრობა არ დათანხმდება მათ რეპატრიაციას. თურქი-მესხების ამგვარ გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინა რამდენიმე მიზეზმა: კავკასიიდან მესხების შუა აზიაში გადასახლების შემდეგ მათ დაკარგეს ეთნიკური კავშირების შეგრძნება საქართველოსთან. ქართველთაგან უარყოფილმა მესხებმა, რომლებსაც შიშის განცდა ჰქონდათ შუა აზიის მკვიდრთა მიმართ, თანდათან იწყეს ანატოლიელ თურქებთან თავის გაიგივება; თურქი-მესხების ამგვარი განწყობილების შექმნაზე გავლენა მოახდინა პრაგმატიზმმაც. სიტუაციაში, როდესაც ამიერკავკასიაში შესასვლელი გზები მათთვის მოჭრილი აღმოჩნდა (სამოქალაქო ომი აზერბაიჯანსა და საქართველოში), მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენდა თურქეთში ემიგრაცია. თურქეთში გადასახლებისათვის მომზადება დაიწყეს იმ თურქ-მესხებმაც კი, რომლებიც უზრუნველად ცხოვრობდნენ ყაზახეთში. ისინი თვლიდნენ, რომ ვალდებული იყვნენ გადასახლებულიყვნენ ქვეყანაში, სადაც შეეძლოთ ეცხოვრათ და აღეზარდათ ბავშვები მაჰმადიანური ტრადიციის შესაბამისად. უცხო ადამიანთან საუბარში

ისინი აცხადებენ, რომ არ არსებობს რაიმე განსხვავება მათსა და ანატოლიელ თურქებს შორის.

**გაზეთი "ლიტერატურული საქართველო"**
**21-28 მარტი, 1997 წ.**

## ოქროს საწმისის მაძიებელნი

*გთავაზობთ ბ-ნ ამბროსი გრიშიკაშვილის (ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი) გამოხმაურებას პოლონურ გაზეთ "ტრიბუნა ლიუდუს" 1984 წლის #48-ში დასტამბულ მასალაზე, - ავტორი ვენონ სიუდლეცკი. მასალა შეეხება არგონავტების მოგზაურობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ვერსიას..*

ალბათ, მტკიცება არ უნდა იმას, რომ ამა თუ იმ ქვეყნის იზოლაციაში მოქცევას, მის ჩამოშორებას დანარჩენი სამყაროსაგან, აუცილებლად მოჰყვება მისი ყოველმხრივ ჩამორჩენა. მთელი მსოფლიო ეკონომიკური თუ კულტურული კავშირურთიერთობისაკენ მიისწრაფოდა და მიისწრაფის და ამგვარ სწრაფვას არა ერთი და ორი საუკუნის ისტორია აქვს. დამადასტურებლად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ეპოქაში, როდესაც ბერძენმა იაზონმა ოქროს საწმისი მოიტაცა კოლხეთიდან, საქართველო როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო გზებით უკავშირდებოდა ევროპისა და აზიის კულტურულ ცენტრებს.

მიმდინარე წლის დასაწყისში პარიზში გაიმართა საერთაშორისო კოლოკვიუმი "საბჭოთა კავშირის ფინანსები საერთაშორისო დაფინანსების სისტემაში". აღნიშნულ კოლოკვიუმზე მოხსენებით გამოსულმა ბანკების ისტორიის ევროპული საზოგადოების გენერალურმა მდივანმა მანფრედ პიოლმა, შეეხო რა საბჭოთა კავშირში არსებულ მძიმე ეკონომიკურ კრიზისს, აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში ამჟამად არაფერი განსაკუთრებული არ ხდებაო. რუსეთი არასოდეს ყოფილა აყვავებული სახელმწიფო. მის განვითარებას, სხვა მრავალ მიზეზებთან ერთად, აფერხებდა ის გარემოებაც, აღნიშნა მან, რომ საუკუნეების მანძილზე იგი უაღრესად ჩაკეტილი ქვეყანა იყო. ჯერ კიდევ ჰოლანდიელი და ვენეციელი ვაჭრები წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ არა მხოლოდ რუსეთის უგზოობას, არამედ პარტნიორების დაუსრულებელ ჭოჭმანს, საქმის რუსულად გაჯანჯლებას.

ამჟამად, როდესაც საქართველო თავს აღწევს იმპერიის კლანჭებს და ცდილობს დამოუკიდებლობის მოპოვებას, ცხადია, უაღრესად დიდი

კულტურული და სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება მის კავშირურთიერთობებს კულტურულ მსოფლიოსთან. დანარჩენ სამყაროსთან ამგვარი დაკავშირების საშუალება საქართველოს ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან რომ ჰქონდა, ამას ადასტურებს ერთ-ერთი პოლონური ვერსიაც, რომლის თანახმად ბერძნებმა გატაცებული ოქროს საწმისი, მდევრებისაგან თავის დაღწევის მიზნით წაიღეს არა ტრადიციული საზღვაო გზით – ეგეოსის, დარდანელისა და ბოსფორის ზღვებით, არამედ სრულიად საწინააღმდეგო, ჩრდილოეთის გზით, მდინარე დნეპრის აყოლებით, ბალტიის, ჩრდილოეთის ზღვის, ატლანტიკის ოკეანის, გიბრალტარის სრუტისა და ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ.

გთავაზობთ ხსენებული პოლონური ვერსიის ქართულ თარგმანს.

*
* *

ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ არგონავტებმა ოქროს საწმისის მოტაცების შემდეგ ევროპას გარს შემოუარეს და ისე დაბრუნდნენ სამშობლოში, ჯერ კიდევ ამ საუკუნენახევრის წინ დაიბადა. მას შემდეგ ეს ვარაუდი რეგულარულად ქვეყნდება მსოფლიო პრესაში.

არგონავტების ექსპედიციის აღწერა ფაქტობრივად ოდისევსის უცნობ ზღვებსა და კუნძულებზე მოგზაურობის შემდეგ, მეორე მხატვრულ აღწერას წარმოადგენს; იგი ძალზე ხიბლავდა ანტიკური ეპოქის ადამიანებს. ჩვენის აზრით, ოდისეის უპირატესობა არგონავტებთან შედარებით იმაში გამოიხატება, რომ იგი გადმოცემულია გაცილებით უფრო პოეტური ფორმით. ჰომეროსის მიერ ამ მოგზაურობის აღწერა ისეთი რეალისტურია, ისე ფეთქავს სიცოცხლითა და ფერებით, რომ პირდაპირ ატყვევებს მკითხველს. სამწუხაროდ, მითმა იაზონის შესახებ, რომელიც მსოფლიოში რამდენიმე ვერსიადაა ცნობილი, ჩვენამდე ასე სრულყოფილად დამუშავებულმა ვერ მოაღწია; მისი მხოლოდ ერთი ეპიზოდით, კერძოდ, იაზონის ტრაგიკული სიყვარულით კოლხი მედეასადმი მოიხიბლნენ ანტიკური ხანის ტრაგიკოსები და იგი კლასიკური დრამის სახით დამუშავებული შემორჩა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას.

მთელი ჩვენი ევროპული კულტურა ანტიკურ ფესვებზეა დაფუძნებული; თუ მთელი ანტიკური კულტურა არ მიგვიღია მემკვიდრეობად, ყოველ შემთხვევაში, მისი უდიდესი ნაწილი მაინც გადმოგვეცა და მათ შორის, არა მხოლოდ ოდისეის და არგონავტების ექსპედიციის მხატვრული აღწერილობა, არამედ მათთან ერთად როგორც ოდისევსის, ასევე იაზონის მოგზაურობათა მარშრუტების მეცნიერული დადგენის თავდაპირველი ცდებიც.

ანტიკური დროიდან მოყოლებული, დღემდე გრძელდება დავა გეოგრაფებს, ისტორიკოსებს და ხელოვნებათმცოდნეებს შორის იმის შესახებ,

თუ  რომელ კუნძულზე გარდაქმნა ცირცეამ ოდისევსის ამხანაგები ღორებად, სად ძევს ფეაკების მხარე და ოქროს საწმისის მოპოვების შემდეგ რა გზით დაბრუნდნენ არგონავტები საბერძნეთში.

რაც შეეხება იმ ქვეყანას, რომელსაც არგონავტებმა აია (ანუ ბერძნულად მიწა), შეარქვეს, ეს ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა დაამტკიცეს, რომ იგი ეწოდებოდა დღევანდელ კოლხეთს. სამაგიეროდ მარშრუტი, რომლითაც არგონავტები ცდილობდნენ დევნისაგან თავის დაღწევას და შინ მშვიდობით დაბრუნებას, დღემდე დაუდგენელია.

გავიხსენოთ ამ მითის ძირითადი შინაარსი: ცბიერმა პელიასმა თავისი ძმა იაზონი ტახტიდან ჩამოაგდო; მას სურდა თავიდან მოეშორებინა იგი. ამიტომ უბრძანა იაზონს წასულიყო აღმოსავლეთში და იქიდან ოქროს საწმისი ჩამოეტანა. დარწმუნებული იყო იმაში, რომ იაზონი ნამდვილად ვერ დაბრუნდებოდა ასეთი გრძელი და სახიფათო ექსპედიციიდან.

იაზონმა ააგო არგო, გარს სანაქებო მეზღვაურები შემოიკრიბა და გადაცურა რა ეგეოსის, დარდანელისა და ბოსფორის ზღვები, აგრეთვე ჩრდილოეთ ნაწილში არასტუმართმოყვარე ევქსინოს პონტოსი, მიაღწია აია-კოლხეთამდე, სადაც ოქროს საწმისის მფლობელი ხელმწიფე აიეტი მბრძანებლობდა. აიეტის ამ საგანძურს იცავდა საშინელი, მუდამ ფხიზლად მყოფი ურჩხული, მაგრამ მშვენიერმა იაზონმა მოხიბლა აიეტის ქალიშვილი, ძალზე მოხერხებული მედეა, რომელმაც ურჩხული დააძინა და მამის საგანძურითურთ გაიქცა ხომალდ არგოთი თავის შეყვარებულ იაზონთან ერთად.

აიეტმა მძარცველებს თავისი ფლოტი გაადევნა. ოღონდ ბრძენმა იაზონმა არგო მიმართა არა პირდაპირ საბერძნეთისაკენ, არამედ სრულიად საწინანაღმდეგო მიმართულებით, რათა მდევარი დაებნია. უცნობი და შეუსწავლელი გზისაკენ შემობრუნებამ მრავალი წინააღმდეგობა და სიძნელე წარმოშვა. არგონავტებს უნდა ეცურათ მოძრავ კლდეებს შორის, რომლებიც, როგორც კი მათ შორის ხომალდი გამოჩნდებოდა, უმალ პირს კრავდნენ. მეზღვაურები იძულებულები ხდებოდნენ, არგო ხმელეთზეც ეთრიათ, და თანაც საკმაოდ დიდხანს, თითქმის 12 დღის განმავლობაში.

არგონავტთა უკან დაბრუნების გზის დადგენა მკვლევართა შორის დღევანდლამდე დავის საგანს წარმოადგენს. თავდაპირველად წარმოიშვა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც არგონავტები დნეპრს აღმა აჰყვნენ უკიდურეს ჩრდილოეთამდე, სადაც შავი ზღვისა და ბალტიის ზღვის შენაკადი მდინარეები იღებენ სათავეს. აქ მათ ხომალდი დნეპრიდან ნაპირზე გადაიტანეს და იმ მდინარემდე გადაათრიეს, რომელიც საპირისპირო მხარეს მიემართებოდა და ბალტიის ზღვას უერთდებოდა. ამან მათ საშუალება მისცა ბალტიის, ჩრდილოეთის ზღვის, ატლანტიკის ოკეანის, ხოლო შემდეგ ჰერკულესის ბოძების ანუ დღევანდელი გიბრალტარის სრუტის და

ხმელთაშუა ზღვის გაცურვით მშობლიურ ნავსადგურში, პორტ დელფოსში დაბრუნებულიყვნენ.

ჯერ კიდევ სოფოკლე ფიქრობდა, რომ არგონავტებმა კოლხეთამდე იცურეს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროების გასწვრივ, ხოლო უკან – ჩრდილოეთისა და დასავლეთის სანაპიროებით დაბრუნდნენ. ისინი ძირითადად ზღვის სანაპიროების გასწვრივ ცურავდნენ, რადგან მათი უიალქნო ხომალდი ზღვაში საცურაოდ არ ვარგოდა.

გავიხსენოთ, რომ არგონავტები კოლხეთიდან გაიქცნენ არა სამხრეთით, სამშობლოსაკენ, არამედ ჩრდილოეთით; მათ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე დაუზამთრდათ. რაც შეეხება მოძრავ კლდეებს, ისინი, უბრალოდ, უზარმაზარი აისბერგები იყო, რომლებიც ბერძენთა მდიდარ წარმოსახვაში გადაიქცნენ კლდეებად. აქედან კეთდება დასკვნა, რომ არგონავტები ძალზე უნდა გაწვალებულიყვნენ, რადგან მათ ზამთარში ყირიმის ნახევარკუნძულის შემოცურვას ხომალდის ხმელეთზე თრევა ამჯობინეს.

ზემოთ განხილულ ჰიპოთეზაში არგოს უკან დაბრუნების ევროპულ მარშრუტზე მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ არა იმიტომ, რომ იგი დავაბნიოთ. პირიქით, ვვარაუდობთ, რომ ეს მარშრუტი მრავალმხრივაა ჩვენი დაინტერესების ღირსი. მიგვაჩნია, რომ არგო ძალზე ჰგავდა ვიკინგების ნავს და ალბათ, არც ცურვის თვალსაზრისით ჩამოუვარდებოდა მას. მაგრამ ზემოაღწერილი მარშრუტი არგოს უკან დაბრუნებისა ხომ ვიკინგების მოგზაურობის მუდმივი გზა იყო. სწორედ ამ მარშრუტით დადიოდნენ ვიკინგები ბალტიის ზღვიდან კიევამდე და რუსების სხვა ქალაქამდე. ამ გზებით ისინი კონსტანტინეპოლამდეც კი აღწევდნენ. ნორმანების ნავები კი ამ გზებით სიცილიაში ჩადიოდნენ. თუმცა, მაინც ის ვარაუდი უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან, რომ არგონავტებმა შავი ზღვა გადაცურეს და ასე დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში, მაგრამ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, ესარგებლათ ვიკინგების გზით და სახლში ბალტიის, ჩრდილოეთის ზღვის, ატლანტის ოკეანის და ხმელთაშუა ზღვის გაცურვით დაბრუნდებოდნენ.

უფრო მეტიც: ოქროს საწმისის მოტაცების შემდეგ პერიოდში, ასე დაახლოებით 11 ათასწლეულის ბოლოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ამ გზის ცალკეულ მონაკვეთებს სავაჭრო მიზნებისათვისაც იყენებდნენ, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, ამ გზებზე შემდგარი ყველა ვაჭარი ვერ დაბრუნდებოდა შინ ცოცხალი და უვნებელი.

შემონახულია აგრეთვე დაახლოებით 4 ათასი წლის წინანდელი, ასე 11 ათასწლეულის დასაწყისის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ერთი ვაჭრის მიერ შედგენილი დოკუმენტი. იგი წარმოადგენს რეკლამაციას! მისი ადრესატია ეანასირი, ვაჭარი სუმერიული ურიიდან, რომელმაც ტელმუნის (დღევანდელი ბახრეინი) კუნძულიდან მოიტანა ტვირთი, ძირითადად სპილენძი. ერთ-ერთმა შემსყიდველმა, რომელმაც გასინჯა იმპორტული საქონელი და არ მოეწონა იგი, აღშფოთებით თქვა: “როგორ შეიძლება ამგვარი რამ შემთხვეოდა ისეთი

კეთილშობილური ფენის წარმომადგენელს, როგორებიც ჩვენ, ვაჭრები ვართ! ნუთუ არის კიდევ სხვა ვინმე ტელმუნის ვაჭრებს შორის, ვინც ამგვარად მოიქცეოდა”? დავუმატებთ, რომ ტელმუნში, საიდანაც ურელი ვაჭრები მარაგდებოდნენ, შეიძლებოდა არა მხოლოდ მაქქანის (დღევანდელი ომანის) სპილენძის შოვნა, არამედ “თევზის თვალისაც” კი, ანუ ცეილონური მარგალიტისაც.

ამრიგად, 11 ათასწლეულის დასაწყისში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, იმ დროს, როდესაც კაცობრიობამ ის-ის იყო ისწავლა წერა, რეგულარული სავაჭრო გზების საერთო სიგრძე ათასობით კილომეტრს ითვლიდა, როგორც ამტკიცებს მითი არგონავტების შესახებ  და აგრეთვე არქეოლოგების მიერ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში ნაპოვნი ბალტიური ქარვა. ამ სავაჭრო ურთიერთობებში ჩაბმულია არა მხოლოდ მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრები, არამედ პერიფერიული ქალაქებიც, სავაჭრო კავშირები კი, ვაჭრების სურვილის თვინიერ, ხელს უწყობდა საერთაშორისო კულტურულ კონტაქტებსაც.

ყოველივე ამის გახსენება ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია დღეს, როდესაც მსოფლიო რეალურად ძლიერ ჩაკეტილია. არადა, სავაჭრო ურთიერთობები ხომ ყველაზე უკეთ გამოხატავს შრომის საერთაშორისო დანაწილების ხასიათს და როგორ შეიძლება ხელი შევუშალოთ არა თუ იმ პროდუქციის გაცვლა-გამოცვლის საქმეს, რომელსაც მატერიალური სახე აქვს, არამედ იმ სულიერი ღირებულებების გაცვლასაც, რომლებიც  დაიბადების მიუხედავად , მთელი მსოფლიოს კუთვნილებად უნდა იქცნენ.

**გაზეთი “მამული” [1]11, ივნისი, 1991 წ.**

## პოლონელები აფხაზეთში

პეტრე ბორავსკი

**აფხაზეთში დატრიალებული ომის ქარცეცხლმა ქართველთა და აფხაზთა გარდა, არა ერთი და ორი ეროვნების წარმომადგენელი გააუბედურა. მათ შორის არიან პოლონელებიც, რომლებიც აფხაზეთის მიწაზე მრავალი ათეული წლის მანძილზე ცხოვრობდნენ. გთავაზობთ საზოგადოება „პოლონელთა კავშირის” ბიულეტენში ამ თემისადმი მიძღვნილი წერილის შემოკლებულ ვარიანტს**.

აღმოსავლეთის  პოლონური  დიასპორის ისტორიაში საპატიო ადგილს იკავებს აფხაზეთი.

რუსები, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიიდან აწარმოებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის თავისუფალი ტომების დაპყრობის პოლიტიკას, აფხაზეთში კონცენტრაციას უკეთებენ დიდი რაოდენობით სამხედრო შენაერთებს. ამ ჯარებში სამსახურის მოსახდელად აგზავნიდნენ აგრეთვე პოლონელებს, რომლებიც თავისი სამშობლოს გასათავისუფლებლად იბრძოდნენ. ისტორიკოსების მონაცემებით, XIX საუკუნის I ნახევარში აფხაზეთში მდგარი რუსის ჯარის 10 პროცენტს პოლონელები შეადგენდნენ.

ერთ-ერთი მათგანი იყო ფელიქს ლისოვსკი. პირადი ღირსებების გამო რუსებმა იგი წებელდის გამგებლადაც დანიშნეს და მან უამრავი ჩანაწერი დატოვა აფხაზეთის შესახებ, საიდანაც ნათლად ჩანს XIX საუკუნის I ნახევრის ეს მხარე. მისი ჩანაწერები, რომლებიც ძვირფასია არა მხოლოდ როგორც ისტორიული წყარო, არამედ ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც, ჯერჯერობით რუსულ და ქართულ არქივებში ინახება და თავის მკვლევარს ელოდება.

ჯარში მრავალი წლის სამსახურის შემდეგ პოლიციელები აქვე ქორწინდებოდნენ და აფხაზეთში სახლდებოდნენ. 1840 წელს წებელდაში ცხოვრობდა რამდენიმე ათეული პოლონელი, რომელთაც აფხაზი ცოლები ჰყავდათ.

პოლონელებმა განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზეთში ბუნებათმცოდნეობის მეცნიერების განვითარებაში. ცნობილი პოლონელი ბოტანიკოსი იყო კავკასიის კორპუსში მომსახურე ოფიცერი პოლკოვნიკი იან რადოჟიცკი. პირველი მეცნიერული შესწავლა აფხაზეთის ფლორისა სწორედ მის სახელს უკავშირდება. ამ სფეროში კიდევ უფრო მეტი დამსახურება მიუძღვის ვლადისლავ ბაგრინოვსკის. 1939 წელს მისი ინიციატივით და თაოსნობით სოხუმში საფუძველი ჩაეყარა ბოტანიკური ბაღის მშენებლობას. იგი იყო აგრეთვე მისი პირველი დირექტორი.

ბაგრინოვსკის მეცნიერული მოღვაწეობა განაგრძო პროფესორმა ალფრედ კოვალოვსკიმ. სპეციალისტთა შეფასებით მისმა შრომებმა მთელი ეპოქა შექმნა კავკასიაში ბოტანიკის განვითარებაში, თავისი სამეცნიერო მუშაობის 60 წლის მანძილზე პროფესორმა კოვალოვსკიმ დაწერა მრავალი წიგნი და სამეცნიერო სტატია და აღწერა 600 მანამდე უცნობი მცენარე. ამ მეცნიერის მთავარი ნაშრომია ოთხტომიანი წიგნი „აფხაზეთის ფლორა".

ქართველ-აფხაზთა ომამდე აფხაზეთში ცხოვრობდა რამდენიმე ასეული პოლონური წარმოშობის ოჯახი. მათ ძირითადად არ იციან წინაპართა ენა და შეზრდილები არიან ადგილობრივ საზოგადოებას. აფხაზეთის ქალაქებში მცხოვრები პოლონელები წარმოადგენენ ქართული, აფხაზური ან რუსული ინტელიგენციის ნაწილს. ამას უპირატესად მათი ოჯახური კავშირები განაპირობებს. საბჭოთა სისტემის არსებობისას ისინი საკმაოდ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდნენ ამ კუთხის ადმინისტრაციულ, სამეურნეო თუ სამეცნიერო სფეროებში.

1990 წელს ,,სლავიანთა სახლის'' შემადგენლობაში შეიქმნა კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება ,,პოლონია''. მასში გაერთიანდა რამდენიმე ათეული პოლონური წარმოშობის ადამიანი. საზოგადოება ,,პოლონიის'' წევრებს, რომლებიც უპირატესად სოხუმელ ინტელიგენციას მიეკუთვნებოდნენ, მიზნად ჰქონდა კავშირების დამყარება აფხაზეთში მცხოვრები პოლონური წარმოშობის ადამიანებთან, მათი დაახლოვება თავიანთ სამშობლოსთან და ხელშეწყობა პოლონეთ - აფხაზეთის შემდგომი კონტაქტებისათვის.საქართველოს მკვიდრი პოლონური საზოგადოებისაგან განსხვავებით, რომელიც ქართველ ხალხთან ორგანულად არის შერწყმული, აფხაზეთის პოლონელებს უფრო რუსული ორიენტაციის პოლონელებად მიიჩნევენ. თუმცა, ბოლო პერიოდში ისინი ცდილობდნენ პოლონურის შესწავლითა თუ კათოლიკობის მიღებით აღედგინათ თავიანთი ისტორიული სახე. აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორების შემდეგ ამ კუთხეში მცხოვრები პოლონელების ბედი ნაკლებად არის ცნობილი. ისევე, როგორც მთელი იქაური საზოგადოება, პოლონელებიც ორ ნაწილად გაიყვნენ – ერთნი მხარს უჭერენ აფხაზ ექსტრემისტებს, ხოლო მეორენი – ეთნიკონფლიქტების მოწინააღმდეგეები არიან. ცხადია, მათ მიერ ამგვარი პოზიციების დაკავება ოჯახურმა კავშირებმა განაპირობა. პოლონელები, რომლებიც მჭიდრო ნათესაურ კავშირში იყვნენ აფხაზებთან და რუსებთან, სიმპათიით იყვნენ განწყობილნი სეპარატისტებისადმი, ხოლო, რომლებსაც ქართველებს შორის ჰყავდათ სისხლით ნათესავები ან, უბრალოდ, ნაცნობები, მომხრეები იყვნენ აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დარჩენისა.

ხანგრძლივი დროით გაწელილმა ამ მომქანცველმა ეთნოკონფლიქტმა შედეგად ის გამოიღო, რომ 1992-1993 წლებში მრავალმა პოლონელმა დატოვა აფხაზეთი. ამჟამად ცნობილი არ არის, თუ როგორი ბედი ხვდა წილად მათ დარჩენილ ნაწილს, თუმცა, ალბათ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მათი ცხოვრება ადვილი არ არის.

**დაიბეჭდა გაზეთ ,,მოქალაქეს'', 1997 წლის 16 მაისის ნომერში.**